

مكتبة

9

1968



Երանկա Նուրի
Ստեփանյան

სსსრ

136

გამოცემის მეთორმეტე წელი

9

საქვამგები


1968

თბილისი



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



კოეზია

3. ვაჟა ფშაველა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს. ლექსი
4. სიმონ ჩიქოვანი. ნიკოლოზ ბარათაშვილის სავა-
ნეში. ლექსი.
20. ოთარ ხელიძე. ორი მარაბდელი. ბალადა.
59. გივი ქნულაძე. ბალადა უკვდავებისა. ლექსი.
60. ლია შავვაძაძე. ბარათაშვილის ღამე. ლექსი.

პროზა

5. დავით ჯავახიშვილი. მოგონება. მოთხრობა.
22. თენგიზ ვოგოლაძე. კაცი კაციტა. რომანი. დასას-
რული.

„მომიგონებდეთ ჰარიზს მგონსა...“

61. ბალატიონ ტაბიძე... ზოთა ნიუნიანიძე. მარადი-
სობის ფერი მორის ფიცხიშვილი. უკვდავების
გვით. ვახტანგ ჯავახიშვილი. ჩემი ბარათაშვილი. ემ-
ზარ კვიტაიშვილი. სიხლის კოეზია. ჯანსუღ ჩა-
რკვიანი. „ნიშნა კეთილთა უხვად მოგვმული“.
გივი გეგეჭკორი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ტა-
ძარი.

წერილები

73. აბაკი სურგულაძე. ნიკოლოზ ბარათაშვილი და
საქართველოს ისტორიის პრობლემები.
88. გურამ ასათიანი. „მარანი“ და მისი ავტორი.
106. გიორგი ბაჩიჩილაძე. კოეზია სიყვარულის შესა-
ხებ.
120. ირაკლი ქანოშვილი. ბარათაშვილის მსოფლ-
განცდის საკითხი.
123. დიმიტრი თუხარაძე. ნიკოლოზ ბარათაშვილი
ბ. პასტერნაკის თარგმანებში.
129. გეგან ბარდაველიძე. ნ. ბარათაშვილის ლექსი
„ნაკოლეონ“.
131. იაკობ ბალახაშვილი. 1832 წლის შემთხვევების
ნ. ბარათაშვილის ჯგუფი.
140. ლევან მენაბდე. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძვე-
ლი ქართული მწერლობა.
145. ი. ენიოლოვოვი. მამუკა ორბელიანის რაკორტი.
- ჩვენი კალენდარი
146. ალექსანდრე გვახარია. ალიშერ ნავოის უცნობი
ქართული თარგმანი.
149. სადრიდინ აინი. ოპტოგრაფის რეგოლაციის სადი-
დებლად.
150. სკორტი
153. ავთანდილ ციხაძე. ათენიდან მესიკოგადე.
ჟოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აბაკი ზაქარაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდუშვილი,
მერაბ ელიოშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოთარ პაპოვარი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ნოდარ წულუკიძე,
ტარიელ ზანტურია,
სერგი ზილიაძე,
თამაზ ზილიაძე,
ლავა ჯანაშია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაუბს

მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,
ქართლისა წყლულთა მოზარე,
მშვიდობა, სულო ძლიერო,
თავის სამშობლოს მოყვარე!..
დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯერ
თვალზე ცრემლები მომგვარე...
არ დაივიწყა სამშობლომ
შენი მის ბედზე ტირილი,
მედგარი სულის კვეთება,
შავბედობაზედ ჩივილი,
დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულის ტკივილი.
მადლი შენს თანამოძმეთა —
მიწა გახილეს მშობელი,
შენი სატრფო და სადარდო,
გულს ლახვარ-დამასობელი.
შენი მერანი კვლავაც რბის,
პისი ნავალიც შთენილა,
უმაღლოდ არ დაკარგულა,
თუ ოდეს ცრემლი დენილა.
მიიღე ჩემი სალამიც,
გამოგზავნილი მთიდანა,
„ჩვენი არაგვიც“ მუხლს გიყრის,
გადმომქუსარე კლდიდანა;
თვის „ატეხილი ჭალები“
ცრემლით ატირა ცხარითა,
სმენად გადიქცნენ ისინიც,
გრგვინვა რომ ესმათ ბარითა,
ქედებმა თავი იდრიკეს,
ფიქრით მოიცვნენ მწარითა,
ამწვანებულნი მწვანედა,
განათლებულნი მთვარითა.

ივნისი, 1893 წ.



ნიკოლოზ ბარათაშვილის სპანაუმი

მე გადავყურებ მტკვარზე საღამოს —
შენი თვალებით ხილულ ბუნებას.
მტკვართან ჩინარი ჰაერს გააბობს
და მწუხრში ფიქრით მოიდუნება.

ლექსის ნაწყვეტი მტკვარში ირხევა,
როგორც ელვარე სატრფოს საყურე.
მოვდივარ, მყუდრო ჟამი ირღვევა,
შემხვდი და ჩრდილი გადამახურე.

მისმობს, მეძახის სული ობოლი,
ახლა არაგვიც მორბის ანკარა.
სატრფოს ყური თუ თმები წყობილი
ბეჭდის თვალივით ლექსში ჩამჯდარა.

შიგ ჩამწყვდეულა ტალღის დუდუნი,
ხმები სანთურის, ფიქრი ფარული.
შორს გატყორცნილი, როგორც შურდული,
შავი მერანი ნიაქქარული.

გარდასულ დროდან შენ გეძახოდა
მულაზანზარის ველზე მხედარი,
მისმა სიმღერამ გული დაკოდა,
გული მშფოთარი, გული ნეტარი.

გული, რა გული! მთლად დადაგული.
ყორნისფრთიანი ბედი ვერანი,
სივრცე ტიალი და უდაბური
და მოჭიხინე შავი მერანი.

მტკვარი მოგყვება მორჩილ ლანდივით,
გეხმაურება ქართლის ბუნება.
მულაზანზარზე ჩანს ავთანდილი
და შენს ვარსკვლავებს ესაუბრება.

მიბჭირს და მიბჭირს ბრძენი კეთილი,
ხურს დაგიამოს წყლული მრავალი,

შორს სამშობლოდან გადახვეწილი
და ვარსკვლავებთან თანამავალი.

შენც მისებრ იყავ ბედის მგომბელი,
არსად იგუე ბნელი სამარე.
საფლავს ებრძოდი დაუდგრომელი,
სანამ მთაწმინდას არ მიგაბარეს.

აწ მოისვენე მშობლის უბეში,
თავზე დაგნათის ქვეყნის ნათელი,
როგორ მოთავსდა მაინც კუბოში
შენი შფოთვა და კორიანტელი.


როგორ მოთავსდა სული მზიანი,
ფრთიანი მერნის ქროლვა ხმიანი,
არაგვის რბენა, არაგვიანი
და მოგუგუნე მთანი ტყიანი,

მე მეჩვენება, შენი მერანი
ტოტა თქარუნით მივსებს საგულეს.
სუროსთან მოსთქვამს ქალი კენარი
და შენს საფლავზე სტოვებს საყურეს.

მერნის ფრთებივით მოშხუის ლექსი,
ალიმართება, ყალყზე დადგება.
ცრემლის წვეთ-წვეთად წკარუნი მესმის
და წმინდა მთაზე დამიღამდება.

აგვახმინაებს ქარი მზაკვრული
და მთაწმინდაზე შენი აჩრდილი,
კაცი უცხოეთს გადაკარგული,
ორჯერ კუბოდან წამოვარდნილი.

ჩანგი გვიხმობს თუ გული ანკარა?
ხე შრილებს თუ ქალი კენარი?
შენი სამშობლო მკვდრეთით ამდგარა,
შვებით ჭიხვინებს შენი მერანი.





მობონა

როდესაც ვფიქრობ ჩემს მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე და ვცდილობ გავიხსენო ამ გზის ბედნიერი მონაკვეთები, რატომღაც არაფერი გრანდიოზული არ მაგონდება. იქნებ იმიტომ, რომ ისეთ დროს მომიწია ცხოვრება, როცა ყველაფერი უჩვეულო, თვით მართლა გრანდიოზულიც კი — ადამიანის კოსმოსში გაფრენა თუ გულის გადანერგვის ოპერაცია — რაღაც საოცრად მშვიდად, თითქოს სხვათაშორის, ზორციელდება; ან იქნებ მიზეზი მხოლოდ ჩემშია, თვით ჩემს ბუნებაში,

ჩემს სიძულვილში ყოველგვარ, თუნდაც რაღაცით გამართლებულ აციოტაქსა და ხმაურისადმი... ასეა თუ ისე მაგრამ მუდამ კი, როცა ვცდილობ გავიხსენო რამე კარგი ჩემი წარსულიდან, პირველ რიგში მაგონდება ხოლმე უბრალო, თითქმის სრულიად უსიუფეტო ეპიზოდები: თივის სურნელოვან ზვინებში გატარებული მთვარიანი ღამეები ნადირობის დროს, ან ყოველი განშორება და შეხვედრა მეგობრებთან გეოლოგიურ ექსპედიციებში ჩემს ყოფნასთან დაკავშირებით; მაგონდება თვით ეს

ექსპედიციებიც, უცხო თვალსათვის
ესოდნ მამზიდველად შემოსილი რომა-
ნტიული შარავანდდით, სინამდვილე-
ში კი, დიდად არაფრით განსხვავებუ-
ლი ადამიანის სხვა, ნებისმიერი, პატიო-
სანი — და ამიტომ არც ისე იოლი
საქმიანობისაგან. მაგონდება კიდევ ჩემი
შვილების დაბადება, მათი პირველი
ნაბიჯები, ენის ადგმა და ყოველივე
ამით მონიჭებული უზომო სიხარული...
ერთი სიტყვით, მაგონდება საზოგადოე-
ბრივი თვალსაზრისით ისეთი უმნიშვნე-
ლო და ჩვეულებრივი წვრილმანები,
რომელთა ქებაც ბევრის თვალში იქნებ
მეშინური ბედნიერების მოტრფია-
ლეთა რიგშიც ჩამაყენებს. არ შევჩერ-
დები ამ უსაფუძვლო საშიშროების
წინაშე, მხოლოდ უნდა ვთქვა: არასო-
დეს ვივაწყებ ჩემი ხალხის იმ მშფოთ-
ვარე წარსულს, რომელმაც შვა ეს დღე-
ვანდელი დიდა სიწყნარე, რის გამოც
ულრმესი პატრისკემათა ვარ განმსჭვა-
ლული წინაპართა მიპართ და მუდამ
წრფელი მოწიწებით ვიდრეც მუხლს
მათი წმინდა აჩრდილების წინაშე. ამი-
ტომ თუ ვისწავლე მშვიდად გასული
ყოველი წუთის დაფასება იმაზე მე-
ტად, ვიდრე ეს ერთი შეხედვითა ჩანს
საჭირო; ამიტომ იქცა ჩემთვის ჩემი წა-
რსული, თითქმის მთლიანად, მხოლოდ
და მხოლოდ ტკბილ და საამო მოგონე-
ბათა უშრეტ წყაროდ. ყოველი ამ მო-
გონებათაგანი, ერთადერთი და განუმე-
ორებელი, შეიძლება გამხდარიყო
უკანასკნელიც, მაგრამ არ გახდა, და
ახლაც, ჩემში, ჩემთან ერთად, კვლავ
განაგრძობს დიდი ცის ქვეშ მშვიდ არ-
სებობას.

და აი, ასეთი ღრმააზროვანი შესავ-
ლის შემდეგ, როცა მისი წყალობით
ყოველი, სულ უბრალო მოგონებაც კი
წინასწარვე უზრუნველყოფილია და და-
ტვირთული გარკვეული იდეით, და
„მოგონების“ გარდა სხვა სათაურს
არც საჭიროებს, მე თითქოს აღარც
უნდა ვიწუხებდე თავს არჩევნით. მაგ-
რამ მოგონება, მით უმეტეს — შენთვის
ძვირფასი, ლოტოს კოჭი არ არის, რომ

ალაბედზე ამოათრიო მესხიერების
ტოპრაკიდან დღის სინათლეზე; ის
უფრო ჭადრაკის ფიგურასა ჰგავს, რო-
მელსაც, ვიდრე ხელს შეახებდე, ბევრ
გონებრივ ძალას შემოახარჯავ. ამიტო-
მაც დიდხანს ვიფიქრე, სანამ არჩევანს
მანცდამაინც ამ მოგონებაზე შევაჩე-
რებდი, მაგრამ, როგორც ახლად გვხ-
დები, რაიმე განსხვავებულ შედეგს ამ
ყოყმანის წყალობითაც ვერ მივალ-
წიე. მაშ ალბათ სჯობდა პირდაპირ და-
მეწყო, მაგალითად, ასე: „ეს მოხდა ავა-
რაკზე“, თუმცა ასე არ ივარგებდა, რად-
გან ავარაკზე არაფერი „მომხდარა“... ეს
იყო ავარაკზე“. არც ასე ივარგებდა,
რადგან, თუმცა კი მართლა „იყო“, ხო-
ლო რაც იყო იყო და იმას ვერსად გაე-
ქცევი, მაგრამ „ეს“ იყო არა მარტო
ავარაკზე, ქალაქშიც იყო, გზაშიც —
ავარაკსა და ქალაქს შორის, იყო ყველ-
გან, სადაც ვიყავი მე იმ მშვენიერ
ზაფხულს. „ეს იყო იმ ზაფხულს“. ასე
ივარგებდა, რომ არ იბადებოდეს კით-
ხვა: „რომელ ზაფხულს?“... რომელიც
სიგრილით წინასაგან საგრძნობლად გა-
ნსხვავდებოდა“. ჰო, ასე შეიძლება. და
აქ უკვე ნამდვილად იწყება ჩემი, საბე-
დნიეროდ, ერთ-ერთი — და არა ერ-
თადერთი — ძვირფასი მოგონება.

მაშ ასე: ეს იყო იმ ზაფხულს... რო-
მელიც სიგრილით წინასაგან საგრძნობ-
ლად განსხვავდებოდა.

ოჯახის პატრონი ქალაქელი კაცის
უმთავრესი საზრუნავი — ცოლ-შვილის
ავარაკზე გაგზავნა — უკვე იენისის შუა-
გულში მქონდა მოგვარებული და დანა-
რჩენი ორი კვირის განმავლობაში დი-
დი ხნის ნანატრ მარტოობას დამსახუ-
რებულ ნეტარებით ვეწაფებოდი.

ის-ის იყო ამ ნეტარების მიზეზსაც
რადაც ნარკოტიკით გასდიოდა ძალა
და მგონი უკვე საბოლოოდ კარგავდა
თავის მიმზიდველობას, რომ ერთმა
ნაცნობმა წინა წელს უგზოუკვლოდ და-
კარგული ჩემი მეძებრის — ჭრელას სა-
ნაცვლოდ რვა თვის შესანიშნავი ლეკვი

მაჩუქა, სახელად — ბასარა, და ამით უსარავი — თუ შეიძლება ასე ითქვას — სასიამოვნო უსიამოვნება მომაცენა.

ბასარა ლამაზი აღნაგობის, მთლად წაბლისფერი პოინტერი იყო, ფრიად მხიარული და ალერსიანი არსება და მასზე უფრო ჩემს უკვე მობეზრებულ მარტოობას მგონი არაფერი მოუხდებოდა. ვისარგებლე რა სრული და ნამდვილი თავისუფლებით, ბასარას ფართოდ გავუღე დროებით უკაცური ჩემი ბინის კარი და მანაც ღირსეულად შეიფერა ეს ჯერჯერობით ნადრევი პატივისცემა. მხოლოდ და მხოლოდ მარტოობის სამკურნალო თვისებებით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ სრულიად არ მიშლიდა ნერვებს მისი გაუთავებელი წრილი ოთახებში, არც მისი უზომო ცნობისმოყვარეობა, არც მსუნავობა (თუმცა შინ მისაპარიც არაფერი მქონდა), არც უზრდელობა, რომლის გამოც იგი აივანზე გასვლითაც კი არ იწუხებდა თავს, როცა დიდი რაოდენობით მიღებული ხითხე შეაწუხებდა.

დამაიწყდა მეტქვა, რომ იმ ხანებში არსად ვმუშაობდი, რადგან ინგლისურიდან ლიტერატურული თარგმანით ვიყავ გატაცებული და მთელ თავისუფალ თუ სამუშაო დროს, დღიდან საღამომდე, შინ ვატარებდი. ამიტომ ბასარას შემოსახლება ჩემთვის არავითარ დამატებით სიძნელეს არ წარმოადგენდა. ერთადერთი, რაც მაფიქრებდა, იყო ის, რომ იგი დაუყოვნებლივ დაგეშვას საჭიროებდა, საამისოდ დრო კი კაცისათვის, არც ისე იოლი მოსანახია. მაგრამ ამ საქმეში ბედნიერმა დამთხვევამ შემიწყო ხელი.

გამახსენდა, რომ აგარაკი, სადაც ისვენებდა ჩემი ოჯახი, არა მარტო თავისი ფიჭვნარით იყო განთქმული, არამედ პურისა და ქერის ყანებითაც. თვით აგარაკი ქალაქიდან რაღაც სამოციოდე კილომეტრითაა დაშორებული და ამ მანძილზე წასვლა-წამოსვლა კი, რაც მე ისედაც ყოველ შაბათ-კვირას მქონდა განზრახული, რაიმე სერიოზულ და-

ბრკოლებას არ შეადგენდა. და ახლაც როცა ჩემს ამ განზრახვას ძაღლის დაგეშვის საჭიროებაც ზედ დაემატა, სანადირო სეზონისათვის მზადებას ვათქვამული ხალისით მივყავი ხელი. სამწყერე ვაზნებს ადრეც ყოველთვის თვითონ ვტენიდი, ტყვია-წამლის მარაგი მუდამ ხელთ მქონდა, მაგრამ ახლა იმდენად გამიტაცა ამ საქმიანობამ, რომ ზოგჯერ მხოლოდ დადლილობა და ხელის გულზე გაჩენილი ბებერებიდა თუ მომავონებდა, რომ თარგმაც არანაკლებ ღირსეული საქმეა კაცისა, ვიდრე ნადირობა და ვაზნების ტენა. ასეთი გაშმაგების წყალობით, რალა საკვირველია, რომ ხუთიოდე დღეში ჩემი არსენალი უკვე გამზადდა და ჯერ კიდევ მხოლოდ ბასარაზედა იყო მიმდგარი.

ივლისის პირველსავე შაბათს მე და ბასარამ დილაადრიან ავიკარიო გუდანაბადი (წარსულიდან ლამის მხოლოდ ლექსიკაშია შემორჩენილ ამ მშვენიერ სიტყვაში, ცხადია, ახლა მარტო ხილითა და ტყბილუღით გაჭედული ჩემი ზურგჩანთა იგულისხმებოდა) და იმ ხანებში ახლად შემოღებულ, ე. წ. სამარშრუტო, ანუ ქალაქგარეთ ოფიციალური უფლებით დამავალი ტაქსის მეშვეობით საათნახევარში უკვე ადგილზე ვიმყოფებოდით. არ შემიძლია ორიოდ სიტყვით მაინც არ გავიხსენო ჩვენი სასაცილო მოგზაურობაც.

მე შოფრის გვერდით მომიწია ჯდომამ, ალბათ — როგორც ძაღლიანს, თორემ ისე მსგავს პრივილეგიას ჩვენში ხშირად მთელი დამსახურებაც კი უღევოდ სჭირია. ბასარა ერთ ხანს კრავივით იწვა ჩემს ფეხებსშუა, მაგრამ როდესაც ვაკეზე ლარვივით გაკიმული მოსაწყენი გზა აღმართზე მიმავალმა სერპენტინებმა შეცვალა და ირგვლივ გადაშლილი სივრცის ღვთაებრივმა სილამაზემ პოეტურ გუნებაზეც კი დამაყენა („გზა არის თუ მათრახია მოქნეული?!.. წამოტივტივდა მეხსიერება-

დავით ჯავახიშვილი
მ. ო. გ. მ. ნ. ბ. ა.



ში საიდანაც ჩარჩენილი კარგი სტრუქტონი), ეტყობა ძალღმაც გადაწყვიტა დატყობა ღმერთის მიერ მისთვისაც განკუთვნილი ამ სილამაზით და, ვიდრე მე რამის მოფიქრებას მოვასწრებდი, ჩემს მუხლებზე უკვე მოხერხებულად მოკალათდა. დიდცხვირა და სქელწარბა შოფერი ისედაც ვერ იყო გუნებაზე და ჩაქდომის წუთიდანვე მე და ბასარას მოსისხლე მტრებივით გვიბღვეროდა. ათ კილომეტრზე მეტი დამჭირდა, ვიდრე მასზე გულმოდგინე დაკვირვების შედეგად ბოლოს და ბოლოს მიგხედებოდი, რომ ამის მიზეზი საბრალო ბასარა კი არა, თურმე ტრანსპორტის სამინისტროს თუ რომელიმე უფრო ზემდგომი ორგანოს მიერ შემოღებული სიახლე იყო: შოფერი ძალზე უდიერად ექცეოდა ბილეთების პატარა ხვეულს (რომელიც, ეტყობა მტკიცედ აკონტროლებდა და საგრძნობლად ამცირებდა მის პირად შემოსავალს): ხან ერთ ჯიბეში იტენიდა მას, ხან—მეორეში, ხან სად მიაგდებდა, ხან — სად, და ალბათ სიამოვნებით გაღუძახებდა ღია ფანჯრიდან ლამაზ მინდორში, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა ამას და ამიტომ თუ იხარშებოდა ასე უხმოდ საკუთარ წვეწვში. უკანმჯდომნი ვერაფერს ამჩნევდნენ და უღარდელად საუბრობდნენ ერთმანეთში, ბასარა კი, თუმცა ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა, რა თქმა უნდა, ვერ გარკვეულიყო ვერც სატრანსპორტო რეფორმის არსში და ვერც, მით უმეტეს, ვილაციის განწყობაზე მისი უარყოფითი მოქმედების რთულ ნიუანსებში; ამიტომაც, ერთიორჯერ შოფერისაკენ საკონცენტრაციო კი გაიწია, ძლივს დავაკავე. ამან საჭესთან მჯდომი სქელწარბა კაცი მთლად გადარია და რამდენჯერმე მანქანამ ისეთი ძალა და სისწრაფე გამოავლინა, როგორსაც ალბათ თვით შოფერიც არ მოელოდა. ლამაზი პეიზაჟებისათვის ვიდას ეცალა?!

ასე ავედით, ბოლოს და ბოლოს, იქ, სადაც უნდა აესულიყავით, მაგრამ სადამდეც, შესაძლო იყო, ვერც აგვეღწია.

ავტოსადგურთან მანქანის საბოლოოდ გაჩერების წუთიც სწორედ ერთი ამ წუთთაგანი იყო, რომელნიც შესავალში „ბედნიერად“ მოვიხსენიე. მე სათანადოდ დავაფასე იგი და მხოლოდ მთავარ ქუჩაზე გამოფენილ მოაგარაკეთა სიმრავლე მაიძულებდა შემეკავებინა თავი და ბასარას მხიარულ კუნტრუშს არ ავეყოლოდი. იგი საოცრად ღონივრად ეწეოდა წვრილ ჯაჭვს, რომლის ბოლოც ძლივსდა მეჭირა დაღლილ მუქაში, თითქმის ყოველ ხესთან დაუხარებლად სწევდა ფეხს მაღლა, გულდასმით ყნოსავდა ყოველგვარ სიბინძურეს, რაზეც კი ცხვირი მიუწყდებოდა, და დაუღალავად მიმათრევდა წინ, წინ. ჩვენი მგზავრობის საბოლოო ადგილისაკენ.

●
ბედნიერი იყო ჩემთვის ის წუთიც, როდესაც მოულოდნელად, ფიჭვნარის განაპირას, ჯერ ჩემი უფროსი ვაჟი, იმ დროს რვა წლის ზაზა დავინახე, რომელსაც უკვე შევენეშნე და, სახეგაბრწყინებული მორბოდა ჩემკენ, მერე კი, მის უკან, ჭრელ ჭილოფზე მჯდომი ჩემი ცოლი ნინოც შევახსენიე, კალთაში ჩვენი პატარა, წლინახევრის გურამი ეჯდა. ისინი ჯერ კიდევ ვერ მხედავდნენ და ერთმანეთის ალერსით იყვნენ გართულნი.

გაზაფხულის თბილ წვიმასავით უცრად მოვარდნილმა სიხარულმა ამიგსო და ამითრთოლა მთელი სხეული.

მათ გარდა სხვებიც ბევრნი იყვნენ კიდევ გარშემო: დედები და ბებრები შვილებითა და შვილიშვილებით, რომელთა ჟრიაფილიც, ცას თუ არა, ტანადი ფიჭვების კენწეროებს მაინც სწვდებოდა. ამ ათასბეროვანი ხმაურის მიუხედავად, რაღაც იშვიათი ძალის სიმშვიდე სუფევდა და ყველაფერში იგრძნობოდა ჩემს ირგვლივ: ბალახის სიმწვანეშიც, მზით გაჟღენთილი ჰაერის სითბოსა და სიკამკამეშიც, პეალების ნელ ფარფატშიც ყვავილებზე, ფიჭვე-

ბის ბრძნულ ღუმელში და უღრუბლო
ცის სილურჯისა და უსასრულობაშიც.

ყოველივე ამით ოდნავ გაოგნებულს,
თითქოს შორიდან მესმოდა უკვე მოა-
ხლოებული ზაზას ისეთი ყიფინა („მამა
ჩამოვიდა, მამა!“ — ყვიროდა იგი), რო-
მელსაც ვერავითარი სიმშვიდე ვერ და-
უდგებოდა წინ, და თანდათან ვეხიზ-
ლდებოდა. ამასობაში ნინოსაც დავე-
ნახე და, ფეხზე წამოდგარი, გურამით
ხელში, ისიც ჩემკენ მოიჩქაროდა. ზა-
ზას თვალს, ცხადია, ვერ გამოეპარე-
ბოდა ბასარაც და მე დანამდვილებით
ვერც კი ვიტყვი, რა უფრო უხაროდა
მას იმწუთას: ჩემი დანახვა ძალღიერთ
თუ — პირიქით. კიდევ წამი და, ურთი-
ერთგაცნობით აღტაცებულნი, ზაზა და
მისი ახალი მეგობარი უკვე ჰინკებივით
დახტოდნენ და კოტრალობდნენ ჩემს
ვარშემო მწვანე ბალახზე. ეს მხიარული
სანახაობა საკმარისი აღმოჩნდა ირგვლივ
მყოფ მოაგარაკეთა ყურადღების მისა-
პყრობად, ისე რომ ჩემი და ნინოს შეხ-
ვედრა დიდძალი საზოგადოების წინაშე
შესდვა. ამან თავისებური გავლენა იქო-
ნია ორივეზე და ჩვენს ქცევას ერგვა-
რად თეატრალური დაღი დაასვა. თავ-
შეკავება, რაღაც ჩარჩოში ჩატევის
უნებური სურვილი, თითქოს სიციფეც
კი აშკარად იგრძნობოდა ჩვენს ყოველ
სიტყვასა თუ მოძრაობაში; ასე გასინ-
ჯეთ, გემოზე კოცნაც კი ვერ გავუზღდე
ჩემს საკუთარ, მონატრებულ ცოლს. სა-
მაგიეროდ, გურამის ალერსით ვიჯერე
გული. ისიც გახარებული მითათუნებდა
ლოყებზე თავის პატარა ხელებს და რა-
ღაც ისეთნაირად იღიმებოდა, თითქოს
იცოდა, როდენ დიდ ბედნიერებას მა-
ნიჭებდა მისი ალერსი. იმ დროს მართ-
ლა აღარავინ არსებობდა სხვა ჩემთვის,
არც ახლომახლო და არც არსად, საე-
რთოდ, მთელ ქვეყანაზე...

სახლი, რომლის მეორე სართულზე
ერთი მომცრო ოთახი გვექონდა დაქირა-
ვებული, იქვე ახლოს, ტყის განაპირას
მიმავალი შარაგზის გადაღმა იდგა.
გრძელი და ფართო აივნიდან იშვიათი
სილამაზის ხედი და უსაზღვრო სივრ-

ცე იშლებოდა. მარცხნივ, საითაც აღმო-
სავლეთი იყო, ფიჭვნარის ნაპირი და მის
გასწვრივ გამწკრივებული ახლადნაშე-
ნი სახლები მოჩანდა; პირდაპირ, ანუ
სამხრეთით, პატარა მდინარის კლდოვ-
ანი და ღრმა ხეობა მიიკლავებოდა,
რომლის გადაღმა მთის ფერდები ხში-
რი, ფოთლოვანი ტყეებით დაფარულ-
იყო; ტყეში, აქა-იქ, მოზრდილი ახოე-
ბი მოჩანდა და ზედ დინჯად მიბობლა-
დნენ თეთრი ღრუბლების წყალწყალა
და უცნაურად დიდი ჩრდილები; ხეო-
ბის აქეთა, ჩრდილოეთი, ვრცელი ნაპი-
რი დამრეც ფერდობს წარმოადგენდა
და, სადამდეც კაცს თვალი გაუწვდებო-
და, ჯერ კიდევ უმწიფარი პურის ყანე-
ბით იყო გადამწვანებული... ვინ არ მო-
ხიბლულა ნიაგისაგან ზღვისაგან მღელ-
ვარე სიმწვანის შემყურე? ვინ არ გო-
ცებულა მის ატლასივით მოეღვარე ზე-
დაპირზე შუქ-ჩრდილების ზღაპრული
თამაშით? გამახსენდა, რომ კაცის თვა-
ლის ამ ერთ-ერთ ალბათ ულამაზეს შე-
ცდომას ჩვენებურად „მზეკაბანას“ უძა-
ხიან. სიტყვაც ლამაზია.

ფიქრებიდან ნინოს ხმამ გამომარ-
კვია. გზაშივე ჩაძინებული გურამი მას
უკვე ლოგინში ჩაეწვინა და ახლა თვი-
თონაც აივანზე გამოსულიყო.

— როგორ მიდის, გიორგი, თარგმა-
ნის საქმე? — თურმე უკვე მეორედ მე-
კითხებოდა იგი.

— არა უშავს! — ვუპასუხე მე, —
სექტემბრისთვის ალბათ დავამთავრებ.

— მამა! — დამიძახა ზაზამ, რომე-
ლიც აივანის მზიან კუთხეში განცხრო-
მით გაშხლართული ბასარას წინ ჩაცუტ-
ქულიყო, მაგრამ ნინომ მკაცრი ხმით
გააწყვეტინა:

— მოიცადე, როცა უფროსები ლაპა-
რაკობენ! — მერე კვლავ მე მომმარ-
თა, — ნეტა წამოგედო თან სამუშაო.
ჩვენ მთელი დღე ტყეში ვართ, ამ სარ-
თულზე სხვა არავინ ცხოვრობს, იჯდე-
ბოდი და ერთ კვირას მაინც იმუშავებ-

დავით ჯავახიშვილი
მ ო გ ო ნ ი ა

დი სივრცეში, ხელს არავინ შევიწროვდა.

— მამა! — მაინც ვერ მოითმინა ზაზამ, — თოფიც რატომ არ წამოიღე?

— ჯერ აღრეა, ბიჭო, ნადირობა, — ავუსხსენი მე და დავაიმედე: — თავის დროზე ყველაფერი რიგზე იქნება! იქამდე ბასარა უნდა დავგეშოთ, მან ხომ არაფერი იცის ჯერ თავისი საქმის?

— საწყალი ჭრელა, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ზაზამ და ისევ ბასარას დაუბრუნდა.

— ხოლო სამუშაოს რაც შეეხება, — მეც ჩემის მხრივ ნინოსთან შეწყვეტილი საუბარი განვაახლე, — ყოველ შემთხვევისათვის, მე ის თანა მაქვს!

— არა, მართლა! — უცბათ ვერც კი დაიჯერა ნინომ, მერე მომეხვია, მაკოცა და ამის გამო რატომღაც გაკვირვებულ ზაზას გამხიარულებულმა უთხრა:

— მე ხომ ყოველთვის გეუბნებოდით, რომ მამაშენი გენიოსია! აბა ჰე! ახლა კი ვისარგებლოთ გურამის ძილით და სამივმეტრე ერთად გემრიელად წავისაუზმო!

— ოთხივემ! — გაუსწორა ზაზამ და ბასარაზე მიუთითა.

— ბოდიში, ბოდიში, ბატონო! — გაიცინა ნინომ, — დამეფიწყდა. ერბოკვერცხი უყვარს თუ თიხლოდ მოხარშულს ამჯობინებს, როგორ გგონია?

— გოგლიმოგლიზეც არ იტყოდა უარს, — ეთქვი მე და ზაზას გადავხედე, არა, ზაზა?!

მან თავი დამიქნია და ორივე თვალი ერთად ჩამიკრა.

— ვარგა მაინც რამედ? — მკითხა ძალზე ნინომ, რომელსაც სუფრის გაშლა მოეთავებინა და ხელით მაგიდასთან გვეპატიებოდა.

— ჯერ არ ვიცი, — ვუპასუხე მე. — ამ დღეებში გამოირკვევა.

— ხომ წამიყვან ხოლმე თან, მამა? — ზაზა უკვე სუფრას უჭდა და ჩვეულებისამებრ იქნევდა ფეხებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ უწვდენდა იატაკს, თან დანა-ჩანგალს ერთიმეორეზე აწკარუნიბდა. ჩემს მაგიერ ნინომ უპასუხა:

— წაგიყვანს, თუ კი ჭამის წინ შეგეშინებს დაიბან, მითუმეტეს ძალლიანს; თუ დანა-ჩანგალს თავის ადგილას დადებ და თუ, საერთოდ, წესიერად მოიქცევი! — მერე მე მომიბრუნდა: — ასე არ არის, მამა?

— რა თქმა უნდა! — რაც შეიძლება სერიოზულად ვცადე დათანხმება, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შევიმაჯრე თავი და გამედიმა.

უთუოდ ოდნავ ნაღვლიანი იქნებოდა ჩემი ღიმილი, რადგან იმავე დროს ასე ვფიქრობდი: „როგორ შეუძმნეულად და სწრაფად გადის დრო! თითქოს ყველაფერს ახლა იწყებ, რაღაცას აპირებ, და უკვე მკაცრი მამის როლში გიხდება კაცს ყოფნა. კეთილ პაპადაც ასევე შეუძმნეულად იქცევი ალბათ...“

საუზმის შემდეგ ზაზამ ძალღი ტყეში გაასეირნა და მე და ნინომ, როგორც იქნა, მოვიცალეთ ერთმანეთისათვის.

— აბა ჩამოკალე შენი ცოდვები! — მითხრა მან ჩურჩხლით, როცა ოთახში ფეხაკრებთ შევედით, და მაგრად მძინარე გურამს ყოველი შემთხვევისათვის ცალი თვალი მაინც შეავლო, — გულში ხომ არავინ ჩაგვარდნია ჩვენს არყოფნაში?

— არავინ, გარდა ბასარასი, — გავიცინე მე, — ისიც იმიტომ, რომ, შენ წარმოიდგინე, ჭრელას ადგილი იქ თავისუფალი აღმოჩნდა უკვე.

— მაშ არავინ, არა? — გაიმეორა ნინომ კითხვა და უკვე ნამდვილი ეჭვის თვალით გადმომახედა, — ვითომ?

— არ დამიწყო ახლა შენებურად! — შევეხვეწე მე, — განა ისეთი რა გული მაქვს, რომ თქვენს გარდა კიდევ ვინმე დაეტეოს შიგ?

— ეჰ! არ უნდა შეუშვა, თორემ ჩვენ გამოგვყრის და მერე კი დაეტევა! — ნაღვლიანად ჩაიცინა მან.

კიდევ დავაპირე რაღაცის თქმა, მაგრამ, ლაპარაკით როდის რას გავმხდარვარ-მეთქი, და ღუმილი ვარჩიე. მოქმედება მიზნისაკენ მიმავალი უფრო მოკლე და საიმედო გზა არის მუდამ, ვიდრე ლაყბობა. ამ აზრმა ამჯერადაც

ლირსეულად დადასტურა თავისი ჭეშ-
მარიტება და ცოტა ხნის შემდეგ ნინოს
ეჭვებისაგან აღარაფერი გადარჩენილა.
იგი თითქოს დამნაშავედაც კი გარძნო-
ბდა თავს ჩემს წინაშე, როცა ვინ იცის,
უკვე მერამდენელ მეუბნებოდა:

— რა ბედნიერებაა, რომ ამდენი
ხნის შემდეგ ჩვენ ისევ ძველებურად
გვიყვარს ერთმანეთი!

— აბა რა! — დავუმოწმე მე, —
ასეც უნდა იყოს!

— უნდა იყოს, მაგრამ აბა ერთი გაი-
ხედ-გამოიხედ ჩვენს გარშემო, ასეა გა-
ნა?

მართლაც, ბოლო ხანებში ძალიან გა-
ხშირდა თვით გაყრამდე მისული უთა-
ნხმოებანი ჩვენს თანატოლ ნაცნობ ოჯა-
ხეებში და მე იძულებული გავეხდი ნი-
ნოს დავთანხმებოდი:

— ჰო, სამწუხაროდ, მართალი ხარ!
ჩვენ, ეტყობა, ბედნიერ ვარსკვლავზე
ვართ დაბადებულნი.

ამის გაგონებაზე ნინომ სამჯერ მიაფუ-
რთხა ეშმაკს და მანაც, როგორც ჩანს,
შეურაცხყოფილმა, სამაგიეროს გადა-
ხდა არ დააყოვნა: გურამმა დროზე აღ-
რე გამოიღვიძა. იგი ლოყებამწითლე-
ბული და თმაგაჩეხილი წამომჯდარ-
იყო საწოლში და თავის მოცისფრო,
ნამძინარევე თვალებს სასაცილოდ აცე-
ცებდა იქით-აქეთ. ხოლო როდესაც გა-
რედან ძაღლის ნაცნობი ყეფაც შემო-
მესმა და ზეზეწამომდგარმა თავი ფან-
ჯარაში გავრგე და დავინახე შარაზე
შინისაკენ მომავალი ზაზა და ბასარა,
რომელთაც უკან გამაყრუებელი ჭყიბი-
ნითა და ხელების ქნევით ბავშვების
მთელი ლაშქარი ასდევნებოდათ, საბო-
ლოოდ დავრწმუნდი, რომ ნინოსა და
ჩემს იმ დღევანდელ ხანმოკლე განმარ-
ტოვებას ბოლო მოჰყვებოდა.

ნასადილევს ჩვენ ყველამ ერთად ჩა-
ვისეირნეთ მდინარისაკენ. ბასარას წყა-
ლობით, ბავშვების ამაღა კვლავ ჩამო-
ურჩენილად გვდევდა კუდში და მათი
გაუთავებელი შეკითხვებისაგან მალე
თავბრუდახვეულებს შუა გზიდანვე
მოგვიხდა უკან დაბრუნება. მამხნევე-

ბდა იმედი, რომ მომავალში ცოტათი
მაინც შენეულდებოდა მათი ინტერესი
ამ ოთხთხეა არსებობაში და ჩვენი სეი-
რნობაც უფრო სასიამოვნო ან, უკიდუ-
რეს შემთხვევაში, ნაკლებად მომქან-
ცავი აღმოჩნდებოდა.

შინ დაბრუნებამდე დაბინდა კი-
დეც, სულ მალე კი ცა საოცრად მოკა-
შკაშე ვარსკვლავებით გადაიჭედა. ზღაპ-
რული დევებივით გამოჩნდა ნათელი
ცის ფონზე ვოლიათი ფიჭვების მუქი
ლურჯი, თითქმის შავი, სილუეტები,
რომლებიც საღამოს გრილი ნიავისაგან
ოდნავ ირწეოდნენ იქით-აქეთ, და ისე-
თი იღუმალი ხმით შრიალებდნენ, თით-
ქოს სიცოცხლის უდიდეს საიდუმლოს
გადასცემენო ერთიმეორეს.

ასე ჩვეულებრივად ჩაიარა ჩემმა პა-
რველმა დღემ აგარაკზე. არც თუ მომ-
დევნონი განირჩეოდნენ მისგან რაიმე
განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე
ცვლილებებით, და მე დღესაც ვერ გა-
მიგია ვარკვევით, რაღაში იმალება მაშ
მათი ის ძალა თუ მომხიბლობა, რამაც
ასეთი ღრმა კვალი დამიტოვა სულში
და ბოლოს კალამიც კი ამღებინა? ვი-
თომ მხოლოდ ქალაქელი კაცის ბუნე-
ბასთან მონატრულ სიახლოვესა და მჭი-
დრო კონტაქტში? გინდა მზეკაბანას
ხილვა იყოს ეს, გინდ წვიმის შემდეგ
ნაცრისფერი ცაზე გადაჭიმულ ვეებერ-
თელა ცისარტყელასი; გინდაც დილაო-
ბით დაცვარული ბალახის მზის სხივე-
ბზე თვალწარმტაცი აელვარება, ან
თუნდ მწყვრების ქვითქვითი, ყანებიდან
მონახერ ნიავს წამოყოლილი... არა
მგონია! და ამიტომაც ვაძლევ თავს
ნებას ასე დაწვრილებით აღვწერო ეს
დრო, ჩემს მიერ ერთ ჩვეულებრივ ზა-
ფხულს, ერთ ჩვეულებრივ აგარაკზე
გატარებულს.

გავიდა ის დღეცა და ის ერთი კვა-
რაც, რომელიც ვითომდაც ნინომ გამო-

დავით ჯაფარიშვილი

მოგონება

მთხოვა, მაგრამ მე თურმე აღარც კი ვწუხნი, რომ ასე გამოიგრძელდა ნებირობა წყნარ აგარაკზე. თუმცა თარგმანის საქმეც, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, მიიწევდა წინ.

დილას აღრე ადგომის ხათრით, ზაზაც გურამთან ერთად წვებოდა დასაძინებლად და საღამომობით ნინოსა და მე საკმაოდ ბევრი დრო გვრჩებოდა თავისუფალი. ჩვენ თბილად ჩაცმულნი ვსხდებოდით აივანზე, იმდენად გრილოდა, და ერთ ხანს ჩუმად ვტკბებოდით ორხმიანი სუნთქვის გულისამაჩუყებელი სიმშვიდით, რომელიც ბნელი ოთახიდან გამოდიოდა. აივნის კუთხეში იატაკის ტილოსავით მიგდებულყო ყანებში სიბილით დაქანცული ჩვენი ბასარა და ძილის ნეტარებას მიცემული ჩუმად კვნესოდა. მერე ჩვენ რიგრიგობით ვიგონებდით ბავშვობას, რომლის ერთ-ერთი ზაფხულიც ორივეს თურმე ერთდროულად ამავე აგარაკზე გაგვიტარებია. ეს ამბავი უცაბედად დავადგინეთ ერთხელ, იმ დიდი ხანძრის ხსენების მეოხებით, რომლის დროსაც უკვე მწიფე ყანების დიდი ნაწილი მთლად გადაიწვა (ტყე ძლივს გადარჩა) და რომლის გახსენება დღესაც კი აშინებს იქაურ მცხოვრებლებს...

(მე თავს ვიკავებ და ჩვენი იმდროინდელი მოგონებებიდან აქ მეტს აღარაფერს მოვიხსენიებ, რადგან ვგრძნობ, რომ — მოგონება მოგონებაში უკვე მეტისმეტი იქნებოდა, რადგან მკითხველის მოთმინებას გამოზოგვა მუდამ სჭირია. თუმცა, იყო ერთი ამერიკელი მწერალი, რომელიც ამ მხრივ არაფერს ერიდებოდა—სწორედ მის ერთ-ერთ წიგნს ვთარგმნიდი მე იმ ზაფხულს — და კვადრატულ ფრჩხილებსაც კი ხმარობდა ზოგჯერ თავის რომანებში, რამაც მას თვით ნობელის ჯილდოს მოპოვებაშიც ვერ შეუშალა ხელი; ხოლო გერმანელებს ხომ საამისოდ საგანგებო დროც კი გააჩნიათ გრამატიკაში „პულს-ქუამპერფექტის“ სახელწოდებით: მაგრამ ვიცი, რომ ყოველივე ეს ჩემთვის ვერაფერი შეღავათია და ამიტომაც

ვცდილობ მხოლოდ ერთმაგი მოგონებით და ჩვეულებრივი ფრჩხილებით დავკმაყოფილდე).

...მერე ჩვენ ერთად ვწვებოდით იქვე, აივანზე მდგარ ტახტზე, მე — მთელი ღამით, ნინო — დროებით, და ორივეს ერთნაირად გვახარებდა ჩვენი უკვე თხუთმეტწლიანი სიყვარულის ძველებური სიწმინდე და უცვთელობა. ჩვენ შევცქეროდით ვარსკვლავიან ცას და, უნებურად, „ფილოსოფიური“ მსჯელობის სურვილი გვებადებოდა.

— რა უცნაურია ცხოვრება! — იტყოდა ნინო, — ხომ შეიძლებოდა ჩვენ ვერასდროს შევხვედროდით ერთმანეთს? ნუთუ მე ასევე მეყვარებოდა ვინმე სხვა? — და სასწრაფოდ თვითონვე უპასუხებდა თავის თავს: — არა, არა! ეს ყოვლად შეუძლებელია! მართლა არსებობს, ეტყობა, ის რაღაც ბედია თუ განგება! ის ორად გაყოფილი სულებიც მართლა არსებობენ, რომლებიც განუწყვეტლივ დაეძებენ თურმე ერთმანეთს და ბოლოს პოულობენ...

— ან ვერ პოულობენ — ჩავურთავდი მე, მაგრამ ნინოს ეს დებულება ჩანს, ხელს არ აძლევდა და ვითომც არ გაუგიაო, ისე განაგრძობდა:

— ...და ერთდებიან, ისე, როგორც ჩვენ!

— ასე მხოლოდ ისეთ ცრუმორწმუნეებსა სწამთ, რომელთაც სჯერათ, რომ სამეგრეო გადაფურთხებით მოიშორებენ გზიდან ეშმაკებს, — ვიცინოდი მე. — ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ აგრე იოლად, გაზეთში გამოქვეყნებული უბრალო განცხადებისა და ფორმალური სასამართლო დადგენილების ძალით ვერ გაიყოფოდნენ ასე ღვთაებრივად ერთქმნილი სულები.

— ეჰ, ვიცი, ვიცი! რა სულელივით მიხსნი ყველაფერს! უეცრად მოიწყენდა ნინო და უფრო მაგრად მომეკერებოდა, თითქმის ცდილობდა ასე, ძალით, გადაერჩინა ჩვენი ერთობა, რომელსაც სამაგისო ჯერჯერობით არც რამე სჭირდა.

კოტა ხნის შემდეგ, სულებისაგან გან-

სხვაგვებით, ჩვენი სხეულები კარგა დი-
დი დროითა და მანძილთი შორდებოდ-
ნენ ერთმანეთს: ნინო ლანდივით უხმოდ
შევიდოდა ოთახში, მძინარე შვილებს
შუა ჰყოფი თავისი „საბარძოლო პოს-
ტის“ დასაკავებლად, მე კი მარტო დავ-
რჩებოდი ტახტზე და ღამის ჩუმ ხმებს
მივუგდებდი ყურს. ამოვიდოდა სავსე
და ისეთი კაშკაშა მთვარე, რომ ზოგჯერ,
ძილატენილი, მის შუქზე კითხვასაც
კი ვახერხებდი. ვკითხულობდი ათას-
გვარ სისულელეს, რაღაც დეტატიურ
რომანებს, რომლებიც ასეთ აგარაკზე
ყოფნისას მუდამ საიდანაც უვარდება
კაცს ხელში და იქამდე ეჩხირება თვალ-
ში, ვიდრე თავიდან ბოლომდე არ ჩაი-
კითხავს. მათი კითხვა მესხიერებაში
რატომღაც კვლავ ბავშვობის ჭრელ სუ-
რათებს გამიცოცხლებდა და ამ მოგო-
ნებების თბილ მორევში ჩაძირულს, წი-
ვნით ხელში, ტკბილად და შეუმჩნე-
ლად მეძინებოდა. მოგონებები კი... მო-
გონებები არც აქ წყდებოდნენ და ახლა
სიზმრებადქცეულნი მეხვეოდნენ გარს.
მერე ისინი მაგრად ჩაჰკიდებდნენ ხელს
ორიგ მხრიდან, ამიყოლებდნენ თავი-
ანთი თრთოვლის სწრაფ რიტმში და ასე,
დილამდე, ჩაბმული ვიყავ ამ თავბრუ-
ლამხვევ, თითქოს რაღაც უთავბოლო
აღმოსავლურ გუნდურ როკვაში, ვიდრე
ბასარას გაუბედავი წკმუტუნი მათი უც-
ნაური ტყეგობიდან არ დამიხსნიდა.

იმ ერთ დილასაც ზუსტად ასეთივე იყო
ჩემი გამოღვიძება. მზე ჯერ არც კი ამო-
სულიყო და ოდნავ მოწყენილი, ნაცრის-
ფერი მოჩანდა დილა, ციოდა კიდეც,
მაგრამ მე უკვე ვიცოდი, რომ ეს ბუნე-
ბის აქაური ოინი იყო. სწრაფად ავდექი,
ბასარა ავუშვი და ეზოში ჩამავალი კი-
ბის კარი გამოვუღე. ვიდრე ის ეზოს შე-
მოირბენდა და ღობის ძირებში ამოსულ
ბალახ-ბულახს გულმოდგინედ შეისწავ-
ლიდა, მე ჩაცმაც მოვასწარი, დაბანაც,
ზაზას გაღვიძებაც და თანწასადები საუ-
ზმის გამზადებაც. ზაზაც თვალის დახამ-
ხამებაში უკვე მზად იყო, რაც უთუოდ
გაუკვირდებოდა ყველას, ვისაც კი უნა-

ხავს მისი სიზანტე დილაობით, სკოლა-
ში წასვლის წინ. მართალია, მისი „ბან-
ილი“ პირი, მისი ჩაცმულობა თუ
თმავარცხნილობა მეტად სავალალო
შთაბეჭდილებას უქმნიდა მნახველს,
მაგრამ ამჯერად მე განზრახ არაფერი
ვაგარძნობინე მას, რაც არც ისე ადვი-
ლი იყო, რადგან ძლივს შეკავებული
სიცილისაგან ლოყები მეზურნესავით
მებერებოდა. მალე ჩვენ დილის სიცივი-
საგან კანაბურძღლულები დაღმართ-
დაღმართ მივუყვებოდით შარას ქვემო
ყანებისაკენ. ბასარა ღალად მინავარდო-
ბდა ჩვენს წინ, მხოლოდ ხანდახან ჩერ-
დებოდა და გვიცდიდა, ვიდრე დავეწე-
ოდით. მერე კი კვლავ უეცრად წყდებო-
და ადგილს და ისევ საგარძნობლად წი-
ნაურდებოდა. უკვე გავცდით აგარაკის
განაპირას მღვარ შენობებს, გავცდით
ფიჭვნარსაც, და პატარა მშრალი ხევი
გადავიარეთ, როდესაც ჩვენგან მარც-
ხნივ, სადაც აქამდე წითლად იყო შეფა-
კლული ცა, ამოვიდა მზე და ჩვენს ნა-
ბიჯს თითქოს მეტი ხალისი და ძალა შე-
სძინა. მსუბუქად ავიარეთ — თითქმის
ავიზრინეთ მცირე აღმართი და ბასარას
თვალწინ უნაპირო ასპარეზი გადიშა-
ლა. იგი თითქოს შეშინდა სივრცის სი-
დიდით. წამით შეჩერდა, მიიხედ-მოიხე-
და, და მერე კარგი მოცურავესავით
გაბედულად გადაეშვა მზის შუქისაგან
ძვირფასი თვლებივით აელვარებული
ნაშიანი თავთავების მღელვარე ზღვაში.
ჩვენ ნაპირ-ნაპირ გავუყვეით ყანას,
რათა არ გვეთელა, ბასარა კი ხელიკი-
ვით დაძვრებოდა შიგ და არავითარ ზი-
ანს არ აყანებდა გლეხის ნაოფლარს.
მე უკვე ვიცნობდი ამ ყანების ყარა-
ულს, კოჭლ რუხს, სახელად ფედიას,
რომელიც, დარწმუნდა რა ჩემს კეთილ-
სინდისიერებაში, არათუ მიშლიდა ძა-
ლლის გეშვას თავის საამფლობელოებ-
ში, არამედ ნადირობის უფლებაც კი
წინასწარ მომცა, თუგინდ პურის აღება-
მდეცო, არა ერთხელ დამხირობია.

ეს ბასარას მესამე გასვლა იყო მინდ-

დავით ჯაფარიშვილი
მოგონება

ვრად. მას ჯერ კარგად არც კი ესმოდა ყოველივე ის, რასაც მოითხოვდა მისგან ადამიანი, მაგრამ ჯიშს უკვე თავისი გაჰქონდა და იგი პირველივე დღიდან თავდაუზოგავად დასდევდა ყანიდან ყოველ ნაბიჯზე წამოფრენილ და იქით-აქეთ უწყსრივად გაფანტულ ტოროლებსა და ბელურებს; მე ჯერ კიდევ არ ვტუქსავდი მას ამ „მსუბუქი“ ყოფაქცევისათვის, თავისი ნიჭისა და მოსაზრების იმედზე მყავდა განზრახ მიშვებულის, და აი, ერთხელაც ამ მეთოდმა სასურველი ნაყოფი გამოიღო. პირველად მისმა სმენამ ყნოსვაზე აღრე გააჩნია ტორილასაგან განსხვავებული რაღაც ფრინველი, რომელიც ბევრად უფრო მძიმედ და ხმაურით ფრინდებოდა; მერე მხედველობამაც დაუდასტურა, რომ „ის“ ზომითაც გაცილებით მონჯრდილი ყოფილა, და ბოლოს ყნოსვამ საბოლოოდ დაარწმუნა იგი, რომ ეს უკვე ნამდვილად საყურადღებო ფრთოსანი იყო. ასე გაეცნო ბასარა პირველად პურის ყანიდან უცაბედად წამოფრენილ მწყერს და იმავე წუთიდან მისმა არსებობამ თვითონ მისთვისვეც სრულიად გარკვეული აზრი და მიზანი შეიძინა. ძალზე საინტერესო იყო დაკვირება იმაზე, თუ როგორ იქმნებოდა აქვე, ჩემს თვალწინ, ბასარას მემკვიდრეობით თანდაყოლილი თვისებები ჯერ ამათუიმ მოძრაობად, მერე კი, სულ მალე, — უკვე მტკიცე და სამუდამო ჩვევებად, რომლებიც მასაც თავის მხრივ, როდისმე შთამომავლობისათვის უნდა გადაეღოცნა. იგი უკვე ეძებდა, ამ სიტყვის სრული და ნამდვილი მნიშვნელობით, ეძებდა ჯერჯერობით მხოლოდ მწყერს და არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა სხვა წვრილ ფრინველებს. ცხადი იყო, რომ დაგეშვის საქმე კარგად მიდიოდა და რომ თავის დროზე ბასარა კაკაბზე და ხოხობზე სანადიროდაც დიახაც ივარგებდა.

ყოველივე ამას იმ დღეს მე დაუზარებლად ვუხსნიდი ზაზას, რომელიც, ძაღლის გონიერებით აღტაცებული, უკვე აშკარად ამყობდა ასეთი კარგი

მეძებრის ყოლით. თუმცა რაღა ზაზა, მე თვითონაც ძლივს ვიკავებდი რომ შვილის თვალწინ, სიხარულისგან, რაიმე არასერიოზული საქციელი არ ჩამედინა.

მე კარგად ვხედავდი ბასარას წაბლისფერ ზურგს, რომელიც ხან ერთგან გაივლებდა მწვანეში, ხან მეორეგან და მერე ისევ იკარგებოდა. იგი ლამაზი, სიმეტრიული ზიგზაგებით მიმოდიოდა იქეთ-აქეთ და მხოლოდ ხანდახან დაღვებოდა წამით ყალუზე, დასარწმუნებლად, რომ ჩვენ იგი ბედის ანაბარა არ მივატოვეთ. მან ჯერ არ იცოდა თავისი ნამდვილი ფასი და ამ უსაფუძვლო შიშს ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვერ მოიშორებდა.

მუხლბეამდე სველი ფეხებით მივაშრიალებდით ზაზა და მე ბალახს ყანის ნაპირ-ნაპირ. თუმცა აღრე იყო, მაგრამ მზე უკვე ძალას იკრებდა და აცხუნებდა. კიდევ რამდენჯერმე წამოფრინდა მწყერი, მაგრამ მე ჯერაც არ ვიცოდი ბასარას დამსახურება იყო ეს თუ უბრალოდ, შემთხვევა. ამაში ზაზა იყო დამნაშავე. იგი წამდაუწყებლად ჩერდებოდა და მეძახდა: ხან რაღაც მუხლუხოს იპოვიდა და წავიღოთო, მეზვეწებოდა. თვითონ კი ხელის ზღუბას ვერა ბედავდა; ხან მინდვრის რამე ყვავილს დამანახებდა და მეკითხებოდა, რა ჰქვიაო, რაზეც პასუხად მე ხშირად მხრების სამარცხვინო აჩეჩა მიხდებოდა (და ვგრძნობდი, როგორ ვმცირდებოდი თანა-ლათან მის თვალში); ხან თავისი სოროს აღმოაჩენდა და მთავაზობდა, პაპიროსის კვამლით გამოიმგდო წრუწუნა გარეთ... მე მიხაროდა, რომ ჩემი შვილი ასეთ ცნობისმოყვარეობას იჩენდა ბუნების მიმართ და შეძლებისდაგვარად ვცდილობდი კიდევ უფრო მის გაღვივებას. როგორც კი სადმე შევფერხდებოდი, ბასარაც წამსვე ჩვენთან გაჩნდებოდა და გაცეხული ადევნებდა თვალს პატრონების უცნაურ საქმიანობას. ყოველივე ამის გამო საუზმისათ-

ვის საგანგებოდ ველარ ვიცლიდით და გზაშივე მადიანად ვილუქმებოდით.

როდესაც უკან ებრუნდებოდით (გზა კვლავ ყანის ნაპირს მოუყვებოდა) ბასარამ გამოჩენა შეაგვიანა და მე ისე ძლიერ გამეცნწლა ეჭვმა, რომ გულისცემაც კი ამიჩქარა და ამაღელვა.

— ახლავე მოვალ, — ვუთხარი ზაზას, ყანაში გადავდი და გავეშურე იქით, სადაც სულ ბოლოს მოვკარი თვალი წაბლისფერ ლაქას მბზინავ სიმწვანეში.

აი, დაახლოებით, ის ადგილიც, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და... დავინახე ის, რის დანახვასაც ასე ნატრობს ყველა მონადირე — დაუგეშავი ლეკვის პატრონი: ბასარა ქანდაკებასავით გაქვავებულიყო: მარჯვენა წინა ფეხი — მიწას მოწყვეტილი; კუდი — უკან გაფშეკილი; კისერი და თავი — წინ წაწვდილი... ეს უკვე ნაბული იყო, ნამდვილი, კლასიკური ნაბული! ვუყურებდი და თვალებს არ ვუჭერებდი.

ბასარას გავგო ჩემი მიახლოება და აზარტისაგან ძლივსშესამჩნევად ძაგძაგებდა. ცოტაც და, იგი თვითნებურად „მოხსნიდა“ ნაბულს, ეს კი ცუდია, და დაეასწარი, ეცოამეთქი, ხმამაღლა ვუბრძანე. სწრაფი ნახტომი — და იმავე წუთში ზედ მის ცხვირწინ, ფეხებშუიდან, ხმაურ-ხმაურით ამოფრთხილდა მოზრდილი მწყერი. ბასარამ გაკიდება დააბირა, მაგრამ ჩემმა მკაცრმა შეძახილმა ცივი წყალივით იმოქმედა მასზე. ცოტა ხნის მერე იგი უკვე სრულიად დაწყნარებული გამომყვა ყანიდან.

— ესეც ასე! — ვუთხარი ზაზას, რომელსაც ყველაფერი დაენახა თურმე შორიდან, — ბასარამაც თავისი პირველი ნაბული გააკეთა. ახლა იგი უკვე მზად არის სანადიროდ, ცოტა ვარჯიშიც და მაგის ჩანი!

— რა კარგია! — ტაში შემოჰკრა ზაზამ და ძაღლს მიეფერა.

სველები, დაღლილები და ბედნიერები ებრუნდებოდით შინ მამა-შვილი. თან მოგვყავდა უკვე დაგეშილი ძაღლი, მოგვქონდა ყვავილების დიდი თაიგული ღელასთვის, და კიდევ — რამდენიმე ახა-

ლი ექსპონატი ზაზას მწერების უკვე კარგა მოზრდილ კოლექციისათვის.

ბროლივით გამჭვირვალე ჰაერში ჯერ კიდევ ებრძოდა ერთმანეთს მზის სიბო და ღამის სიგრილე. მაგრამ უკვე აშკარა იყო, ვინც იქნებოდა ამ ჰილილში გამარჯვებული.

ავარაკი ახალა იღვიძებდა, ჩვენ კა ამდენი რამ მოვასწარი უკვე და წინ მაინც მთელი დღე გვედო კიდევ, მზითა და ზაღისით სავსე დღე, დღე, რომლის დაღამებას ისეთ დილას კაცი ძნელად თუ დაიჯერებდა.

შინ დაბრუნებულებს ნინო და გურამი, ჩვეულებისამებრ, ზეზე გვებდებოდნენ, რაც უეჭველად გურამის დამსახურება უნდა ყოფილიყო, თორემ ნინოსთვის ამ დროს ძილი ხომ შორეულ მოგონებად იყო ქცეული. იგი გახარებული ჩამოგვართმევდა — მინდვრის ყვავილების ათასფერ თაიგულს და მაგიდაზე მდგარ, წინასწარ საგანგებოდ გამოადებულ წყლიან ქილაში მიუჩენდა ადგილს, რის შემდეგაც დიდის ამბით მოგვახარებდა:

— გურამი უკვე ნასაუზმევი გახლავთ! ახლა ჩვენც დავსდეთ, ყველაფერი მზად მაქვს და გელოდებით.

აივნის კუთხეში ბასარა მადიანად შეექცეოდა ჩვენი წუხანდელი ვახშის ნარჩენებს. მისგან მოშორებით მდგარ დაბალ მაგიდაზე გურამი თავის სათამაშოებს გააწყობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი კარგა დიდხანს დამოუკიდებლად შეიქცევდა თავს. ამიტომ ჩვენი საუზმეც უთუოდ წყნარად და უინციდენტოდ ჩაივლიდა. საუზმის შემდეგ ჩემს გარდა ყველანი ტყეში წასასვლელად ემზადებოდნენ: ზაზა გურამის პატარა ეტლს რიხინ-რიხინით ჩაიტანდა ეზოში და მერე ბასარას ასაშვებად ამობრუნდებოდა, მე ზაზას სამოგზაუროდ გამოვაწყობდა, ამასობაში კი ნინო ოთახსა და აივანს მიაღაგ-მოაღაგებდა,

დავით ჯავახიშვილი
მ ო გ ლ ო ნ ე ბ ა



მერე ჭრელ ხელჩანთაში საგზალსა და საქსოვს ჩააწყობდა, ჭილოფს დაახვევდა და სამზადისიკ ამით მთავრდებოდა. ამის შემდეგ ხუთივენი ერთად (ზაზა და ბასარა — ოდნავ დაწინაურებულნი, მერე — ეტლში უფლისწულობით მოკალათებული გურამი, და ბოლოს ჩვენ — ნინო და მე) ცერემონიულად ჩავდიოდით შარაზე, ჭიშკრებიდან და აივნებზე გამოფენილი ბავშვებისა და ქალების წინაშე და თან ამ უკანასკნელთა დაუფარავი ინტერესით სავსე მხერასა და ხმამაღალ ჩურჩულს გავიყოლებდით. მათ ალბათ უკვირდათ, ან იქნებ შურდათ კიდევ, რომ მათი — უმთავრესად ლბიანი — კაცებისაგან განსხვავებით, ნინოს ახალგაზრდა და ხმელ-ხმელი, სამაგიეროდ კი — უქნარა ქმარი (ესე იგი მე) ასე დიდი ხნით ჩამოსულიყო ამ აგარაკზე. მე ტყემდე ვაცილებდი ნინოს და ბავშვებს და ჩქარი ნაბიჯით ებრუნდებოდი უკან; სხვა გზა არ იყო, კიდევ ერთხელ უნდა „ჩამებარებინა ბარადი“ ცნობისმოყვარე ქალებისათვის, რომელნიც ფაფიანი ლამბაქებით ან გოგლიმოვლიანი ფინჯნებით ხელში ჩამომსხდარიყვნენ შარავხის პირას, ჭიშკრების წინ გამოდგმულ სკამებზე და ახლად ჰაერგამოცვლილი ბავშვების უმადობით თავმოებზრებულნი ალბათ სიამოვნებთაც კი იმეტებდნენ ჩემთვის მთელ თავიანთ ყურადღებას.

ძალზე სასიამოვნო იყო მუშაობა აივნის მოაჯირთან მიდგმულ მაგიდაზე: ლექსიკონის წვრილი შრიფტისაგან, ამერიკელი მწერლის მძიმე სტილისა და საერთოდ, ინგლისური მართლწერის უცნაურობათაგან დაღლილ თვალს უმალ ასვენებდა სახლის წინ გადაშლილი ხედის დახვეწილი, სადა სილამაზე და მაინც, იშვიათად თუ გავუძლებდი დიდხანს ამ არც თუ ისე დამქანცავ საქმეს. პატარა ბიჭვით მეც სულ ტყისაკენ მიმიწევდა გული და შუადღემდე ეს ძნელად დასაძლევი ლტოლვა უკვე საბოლოოდ იმარჯვებდა ზოგადად შრომის აუცილებლობისა და სარგებლობის სრულ შეგნებაზე. თითქმის სულმოუთ-

ქმელად ჩავიბრუნდი ამ დროისათვის მთლად უკაცრიელ მზიან შარავხსა სამაგიეროდ, ფიჭვნარი ხალხით სავსე დამიხვდებოდა და, ბასარა რომ არ ყოფილიყო, ჩემიანების მონახვა იქ არც ისე იოლი რამ იქნებოდა. გურამს ეტლში ტუბილად ეძინა, ნინო, რა თქმა უნდა, ქსოვდა, ზაზა კი ძაღლს ფეხდაფეხ დასდევდა და „ნადირობანას“ თამაშით იყო გართული. ბავშვის გაღვიძებამდე ერთი საათი მაინც რჩებოდა და თუ კი დროის ამ მონაკვეთს ბასარას ყეფა ან ზაზას ყიჟინა უტკბებდა არ შეამოკლებდა, ნინო და მე კიდევ ერთხელ ვიჭვრებდით გულს წარსულის ამბებსა თუ მომავლის გეგმებზე ვრცელი საუბრით.

— რამდენს ქსოვ, გოგო!? ფრთხილად იყავ, ობობად არ იქცე! — ვეტყვოდი ნინოს და მის გვერდით ბალახზე ნეტარებით გავიმოტებოდი.

— რას იზამ! — თავს იმართლებდა იგი, — ხომ ხედავ, ბავშვები სოკოებივით იზრდებიან, შარშანდელი აღარაფერი ეტევათ ტანზე.

— მაშ რადგანაც აღარ ვიზრდები, მე შარვალგამოხეულმა უნდა ვიარო, არა? — დავასკვნიდი მე.

— ნაქსოვი შარვლები რომ მოღაღ იქცევა, ეგ საყვედურიც იმ დროისათვის შემოინახე! იქამდე კი მიწაზე წოლასაც გირჩევ ერთდო, თორემ აგტკივდება წელი და დაიწყებ შენებურად კენესას და კრუსუნს, მაგრამ უკვე გვიან იქნება! — ნინოს ეს პასუხი ჩემს დამარცხებას მოასწავებდა.

მერე ჩვენი საუბარი „სოკოებივით სწრაფდამზარდი“ ჩვენი ბავშვების მომავალს შეეხებოდა, მაგრამ მშვენიერი ამინდისა და მომხიბლავი გარემოს გავლენით, ეს მომავალი იმდენად ნათლად გვესახებოდა, რომ მისი განხილვა შედარებით მცირე დროს გვართმევდა, რის შემდეგაც, ისევ და ისევ იწყებოდა მოგონებები. ვიგონებდით სტუდენტობის წლებს, რომლებსაც ხშირად ცხოვრების „ოქროს ხანად“ იხსენიებენ. არ ვიცი ვისას — რამდენად, და ჩვენს სტუდენტობის წლებს კი ეპითეტი მართლაც

საგებობით შეეფერება. ეს იყო წლები, რომლებიც... თუმცა არა! მე კიდევ ერთხელ შევიკავებ თავს ამ „ორმაგი“ მოგონების ცთუნებისაგან და მხოლოდ ორიოდ სიტყვით შევეხები ჩვენი იმდროინდელი მოგონებების მიმზიდველ საგანს. მაშასადამე, ჩვენ ვიგონებდით სტუდენტობის წლებს, ვიგონებდით დღემდე ცოცხალი ჩვენი სიყვარულის ჩასახვის ამბებს, ვიგონებდით ჩვენს საერთო კეთილ მეგობრებს, განსაკუთრებით კი მათ, რომელნიც უკვე აღარ იყვნენ ჩვენს შორის, და გვიკვირდა დროისა და სიცოცხლის ის ყოვლისმძლევ ძალა თუ უნარი, რომლის წყალობითაც მათ აყოფნას ჩვენთვის, ცოცხლად დარჩენილათვის, უკვე გამოლეოდა თავისი ტრაგიზმი (თუმცა ამის აღიარება არავის უყვარს) და მათი ყოველი გახსენება ნაღვლიან სიხარულს მეტს გვცვირდა. ვიდრე ნამდვილსა და მტანჯველ გულისტკივილს; გვიკვირდა, რადგან ჩვენი გონება ბოლომდე ვერ წვდებოდა ამ უცნაური ჰემიშარიტების სიღრმეს. თუმცა, კიდევაც რომ ჩასწვდნოდა, იმასობაში აუცილებლად გაიღვიძებდა გურამი, ზოლო მოსმენა მისი გულისამაჩუქებელი ტიტინისა, დანახვა მისი ატმისფრად ალექსიო უმანკო სახისა და სასაცილოდ გაჩეჩილი თმის, მისი პატარა და ნაზი თითების სათუთი შეხება ლოყაზე, უნებურად ადგილზევე შეაყენებდა ჩვენს ფიქრს და სულ სხვა გეზით წარმართავდა მას. მერე აქლომინებული მოვარდებოდა ზაზაც ძაღლითურთ და ბასარას რაიმე ახალ „საგმირო საქმეს“, გინდა თუ არა, დაწვრილებით მოგვიყვებოდა. და ისევ ყველაფერი თავის ჩვეულ ღრმა კალაპოტს უბრუნდებოდა. და თითქოს ფიქრს მიგებდაო, ნინო გურამის გამოღვიძებას ჩემი საყვარელი პათეტიური ლექსით ხვდებოდა:

გვეყო წარსულზე გლოვა და დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს!
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობად!
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!

— აბა, „ხალხო“! — სიცილით მიმაერთავდა მერე იგი ბავშვებს, გაუყვებ შინისაკენ! აგრილდა კიდეც და სადილობის დროც მოახლოვდა.

მართლაც, ამ დროისათვის მზე უკვე შორეული მთების წვერებს მძიმედ დაეყარდნობოდა, თანდათანობით მომტარდებოდა საიდანაც ქუთუღულად წამობართული სუსტი ნიავი და ვეებერთელა ფიჭვების კენწეროებს ააქანავებდა. მათ შორის პატარა-პატარა ნაფლეთებად ჩენილი ცა კი უფროდაუფრო გამუქდებოდა. მოხეტიალე თაბორივით აიყრებოდა ჩვენი ოჯახი და აუჩქარებლად დაიძვებოდა შინისაკენ.

ჩვეულებრივად ჩავივლიდა აივანზე ჩვენი სადილი, მერე-ვანშამიც, რომლის დროსაც შეუმჩნევლად მოსაღამოვდებოდა, შემდეგ კი თათქოს მოულოდნელად და ერთბაშად დაღამდებოდა. ციმციმა ვარსკვლავებით გაივსებოდა ცა, ირმის ნახტომი კიდეთკიდემდე გადასვრავდა ჩამუქებულ ტატნობს და სადღაც უკან, საიდანაც ზამთრობით წამოსული ყინვა იღებდა დასაბამს, ცივად და მკაფიოდ, მომწვანოფრად აკაშკაშდებოდა პოლარული დიდი ვარსკვლავი. კიდევ ერთი დღე დაამთავრებდა ამით სიცოცხლეს და ავერ აქვე, თვალდახელშუა, მოგონებად გადაიქცეოდა.

ისე გამიტკბა აგარაკზე ცოლშვილში ყოფნა, რომ ერთი უძილო, ვარსკვლავიანი ღამის მანძილზე ძირფესვიანად შეცვალე ჩემი ადრინდელი საზაფხულო ვარაუდები და გადაეწყვიტე დარჩენილი თვენახევარიც მთლიანად აგარაკზე გამეტარებინა.

დამსვენებელთა შორის მე, ვგონებ, ერთადერთი მამაკაცი ვიყავ იმ არემარეს, და შაბათ-კვირაობითაც კი, როცა ქალაქიდან თითქმის ყველა ქმარი თუ მამა სანოვავით დატვირთული ამოდიოდა, მე მაინც ყველასგან თვალსაჩინოდ განვიჩრეოდი ჩემი „საგარეო ტანისამოსისა“ — როგორც უწოდებდა დაცინვით ნინო ჩემს კარგა მაგრა დაგლეჯილ

დავით ჯაფარიშვილი
მ ო გ ო ნ ე ბ ა

ძველმანებს, — და სახის ჯანსაღი, სოფ-
ლური ფერის წყალობით. მაგრამ განსხ-
ვავება ჩვენს შორის მხოლოდ გარეგნო-
ბით არ იფარგლებოდა. როცა ჩვენ
უცაბედად ვხვდებოდით გზაზე ერთი-
მეორეს, მე—აგარაკზე მყოფი მამა, და
ის—ცოლშვილთან ორიოდ დღით ამო-
სული რომელიმე ღიბიანი, მელოტი კა-
ცი, აშკარად იგრძნობოდა, რომ ჩვენ
ცუდად გვესმოდა ერთმანეთის; ის არც
ცდილობდა დაეფარა დამცინავი სიბრა-
ველი ჩემს მიმართ და რაღაც ზიზღის-
მაგვარი გამომეტყველებაც კი უჩნდე-
ბოდა სახეზე, თუმცა — მცირე ხნით.
მე კი მივივრდა და არ მესმოდა, თუ რო-
გორ ახერხებდა იგი ბავშვების სანახა-
ვად გამოძებნილი მცირე ღროს მთლი-
ანად გაფლანგვას იქვე ფიჭვნარში მო-
წყობილ სასადილო-პაფილიონში, თავის
მაგვართა სიტყვამრავალ და გაუმძლარ
გარემოცვაში. საბედნიეროდ, კვირა სა-
ღამოს იგი ისევ ქალაქისაკენ ეშურებო-
და, რათა ორშაბათიდან ე. წ. „სამსა-
ხურობრივ მოვალეობებს“ დაბრუნებო-
და, და აგარაკზე კვლავ ძველებური სი-
წყნარე და სიმყუდროვე ისადგურებდა.

ზაზა და მე გულმოდგინედ განვაგრ-
ძობდით ბასარას გეშვას, თუმცა მას
არაფერიც აღარ სჭიროდა, და ჩვენმა
თითქმის ყოველდღიურმა „მაწანწა-
ლობამ“ ძაღლთან ერთად ჩემი უფროსი
ვაჟიც საგრძნობლად გამოაწრთო და
გააქაჟა. მის შუბლგახსნილ, ჭორფლიან
სახეს უკვე ვაჟკაცური იერი დაჰკრავ-
და, რაც, ცხადია, სიამით ავსებდა მამის
გულს. ყოველივე ამისა და ხანგრძლივი
ხვეწნა-მუდარის შედეგად, ზაზამ ბო-
ლოსდაბოლოს თოფის თხრების დაბა-
რებაც კი გამოიმტყუა, რის მერცე მოუ-
თმენლად იწყო სანადირო სეზონის გაზ-
ნამდე დარჩენილი დღეების სათვლე-
ლად თითების კეცვა. და როდესაც მის
მარცხენა ხელზე გამწვანებული მხოლოდ
შუათითი, სალოკი და ცერიღა დარჩა,
მან იქამდე არ მომასვენა, ვიდრე ტაქ-
სის კარი თავის ხელით არ მომიჯახუნა
და თოფის ამოსატანად ქალაქისკენ არ
გამომისტუმრა.


შესანიშნავად დაიწყო სანადირო სე-
ზონი იმ წელს: ამინდი იდგა წყნარი და
მზიანი, აღებულო ყანები ბევრი იყო და
თანაც — ახლოს, მწყერი ხომ იმდენი
მოფრენილყო, რომ ხარბ კაცს ხში-
რად თოფის გაგრილებაც დასჭირდე-
ბოდა; ბასარა სანაქებოდ გაიწათა თავის
საქმეში; ზაზამაც მალე სრულად იწე-
ნია ნადირობის სიტკბო-სიმწარე და ეს,
რა თქმა უნდა, მთავარი იყო. მას თვი-
თონვე აკვრებებდა ვანცდათა ის შინა-
განი წინააღმდეგობანი, რომელნიც მას
პირველივე მოკლული მწყრის ხილვამ
აღუძრა. მისი გაუთავებელი შეკითხვე-
ბი მე ზოგჯერ მაბნევედა და ჩემი პასუ-
ხებიც მისთვის, ცხადია, მუდამ ვასაგე-
ბი ვერ იქნებოდა (ან კი რა შექნა, რო-
ცა მე თვითონვე დღესაც არ მესმის
მათი პოზიცია, ვინც ნადირობას საქვე-
ყნოდა ჰგმობს და მერე იქვე, სახლის
უკან, ბლაგვი დანით ქათამს თავსა
სჭრის). მაგრამ, საბედნიეროდ, თვით ნა-
დირობას ჩვენ მაინც უფრო მეტ ღროს
ვუთმობდით, ვიდრე მის შესახებ უნა-
ყოფო სჯასა და ბაასს, რადგან, რო-
გორც არ უნდა გავრთულიყავით ლაბა-
რაკში, განაბული ბასარას დანახვა წამ-
სვე ყველა აზრს გვაეციყებდა და ფიქრს
გვიფანტავდა. ძაღლის მოკლე ნახტო-
მი, მწყერის აფრენის ხმა, თოფის გავა-
რდნა და წამლის მძაფრი სუნის სიხარუ-
ლის გარდა აღარაფრისთვის ტოვებდა
ადგილს ჩვენს გულში, და ვიდრე გაი-
ცრიცებოდა ეს შეგრძნება, ვიდრე
კვლავ მსჯელობის უნარი და სურვი-
ლი გვიბრუნდებოდა, ბასარა, უკვე ხელ-
მეორედ ინაბებოდა და ყველაფერი
თავიდან იწყებოდა.

შუალღისას, როცა მაგრად დააჭერ-
და მზე, ჩვენ მოქანცულები ვბრუნდე-
ბოდით შინ, მოქანცულები და თან ამა-
ყები. ვბრუნდებოდით შინ, სადაც გვე-
ლოდნენ მოუთმენლად და ოდნავ ში-
შით: ნადირობა ხომ მუდამ სახიფათოა,
თვით მწყერზეც კი, წარმოიდგინეთ. შინ
გველოდა აგრეთვე დასვენება, გემრი-
ელი სადილი და მზიარულება: გურამი

აუცილებლად განასახიერებდა ჩვენს ნადირობას: მიბაძავდა ბასარას ყეფაში, თოფს სროლაში, ბოლოს გაკოტრილდებოდა ძირს და სიცილით დაგვხოცავდა. ხვალისდელი ნადირობისათვის სამზადისში კიდევ ერთხელ შეუმჩნევლად დაღამდებოდა და დაიწყებოდა დილის მოუთმენელი მოლოდინი. მერე კვლავ თენდებოდა, დადგებოდა დილა, ისეთივე, როგორც წინა დღეს და, იმავე დროს, რაღაცით მისგან სრულიად განსხვავებული.

ასე, ხან თითქოს ნელა, ხან თითქოს სწრაფად, გადიოდა დრო. აფსუსი იყო, რომ წამითაც ვერაფერი შეაჩერებდა ამ მუდმივ დინებას. სადაცაა ცვილის სათელივით დაილეოდა ეს სურნელოვანი, წყნარი ზაფხულიც და მომძლავრებულ შემოდგომას დაუთმობდა გზას; თვითონ კი, აწყყოს საზღვარზე ფეხგაღამცდარი, წარსულის უფროდაუფრო გაბუნდოვანებულ ბილიკებს დაადგებოდა. ჩემი სინანული გააცილებდა მას,

გვერდით გაჰყვებოდა, თანდათან დაპატარავდებოდა, დაპატარავდებოდა და გაქრებოდა. ამის შემდეგ ჩემს გონების თვალს მთლიანად დაიპყრობდა შემოდგომის სურათების ქარვისფერი კრიალოსანი: კარსმომდგარი რთველი და ხოხობა; ნაზი მზე ზღვაზე; სველ ქუჩებში — ძირს დაყრილი ჭადრის ფოთლები... ამას ყველაფერს მალე შეცვლიდა ზამთრის სითეთრე; თოვლიანი ციცაბო ფერდები და ზედ ქარივით მოშიშინე თხილამურები განდევნიდნენ ყველაფერს ჩემი ფიქრებიდან, სიზმრებიდან, ოცნებებიდან... და კიდევ უამრავი სხვა ასეთივე სამკაული ცხოვრებისა მიმზიდველად გაიელვებდა და აქლარუნდებოდა ჩემს თვალწინ გადამლილი შორეული სივრცის ნათელ თალებქვეშ, და მეც მთრთოლვარე სულით, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით, გადიმებული შევუდგებოდი იმ ჰაეროვანი ტაძრისაკენ მიმავალ დიდ და ძნელ აღმართს.



მრი მარაბდელი

ბ ა ლ ა ღ ა

მხედარს ცხენმა გაურჩება
გაუბედა გარდაბანთან,
უცებ გზაზე გამოჩნდება
ცხენოსანი შავნაბადა.

რაშს მკერდიდან ორთქლი ასდის,
ორთქლი ღრუბლად აჭრის ცაში,
გახვითქულა გოლიათის
სიმძიმისგან შავი რაში.

ცხენი ლახტით გადარია,
მოჭქრის, გზიდან ბული ადის.
ალბათ ვინმე თათარია,
მაგრამ თათარს ქუდი ნაბდის?

ჩრდილი ხევთან ითალხება,
აღვირს სტაცებს პატრონს რაში,
მხედარს მკერდზე ცისარტყელად
შემოურტყამს პატრონტაში.

ნაბადს ქარი ისე არხევს,
თითქოს ტყდება შავი ტალღა,
მალლით ცა და ძირს ბალახი
ფლოქეთა მტვერში ჩაითალხა;
ლურჯი ნისლი იალადის
შიშნაკრავი ადის მალღა,
— დაყარეო იარაღი! —
ცხენოსანმა დაიძახა.

დგება შავი რაში ყალყზე,
ლაგმიანი ტანჯავს ყბები,
— არ ვიცოდი, განჯის გზაზეც
გაჩენილან ყაჩაღები...
თოფი მქონდეს, სად გავცრუვდი,
გავცემდიო პასუხს თოფით.
— განზე, გადქე, რაღას უცდი! —
გადმოჰყევლებს კვლავ უცნობი, —

ჩამითვალე შენის ხელით,
ღარიბს დამჭირდება ფული.
ეგ ხანჯალიც შეიხსენი! —
ყივის ხირიმშემართული.

„ფული?“ — ჩაიცინებს გულში
ტატოს შიში განეფანტა.
ვალის გარდა საფულეში
ერთი გროშიც არ ებადა.

ლამაზ ხანჯლის ჩამოსხნისას
ჩაელიმა ბარათაშვილს,
ყაჩაღს იცნობს, ბაღდობისას
შეხვედრია მარაბდაში.

უცხოც შეხვდა მას ღიმილით,
შეყოყმანდა წამით ასე
და ნაბადი მან ჩრდილივით
გადაადგო მწვანიაწუხე.

ბოლოს, თავქვე ჩამოსვლისას,
მოაბრუნა მარდად რაში,
ტატოს ჰკითხა: — ბაღდობისას
თუ ყოფილხარ მარაბდაში?

ჩვენსოფლელი ვეღარ გიცან,
რა კაცი ვარ, რა ქართველი,
ნუ წახვალ, ჯერ დიაცა! —
სთხოვს მარაბდელს მარაბდელი.

უარის თქმა იყო ფუჭი,
შეტრიალდა წაღმა ჩარხი.
უნაგირზე მთვლემარ ხურჯინს
გადაუხსნის თვალს ყაჩაღი.
გზის ნაპირას ნაბადს გაშლის,
გაგორდება ყანწი გრძელი —
თავპირველად ბარათაშვილს
აწვდის, როგორც მასპინძელი.

დაცალეო ერთი ყანწიც,
თვალეები რომ დაგვეცრემლოს,
ეს იყოს გლეხიკაცის,
ღარიბ კაცის სადღეგრძელო.

ვეხეტები გზიდან გზაზე,
რაც მებადა, წამართვესა,
მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ,
ღმერთი როგორ წამახდენსა.

გზის ნაპირას ისხდნენ ასე,
დასდგომოდათ თავს ნათელი,
ხვედრის უსამართლობაზე
ბჭობდა ორი მარაბდელი.

როგორც დედინაცვალს გულქვას,
გაჭქცევია ორივე ყოფას,
გზა ორივეს არაგვს უგავს,
ქედით ორად რომ იყოფა.

ერთი ღატაკთ ესარჩლება,
მდიდარს გზაზე დაუხვედება,
გამოხდომა ემარჯვება,
რიხიანად დაქუხება.

მეორესთვის ეს საწუთრო
უფსკრულია მარად ბნელი,
თუ ამხედრდა, ვერ გაუსწრებს
ვერც არსენა მარაბდელი,
ვერც სიკვდილი დაეწევა,
ვერც ძახილი მუხთალ ღღეთა,
ხვედრს მეხივით დაეცემა,
თუ აჯანყდა, თუ ამხედრდა.

გზის ნაპირას დიდხანს ისხდნენ,
ჯანში არყის ჩადგა ეშხი,
წუთიერმა სიახლოვემ
გაიელვა მათ თვალებში.

ადგა არსენ მარაბდელი,
სადღეგრძელო რალა დარჩა...
ვერცხლისფერად დანაფერი
ფიცხლად იძრო მან დამბაჩა...

ცივი ლულა გადუკოცნა,
კაცი ღმერთკაცს გავდა მაშინ;
ყანწის დარად გადულოცა,
იარადი ბარათაშვილს.

— გქონდეს, ამით დაგასხომდეს
ჩვენი კარგი პურ-მარილი,
სადაც შემხვედე, არასოდეს
არ დამიხვედე სტუმარივით.

განდევნილი დავალთ სოფლად
მე ყაჩაღი, შენ მგოსანი! —
თქვა არსენამ და გაშორდა
ერთურთს ორი ცხენოსანი.





რომანო

ბერდო ორდობეში რომ შევიდა, წისქვილისაყენ ისე გასწია, თითქოს დაბარებული ვინმე ელისო. აჩქარდა, იქნებ საფეკავი მოიტანა ვინმემო. ძაღლი წკავწკავით შეეგება. ასეთი შეგებება არ უყვარდა ბერდოს, ძაღლს შეუტევდა ხოლმე ვაჟკაცურად, ყეფითა და ქუხილით დამხვდი, რა გემაართება, რომ წკავწკავებო. ახლაც ასე შეუძახა:

— დაჰყეფე, ვაჟკაცი არა ხარ?!

ღამდამობით ისე ჰყეფდა, სოფელში არც ერთი ძაღლი არ შეედრებოდა. ეს კი მოსწონდა ბერდოს.

წისქვილის კარი ღია დახვდა. ფეხი შესდგა თუ არა, ხალამბართან ვილაც გახმაურდა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ბერდო... — მოესმა ქალის გაუბედავი ხმა და ბერდო ადგილზე გაშეშდა.

— პელო? ჩამოხველ?

— ჩამოველ... იქნებ... — ხმა შეუთრთოლდა პელოს. იგი შეშინებული და თანაც უზომოდ ბედნიერი შეჰყურებდა მთასავით კაცს და ყოველ წამს ელოდა მისგან: „ქალო, სანატრელო!“

რატომღაც ახლა, ამ წუთებში, როცა ქალი დაბრუნდა, როცა ასე ახლო იყო მასთან, როცა ეს მოსვლა თავისებურად თანხმობაც იყო, ბერდომ ველარ გაბედა ის, რაც გუშინ ჩაიდინა. მოერიდა, ბავშვივით დაიმორცხვა და თვალები რომ ჰქონოდა, ალბათ იმ თვალებს დაბლა დახრიდა, ანდა დამნაშავე ბავშვივით მოარიდებდა. თავი კი დახარა და გრძნობით წაიჩურჩულა:

— მაპატიე, პელო, გუშინ...

უცებ ქალის ქვითინი გაიგონა და შეკრთა.

— რაღა სტირი? — ნაბიჯი წინ წარსდგა ბერდომ, ხელი მოკრძალებით გაიწვდინა და ქალს თავზე ალერსით გადაუსვა.

— ბერდო! — შესძახა პელომ და

დასასრული. დასაწყ. იხ. „ცისკარი“, № 8.

გუშინდელივით, მაგრამ უფრო ძლიერ მიეკრო კაცს და მკერდი აუღელვია. მაშინ კი ბერდომ მოხვია ხელები და კვლავ აბურტყუნდა:

— ქალო, სანატრელო!

— კიდევ თქვი, კიდევ, შენ შემოგვევლე! — ეხვეწებოდა ქალი.

— დაბრმავდა თუ რა მოუვიდა იმ გოგოს?

— ეს რა ჰქნა ხალხო! იმ უსინათლოსა და მახინჯ კაცს როგორ გაჰყავა?!

— რა გოგო იყო და, როგორ გაიუბედურა თავი!

— რას ამბობთ, კარგი გულისა ყოფილა, მაღლი ჰქნა!

— მაღლია, მა რა, უსინათლო კაცს მხარში ამოუდგა. ამას ვინ იზამდა!

სოფელში მაშინ უფრო მეტად შენიშნეს პელო, როცა ბერდოს ცოლად გაჰყვა. პელო მაშინ ღანინახეს, პელოს მაშინ გამოუჩინდნენ მზრუნველები, მრჩეველები. მანამდე პელოს არც არავინ ურჩევდა საქმროს, არც არავინ ფიქრობდა მის ბედნიერებაზე. სამყარო ამ ქალისათვის მიძინებული იყო. მისი გათხოვების შემდეგ კი ახმაურდნენ, შეინძრნენ მეზობლები. ერთნი ცხოვრებაში გადადგმულ ნაბიჯს უწონებდნენ, მეორენა კიცხავდნენ. პელოს ეს ხმები კანტიკუნტად ეყურებოდა. ყველას წაუყრუა. მისთვის ახლა სულერთი იყო, რას იტყოდა სოფელი. ამ დასახიჩრებულ და უსინათლო კაცთან ყოფნა უფრო მეტად ახარებდა, ვიდრე სხვა რამ.

ბერდო უხეში ჩანდა, მაგრამ მის ვაჟკაცურ ალერსში იმდენი სითბო იყო, რაც მთელ ქვეყანას ეყოფოდა. ბერდო სიტყვაუკმეხი ჩანდა, მაგრამ მისი ნათქვამი „ქალო, სანატრელო“ მუდამ ჟრუოლას უყენებდა ქალს.

ბერდო უსინათლო იყო, — ბრმა არ ეთქმოდა. დასახიჩრებული იყო, მაგრამ მახინჯი არ დაერქმეოდა. ასე უყურებდა პელო, ცხოვრებაში მისთვის აწყველახე ძვირფას აღამიანს. ბერდოს სახეს ცხოვრების მრისხანების უღმო-

ბელი კვალი აჩნდა. ლოყაში ჩამჯდარი ნაჭრილობები ხომ სიმამაცისა და ვაჟკაცობის დალი იყო! მისი თვალებიც ხომ ბრძოლაში იყო შეწირული! მაშ რა იყო ამ კაცში მახინჯა?

ქალს გულში სიბრაღელთან ერთად სიამაყეც ენთო.

ქორწილი არა ჰქონიათ. ბერდოს თეთრი ცხენით არ წამოუყვანია პატარა ძალი. არც ცხვარი დაუკლავთ. არც მოზვერი და დეკეული წამოუტყევიათ, არც ქათმები დაუხოციათ, ქვევრები არ მოუხდიათ და ჩაჩიანი მზარეულები ქაფქირებით არ დატრიალებულან. თოფი არ დაუქუხებიათ და ნეფე-დედოფალი გადაჯვარდინებულ ხმლებქვეშ არ გაუტარებიათ.

თეფში კი გასტეხა ბერდომ. ქორწილი არა გვაქვს, ეს მაინც გავტეხო.

ახლადმუელლებულება წისქვილში ორიოდ კაცმა დალოცა. ჭიჭია-ვანამ უმღერა დასა და სიძეს. ეს იყო მათი „მრავალყამიერი“. მერე თაფლობის თევ მათთვის უნახეს ნეტარებაში მიდიოდა.

პელომ წისქვილში ჩაიტანა თავისი წალი ჯამ-ქურჭელი და ლოგინი.

ვანა დღისით ნახირს დაჰყევბოდა. სალამოს წისქვილში შევილიდა, და დასა და სიძეს თუკი რამ გააჩნდათ, ლუქმას გაუყოფდნენ, მერე საწყალი ბიჭი ქოსში მიდიოდა მარტომარტო გამოსაძინებლად.

ჭიჭია-ვანა პარველად ვერ შეეგუა შინ მარტო გამოძინებას. რამდენჯერმე შეუღამისას ჩამოეჭრა ახლადმუელლებულბს. იქვე, წისქვილის კართან დაიგო ძველი ჭილოფი და ზაფხულის თბილ ღამეში ღია ცისქვეშ გამოიძინა. სანამ მზე გადმოიხედავდა, ის უკვე სოფლის ნახირს ფანისისაკენ მიეღალეობოდა.

შამშე ღურგლიშვილმა რამდენიმე კაცი შეკრიბა სამეცადინოდ. სწავლის მსურველი ბევრა არ აღმოჩნდა. რეგ-

თენიზი გოგოლაძე
აკაკი კაკიშვილი

კომის წევრები ულაპარაკოდ ჩაირცხა წრეში. მათ მასწავლებელი ოქრუაშვილი და ბერდო მიუმატა. გიგო გიუნაშვილსაც სთხოვა. მან ცივი უარი შემოუთვალა. შამშეს შუაყცებს არ განუმარტა უარის მიზეზი. რეკომის თავმჯდომარეზე ნაწყენა იყო, მასთან არც მეცადინეობაზე უნდოდა მისვლა და არც სადმე შეხვედრა. ყოველთვის თვალს არიდებდა.

ბერდო დანიშნულ დროზე უფრო ადრე მიდიოდა შეკრების ადგილზე. შამშემ თავმჯდომარის ყველაზე საიმედო ადგილად თავისი სახლი იგულა. სახლს საკმაოდ სქელი კედლები ჰქონდა, ტყეა ვერ გაატანდა. ვიწრო ფანჯრებში ნასროლიც ვერ მოხვდებოდა ისე ადვილად მიზანს. კულაკური ბანდის თავდასხმის შემთხვევაში ეს სახლი კარგი სიმაგრე იქნებოდა.

მივიდოდა ბერდო, ჩამოჯდებოდა და უცდიდა, სანამ თვით ოჯახის უფროსი დაბრუნდებოდა სოფლიდან, სანამ წრის დანარჩენი წევრებიც მოიყრიდნენ თავს, შამშეს ცოლი, ანიკო, თუკი რამეს შეეკითხებოდა, პასუხს ძუნწად გასცემდა. აუ არადა, იჯდა უტყყად და ელოდა.

შუალამედე მეცადინეობდნენ. შეკრებებს დიდი სიამოვნებით ესწრებოდა მასწავლებელი ოქრუაშვილი. აქ, გარდა იმისა, რომ კითხულობდნენ და წერდნენ, სოფლის მტკიცეულ საკითხებსაც ეხებოდნენ. ზოგიერთი მათგანი წერაკითხვასაც სწავლობდა.

წრის წევრები კუთხეში მჭიდროდ ისხდნენ ფანჯრებიდან და კარიდან მოშორებით. ქართველიშვილასეულ პატარა ლამპას შემოხვეოდნენ.

შამშე დროდადრო აიღებდა თოფს, გარეთ გავიდოდა, ბნელ გარემოს დაზვერავდა, თავისი ეზოს ბოლოში ღობეს ჩაუვლიდა, სოფლის ბნელ შუკას გახედავდა, მერე განათებულ ფანჯარას შეავლებდა თვალს, ერთხელ კიდევ შეამოწმებდა, რამდენად საიმედოდ ასხდნენ რეკომელები და ისევ მაგიდას დაუბრუნდებოდა.

იმ ღამეს კარგად შეჰყვნენ. სასურსა-

თო გაწერაზე და გლეხების რეობაზე ულაპარაკობდნენ. არავინ იცოდა, კიდეც რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ქვეყნად შიმშილი და სიღატაკე.

გარეთ რამდენიმე თოფმა ერთდროულად დაიჭუხა. ფანჯრის მინები ლაწა-ლუწით დამსხვრა. იმავე წუთს ესროლეს და დალეწეს მეორე ფანჯარაც.

ბერდოს და ოქრუაშვილის გარდა, იარაღს ყველა რეკომელი ატარებდა. ზოგს მათუხერი ჰქონდა, ზოგს ლულაგადაჭრილი შამშანა. შამშეს სოფლის შეიარაღებული რაზმელებიც გაფრთხილებული ჰყავდა, სოფელში სროლის ხმის გაგონებისთანავე ფეხზე უნდა დამდგარიყვნენ. რაზმელებს მუდამ კურდღლს ძილით ეძინათ.

შამშემ თადარიგი დროზე დაიჭირა და მეცადინეობას გულდაგულ ატარებდა ხოლმე.

სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული. წრის წევრები უმაღლეს ფანჯრებსა და კარს ეცნენ და საპასუხო სროლა ასტეხეს.

ოქრუაშვილმა ფერი დაკარგა. ლამპას უმაღლეს ჩაუწია პატრუქი და ოთახის კუთხეში მიიჭმუჭნა, ჩაიჭედა, გაილურსა და გაიყინა. მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებული იყო და ყოველ წუთს ასეთ ამბავს ელოდა, მაინც შეეშინდა.

ყველაზე ცუდ და გამოუვალ დღეში ბერდო აღმოჩნდა. იგი სროლის გაგონებისთანავე წამოხტა, მხრები გამალა, ბრძოლის ეინმა აიტანა, მაგრამ ხელთ არც იარაღი ჰქონდა და აღარც ის ცალი თვალი გააჩნდა, ნადირსა და მტერს შორით-შორეთში რომ შეამჩნევდა.

იღგა და ტორტმანებდა.

ოქრუაშვილს სროლაში ესმოდა ბერდოს ღმუილი, რაღაც ტყეური, არადა-მიანური, მკერდისეული ბობოქარი ხმა.

— დასცხეთ, ბიჭებო! — ბოლოს გამახნევებლად იყვირა ბერდომ.

სროლა წამს მიწყდა. უცებ გარედან ცხენებას ფლოქების თქართაქური მოისმა. ამას კიდეც მოჰყვა სროლა.

მხედართა ერთმა წყებამ ომახიანად დასწყვილა.

შამშემ თავისი ბიჭების ხმა მაშინვე იცნო, ლამაზა ჩააქრეთო, დაიძახა და როცა ოთახში სამარისებური სიბნელე დასადგურდა, კარი გაღო და გარეთ გავარდა. მას რევკომელები ფეხდაფეხ მაჰყვნენ.

ცხენოსნების ერთი ჯგუფი სახლის უკანა შუკიდან გამოიჭრა. მათ დღე-მართზე, ხევისკენ ჰქნეს პირი. მხედრებმა რამდენიმე თოფი შამშეს სახლს დაახალეს. მხედართა ამ აჩრდილებს დაადევნეს ცეცხლი რევკომელებმა და ამხედრებულმა რაზმელებმა.

— დასცხეთ, ბიჭებო! — ყვიროდა ბერდო ოთახში. მისი ხმა ახლა მხოლოდ ოქრუაშვილსა და არანაკლებ შეშინებულ ანიკოსდა ეყურებოდა.

მხედართა ხმა მიწყდა. მათი ყვირინი ღამის სიბნელეში სადღაც შთაინთქა. დროდადრო ისმოდა თოფების ყრუ ქუხილა. მალე ისიც მიიკარგა.

შეშფოთებული ქალი შამშეს ელოდა. სოფლის შუკიდან მარნა და სხვა რევკომელები დაბრუნდნენ. მათ ცხენები არ ჰყავდათ და ბანდიტებს ვერ დაედევნენ.

შამშეს ერთი რაზმელისთვის ცხენი ჩამოუვრთმევია და გაქცეულ მტერს გამოჰკიდებია. ახლა ის რაზმელიც რევკომელებთან ერთად შამშეს სახლში შევიდა.

ბარნამ ასანთი გაჰკრა და ლამაზ ანთო.

შეშინებულ ანიკოს არაფერი უკითხავს შამშეზე. მიხვდა, მისი ქმარი მღევარს გაჰყვა. რაზმს ის არ მიატოვებდა და ახლა ალბათ პირველი მისდევდა გაქცეულთ.

— ხომ უტირეთ დედა?! — იკითხა ბერდომ.

— იცოცხლე, მოკურცხლეს! დედას ახლა საბოლოოდ ჩვენი ბიჭები უტირებენ. ღღინამდე ჩაჰყვებიან. სხვაგან რაც გაუფიქრებ, ჩვენთან ეგ არ მოხდება, — დაჟანდებით თქვა ცხენჩამორთმეულმა რაზმელმა. გულადად იყო.

ნანობდა კიდევ ბანდიტებს რომ გაქცეულნი დაედევნა; მაგრამ რა ექნა, ფეხდაფეხ სანამდე მიჰყვებოდა. ცხენებს ისე მიადევნებდნენ გაქცეულება და მღევრები, შუკის ბოლომდეც ვერ მიჰყვებოდა კაცი.

ოქრუაშვილი მოფერიანდა. სათითაოდ ათვალიერებდა სოფლის უშინარ მამაკაცებს და სიძნევე მასაც ეკიდებოდა.

ბერდომ შამშე მოიკითხა, მერე სკამზე ჩამოჯდა.

— წითელარმიელებს უნდა ვთხოვოთ და გავანადგუროთ ბანდა, თორემ კიდევ არ მოგვაჰყვებიან, — თქვა ბერდომ.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ბარნა და თავისი თოფი იქ მიაყუდა, სადაც ოქრუაშვილი იჯდა. მასწავლებელმა ადგილი გამოიცვალა.

— ბანდა თანდათან ივსება, ხვალზეც ისევ დაგვეცემიან, არმია თუ არ დაგვეხმარა, ჩვენ ვერაფერს გავხდებით. ახლავე შეტევა სჯობია. გლეხები შევიაარალოთ და გავწიოთ. თუ ვერ მოვევრით, ჯარს მაშინ ვთხოვოთ, — განაცხადა ერთმა რევკომელმა.

— ჯარი უჩვენოდაც ანადგურებს ბანდებს, — თქვა ბარნამ, — ჩვენი ძალით რომ შევუტებით ბანდას, ხალხს დავკარგავთ. არმიასთან ერთად კი უფრო ადვილად გავიმარჯვებთ. შამშე დაბრუნდება თუ არა, მოვილაპარაკოთ.

ბერდომ რაღაც ჩაიდუღლუნა და მაგიდაზე უროსავით დააღაგა მუშტები.

შინ არაფერი მიდიოდა. ბერდოს გული წისქვილში იყო, მაგრამ მეგობრებს არ ტოვებდა.

მამლის მეორე ყვირელზე დაბრუნდნენ მღევრები. შამშეს სახლ-კართან შუკა ცხენოსნებით აივსო. რამდენიმე კაცმა მოკლული კაცი ეზოში შემოიტანა და შუა ეზოში ტომარასავით დააგდო.

— ლამაზა გამოიტა, ქალო! — შეუძახა ანიკოს შამშემ.

თენგიზ გოგოლაძე
აბიძე კაციშვილი

ქალი გახარებული იყო ქმრის უგნებელი დაბრუნებით, მაგრამ მოკლულის გალანდებამ გული შეუქანა. შინ სწრაფად შევიდა, ლამპას ხელი დაავლო და ეზოში გამოიტანა. შამშე ცოლს მადგება, ლამპა ჩამოართვა და მოკლულისკენ წავიდა. სახეზე დაანათა, ერთ ხანს მდუმარედ ათვალიერებდა, მაგრამ ვერ იცნო. თავზე წამომდგარ თანასოფლებს შეხედა და ჰკითხა:

— ვინ უნდა იყოს?

— არ ვიცი.

— ჩვენი მხრისა არა ჩანს, აქეთ არ შემეხედრია.

— იქნებ ქელსგადაღმელია, მანგლი-სელი.

„იქნებამ“ არ დააკმაყოფილა შამშეს ცნობისმოყვარეობა. მოკლულს ჯიბეები გაუჩხრიკეს და რევოლვერის მეტი არაფერი აღმოაჩნდა.

ცხვერამდე ერთი ვერსი იყო დარჩენილი, როცა მდევრებმა კეფა გაუხვრიტეს. ბანდიტებმა მისი ცხენი გაიტაცეს, სულთმობრძავი მოამე კი გზაზე დასტოვეს. დანარჩენთა დევნას თავი ანებეს ახალქალაქელებმა, მკვდარი და მისი კონდახგადამტვრეული თოფი წამოიღეს და დაღმართზე ნელა დაეშვენენ.

შამშე წელში შესწორდა. ლამპა ცოტა მაღლა ასწია და გარეშემო მიმოიხედა. ყველანი იქ იყვნენ, ვინც კი სოფელში იმ დამეს ძილფხაზლობდა. დამეგატებული მეზობლებიც მოსულიყვნენ. ბერდოც იქვე იდგა. მან ყური მოჰკრა, ვილაც მოკლულზე რომ ამბობდნენ, იგრძნო, მოკლულიც იქვე რომ ედღო.

შამშე წრიდან გავიდა, ორი ახალგაზრდა გაიყოლა და სახლის გვერდით ფიცრულში შევიდა ლამპიანად. წერაქვი და ნიჩაბი გამოიტანა. ბიჭებს მისცა და უბრძანა:

— ფერდობზე ახლავ გათხარეთ სამარე.

ბიჭები უსიტყვოდ დაემორჩილნენ რევკომის თავმჯდომარეს.

შამშე ისევ მოკლულის გარშემო თავმოყრილთ მიუახლოვდა. ლამპის

შუქმა გაანათა გლეხთა შეფიქრებულ სახეები. ორმა მოხუცმა თავისდაუნებურად, ურთიერთშეთანხმებლად. შამშეს გასაგონად ჩაიბურტყუნა:

— რა გეჩქარებოდა, შამშე?

— რა? — აღმაცერად გახედა მოლ-ლილმა თავმჯდომარემ.

— რა და ამდამე რომ უბირებ დამარხვას.

— ძაღლები უნდა მიმესია, მაგრამ მეცოდებიან, პირი როგორ გავასვრე-ვინო! — ზახლით თქვა შამშემ.

— კაციშვილზე ასე ლაპარაკი არ გეკადრება! — შენიშნა ერთმა დარბაისელმა გლეხმა.

— კაციშვილი კი არა, ორფეხა მხეცია! — კაციშვილს ღამე სძინავს, კაცის მოსაკლავად კი არ დადის! — შეუტია შამშემ, — გეცოდება? მამ წაიღე შან! წირვა გამოუყვანე, პანაშვიდი გადაუხადე, კუბო შეუკარ... შენ თუ ეგ სიტყვები გულითა თქვი, ხვალ ჩემთან მობრძანდები რევკომში!

— ნუ ცხარობ, — მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა ბარნამ, — მაგან ძალიან კარგად იცის მტერ-მოყვარე. მაგრამ კაციშვილს გული არ უნდა გქონდეს, რომ არ შეგეცოდოს, ეს დედამეყდარი! შეხედე, რა ვაჟკაცია!

— ამ შუალამისას გამაფიქრებთ ეგ არი! — კიდევ უფრო გაცხარდა შამშე, საფლავის გასაჭრელად მიმავალ ბიჭებს შორიდან გასძახა, — მაღე გათხარეთ, რომ ამ მხეცს მზის შუქი არ მოხვდეს!

პელო მარტო იყო წისქვილში. ბნელოდა. წყალი ჩხრიალით დიოდა. ათას აუგ ფიქრთან ერთად ქალს ამდენივე საშინელი ზმანება ეხატებოდა.

შორს, სოფელში, მამლებმა მეორედ იყილეს. ბერდო მაინც არ ჩანდა. პელოს უნდოდა სოფელში წასულიყო და გაეგო ბერდოს შეგვიანების მიზეზი, მაგრამ ცოტა ხნის წინ გაგონილმა სროლის ხმამ წისქვილში გაახევა იგი, შიშით გასთოკა და ააცაცახა.

არც ძაღლი ჰყვოდა. ვერც გახედა,

რა ყოფაში იყო წისქვილის დარაჯი.

ბერდია კი ბერდოს კვალს გაჰყურებდა, გრძნობდა სადღაც რომ წავიდა და არ დაბრუნებულა. გასუსტულსა და ყურებდაცქვეტილს თვალი ოდნავადაც არ მოუხუშავს. ალბათ, იმის გამოც არ იყვებოდა, რომ ორლობეში შემოსული ბერდოს ფეხისხმა გაეგო. რას არ იცნობდა! ვინ იცის, ასე რამდენჯერ დალოდინებია.

განთიდი ჯერ ლურჯად, მერე მტრედისფრად მოეფინა მიდამოს. აჟივრებდნენ ჩიტები. მამლებმა ყივილს უმატეს. შორს, სადღაც ხბომ დაიხშუვლა. ვილაცის ხმა გაისმა. ძაღლებმაც დაყეფეს. ჩიტები კი განუწყვეტლივ ჟივოვებდნენ. გეგონებოდათ, მთელი ქვეყნის მგალობლები მარტო წისქვილის გარშემო ხეებს შესევნიან.

ფრინველთა ჟივოვი სხვაგანაც გაეგონა პელოს, მაგრამ ამდენისა კი არა. წისქვილის გარშემო წყალი და ხეხილი, ამწვანებული კორდი და ბუჩქნარი, სავალბლოდ გაეხადნათ ნაირნაირს. ფერად-ფერადსა და მრავალხმოვან ჩიტებს. აქეთ ერთი გუნდი რომ დაიწყებდა, იქით მეორე შეეჩიბრებოდა, სტვენდნენ, გალობდნენ, თავისებური, მშვენიერი პაექრობა ჰქონდათ.

პელო წისქვილის კარს აჰკვროდა. ხედავდა, რომ დილის დადგომას ბუნების სიხარული მოსდევდა. მისი გული კი კვნესოდა.

ძაღლს ცერად გახედა. ძაღლი ყურებდაცქვეტილი იდგა და ორლობეს უძრავად გაჰყურებდა. „ნუთუ ეგეც განიცდის და ელის?“ გაუელვა პელოს.

ძაღლს ყურები არ შერხებია. მერე უცებ თავი მაღლა შემართა, კუდი გააჩივინა და ჯერ აწმუკუნდა, მერე ხმამაღლა და რიხიანად შეჰყეფა. ჯაჭვი გაჰქანა, აწყვეტა უნდოდა. კუდს აქიცინებდა და ჰყეფდა.

„ნუთუ ბერდო მოდის და ძაღლმა ჩემზე უწინ იგრძნო მისი მოახლოება?“ ახლა პელოსთვის საშიში აღარა-

ფერი იყო, წისქვილის კარს მოწყდებოდა ორლობისაკენ გაიქცა.

ძაღლი არ ღუმდებოდა, ყეფდა და ჯაჭვს ეძაღებოდა.

პელო გარბოდა. და აი, მალე დაინახა ორლობეში მარტო მომავალი ბერდო. იგი თვალხილულივით თავისუფლად მოაბიჯებდა და ისე მოირწყოდა, ისე მოინძვროდა, თითქმის ფრთხილობდა კიდეც თავის სიმძიმის გამო ფეხქვეშ მიწა არ შერყეოდა.

— ბერდო, შენ შემოგველე! — მივარდა აცრემლებული ქალი, — სადა ხარ აქამდე? შიშით გული გადამელია.

— შეგაშინე განა? — ბერდომ ცალი ხელით მკერდზე მიიკრა პელო, — სანამ არ გათენდა, არ გამომისვს, გზას ვერ გაივნებო. სროლას გაიგონებლი.

— გავიგონე და მაგან უფრო შემაშინა. ვინ იყო და ვის ესროლეს?

— ბანდიტები დაგვეცნენ. ტყვია დაგვიშინეს. ჰაი დედასა — მტრისასა, რა დროს არა მქონდა ის ცალი თვალი მაინც! აი, წუხელ უფრო ვიგრძენი ეს დანაკლისი.

— შენ შემოგველე! — ქალს ტირილი აუფარდა და ბერდოს ყელზე მკლავებშემოჭდობილი, საკოცნელად ძლივს სწვდებოდა ჭრილობისაგან დაჰმუჭუნულ ლოყას.

— ჰო, კარგი, ნუ სტირი! განა იმიტომაც ვთქვი, რო შეგეცოდო. შესაცოდი რა მჭირს, ახლა რაღა მომკლავს, როცა ორ პაწაწა თვალზე უფრო დიდ თვალი შენა მყევხარ! შენით განა არ მიღვას თვალისჩინი?!

— ო, ნეტამც შეიძლებოდეს, დღესვე შუა გაგიყოფ ჩემ თვალებს. ერთი შენ და ერთიც მე მეყოფა... ღმერთს უნდა ვევედრო, ისე არ მომკლას, რომ შენ ეს ქვეყანა კიდეც არ დაგანახო... შენ შემოგველე.

— ქალო, სანატრელო!

ბერდო გახელებით ჰკოცნიდა პე-

ლოს. ჩიტთა ჟივევი ქვეყანას აყრუებდა. მზე ამოდიოდა.

ბუნებაც გახელებული იყო და კაცთა სიყვარულიც!

● გოლას ძლიერ მონატრებოდა ბერდო, მოსწყურებოდა მისი წისქვილი.

დაბანაკდნენ და დღეც მიიწურა. გოლამ მეთაურს წასვლის ნებართვა სთხოვა და ის იყო ტანისამოსი მისი წორო-მოისწორა და წისქვილისაქნ დაშვებას აპირებდა, ჭიჭია-ვანაც მოვიდა. ნაომარ მეგობარს მოეხვია. მერე ერთად წავიდნენ.

— სოფელში ახალი რა არის, ვანა?

— ახალი? შამშე რო ქალაქს წაიყვანეს, გაიგებდი. ბიჭო, შენ ხო არ ესროლე? ამბობენ წითელარმიელებმა ესროლესო. ვიფიქრე, ვინ იქნებოდა თუ არა ჩვენი გოლა-მეთქი, შენ მაგისი მტრობა გედო გულში.

— რას ამბობ, ე! — შეჰყვია გოლამ, — რამ გადაგრა? ვანა ისეთი მტრობა მქონდა, რომ ტყვია მესროლა? მე არცა ვყოფილვარ იქა. თვალითაც არ დამინახია. მეორედ არა თქვა ეგეთი რამე, თორემ, სიყრმეს გეფიცები, სამუდამოდ დაგეკარგები.

ვანა შედგა, გაფითრებული მიაჩერდა გოლას, მერე სახე დაემანჯა და უეცრად პატარა ბავშვივით აზლუქუნდა.

— გაჩუმიდი, ჰო, ვაჟკაცი არა ხარ? რა გატირებს!

— დაგეკარგებიო... შე ღმერთმალლო! — ზლუქუნებდა ჭიჭია-ვანა.

გოლამ ვერაფრით ვერ დაამოშმინა. ბიჭს გული ამოუჯდა და ბალლივით სლუქუნებდა.

— ჰო, კარგი-მეთქი, — მოეხვია გოლა, — გულსა მტკენ შენი ტირილით.

ხევიში ჩავიდნენ. ვანამ გამოიღარა. რუს მიადგნენ, მორზე გადაიარეს, ვანას თვალები აუციმციმდა, ჩაიღლინა და წედანდელი „მწუხარება“ მიაღიწყდა. გოლასაც გულზე მოეშვა.

— ეგრე რა! სიმღერა უფრო გმგნის, ვანა!

— ბერდოს და პელოს ქორწილში მარტო მე ვიმღერე.

— ქორწილი კი ჰქონდათ?

— ისე, პატარა პურისკამა იყო, წისქვილში ვინც დავეტიენით. ვიმღერე და რა ვიმღერე! წისქვილის ჭერი აიწეოდა და ისევ ჩამოიწეოდა. დედის სულს გეფიცები!

— ტყუილად ნუ იფიცებ! სიმღერით ჭერი როგორ აიწეოდა, რას ამბობ.

— იმას ვამბობ, რაც ჩემი თვლით დავინახე. აბა, მე როდისმე მითქვამს ტყუილი?

— არ გითქვამს და იმიტომაც მეჩოთირა.

— ჰოდა, მართალია, ბიჭო, რასაც გეუბნები. ხმას რო ავუწევდი, წისქვილიანად მივფრინავდი.

„იქნებ მართლა ასე ეჩვენებოდა? — ფიქრობდა გოლა, — ხანდახან მეც ასეთი რამ მომჩვენებია და მომლანდებია. სჯერა, რომ სიმღერის დროს წისქვილიანად მიფრინავდა. მოდი და ასეთი ფიქრი მოუშალე, ეს დაჯერება მოუკალ!“

შებინდებულიყო, როცა წისქვილს მიუახლოვდნენ.

წისქვილის წინ, ძველ დოლაბზე ისხდნენ პელო და ბერდო. ისხდნენ გვერდიგვერდ, მჭიდროდ, იქვე წამოწოლილიყო და თავი შეემართა ბერდიას. პელოს ჯამი ჩაედო კალთაში, ბერდოს ბალლივით აპურებდა.

ამის დანახვაზე შედგა გოლა. აბა როგორ უნდა დაერღვია ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ასეთი თბილი მყუდროება? გოლას ეამა, რაც დაინახა. ბერდო მისთვის მუდამ საყვარელი კაცი იყო, მაგრამ იმას კი ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ რომელიმე ქალს იგი ასე ძლიერ შეუყვარდებოდა, რომ ეს მთასავით ვაჟკაცი ქალის ხელში ბალლად გადაიქცეოდა. შეხეთ, ცოლს მართლაც ბალლივით მინებებია და მისი ხელით მოწვილ ლუქმას სჭამს.



ამას მხოლოდ საყვარელ არსებასთან ჩაიდენდა ბერდო. ამაში ალბათ უზომო ბედნიერებასაც გრძნობდა.

ვანა ფიქრობდა: ჩემთვის ასე არასოდეს არ უქმევია კერძი ამ გოგოს, ბერდოს როგორ შესციცინებო!

ბილიკზე წამით შეყოყმანებული ბიჭები ძაღლმა გასცა. ერთი მხიარულად შეჰყეფა ვანას დანახვაზე. პელომაც გაიხედა.

— ბერდო, იცი ვინ მოსულა? — შესძახა ქალმა, — ჩვენი გოლა!

— აბა სად არი? — მაშინვე წამოდგა ბერდო. ბილიკისავე სახე ისე მიიღო, თითქმის იხედებო.

მაშინ კი მისკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა გოლა.

— ამბავმა ჩამოგასწოროთ: ძალიან გიყუყუცინათ. — ბერდომ ნაომაჩი ვეჟაკი გულში ჩაიკრა.

— გაბედნიერება მომილოცავს, ბერდო! პელო, ძლიერ გამეხარდა, სიყრმეს გეფიცები! — უთხრა გოლამ და პელოსაც გადაეხვია.

ბინდბუნდი იყო, მაგრამ მაინც კარგად ჩანდნენ ყველანი. პელო სულ სხვანაირი ეჩვენა გოლას. იგი მუდამ თავდახრილი, ადრე მოხუცებული გოგო ახსოვს, დაბეჩავებული და შეშინებული. ახლა შეესვებულა, გაზრდილა, დაქალებულა, ძუძუმკერდი და ტანი გაპლვივებია, დედობის შუქი მოჰფენია, თვალეში შუქი ჩასდგომია. ბედნიერება აშკარად ემჩნეოდა. ქონება არ გააჩნდა, ისევ ძველი ჩითის კაბა ეცვა, საკერებლიანი, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო და ეს ძლიერ ესაიშოვნა გოლას. აღარ იცოდა, რით გამოეხატა თავისი სიხარული, ბერდოს და პელოს ბედს შენატრა. პელოსი ისიც მოეწონა, ბერდოს ცხოვრების მიბნელებულ გზაზე სანთლად რომ წაუძღვა, რომ ამ კაცს გულის დიდი ტკოვილი მოუშუშა, ორივე თვალში სინათლეჩამქარას დიდ კელაპტრად აენთო. „ბარაქალა, ქალო! არ მეგონა, შენ თუ ასეთი იყავ, დაჩაგრულო და უბედურო! თურმე ბერდო გვლებია, რომ

ბედნიერი ყოფილიყავ და აბა, ორივე შეგვესებიათ ნაკლი და სურვილი. იბედნიერეთ და იხარეთ!“

დასხდნენ. ჯარისკაცს ბრძოლისა ამბობინეს. ბერდო ოხრავდა და მუხლებზე ხელს ისვამდა. დროდადრო ამოიძახებდა, აჰ, რატომ იქ არ ვიყავიო!

ჯარისკაცმა თხრობა დაამთავრა და წამოდგა.

— ახლა კი ჩახრიალა მომნათლავს ნამდვილად.

ზაფხულის ცხელი საღამო იყო. რუში თბილი წყალი დიოდა, ჩახრიალზე კისრისტეხით ეშვებოდა.

ჭიჭია-ვანა რას ჩამორჩებოდა მეგობარს! გადაიძრო ხალათი და გოლას გამოედევნა.

მერე ერთად იღლაბუცეს ჩქერში. ერთმანეთს ხელს უტყაპუნებდნენ, ბალებივით ხარობდნენ. მათი ყიფინი ჭალას ედებოდა, მათი ხმა ბერდოს სიამოვნებდა.

ჩახრიალა ჩხრიალებდა. რუ დუდუნებდა. პელო ჯამში ჩარჩენილ კერძიდან უქანასკნელ ლუქმას აწვდიდა ბერდოს.

სექტემბრის მიწურულს შამშე მიხაილოვის საავადმყოფოდან გაწერეს. იმ დღეს ანიკოს დიდი ჯაფა დაადგა. დილის მატარებელზე სოფლიდან ორიოდ ქათამი, გოვრები და ლობიო ჩამოიტანა, ბაზარზე გაიტანა და ჩარჩ გადაყიდველს ჩალის ფასად მიჰყიდა. საავადმყოფოში მიეჩქარებოდა, სადაც შამშე უკვე ელოდა ჩამცმული.

შამშეს ბარნას მიერ გათლილი ჯოხი ეჭირა. მთელი კვირა ამ ჯოხზე დაზენილი ხელახლა იდგამდა ფეხს. ფეხი კი ვერ აიღდა და აითრია კი. შამშე გულისტკივლით განიცდიდა იმას, რომ ამიერიდან ცხენს ველარ მოევლებოდა ზურგზე. სოფელს კვლავინდებუ-

თანავიო გოგოლაჰა
კაცი კაციოთა



რი ცეცხლით ველარ დაუვლიდა. კარგა ხანს ყველა საქმეს გამოეთიშებოდა და უსაქმურობა გულს ისე გაუსიებდა, როგორც საავადმყოფოში. ამას ფიქრობდა საავადმყოფოს ოთხკედელშია გამომწყვდეული, ფიქრობდა მაშინ, როცა ავადმყოფების კვნესა და ოხერა ეყურებოდა. მაგრამ, როცა მომვლელმა ქალმა ტანისამოსი მოუტანა, როცა იქაურობას გამოეთხოვა და ახლა საავადმყოფოს ბაღში სკამზე ჩამოძვლარი ანიკოს ელოდებოდა. ცოტა შვება იგრძნო და სევდაც გადაეყარა გულიდან. მისი უსაქმურობა და დაუტყება როგორ იქნებოდა, ცხენზე თუ არ ამხედრდებოდა და სოფელში არ გაიჭრებოდა, რევკომის უღელიდან მაინც არ გამოეხსნებოდა. ამ ათრეული ფეხით ივლის, თავს ძალას დაატანს და სოფელს დაეარდნილი არ ეჩვენება, შინ ბებერივით არ დაჯდება და ანიკოს ხელების შეწყურე არ გახდება. ისედაც დაიტანჯა ქალი. განა მის თვალებს ასე ოდესმე ადგა ჩრდილი? თვალის უბეებს უკვე მორეოდა ტანჯვის ლურჯი ჩრდილი და თვალებიც უფრო ღრმად შეწულიყვნებ უბეებში. დარღმა უფრო მოლალა.

ანიკო გამოჩნდა. ბაღში ფეხმარდალ შემოვიდა და თავისი კაცი რომ დაინახა, გაეხარდა, თითქოს არც კი ელოდა, რომ ოდესმე თავისი სამოსელით იხილავდა.

— როგორ ხარ, კაცო? — გვერდით მიუჯდა, მიუალერსა.

— აი, ეგრე ვარ, ფეხათრეული. ბაზარში იყავი?

— ვიყავი. ქათმები, ლობიო და გოგრები გავყიდე. გულზე ცეცხლი მეკიდება, ისე იაფად მივაყარე. სადგურამდე ფაიტონით წაგიყვან. მეტეხში კი სოლიკო დაგვხვდება ურმით.

ცოტა ხანს ისხდნენ, სანამ ანიკო დაისვენებდა. მერე სადგურისაკენ გასწიეს.

სალამო იყო. მეტეხში რომ ჩამოვიდნენ, სადგურში, როგორც ყოველთვის, კანტიკუნტად მოჩანდნენ მგზა-

ვრები. სისოს ღუქნიდან მოქეფილი სიმღერის ხმა ისმოდა. არეტანდ მღეროდნენ, როგორც უწინ, ახალქალაქში ბაზრობაზე დამთვრალმა მთიულებმა იცოდნენ შინ დაბრუნებისას.

შამშე ბაქნის კიბეზე შედგა და სისოს ღუქანს გახედა. ღუქნის კარი ღია იყო. მოქეფეთა ნაწილიც ჩანდა. ღუქნის უკან, სამზარეულოს სახურავზე ამოჩრილი საკვამურიდან ბოლქვა-ბოლქვა ამოდიოდა ნაცრისფერი ბოლი.

სისო ასევე ლაღობდა ნიკოლოზის დროს.

სადგურის უკან, სოლიკოს ურემი იდგა. ურემში ფარდაგი ეფინა, ზედ მუთაქები ეყარა. მატარებლის მოლოდინში სოლიკო ურემზე მიწოლილიყო და მისძინებოდა. ანიკომ გამოადვიდა და დაფეთებული გადმოხტა.

— მაღლობა ღმერთს, ცოცხალი და სალი დაბრუნდი! — უთხრა მეურმემ შამშეს და ხელი ჩამოართვა.

— აბა, ერთი მომეშველე, ეს ფეხი ავთარიო ურემზე, ზოგი მერე თქვი, როგორი სალიც დაებრუნდი.

მეურმე მიეშველა, შამშე ჭალს დაეკიდა და როგორც იქნა, ავიდა ურემზე.

— სისო ისევ ცოცხალია? — იკითხა რატომღაც.

— მა რა მოჰკლავს! — გაუკვირდა მეურმეს და ხარებისაკენ წავიდა, რომ ურემი მოებრუნებინა.

ანიკო შამშეს გვერდით დაჯდა და ქმარს მუთაქები შემოუწყო, მიწეკი და მოისვენეო. მაგრამ შამშეს ახლა სისოს ამბავი აინტერესებდა.

— ნებას აძლევენ, რომ ისევ იბარბაშოს?

— არ უშლიან. გამვლელ-გამომვლელს ძველებურად ხედება. უწინ თუ ნიკოლოზის ხატზე ლოცულობდა, ახლა ბოლშევიკებს ემადლიერება. მენშევიკების გახსენება კი არ უნდა, იმათ ამირიეს ცხოვრებაო.

სოლიკომ ურემი შემოაბრუნა, კოფოზე დაჯდა.

— მაშ ბოლშევიკებს ემადლიერება?

— ემადლიერება. ახლა ჩვენს სოფელში ნახე. ბევრმა საკუთარი ღუქანი გახსნა — იქით მეწვრილმანე სამსონამ, აქეთ დოლაქმა ლევანამ. მიკიტანმა მიშამ სისოს აჯობა, ისეთი სამიკიტნო გააღო, ქალაქშიც არ იქნება ისეთი, მეჭურჭლე მახარამაც გაიხარა... — ჩაუტენჯა სოლიკომ სოფლის ახალი ამბები.

— აქა ეყოფილიყავი! — ჩაიდრინა შამშემ.

— რას უზამდი, შამშე?

— იმას ვუზამდი, რომ...

შამშეს ეგონა, რომ მის სანახავად იმავე საღამოს მთელი სოფელი მოვიდოდა. რატომაც თავისი თავი დაჯერებული ჰყავდა, სოფელს რომ უყვარდა. მაგრამ, როცა შინ მივიდა და მის სანახავად ახლო მეზობელთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცი მოვიდა, ეწყინა. ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. ცოტა მოგვიანებით მოვიდნენ ბარნა და ბერბიჭა. ბარნას არ ემდუროდა შამშე. თბილისში რამდენჯერმე ინახულა და ბევრი სამსახურიც გაუწია.

სანამ ბარნა და ბერბიჭა მოვიდოდნენ, შამშემ სოფლის ამბები დაჰკითხა გლეხებს.

— ეს კერძო მესაკუთრეები რომ გაგჩენიათ, ამაზე რა აზრისა ხართ.

— კარგი აზრისა, შენი ჭირიმე, შამშე. ხალხმა სული მოითქვა. ქალაქში ბევრი კარგი რამ გაჩნდა ხელმისაწვდომი. აქაც რომ გახსნეს ღუქნები, ამაში რა არის ურიგო?!

— ჰო, არაფერი! რა უნდა იყოს! — ჩაიდუღლუნა შამშემ, ბარნას კი უთხრა, — იცი რას გეტყვი? ხვალდან სამუშაოზე გამოვდივარ. ჩაჩი-ვაჭრები თავიანთი ღუქნებით ან ერთაწმინდაში აბარდნენ, ანდა ჩოჩეთში ჩათრიონ!

ბარნას გაელიმა. მეგობარს ხელი მოხვია და დააშოშმინა.

— მაინცდამაინც ნუ დაეშურება, ჩემო შამშე. თავს მიხედ, ექიმებმა

როგორც გირჩიეს, ისე მოიქეცი. ამერიკული გზაობა ღუქნების აყრას კი ხალხი არ დაგანებებს.

— ბევრი წავიკითხე გაზეთებში, მაინც ვერ გავიგე რა პოლიტიკაა ძველისკენ მობრუნება.

— მთლიანად ხომ არ ბრუნდება, ნაწილობრივ კი საქირთა. სანამ ახალი ნამყენი ნაყოფს გამოიღებს, ცოტა ძველი ტოტიდან უნდა ვკრიფოთ. მერე ის ახალი გაიზრდება და ეს ძველი აღარავის ენდომება, მოიფშვნება და გაქრება. წვრილი მესაკუთრე მალე დათმობს ყველაფერს, თუკი მშრომელი კაცი უფრო კარგ საქონელს დაამზადებს და უკეთეს ვაჭრობას ისწავლის.

შამშე ღუმდა. ბარნა დარწმუნებული იყო, რომ დააჯერა, გააგებინა, მაგრამ შამშეს დარწმუნება არცთუ ისე აღვილი საქმე იყო.

● მეორე დღეს შამშე კანტორაში წასასვლელად გაემზადა. ანიკო წინ გადაუდგა.

— ნეტა რას იკლავ თავს, მაღლობელი ვინ დაჯერება. ხო ხელავ, სანახავდაც არ მოვიდნენ.

— ჩამოდექ! — ეს ერთადერთი სიტყვა მკვახედ უთხრა ცოლს.

— რახან არ იშლი, ურმით მაინც წადი. სოლიკოს ჩამოვიყვან. რა აიხირე ეს კანტორაში მისვლა. ადამიანის ფერი არ გადევს. ცოტა მოიკეთე და მერე მიხედ საქმეს.

— ხო იცი, რომ მაგნაირი ლაპარაკი უფრო მისიებს გულს! ნელ-ნელა გავყვები ორლობეს და როცა მივალ — მივალ.

ჯოხი მოიმარჯვა და გზისკენ გასწია. მიდიოდა ნელა, ფეხს მოწყვეტილივით მიითრევდა. ექიმების დარიგებას და ცოლის მუდარას არაფრად ავდებდა. გული ერჩოდა, გონება სულ სხვა ტალღებზე აქანავებდა. თავის თავში ღრმად დაჯერებულს, ვერც კი წარმოედგინა, თუ სოფელს უმისოდ ვინმე

თენგიზ ზოგოლაძე

კაცი კაციოთა

ხეირიანად გაუძღვებოდა. ბარნას სი-
დინჯე, თავდაპირილობა და მისი „ა-
ჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერ“.
არ მოსწონდა. გულში ექაღნებოდა
კერძო მესაკუთრეებს.

ორღობეში ანიკო გამოჰყვა. ქმარმა
სთხოვა, შინ შებრუნებულყო.

— თავში ქვა გიხლია! — უცებ გაბ-
რაზდა ქალი. სიმწრისაგან ცრემლი
მოადგა თვალში და სწრაფად შებრუ-
ნებულმა შინისკენ გასწია.

შამშემ ფეხი ათირია. მალ-მალე
ჩერდებოდა. კარგად იყო მიხვედრილი,
რომ ყველა მისი კარგის მრჩეველი.
მართალი იყო, ის კი საკუთარ თავთან
ტყუოდა, საკუთარ თავს არ ინდობდა
აწვლებდა და სტანჯავდა.

ორღობიდან სოფლის ფორზე გა-
მოვიდა. ერთ სახლთან შეკრებილ
გლეხთა ჯგუფი დაინახა. ისინი შემოა-
რუნდნენ და კოჭლობით მიმავალ რე-
კომის თავმჯდომარეს მიესალმნენ. შამ-
შე წამით შეჩერდა და გამარჯობათო,
უპასუხა გლეხებს. ზოგი მათგანი საპა-
ხავად არც კი მისულა, ახლაც შორიდან
მოიკითხეს.

შამშემ თავს ძალა დაატანა და ათ-
რეთულ ფეხს დაენდო. შუბლზე ცივი
ოფლი ასცდებოდა. სიჭიუტემ მაინც
თავისი გაიტანა. კანტორის კიბეს მიუ-
ახლოვდა. ბერბიჭს ფანჯრიდან დაენახა
და ჩამოეშველა, თუმცა შამშემ მოხშა-
რებაზე უარი უთხრა.

მაგრამ ვაი იმ ასვლას, ის რომ კიბე-
ზე ავიდა! ბერბიჭამ დაინახა შუბლზე
წვეთ-წვეთად რომ ეყარა ოფლი.

ოთახში შევიდა, მაგიდასთან დაჯდა
და სული მოიბრუნა. ბერბიჭამ წყალი
მოუტანა და ორი ყლუბი მოსცა.

— რა ძალა გადგა? — შეხედა ბერ-
ბიჭამ. როცა მისი გატანჯული სახის
ცქერით გული ეტკინა.

შამშემ ამაზე არაფერი უპასუხა. უწ-
ინ რიხიანად რომ იცოდა მისგლა-მოსე-
ლა, ბრძანების გაცემა, ახლა ხმადაზ-
ლა სთხოვა ქოსას.

— ნუ დიზარებ და აქ ამოიყვანე
სამსონა, მიშა, ლევანა და მახარა. ახალ
პოლიტიკაში უნდა გავერკვე.

ბერბიჭა მაშინვე წავიდა. კიბეზე
დაცას გამოელაპარაკა. შამშემ ბარნას
ხმა გაიგონა. მალე იგი ოთახში შემო-
ვიდა და გაკვირვებით გაშალა ხელები.

— რა ჯიუტი ხარ, შამშე! შენი თავი
მაინც არ გეცოდება, კაცო? მორკეთებ-
დი, ფეხზე ხეირიანად დავდგებოდი..

— დაჯექი. სულ ეგ სიტყვები მეს-
მის. მე მაშინ მოვიკეთებ, როცა საქმე
ისე აეწყობა, როგორც საჭიროა. ახლა
ის ხალხი დავიბარე.

— ვიცი. ბერბიჭამ მითხრა. ეს კი
სულ ტყუილი ახირებაა შენი. მთელ
ჩვენს ქვეყანაში ასეა.

— საიდან იცი? იქნებ...

— ვიცი. გაუგებარი რა არი.

— მამ რახან ასეა, ხელი ამიღია
ყველაფერზე, მე შორს დავდგები და
გიყურებთ, რა გამოვა აქედან.

კიბეზე ხმაძალაღი ლაპარაკით ამო-
იღნენ სამსონა, მიშა და ლევანა. მახა-
რა ვერ ენახა ბერბიჭას. თვითონ ქოსა
არ ჩანდა. ალბათ წანწალში მოიღალა
და ახლა ენაგადმოვდებული ქლივს
უახლოვდებოდა სოფლის ფორს.

დაბარებულნი ოთახში შემოვიდნენ,
სალამი თქვეს, შამშესკენ ხელის ჩაშო-
სართმევად წამოვიდნენ, მაგრამ შამშემ
ხელი სწორედ იმ დროს დაისვა მტკი-
ვან ფეხზე.

მოსულთ პატიყი არ დაჰკირებიათ,
ჩამოსხდნენ. გაყინულილებულ მიშას
არ ჰგავდნენ სამსონა და ლევანა. ლე-
ვანა მალაღი და ბეჭებში ოდნავ მოხ-
რილი კაცი იყო. სამსონა ჩია ტანისა,
ქერა, სახე ჭორფლით ჰქონდა საფე.

— მახარა? — იკითხა შამშემ.

— მახარამ ბიჭები წაიყვანა ტყეში
შეშის ჩამოსატანად.

— ბიჭებიცა ჰყავს, ჰა? — ჩაიციანა
შამშემ.

— შეგირდები, — დააბეჭდა სამსო-
ნამ.

— შენ, შენ კი არა გყავს შეგირდე-
ბი?

— როგორ არა მყავს! აბა, მარტო
როგორ გაუძღვები საქმეს?

— აბა, ზო გითხარი აწეწილ-დაწეწი-
ლია-მეთქი საქმე! — გაბრაზებით მო-

უბრუნდა ბარნას, — იქნებ ესტატეც ჩამოგეყვანა, ქართველიშვილებისთვისაც დაგეძახა, რეცკომი ერობის საბჭოდ გადაგეკეთებინა და ეკლესიაში სალოცავად წაესულიყავით!

ბარნა ჩუმად იჯდა.

— რა გაბრაზებეს? — წამოდგა მისა, — პირდაპირ გვითხარ, ჩვენგან რა გინდა.

— რა მინდა და ის მინდა, რომ თქვენი ადგილი სოფელში არ არი!

— შამშე, ცხოვრებაში ბევრი რამ დავკარგე, მაგრამ ტვინი არ დამიკარგავს, ჰკუთა კიდეც შემარჩინა ღმერთმა. ჩემი ადგილი თუ სოფელში არ არის, მაზრის რეცკომისა ჰკითხე. აჰა საბუთი, — მიშამ უბეში ჩაიყო ხელი და სათუთად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, შამშეს მაგიდაზე გრდაუშალა.

— აჰა ჩემი ქაღალდიც, — ახლა სამსონამ დაუღო საბუთი.

ლევანამ საბუთის მაგივრად დაკეცილი რუსული გაზეთი ამოიღო და მაგიდაზე გაუფინა რეცკომის თავმჯდომარეს.

შამშემ დახედა. რუსული წერა-კითხვა არ იცოდა და იკითხა:

— ეს რა არი?

— „პრავდა გრუზიი“, ესე იგი, საქართველოს სიმაღლო, იქვსი წარტის ნომერი, — აუხსნა ლევანამ, — აქ არის დაბეჭდილი ლენინის წერილი. წაგიკითხო?

— შენ საიდან იცი რუსული? — ვერაფერი რომ ვერ გააწყო, შეუტია შამშემ.

ლევანას ჩაეცინა და გაზეთი აიღო.

— წაიკითხე რასა სწერს, — წამოიწია შამშე.

ლევანამ მაშინვე გაშალა გაზეთი, მარცვალ-მარცვალ ძლივს ჩაუკაცლა და ძლივსვე სიტყვა-სიტყვით უთარგმნა რეცკომის თავმჯდომარეს:

„უღდა შევიგნოთ, რომ არა თუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავუშვოთ მათი მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა.“

არავის ხმის ამოღება არ აცალა, დამარცხებულმა შამშემ კარს შეხედა, სადაც ბერბიჭა იდგა და ოთახში მყოფთ ზედ არ შეხედა, ისე უთხრა:

— წადით, თავისუფლები ხართ!

— მახარა ტყეში წასულა, — ძლივს ამოღერა ბერბიჭამ.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია! — ჩაიღრინა შამშემ.

— მაშ ასე, ჩემო შამშე, — ნიშნის მოგებით თქვა ლევანამ, გაზეთი გულდავსულ დაკეცა! უბეში ჩაიღო და კარისკენ წავიდა.

ნაშუალამეს დამშრალ ხევში ჩაპოქეითებულმა ცხენოსანმა ჩაიარა. ჩუმად მიდიოდნენ ცხენიც და კაციც. ზევის რიყეზე ნალის წკრიალი არ ისმოდა.

უმთვარო ღამე იყო.

მხედარმა ცხენი ნერგიან ნაპირზე მიიყვანა, სადავე ერთ ნერგზე შემოახვია და თვითონ ხევიდან ქურდულად აძვრა სოფელში.

სოფელს ღრმა ძილით ეძინა. უკან დიდი ხნის გამქრალი იყო ზაფხულის დამის ჰანგები, ჭრიჭინებისა და ვასაკების მოძახილი.

კაცის ლანდი ორღობეში შევიდა. გზას ღობე-ღობე გაჰყვა. ასე ქურდულად მიადგა ბერბიჭას ქოხის კარს და ფრთხილად დააკაკუნა, მაგრამ მერე ალბათ გაახსენდა, ქოსას ყურთასმენა რომ აკლდა, მხოლოდ ერთხელ მძლავრად მიჰკრა ფეხი კარს.

— რომელი ხარ? — წამოიყნავლა ბერბიჭამ.

ღამეულმა სტუმარმა სიჩუმეში კარს იქითაც კარვად გაიგონა ლოგინიდან გადმოსული ბერბიჭა როგორ წაოფარფატდა კარისკენ. კიდეც ერთხელ იკითხა, რომელი ხარო. სტუმარი დაი-

თანავიზო გოგოლაძე
აკაცი აკიოთა

ხარა, კარის ქუჭრუტანას პირი მიადო
და შესძახა:

— მე ვარ.

კარს დიდხანს აღებდა ბერბიჭა. ასე
არასოდეს არ გასჭირვებია ორივე ურ-
დულის გაწევა.

— მოკვდი? — შეუღრინა სტუმარ-
მა, როცა ბერბიჭამ კარი გააღო და
ბნელ ქოხში შეძვრა.

— სოსიკო ხარ? — ხმა აუცანკალ-
და ბერბიჭას.

— მე ვარ. შენთან ბევრი ლაპარაკის
თავი არ მაქვს. აჰა ეს წერილი. ყველა-
ფერს გწერს ესტატე. გამოძირავი.

სონდულაშვილმა ბერბიჭას ხელი
ვერ მოძებნა სიბნელეში. ხელის ფა-
თურში ბერბიჭას მკერდს შეეხო. ბე-
რანგისამარა, გამხდარ, გაძვალტყავე-
ბულ მკერდს.

ქოხა ხმას არ იღებდა. გაურკვევლად
რალაც ამოიღულღულა და როგორც
ჩვარი უცებ ისე დავარდა ღამეული
სტუმრის ფერხით.

— რა მოგივიდა, შე ჩემი ცოდვით
სახეს. — დასწვდა სოსიკო, მხრებში
მთელი ძალით ჩააფრინდა, მაგრამ ის
პატარა კაცი, აწ ლოღად ქცეული, ვე-
ლარ დასძრა. ხელი გველნაკბენივით
შეუშვა და უკან დაიხია.

— ბერბიჭ! — რატომღაც შეშინე-
ბულმა დაუძახა. თავისმა ხმამ უფრო
მეტად შეაკრთო.

ბერბიჭა აღარ ინძრეოდა.

სონდულაშვილმა ქოხის კარი ღია და-
ტოვა და გაიძურწა. დაფეთებული მი-
იჩქაროდა ხევისკენ, სადაც ცხენი ჰყავ-
და დატოვებული.

●
ნერგებს ზევით, გორაკს გადაღმა,
ახალციხისკენ მიმავალი საურმე გზა
გადიოდა.

სწორედ იმ დროს, როცა სონდულა-
შვილი ბერბიჭას ქოხს მიადგა, ახალ-
ციხიდან ახალქალაქში ბრუნდებოდა
სოლიკო. მოკეთესთან სტუმრად ყო-
ფილყო. ცხენს მოაჭენებდა და შე-
ზარხოშებული მოდიდინებდა. სოლიკო
სოფლის მილიციაში იყო და იარაღს

ნიდავგ თან ატარებდა. შუალედურ
აშინებდა, ცალად სიარული გულს არა-
სოდეს უკრთობდა.

ნერგების გადასწვრივ რომ ჩააქრო-
ლა ცხენი, საიდანაც ხეივანი შემო-
ესმა. მოძმემ მოძმეს მიაწვდინა ხმა
თავისებურად და ვილაცის სამალავი
გასცა.

სოლიკომ ცხენი შეაყენა და მიაცუ-
რავა. ხეივანი განმეორებით მოესმა
ხევიდან. ამ შუალამისას ხევში ცხენს
რა უნდაო, გაუბრინა გონებაში სოლი-
კოს, ჩამოქვეითდა. ამ არემარეში გზა
და ბილიკი არ შეეშლებოდა. ნერგებ-
თან გამობმულ ცხენს პირდაპირ მიად-
გა.

— ვისი ხარ, აქ ვის მიუტოვებხარ
ასე უპატრონოდ? — ჰკითხა ცხენს,
მაგრამ უმალ გულმა უგრძნო, რომ
დიდი ხანი არავენი მიატოვებდა ასეთ
ცხენს. პატრონი უთუოდ გამოჩნდებო-
და. წმინდა წყლის კაცი ცხენს ხევში
როგორ დამალავდაო, — ესეც იაზრა.

ცხენი ხევში აატარა, ზემოთ ნერგებ-
ში მიმალა, თვითონ უცნობის ცხენთან
ჩამოინაცვლა და იქ ჩასაფრდა, მაგრამ
ცხენი არ ისვენებდა, სადავეს ეწეოდა
და ფრუტუნებდა. იქით მეორე ცხენმა
რამდენჯერმე დაიხეხინა. ჩაეყვანა
და გვერდივერდ დაეხა, უარესი იქნე-
ბოდა. უცხო ცხენებმა არ იციან შე-
გუება, ერთმანეთს ეხმაურებოდნენ, მაგ-
რამ ეს ურთიერთ სიყვარულით როდი
მოსდიოდათ.

სანამ სოლიკო მოისაზრებდა, რა უნ-
და გაეკეთებინა, გორაკის თხემზე ლან-
დი შენიშნა. ლანდი ხევისკენ მოიჩქა-
როდა, მაგრამ, როგორც კი ორივე
ცხენი ახეივანი, ლანდი წამით შე-
ჩერდა და სხვა მხრივ გაიქცა. სოლი-
კომ ცის ოდნავ განათებულ ფონზე
ერთხელ კიდევ დალანდა იგი და საფა-
რიც უმაღლე მიატოვა.

სოლიკო ნასვამი იყო. ღვინოს უფრო
მეტად შეეთამამებინა, თვალი ორბი-
ვით უჭრიდა და მუხლის მგლისა ჰქონ-
და. უმალ კბოდეზე მოექცა, ბუჩქები
ლაწალუწით გადაქელა და უცნობი

კაცის ლანდს იარაღმომარჯვებული გა-
მოედევნა. ბექობი რომ ჩაირბინა, ახ-
ალციხის გზაზე გავიდა. წამით შედგა
და მიმოიხედა. ცამ აიტაცა თუ მიწამ
უყო პირი — უცნობის ლანდი გაჰქრა.

მარჯვნივ ფერდობი იყო ატეხილ ჭა-
ლაში ჩაფენილი. თუკი აქეთ დაეშვა,
მამინ ეშმაკიც ვერ მიაგნებს კაცის
კვალს. მიატოვოს და გაბრუნდეს, ხე-
ში ჩავიდეს, მისი ცხენი ახსნას და შინ
წაიყვანოს? მერე სოფელში რას ეტყ-
ვიან, მტერს ვერაფერი დააკელ ცხენის
გარდაო! იქნებ არც კი დაიჯერონ,
რომ ცხენი მტრისაა? მტრისა კია? ეს
ოჯახქორი, ასე უკვალოდ სად გაჰქრა?
ან რას იპოვნი ამ ღამეში! იმის გაგე-
ბის სურვილიც სტანჯავდა, ვინ იყო
ამ შუალამისას სოფელს ნადირივით
რომ უვლიდა და მშვიდად მძინარე
კაცს სულთამხუთავივით დასტრიალებ-
და სიკვდილის აჩრდილად მოგზავნი-
ლი.

წინდაუხედავმა და აჩქარებულმა კა-
ცმა გასცა საფარი. ტყვიამ ზედ ყურ-
თან გაუზუზუნა სოლიკოს. თვალი შე-
ასწრო იმ ადგილს, საიდანაც გამოინ-
თო. ეს მოხდა უცებ, მაგრამ ეს წამიე-
რი გაელვებაც საქმარისი გამოდგა სა-
ფარის აღმოსაჩენად. სწრაფადვე ეს-
როლა გზისპირა კუნელის ბუჩქებს და
ტყვიას ტყვიასავით ზედ მიჰყვა. თავ-
დაუზოგავად შევარდა ბუჩქებში და
ვილაცის ქვასავით მკერდს შეეხალა.
შეეხალა და სულ ახლოს მოჰპერა მა-
მაკაცის ცხელმა ამოქშინევამ.

მერე ორივემ არ დასთმეს ერთმანე-
თი. მისწვდნენ გასაგულად, მოსაბრ-
ჩობად, საწამებლად, მოსაკლავად. და-
ეცნენ, შედუღაბდნენ, გამხმარი კუნე-
ლის ბუჩქებს და ერთმანეთს ლეწავდ-
ნენ, თავს მიწას ახლიდნენ, ხვნეშოდ-
ნენ, იგინებოდნენ, ერთმანეთს მხეცე-
ბივით კბენდნენ.

ხევში ცხენები ჭიხვინებდნენ.

ბარნა ყოველთვის მზეს ასწრებდა.
ჯერ თავის დაზვას დასტრიალებდა, მე-
რე რევკომის კანტორაში სოფლის საქ-
მეებზე მიდიოდა.

იმ დილას უფრო ადრე გაედვიძა.
ხევისპირა ღია ფანჯრიდან ცხენის ჭიხ-
ვინი შემოესმა. წამოდგა, ფანჯრიდან
ხევეს გახედა და რიერაყის იისფერ
ბურუსში უმხედრო ცხენი დალანდა.
ცხენი ჭიხვინებდა და ხევის რიყეზე
წრიალებდა. ცულად ენიშნა ბარნას
უპატრონო ცხენის უთავბოლო ტრია-
ლი. სწრაფად ჩაიცვა და ხევში ჩავიდა.
ცხენი დაფრთხა და აღმა გაიქცა. ბარნა
უიარაღოდ იყო. შინ სწრაფად შებ-
რუნდა, იარაღს დაავლო ხელი. სწო-
რედ ამ დროს გაედვიძა დაროს.

— რა იყო, რა მოხდა?

— არაფერი, ხევში უპატრონო ცხე-
ნი დაძვრის.

— ნუ წახვალ, ხიფათს არ გადაეყა-
რო!

— ხიფათისა რა ეტყობა!.. — დაუ-
ფიქრებლად მიუგო ბარნამ და ცო-
ლისთვის ყური აღარ უგდია, ხევში
ჩაირბინა. ცხენი აღარ ჩანდა. ბოგველი
ხევ-ხევ გაიქცა. როცა ჭალას მიუახ-
ლოვდა, ის ცხენი დაინახა. ცხენი ისევ
დაფრთხა. ახლა თავქვე დაეშვა, მაგრამ
ბარნას ვერ გაექცა. დადმა დაშვებულს
წინ გადაუხტა და მოხერხებულად სტა-
ცა ხელი სადავეში. ვისი იყო, ვერ შე-
იცნო. სამაგიეროდ, როცა ხევში ნერ-
გებთან გამობმულ მეორე ცხენს მიაგ-
ნო, გაუკვირდა. აქ რა უნდოდა სოლი-
კოს შეტლავარსკვლავას?!

თენდებოდა. ორივე ცხენი თავის ეზო-
ში დააბა და რევკომის კანტორისაკენ
დაეშვა. გზადაგზა რევკომის წვერებს
შეეხმინა. კანტორაში არ ასულან,
ფორზევე შეიკრიბნენ. შამშეს არ შეეხ-
მიანენ.

ბარნამ ორი კაცი სოლიკოს სახლში
გაგზავნა ამბის გასაგებად. სოლიკოს
მოხუცი დედა ისევ ძილბურუსში იყო,
ხმის თრთოლვით უთხრა მოსულთ:

— მოკეთესთან წავიდა გუშინ. წუხ-
ელვე უნდა დაბრუნებულყო, ალბათ
არ გამოუშვებს.

არა უთხრეს რა. რევკომელები გაბ-

თენგივ ზოგოლაძე
კაცი კაციტა

რუნდნენ. დედაბერს დასცეცხლა და აედევნა სოფლის თავკაცებს.

— რა მოხდა? რაღა კითხულობთ ჩემ სოლიკოს?

— რა უნდა მომხდარიყო! დროს გასატარებლად წასულა კაცი.

ძლივს დაამშვიდეს, შინ შეაბრუნეს.

— რახან მოკეთესთან წასულა, დათვრებოდა და იქნებ სადმე გადაიჩეხა, ის უბედულო! — თქვა ერთმა, როცა კანტორაში ჩამოვიდნენ.

— ცხენი დაბმული იყო ნერგებთან, — მაშინვე გააქარწყლა ეჭვი ბოგველმა, — დედაბერს ჰკითხეთ, იარაღი თანა ჰქონდა თუ არა სოლიკოს?

— არა, ეგ არ გვიკითხავს.

— იარაღს არ იშორებდა. ახლაც თან ექნებოდა.

— რა უნდა მოსვლოდა? ხევთან ვეძებოთ.

— იქნებ შორს გაიტაცეს.

— უნდა მოვძებნოთ, რამე კვალს წააწყდებით, — თქვა ბარნამ და წყაროსკენ გასწია. ცივი წყალი სახეზე შეისხა, თავ-კისერზეც მიისვ-მოისვა, იარაღი შეისწორა და გზას დაადგა. რევკომელები აედევნენ.

ხევ-ხევ სძებნეს, ჭალაში შევიდნენ, ბალ-ვენახების ბილიკები დაიარეს. ახალციხის გზაზე ავიდნენ და მძლავრ ბორცვების უნაგირში, კუნელის ბუჩქებთან ორ გვამს წააწყდნენ.

ერთმანეთი დაეხიზათ სონღულაშვილსა და სოლიკოს. როცა გვამების დაშორება მოინდომეს, სოლიკოს ხელები ძლივს მოაცილეს სონღულაშვილის გაწურულ კისერს.

სოლიკო გულადმა დააწვინეს და გულში ჩატრიალებული დანა ამოადრეს.

ბარნას გულის ფეთქვა ყელში ებჯინებოდა, ფერმკრთალი დაჰყურებდა გვამებს და ვერაფერს მიხვედრილიყო, აქ, ამ კუნელის ბუჩქებთან რამ შეარჩინა ისინი ერთმანეთს.

სონღულაშვილს იქვე, კუნელის ბუჩქებთან გაუთხარეს სამარე. სამღურავი არ უთქვამთ, უკუბოოდ, უცრემლოდ და ჰაიპარად დამარხეს.

სოლიკო მისსავე ურემზე დასვენეს და სოფელში ჩაიტანეს.

ბერბიჭას ქოხის კარი ღია იყო. დილიდანვე სოფლის მაწანწალა ძაღლებმა მოიყარეს თავი ქოხის ღია კართან. გზადგავილიმა გლეხკაცმა დაინახა, ძაღლები გარეკა და იქვე კართან, მოხუცის გვამს დახედა. მეზობლები გააღვიძა და მალე ბერბიჭას ქოხი ხალხით აივსო.

მიმდნარიყო ძსედაც მიღებული მოხუცი. ვეღარ იცნობოდა. ტახტზე დაასვენეს, გასქიმეს და მოხრილ მუხლებზე დიდი ლოდი დაადეს. ქალები იცრემლებოდნენ. აგონდებოდათ მისი უკანასკნელი დაბეჩავებული ცხოვრება და გული უჩუქუდებოდათ სიბრალულით. მისი ბევრი სიკეთეც აგონდებოდათ. დამტირებელი არავინ ჰყავდა მეზობლების გარდა. ორიოდ კურცხალი მათ აწვიმეს დაღარულ შუბლზე. ვიღაცამ მოთქმითაც ჩასძახა რაღაც. ეს იყო და ეს.

ბარნას როგორც კი უთხრეს, ბერბიჭა მომკვდარაო, ურემი და მოკლული ბოლიკო სოფლის ფორთან მიატოვა და ახლა აქეთ გამოსწია.

— ეს რა შავი დღე გათენდა! — თქვა ქოხის კართან. ხალხი გზიდან ჩამოეცალა. აქ შეკრებილებმა კი არ იცოდნენ რა გლოვის ზარი იდგა სოლიკოს სახლში. გაღმა უბნის გლოვის ზარი გამოღმისას არ ერთვოდა. ახალი ამბის მომტანი ბარნა იყო.

ქოსას დახედა, ერთი სინანულით გააქნია თავი, ხალხს მიუბრუნდა და უთხრა:

— სოლიკო მოგვიკლა სონღულაშვილმა. ისიც მკვდარი ვნახეთ ახალციხის გზაზე.

— სოლიკო? — აჩოჩქოლდნენ გლეხები.

— ვაი მისი დედის ბრალი! — დაიწუწუნეს ქალებმა და ახლა სოლიკოს სულს გაუბრწყინეს ცრემლი.

ბარნამ რამდენიმე გლეხკაცს დავალება მისცა ბერბიჭას გასაპატიოსნებლად. თვითონ მიცვალებულს ზომა აუღო კუ-

ბოსთვის და მაშინ კი გადაწყვიტა შამ-
შესთან შეეველო.

ბარნას ახალი ამბავი არაფერი მოუ-
ტანია რევკომის თავმჯდომარესთვის.
ანიკოს უკვე ყველაფერი ეთქვა.

შამშე მარტო იჯდა შინ. ღუმდა. ღია
ფანჯრიდან ვაშლის გაყვითლებულ ფო-
თლებს შეჰყურებდა. ფოთლები სათი-
თაოდ ცვივოდა. ცვივოდა მძიმედ, ისე-
ვე, როგორც კაცნი ცვივიან სიცოცხ-
ლის დიდი ხიდან. მაგრამ ამ ხეს ხომ
ხშირად მწვანე, ჯანსაღი ფოთლებიც
სწყდება!

— მკვდრებს უპატრონე. აბა, მე რა
ვქნა! — ამოიოხრა შამშემ, — ორი
დღეა მაზრაში გასაგზავნად განცხადებასა
ვწერ.

თვალი არ მოაშორა ღია ფანჯარას.
ბარნას არაფერი უკითხავს, ის განცხა-
დება რაზე დაწერო. უამისოდაც უკვე
გადამდგარი იყო სოფლის თავკაცი.

რევკომის უღელი კიდეც უფრო და-
უმძიმდა ბარნას. შამშე ფარ-ხმალს
ყრიდა და ღურგალი უკვე ობლად
გრძნობდა თავს. ასე თუ ისე, შამშე
ფხიანი კაცი მაინც იყო, ქოთქოთებდა
და მუშაობასაც ხალისი ჰქონდა. ბარ-
ნას არ ეგონა თუ იგი ასე ადვილად
დასთმობდა ყველაფერს და შინ დაი-
ბუდებდა. როგორ მოისვენებს მისი
ბუნების კაცი! ეს ღრთებითი უკანდა-
ხევია ალბათ და სხვა მეტი არაფერი.

ორი დღეა განცხადებასა ვწერო.
უმძიმს ალბათ. დასწერს და კიდეც იფ-
იქრებს. რაც არ უნდა იფიქროს და,
საქმე როგორც არ უნდა წავიდეს,
შამშე კარგა ხანს სოფელში გამომსე-
ლელი არ არის.

ახლა ბარნას უბრველესი საზრუნა-
ვია, ორი კუბოს შეკვრა.

შინ რომ მივიდა, ძველი ფიცრები
მონახა, სათითაოდ გააშალაშინა. და-
რო შინ შეიკეტა და სანამ ბარნას
სახლ-კარიდან ორი ცარიელი კუბო
ურმით არ წაიღეს, შინიდან არ გამო-
სულა.

როცა ბარნა კუბოს კრავდა ხოლმე,
დარო ყოველთვის იძალებოდა. როცა
ღურგალი აკვანს აკეთებდა, დარო

ქმარს არ შორდებოდა, აკვნის თვითე-
ულ ნაწილს უაღერსებდა და ილოცუ-
ბოდა:

— ათიათასი ვაჟკაცი, ათიათასი ქა-
ლი!

აკვანს ხელნაზე აკოცებდა, ერთს
სასინჯად გადაარწევდა და იავნანასაც
წაიმღერებდა. მაგრამ ცარიელი აკვნის
რწევაც არ შეიძლებოდა, ეს როგორ
არ იცოდა ქალმა! ამიტომ სიმღერასაც
უმაღლეს ყველაზე და აკვანასაც გააჩე-
რებდა.

ბარნამ ჯერ ბერბიჭას შეუტრა სასახ-
ლე. პატარა გამოვიდა. ნუთუ ასეთი
ჩია და დაღუულიაო, ეჭვი შეეპარა
ოსტატს, მაგრამ ზომამში არ მოტყუე-
ბულა. მეორე სასახლე უფრო დიდი
შეჰტრა.

ორივე კუბო ახალქალაქში ჩაარახ-
რახეს.

უკვე მობინდდა. არაქათმიცილილი
ბარნა ტახტზე მიწვა და მაშინვე ძილმა
წაართვა თავი...

— კაცო, ამ ძაღლს სახელი გადაარქ-
ვი! გული მტკივა შენი სახელი რომ
ჰქვია. გაგონილა, კაცსა და ძაღლს ერ-
თი სახელი ერქვას?! — უთხრა ერთ-
ხელ ცოლმა ბერდოს.

— გადამიჩქმევია! — მაშინვე დაე-
თანხმა ბერდო და ცოლი მეკრდზე მი-
იკრა, — მერედა, ახალ სახელს დაიმახ-
სოვრებს?

— მაინც, რამ შეგარქმევინა?

— გაძაღლებულმა ბედმა, იმ ბედმა,
შენ რომ გამიჩქრე. მითხარ, რა დავარქ-
ვათ. თუ მაგას ეგ სახელი დაეუტოვოთ
და მე გამოვიცვალო?

ბერდო მხიარულ გუნებაზე იყო. ის
ყოველთვის უზომო სიმშვიდეს გრძნო-
ბდა, როცა პელო გვერდით ჰყავდა.

პელომ ალერსი დაუხვავა, ტბილი
სიტყვა დაუხვავა, სითბო დაუხვავა და
ქმრის გული გააბედნიერა. ღარიბები
იყვნენ, მაგრამ მომავლის იმედებით
სულდგმულობდნენ. როცა მათი შე-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცი



უღლებს ორი თვის თავზე პელომ თავისი ფეხმძიმობა საიდუმლოსავით გაანდო ბერდოს, კაცი სიხარულით აბობოქრდა და ბაღლივით დაიწყო სიმღერა, მერე პელო დაჰკოცნა და ქალის ის ერთი მაღამო-სიტყვა კიდევ უთხრა, „ქალო სანატრელო“.

— ჩემმა სიბრაულმა თუ სიყვარულმა ჩამოგადგო ციდან? — ჰკითხა ერთხელ.

— სიყვარულმა! შესაბრალოსი რა გაქვს, მთასავით ვაჟკაცი მეცხარ! — იყო ქალის პასუხი. მაგრამ სიყვარულთან ერთად სიბრაულლიც რომ ჰქონდა, ეს კი არ გაუმზილა, ან რა საჭირო იყო? პელოს ფიცილ-მტკიცება არ უნდოდა თავისი სიყვარულის გამო. ამას ყოველ წუთს გრძნობდა ბერდო.

იმ ხნიდან, რაც პელო წისქვილში დიასახლისობდა, ფეფელოს კერძის მოტანა აღარ დასჭირებია. ხოლო ვაჟს კვლავ უხდებოდა გაზეთისა თუ რაიმე ბარათის კითხვა. პელომ წერა-კითხვა არ იცოდა. ერთხელ კი, როცა ვაჟამ წიგნში ჩაახედა და სწავლება დაუპირო, ქალს გაეცინა, რა საოცარი რამ არის ეს ადამიანის მონაგარიო, ეს ამდენი ნამგლები და ნალები როგორ იკითხებო. პირველ ხანებში ვანასავით გული ვერ დაუდო, მაგრამ, როცა ბერდომ სთხოვა, წიგნის სწავლა შენთვის აუცილებელიო, ვაჟს და ფეფეს მორჩილად მიეზარა მოწაფედ. ნამგალი და ნალი შეაერთა, „აი“ წაიკითხა, ნალითა და ნამგლით, ყველაზე ნაზი და პატარა ყვავილი გამოვიდა. აქედან აუღერდა ანი და ბანი.

წისქვილში საფეკავზე მოსულთ სულ სხვანაირი ეჩვენებოდათ პელო. წინათ უსახური, ახლა სახიერი ჩანდა, დაბეჩავებულს სიამაყე მოჰკიდებოდა, უბედურის აღარ ჰგავდა, ნერგს ფესვი გამოეღო და ხარობდა.

პელო მომავალზე ფიქრობდა. ცის გახსნას ელოდა. ცა კი მაშინ გაეხსნებოდა, როცა შვილი ეყოლებოდა. დედობისათვის შემზადებული ქალი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. წისქვი-

ლი ოჯახად აქცია. თავიდანვე დაუბრუნებელი იყო და ახლა უფრო მეტი საქმე და საზრუნავი გაუჩნდა. არც ძმას ივიწყებდა. ჭიჭია-ვანა, როგორც იქნა, შეეგუა ქოხში მარტოდმარტო გამოძინებას. სექტემბრის დამლევს წისქვილის კართან უკვე ველარ გაათევდა ღამეს. დილის ცვარი და სიცივე გარეთ აღარავის აჩერებდა. ვანა საღილ-ვახშამს წისქვილში მიირთმევდა, ღამით აღმართს დიღინით შეუყვებოდა და თავის ლოგინში შეძვრებოდა. დილით კი ყველას ასწრებდა და ისევ ღორხბო, ისევ ფავნისის გორაკის ფერდობები.

არც ნაღვლობდა ასეთი ცხოვრების გამო. ვანას ცხოვრებაში მხოლოდ ის უნდოდა, რაც ჰქონდა. მიზანი მისთვის არ არსებობდა. ის კი არ ქმნიდა თავის ცხოვრებას, თვითონ ცხოვრება გამზდარიყო მისი ამბურთავებელი.

სხვებს კი, ათასებს და ათი ათასებს თავისი მიზანი ჰქონდათ ცხოვრებაში და იმედი მათთვის გული და სული იყო.

მარტოხელა გლეხს მიწასთან ჭიდილი უჭირდა. მაგრამ გლეხკაცობამ ოდითგანვე იცოდა კოლექტიური შრომის ფასი. მამითადებით გადიოდა იოლას. ურთიერთდამარებას, ურთიერთგატანას, ვინ იცის, წარსულში სად ჰქონდა ფესვები გადგმული.

ნადი შველა იყო გლეხისა.

მაგრამ აბა გეტქვით მიწების გაერთიანება და მისი საზიაროდ დამუშავება! ნადის ფასიც იცოდა და ამავე ღირსს შენი და ჩემი არ მოიშალა. ერთი გოჯი მიწისთვის ძმა ძმაზე გაიწევა და და შვილი მამას არ დაინდობდა. მიწის სიყვარულის ძალა ძალზე დიდი იყო. საუკუნებრივი გაჭირვების სუსხი, შიმშილის შიში, შიში სიღატაკისა იმ თაობაშიც გადმოსულიყო, ახალი ცხოვრების მიჯნაზე რომ იდგა. ამ შიშის გამო იყო ხარბად რომ ჩაეჭიდა მიწას, შემოფარგლა, შემოღობა, ზედ დაჰკანკალებდა და აწ უკვე ცოცხალი თავით აღარავის დაუთმობდა.

აბა რა სჯობია მამითადს! რამდენიმე გუთანს ერთად გააბამდნენ, მიწის გულს გახსნიდნენ, შავად გადმოაბრუნებდნენ, რომ მერე სიცოცხლედ გაელიმლა.

ბერდოსა და პელოს სახნავ-სათესი მიწა ახალციხის გზის პირას ჰქონდათ.

პელოსაგან გულგამხნევებული ბერდო ათას საქმეს ეჭიდებოდა. შეეძლო თუ არ შეეძლო, ცდილობდა გაეკეთებინა. ბევრი რამ გამოსდიოდა თვალხილულივით, ბევრ რამეზე კი ხელი მოუცდებოდა. მაგრამ საქმე მაინც ცხოვრების ჭაპანი იყო და უნდა გაეწია, ვიდრე ძალა და გული ერჩოდა.

ერთ დღეს ბერდომ უთხრა ცოლს:

— კურკანთ ელიზბარას სთხოვე გუთანი. ჩვენც უნდა ვიჩქაროთ, პელო.

— მართო გუთანი? გუთნისდელად კი არ უნდა გამოგყვეს? როგორ მოვუჩივდე?

— გუთნისდელადო?! მიხვნია, მითესია, ესლა ვერ შევძლებ?

— რას ამბობ! — გაუკვირდა პელოს, — როგორ შეძლებ!

— შევძლებ! შეუძლებელს შევძლებ, პელო! თვალი შენ იქნები, ღონე კი მე. რას არ შევძლებთ, რას ამბობ! — ჩაეცინა ბერდოს და ამ სიცილში იმდენი ნალველი იყო, პელოს გული მოეწვა და თვალში ცრემლი გამოუჩნდა.

როცა ზაქარაშვილის მამითადმა ორი გუთანი ახალციხის გზისპირა ნაკვეთზე გაიტანა, პელო და ბერდოც იქ იყვნენ.

სანამ ხვნას დაიწყებდნენ, ბერდომ სცადა გუთნისდებობა. ელიზბარას გუთნის სახელურებს დასწვდა, ღონივრად ჩაბღუჯა და თავი ისე ასწია, თითქმის მოსახველი მინდორი თვალთ გაზომა.

— გავიჭირდება, ბერდო! — უთხრა ელიზბარამ.

— ერთ კვალს მაინც გავიტან. — გაჭოუტდა ბერდო. გუთნისდებობა არავის დაანება. მაგრამ როცა ხარებმა გაიწიეს, მაშინლა მიხვდა, სიჭოუტით ფოსს ვერ გავიდოდა. მიხვდა, მაგრამ მაინც არ დაყარა ფარ-ხმალი, ისტიბა-

რი არ გაიტება. როცა პირველი ამობრუნებული ბელტები ფერხით დაეყარა, როცა მიწის ნესტი და სიმსუყე იგრძნო, უფრო ძლიერ მოუნდა გუთნისდებობა.

— ნელო ატარე, ბიჭო, ხარები! — გასძახა ელიზბარამ მეწინავე უღელზე წამომდარ ბიჭს.

პელო უყურებდა ქმარს. უსინათლოს ბაროზაზე კარგად მიპყვებოდა პირველ კვალს. ბერდო გუთნის სახელურებს აწევებოდა და მიწაში გუთნისპირი თითქმის აღარც კი ჩანდა. მიწის ანაჭერი ლაბლაბა ფოლაღზე ბრუნავდა. ბელტებში სიარული უჭირდა ბერდოს, ხანდახან მიწის ჩამონაჭერზე უცურდებოდა ქალამნიანი ფეხი.

გუთნისპირი რაღაცას მოედო. უცებ ჩარჩენილ ლოდზე გაიწყრილა და ისეთი ძალით ამოვარდა მიწიდან, ბერდომ გუთანი ვეღარ შეიმაგრა კვალში, ვერც თავი შეიკავა და მოუხენელ მიწაზე ავარდნილ გუთანთან წაიშხლა.

ხარები არ შეჩერებულან, გუთნისდელა ორიოდ ნაბიჯზე გაითრიეს. მაშინ კი ხელი უშვა ბერდომ. გუთანი მოუხენელზე არიქდა და მალე დადუმდა. ელიზბარას დაძახილზე ბიჭმა გუთნეული გააჩერა.

ბერდო მიწაზე წამოჯდა. პელო მისკენ გაიქცა, გვერდით მოუჯდა და მიეფერა. ქალს გული შეჰქანებოდა. სიტყვა ვერ შეჰბედა, იმიტომ, რომ თავად ბერდო არაფერს ამბობდა. ცოლს არასოდეს არ უწყურებოდა, მაგრამ პელომ კარგად იცოდა მისი ზასიათი: ბერდო როცა უტყვად განიცდიდა რამეს, მაშინ არაფერი არ უნდა გეკითხა. როცა მისი გულის დუდილი დაცხრებოდა, მაშინ შეიძლებოდა ხმის გაცემა, მაშინ იგი ზუმრობასაც გამოუტყვებდა და ალერსსაც ჩააქსოვდა თავის ნათქვამში.

— ზო გითხარი... — რაღაცას კიდევ ბურტყუნებდა ელიზბარა. გუთანი კვალში ჩააგდო და ბიჭს დაუძახა, გაუჩაგრდი ქარავანსაო.

თინათინი გოგოლაძე
კაცი კაცი

ბერდომ ვერ დაინახა, მაგრამ იგრძნო, როგორ გასწიეს ხარეზმა მისი დამარცხებული გუთანი. მიწას კიდევ მოემატა ოხშივარი და დამათრობელი სუნი.

ბერდომ ხეღისგულეები ერთმანეთზე გაუსვა, მერე პელოს შუბლზე აყოცა და კვლავ არა უთხრა რა.

— რაზე ხომ არ იტყინე? — შეხედა პელომ, როცა ქმარს დაშოშმინება შეატყო.

— „ვამიმ დედილო“ ხომ არ დამიძახია! აბა, რა ვიტყინე, რა! — გაიცინა ბერდომ.

ამხელა ვაჟკაცი ბალღივით გახდებოდა, როცა ზუმრობდა. როცა იცინოდა, მისი სიცილი ისეთივე იყო, როგორც ელვადანახავი ქუხილი.

პელოს მამითადის სამხარი ჰქონდა ამოსატანი. ბერდო ცაცხვთან დასტოვა და თვითონ წისქვილისაკენ დაეშვა. ახარებდა ხენა-თესვის ქამი. ამაშიც იმედის ნაპერწკალს გრძნობდა.

გატკბა შემოდგომის თბილი მზის სხივი. მზე ველზე გადმოდგა და მიწის ამობრუნებულ გულიდან მსუბუქი ოხშივარი აუშვა. მრავალჯერ უგრძნია ბერდოს მიწის ასეთი ძლიერი სუნთქვა და ყოველთვის ემატებოდა ძალა და მხნეობა.

სადაც ბერდო ჩამოძვდარიყო, იქ ერთი ობოლი ცაცხვი იდგა. ის ცაცხვი ბალღობიდან ახსოვდა. ამ ცაცხვის მეოხებით აღიდგინა იქაური სურათი და როცა უთხრეს, შენი მიწა ამ ცაცხვიდან ჭალის ფშატებთან თავდებოა, ყველაფერი დაინახა. დაინახა და ამის გამო იყო გუთნისდედობაც რომ გაბედა. ახლა ცაცხვის ქვეშ იყო და უყურებდა როგორ გაებთ ჭრელი და წითური ხარები რამდენიმე უღელში.

რა მძიმედ, რა შეუღმნევლად სცილდებოდა გლეხურ სიმღერას სევდა და ნაღველი! აჰ, რა კარგი იქნებოდა ერთი მხიარული სიმღერის განავარდება ამ მინდორ-ველზე!

კაცნი ღლინებდნენ. გუთნები ღრიტინებდნენ.

რაც მეტი იხენებოდა, იქაურობა

უფრო მეტად იცხებოდა მიწის ამონასუნთქით.

— კარგი მიწა გერგო, მოსავალი იფეთქებს, რას იფეთქებს! — გამოსძახა ნაეროზამ ბერდოს.

ბერდო წამოდგა.

— კარგა ხანს შეუტყვინია ამ მიწას. იფეთქებს, მაშ!

— ბარაქა მოგცეს ღმერთმა!

— იცოცხლე და იღლეგრძელე! სიმღერა კი არ გივარგათ, გუთნისდედებო.

— დაიწყე და აგყვებიო!

ბერდოს თავისი ქორწილის მერე არც კი უმღერია. მაშინაც ჭიჭი-ვანას აჰყვა. მასთან ერთად წისქვილს ლამის ახადა ჭერი.

ახლა ვინ იმღერებს თუ არა ბერდო?! და დაიწყო. დაიწყო ყრუდ, თითქმის ცარიელ ქვევრს ჩაჰბუბუნებსო. მერე აუწია ხმას და საიდანაც ბაჭის წკრიალა ხმამ მოსტაცა სიმღერა. იქით მეორემ და მესამემ აამაღლა. აქეთ დარბაისელმა გლეხებმა ბერდოსთან ერთად ბანი მოსძახეს და მსმენელი აღარავინ იყო, თორემ უთუოდ მოეწონებოდა, ისეთი შეწყობილი და კარგი გამოვიდა ეს ალაღბედზე შეგდებული ჰანგი.

გადი გამოდი გუთნო,
ღირღიბე, ბანი უთხარო!

გუთნები გავიდ-გამოვიდნენ და როცა პელომ სამხარი ამოიტანა, მამითაღს თითქმის აღარა ჰქონდა რა გასაკეთებელი.

ბერდოს ეცინებოდა, ეს რა ღიდი მამულების პატრონი ვყოფილვარო.

პელომ კერძი ჩამოურიგა ცაცხვის ძირში პურის საჭმელად ჩაყცილ მუშა ხალხს. ამ ღლისთვის საგანგებოდ ნაყიდი ღვინო ხელადით დაუდგა ელიზბარას. ელიზბარამ ჯამები შეავსო და მანვე იყისრა თამადაობა.

— ბარაქა მოგცეთ, პელო და ბერდო! რამდენი წვეთი ღვინოც ამ ჯამში იყოს, იმდენი კოდი ხორბალი მოგცეთ ამ მამულმა! გეყოფათ, ღმერთმანი!

— იცოცხლე ელიზბარ! — ერთად უხდიან მადლობას ცოლი და ქმარი.

— სადღეგრძელოს გაუმარჯოს! ამდენივე ხორბალი, რაც ელიზბარამ თქვა, მეც დამიმატებია! ბარემ გამდიდრდით და ეგ არი! — უღვაწზე გადისვა ხელი ნაეროზამ და ჯამი მოიყუდა. წრუტუნით გამოსცალა.

— გაუმარჯოს ცის ნამს, დედამიწის მოსავალსა, ხარის ქედს, გუთნის ღვედს, მუშაკაცის მარჯვენას! — თქვა ბერდომ, მერე სათითაოდ ჩამოჰყვა, ვინც ახლა მის მიწაზე მუშაობდა, მარჯვენა შეუქო, საქონელი და ოჯახი დაულოცა და ჯამი გამოსცალა.

— აგაშენოთ ჯანითა, პურითა, ღვინითა!...

— სიხარულითა! — დაუმატა ჯეულმა კაცმა ჭარმაგის ნათქვამს.

მოზარდებმა არა სთქვეს რა, ჩუმად იყვნენ, ლოცვის მარგალიტები კი სულ მისხალ-მისხალ აკრიფეს.

სამზრობის შემდეგ კიდეც ერთი ორჯერ გაირ-გამოიარა გუთანმა და როცა გლეხები სოფლისაკენ დაიძრნენ გუთნიან-საქონლიანად, პელო მარტო დარჩა ბერდოსთან და გადაბელტებულ მამულს გახედა.

— გიხარია, განა! — ბერდომ მკერდზე მიიკრა ცოლი.

— მიხარია, ბერდო.

— ახლა მარცვალ მივაბაროთ და... მაინც, რა კარგ დროს მოგვიწევს ჯეულიც! სულ გამოვთვალე...

ცოლი უფრო მაგრად მიიკრა. პელო მოუხედა, რაც გამოეთვალა ბერდოს, მას უწინ გამოეანგარიშებინა, როცა ის ერთი, ყველაზე ბედნიერი დღე უწევდა.

ელოდნენ.

ბევრ რამეს ელოდნენ. ტკბილი იყო ოცნება ამ მოლოდინში, მღვრიე, მოხნული მიწის პირას დგომა და შემოდგომის თბილი მიწის ალერსი.

ოჯახს ათასი რამ სჭირდება.

ბერდომ და პელომ მიწა მოხნეს, დათესეს. გაივლის შემოდგომა, ზამთარი

და აი, მაშინ, გაზაფხულის დამდგმა მოვლენ ნახნავთან, პელო დახედავსა ჯეულით აბუსუსებულ ველს. ბერდო კი წარმოიდგენს, როგორი იქნება მოსავლის პირველი წვერი.

ახლაც არა ერთხელ ფიქრობს იმ წუთებზე. ფიქრობს იმაზედაც, მცელავები რომ შეუტევენ, ყანას გასჭრიან და კალოზე გასალეწად გაჰყვნიან. ძნაში ბზე დაიბუდებს და ისეთ სუნს მისცემს დალოცვილი ყანის განაჰერს, რამდენს მეტს დაფშვნი და ჩალეწავ, იმდენი მატულობს სურნელზე. კალოზე კაცი იბნელება.

გაგეუბით უყვარდა ბერდოს ბზისა და ახალი ხორბლის სუნი.

სულ მალე ექნება საკუთარი მონაგარი. ხორბალს რომ ხეიმირში გადაუშვებს და ახალი, ცხელი ფქვილის სურნელებით აივსება მისი ოჯახი, აი, მაშინ ბაღიცი ეყოლება და წისქვილის აზან-ზარებულ იატაკს აკვნის ზანზარიც შემატება, სარეკელას ხმას — აკვნის საჩხრიალებლის რეკვა.

ამის გაფიქრებაზე ბერდო სიამოვნებით იმყოფებოდა. გული კი უსინათლობის გამო სინანულით ეხრუკებოდა. ხელებით ხედავდა ახლოდანანახსა და კიდეც ამ ხელების იმედი ჰქონდა. თავის ბაღისაკ ალბათ ხელებითვე დაინახავდა, როცა გულში ჩაიკრავდა და პაწაწას სახეზე თავის ტორს ალერსით მოუსვენა.

პელოს დიდი ჯაფა ადგა. ერთგულების დიდი ფხა გამოიჩინა ქალმა. თვალის ჩინივით უვლიდა ბერდოს და არც ძმას აკლებდა მზრუნველობას.

ჩემს წისქვილს ყველაზე დიდი და კარგი თვალი შეემატო, ამბობდა ბერდო.

პელოს კაიქალობას კიდეც მეტი ქება მიემატა.

ოჯახს მოეკიდა თუ არა, იმთავითვე საბუღარი მოაწყო, სამ დედალს წიწილები დააჩეკინა, დაზარდა, დააფრთიანა. და ახლა, პირველად თავის სიცოცხ-

თანავიზო გოგოლაჰა

აკვირ კაცითა



ლეში წაყვანა და გაყიდვა დაუპირა ქათმებს.

მდიდარს ათასი რამ სჭირდება, — ლარიზ-ლატაკს კი ათი ათასი.

ნეტავ ამ ათი ათასიდან ორიოდ რამ ხეირიანი ღირსებოდათ პელოს და ბერდოს! ერთს კაბა, მეორეს კი ხალათ-შარვალი.

ქალმა თავად გასხივა თეძმის პირას ნერგები, საგოდრე და საკალათე წნელი წისქვილის კართან მოზიდა და თვითონვე დასწვნა ორიოდე დაბალი, საქათმე გალია.

— ქალაქში კი არ დამეკარგო და! — შიშობდა ბერდო. იქვე, წისქვილის კართან იჯდა, როცა პელო გალიას სწნავდა. ვაი, რომ ცოლის ნახელავს ვერ ხედავდა ვაჟკაცი კაცი! ერთ დროს თვითონაც დაუწნავს ლამაზი ქალები, გოდრები, ლსტები და გალიები.

პელო ქალაქში გამგზავრების სამზადისში იყო და უხაროდა.

— დავიკარგო რა, ნემსის ყუნწი ხომ არა ვარ! ვანამ ხო იცის ქალაქს გზაკვარი.

— იცის, მამ! — ელიმება ბერდოს, — ეგ კი არ ვიცოდი, გალიის დაწვნა თუ შეგეძლო. რა ხელმადლიანი ყოფილხარ, პელო!

— სანამ დავილხენდეთ, კიდევ ბევრ რამეს ვისწავლი. აი, ქალაქში ხომ პირველად მივიღვარ!

— ემაგ მძიმე რამის აწევა შენ არ გაბედო. მოგწყდება, პელო... და მერე... რაღა გვეშველება! შენ რომ რამე დაგე-მართოს, ჩემი სიცოცხლე რაღა!

— განა მაგდენი არ ვიცი? ვანა წამომყვება, უიმისოდ მე როგორ წავალ! მოვა თუ არა, უთხარ.

ვანა სიძის წინადადებას აღტაცებით შეხვდა. საღამო იყო, როცა სოფლიდან მოვიდა. არავის არაფერი არ ეშვია, მშვიდი იყო. ჯერ ასვეს-აჰამეს, მერე ქალაქში გამგზავრებაზე უთხრეს.

— თქვენ კი გენაცვალეთ! ქათმებიც გაყიდნით და გოლაც ვნახოთ, — წამოიძახა და ხელები გამშალა.

— აი შენ კი გადაგრია ღმერთმა! —

შეუწყრა და, — ამაღამ აქ დარჩი. დი-
ლას აღრიან უნდა წავიდეთ, ტვლი-
ანთ დათიყო მოვა ლინეიკით და წა-
ვიყვანს.

ვიღაცის გვიან მოტანილი საფეკავიც ჩამოთავდა. ჭრაქი ხრჩოლავდა. ვანა გაგზავნეს ღარის გაღასაკეტად. ღუმდა დოლაბი. აღარ ირწვოდა წისქვილი. ჩახრიალაში წყალმა იმატა.

გრილოდა. წისქვილში ჭრაქი ჩაქრა. ვანამ თავი საძილედ მისდო და გაიტრუნა. პელო ყველაზე გვიან დაწვა. გაცრეცილი საბნის ქვეშ ვაჟკაცის მხურვალე მკერდი დაუხვდა და ქალი უსურვაზივით ჩაეგრისხა.

● დივე ტბილ ძილში იყვნენ, როცა ტვლიბიანთ დათიკომ ლინეიკა ზედ წისქვილის კართან მიაცენა.

— ჰაი, ბერდო! ჰაი, პელო! — დაიძახა დათიკომ და სანუკვარი ზმანება ყველას გაუქრო.

პირველად ჭიჭია-ვანა წამოვარდა. ქალაქში წასვლის სიხარულმა ქრუანტელად დაუარა და გარედან დაძახებულს, თვითონაც მიამშველა:

— ჰაი, ბერდო! ჰაი, პელო!

— რა გაღრიალებთ, თქვე უღმერთო-ებო! — შეიშმუშნა ბერდო და ღრმა ძილში წასული პელო ფრთხილად გააღვიძა.

— გათენებულა, პელო!

პელომ ჯერ უაზროდ ჩაიბურტყუნა რაღაც, მაგრამ მერე გონს მოეგო და გაახსენდა, რომ ამ დილას ქალაქში უნდა წასულიყო.

ცოტა ხნის შემდეგ, საქათმეში კრიახი გაისმა. ვანას ქანდარებიდან გადმოჰყავდა ფრინველი და გალიაში სხამდა. გალიები დასტენა და ლინეიკაზე შეყარა.

პელომ, როგორც შეძლო, ჭრაქის შუქზე თავი ისე მოირთო. პირი დაიბანა და თმა გადაივარცხნა. ერთი ძველი სარკის ნატეხი ჰქონდა და შიგ იშვიათად, მაგრამ მაინც ჩაიხედავდა ხოლმე. ახლა კი, ქალაქში მიმავალი, ძველ გაცრეცილ სარკეში ჭრაქის შუქზე ძლივს ლანდავდა თავის თავს.

ვანა კი პირდაუბანელი და თმაგაჩე-
ჩილი ლინეიკაზე იჯდა და დას უხმობდა.

ბერდო ცოლს არიგებდა:

— მძიმე არა ასწიო რა! არ დამღუ-
პო! ჯერ შენთვის იყიდე კაბა! მერე თუ
რამ გაღაგრჩეს, მე და ვანას თითო
სახალათე გვიყიდე. ვანა არ დაგავიწყ-
დეს. ჯერ იმას და მერე მე. გაიგე, რა
გითხარი?

— გავიგე, ბერდო, როგორ არ გავი-
გე.

— ჰოდა, არ დამღუპო-მეთქი! მძიმე
არა ასწიო რა! მეტისმეტ ვაჭრობას ნუ
გადაჰყვები. ბაზარში რო შეხვალ, ჩარჩ-
ვაჭრები დაგებევებიან, ეცდებიან იაფად
წაგგლიჯონ. ჯერ მიიკითხ-მოიკითხეთ
სხვა როგორ აფასებს და თქვენც ისე
გაჰყიდეთ. საღამოს მატარებელზე არ
დაიგვიანოთ. მიდინახოთ და დარდითა
მტოვებოთ, ხომ იცით.

— ვიცი, ჩემო ბერდო, ვიცი.

— ჰოდა, კარგად დაიხსოვო, რაც
გითხარი. მშვიდობით მგზავრობა
გქონდეთ:

პელო ძმას გვერდით მიუჯდა.

— ვანა, ჰკუთით, ბიჭო... — მისი და-
რიგებაც წამოიწყო ბერდომ.

ვანამ გულიანად დაამთქნარა და ლი-
ნეიკაც დაიძრა. ბერდო წისკილის წინ
იღბა. ლინეიკა ორლობეში შევიდა თუ
არა, წისკილიც და კაციც სიბნელეში
შთანთქმა.

ცხენები თქარათქურით გარბოდნენ.
ქალს შესცივდა. ისედაც შემაგრყოლებ-
ლად გრილოდა განთიადის წინ. ძმას მი-
ეკრო. ვანაც ჟრჟოლას აეტანა. და და-
ძმა ერთმანეთს ჩაეკვრნენ.

მძინარე სოფლის შუაში ჩაიქროლეს.
მეეტლე არაფერს ამბობდა. და-ძმაც
უტყვად იყო. ეტლის ხმა სადმე ქვით-
კირის ღობეს, ანდა გზისკენ ზურგშექ-
ცევით მდგარ სახლის კედელს შეეხლე-
ბოდა და ხმა მკვეთრდებოდა.

ვილაძის ქოხში ოზლად ჰიატობდა
ქრაქი. ალბათ მზისათვის უნდა დაესწ-
რო იმ ქოხის ბინადარს.

კაცი ღამითაც არ ისვენებს, თავის

თავს მოსვენების წუთებს სტაცებს, რომ
საქმე წინ წაიგდოს.

აგერ, ვილაძას ამ დილაბნელზე საი-
დანღაც მოჰყავს მატარებელი, რომ პე-
ლო და ვანა აღრიანად ჩაიყვანოს ქა-
ლაქში, რომ მათ დღე არ გაუცდეთ,
საქმეს დროზე ეწიონ. პელო ფიქრმა
გაიტაცა. როგორ დახედება ქალაქი?
როგორ გაჰყიდის ქათმებს? რა ფერის
კაბას იყიდეს, ანდა ვანას და ბერდოს
რით გაახარებს? ჯერ ყველაფერი ბუნ-
დოვნად ესახებოდა. ბერდოს დარიგება
არ ავიწყდებოდა.

მგზავრობაში მოიქანცა. ვერის ბა-
ზარში უკვე საკმაოდ მოღლილი მივიდა.
ვანამ ძლივს მიათრია ორი გოდორი და
ბაზრას შესასვლელშივე გინებით დაჰ-
ყარა.

პელო თვალებს აცეცებდა. ხალხის
სიმრავლემ უფრო მეტად დაახვია თავბ-
რუ. სულის მოთქმა არც კი აცალეს.
რამდენიმე მამაკაცი იმ წუთში შემოეხ-
ვია.

— ქათმები გყავს? ამორეკე!

— რას აფასებ?

— ჯერ არ ვიცი, რას დავაფასებ, —
მიუგო დაბნეულმა პელომ.

— მოიტა გოდრიანად! აჰა ფული! —
ვილაძე ბლუჯა ფულს ხელში სჩრას,
ქათმებს არც კი ითვლის, ერთბაშად
უნდა იყიდოს ქათმებით სავსე გალია.
მაგრამ პელოს არ ავიწყდება ქმრის და-
რიგება, პირველადვე ჩარჩ-ვაჭრები
მოგესვებიან!

— არა ვყიდი, თავი დამანებეთ! —
უტყვს პელო.

ვანამ სულა მოითქვა და დას მიეშვე-
ლა.

— ჯერ არა ვყიდიო, არა! აუ, რა ტა-
ციობაა, შენი გულისა! — ხელები გადა-
იფშენიდა ვანამ.

— გნახამო, ერთი, როგორ გაჰყი-
დით! — ნიშნის მოგებით ეუბნება ერთი
ჩაკურატებული გადამყიდველი და ბრა-

თენგიზ გოგოლაძე

აკაცი კაციშთა

ზაანად იფურთხება, რომ თავის ანეკს-ზე ვერ წამოაგო სოფლელი ქალი.

— მიდი, ვანა, გაიგე სხვები რას აფასებენ,—უთხრა პელომ.

— ემწუთში.

ვანა გაიქცა, მექათმეთა რიგს დაერია, ფათიფუთით კითხულობდა, ვინ რას აფასებდა. ერთმა პანდური უთავაზა, მეორემ არა უთხრა რა. მესამემ დასცინა, შენ რისი მყადველი ხარო. ერთმა დედაბერმა შეიბრალა და უთხრა თავისი ქათმების ფასი.

— ჩვენები შენსას სჯობია!—ნიშნის მოგებით უთხრა დედაბერს ჭიჭია-ვანამ და დისკენ მოკურცხლა. უთხრა რასაც დედაბერი აფასებდა და პელომ პირველი ქათამა გალიიდან ამოიყვანა.

— მაგ ფასში ვერ გაყიდი!—კვლავ გარშემო უტრიალებდნენ ჩარჩები.

— არ გავყიდი და შინ წავიყვან!—უკან არ იხევს პელო.

— ძველი ხარ, ძველი! — ხითხითებს ჩარჩი.

— რას აფასებ, ქალო, ქათამს?—კითხულობს მანდილოსანი.

პელო ფასს ეუბნება, თან ლოყები უხურს.

მანდილოსანი კურტუმოში უბერავს ქათამს.

— ე მაგ ფასს ამ ჭირიან ქათამს როგორ ადებ?

— ხო გითხარი, ვერ გაჰყიდი-მეთქი! — თავისას არ იშლის ჩარჩი.

— ჭირიანა შენა ხარ!—მანდილოსანს უყვარის ჭიჭია-ვანა და თვალებს უბრიალებს.

— ვანა, შენი ჭირიმე!—ევედრება პელო. პირველად არიან ბაზარზე, ყველაფერი უკვირთ და აოცებთ. უკვირთ ხალხის სიმრავლე, მოვაჭრეთა შეძახილება, ყაყანი. აოცებთ ზოგიერთი ქალაქელის ენის სიმყარე. ძველო, ჩარჩმა რომ უთხრა პელოს, ყველაფერი აქედან დაიწყო. ახლა მანდილოსანმაც დაუმატა, ჭირიანი ქათმები გყავსო.

ქალს ჭიჭია-ვანასი შეეშინდა და სწრაფად განერიდა იქაურობას. ვანა არ

დაცხრა, ბუზლუნს უმატა, იმ ქალის ხელს ქვეშა ვერა და ვერ მოინელა.

ათასი ჯურის ადამიანი ეხვია პელოს. ზოგმა ტკბილად დაუწყო ვაჭრობა. ზოგმა ქოქოლაც მიაყარა და გულმოსულად უთხრა:

— აი, მიწა კი შეგქამთ! ცეცხლს უკიდებენ ბაზარს, ეს მიწადასაყრელები.

— ხო გითხარი, — ხითხითებს ჩარჩი.

ზოგმა პარაღპირ მიახალა პელოს:

— გაგიყდი, ქალო?!

— არც გავგიყდი და არცა რა! — თავბრუ დაეხვა პელოს, ეს რა ხალხი ყოფილა ქალაქშიო, ფიქრობდა მწარედ.

ჭიჭია-ვანა მლანძღველების ლანძღვასა და მოგერიებაში იყო. ავ სიტყვას ავი სიტყვითვე ხვდებოდა. პელო ევედრებოდა, ის კი არ ჩუმდებოდა.

ამ დავიდარაბაში მაინც იყიდებოდა ქათმები. ხალხს ქამა უნდოდა.

„ქალაქში უფრო მწარე ყოფილა ცხოვრება. ამდენ ჭრელ ხალხში თავის გატანას კარგი ფაქაცობა უნდა“, — ფიქრობდა პელო. დაღალა ხალხის ზუზუნმა, ფეხზე დგომამ და ვაჭრობამ. შიმშილმა ღარიბ ხელი და ფეხშიმე ქალის თვალბეში რაღაც გაურკვეველი მოლურჯო რგოლები აირიგნენ, მერე გალიაზე ჩამოვდა, სული მოითქვა.

— რა ღირს, ქალო, ქათამი?

პელო უფასებს.

— რამ გაგაგიყა, ქალო!

— გიყიდა ხარ და თხერტილიცი! შენი დედ-მამის სულიცი!.. — არა ცხრება ჭიჭია-ვანა, როგორც არა ცხრებიან ქალაქელები. გაცხარებული მივარდა დას. — მიდი, უფულოდ მიაშვე! მიაშვე და წავიდეთ, გავეცალოთ!

— ვანო, შენ შემოგველე!—ევედრებოდა და.

ლანძღვაში, ვაჭრობაში, თავლაფდასხმაში, ყაყანაში, ერთი გალია დაიცალა.

ხალხი კი განუწყვეტლავ მიდი-მოდის. პელოს თვალწინ ირევიან მალღები, დაბლები, მსუქნები, გამხდრები; ქართველები, სომხები, რუსები, იეზიდები, ქურთები; ზრდილნა, უზრდელნი, უკ-

მეხნი, დინჯნი, თავზეხელაღებული, კაპასნი და ენადამტკბარნი.

პელოს ერთზე რომ გული მოუვიდოდა, მეორე ისეთ რამეს ეტყოდა, გული ისევ საგულეში უდგებოდა, მერე იმ გულს ისევ ვიღაც ამოუგდებდა...

ასეთი აყო ქალქის პირველი გაცნობა, პირველი ტკბილ-მწარე შთაბეჭდილება.

— სადაჟური ხარ, გოგო?—ჰკითხა ერთმა ქალმა და ქათამი გამოართვა, მანაც კურტუმოში შეუხერა.

— გარიყულელები ვართ... გაგიგონია ასეთი სოფელი?

— გამიგონიაო! ჩემი სიძე იქიდან არ არი! მჰედელ გიგოს ხომ იცნობთ?

— გიგოს როგორ არ ვიცნობთ! — თვალები აუციმციმდა პელოს. იმედიანად შეხედა ქალს. ვანამაც დაჰყიტა თვალები და მანდილოსანს პირდაღებული მიაჩერდა.

ქალმა ქათამს თავი მჟანგა და პელოს დააცქერდა.

— შეილო, ცუდი ფერი გადევს... ფეხმძიმედ ხომ არა ხარ, გოგო?

გამოცდილ თვალს არა გამოეპარა რა. პელოს არეულმა სახემ, შეშუპებულმა ბაგემ, ყველაფერი უთხრა ქალს. პელომ არ დაუმალა.

— ეს შენი ქმარი ხომ არ არი, გოგო?

— ძმა არი, მე ბერდოს ცოლი ვარ. — ცოტა არ იყოს წყენით მიუგო პელომ.

— პელო ხარ? ესეც შენი ძმა, ვანა! გაგიჟირდათ და ქათმებსა ჰყიდათ. ჰა?

— ჰო. ჩასაცმელ-დასახური გვინდა.

— მე ტასო მჭვია. ფიქრისგდრაზე ეცხოვრობ. ეს ქათმები რომ გაჰყიდოთ, წამომყევით. ჩასაცმელ-დასახური მაქვს ძველი შემონახული. გამოგადგებათ.

— შენ კი გაიხარე! ძლივს გამოჩნდა, ზეთისნიერი! — წამოიძახა ჰიჭია-ვანამ, — ჭეყანამ გვლანძღა და გვთათხა. შენ კი საჩუქრებსაც გვპირდები.

— საჩუქარი რა, ჩვენ კი არ ვიცით! აჰა, წაიყვანე ეს ორი დედალა.—პელომ მსუქანი ქათმები შეურჩია. ტასომ გამო-

ართვა და ქათმების საფასური ფული გააღაღა.

—საჩუქარში ფულს მაძლევ? გიგოს მოკეთეს ფულს როგორ გამოგართმევ! თავსაც მოეკლამ. გიგოს ომდენი ამაგი აქვს ჩვენზე!—ხელები გაასავსავა პელომ და ტასოს ფული არ გამოართვა.

— რამდენი ქათამი დაგრჩა კიდევ გასაყიდი?—ჰკითხა ტასომ.

— ათიოდე იქნება.

— სანამ მაგას გაყიდოთ, მე ბაზარში მივივლ-მოვივლი, მერე შინ წამომყვით.

ტასომ დახლებს ჩაუარა და თვალთაგან დააკარგა. პელოს ახლა სხვა ქალები გაუჩერდნენ და ევაჭრნენ. პელო ჯიუტად იმეორებდა ქათმის ფასს. ზოგი ცხვირს იბზუებდა, ზოგი ულაპარაკოდ ყიდულობდა. ზოგი ბაზარზე გულმოსული, საერთოდ ცხოვრებას აგინებდა. მყიდველები კი ქათმებს კვლავ კურტუმოში უხერავდნენ.

— ნეტა რა დაგრჩენიათ ამ კურტუმებში! მოლა, ჩვენც შევეუბროთ, პელო!—ვანამ შეუხერა და სიცილით გაიგულა, როცა ქათამს ბუმბული გადაეწია.

ქათმები, როგორც იქნა, გაყიდეს. ტასოს დაელოდნენ, მაგრამ იგი არ ჩანდა. და-ძმამ კერძო მალაზიების რიგს ჩაუარა. ტასოს ორი ქათამი ხელში ეჭირა პელოს.

— ეს ქათმებიც გაგვეყიდა ბარემ. მორჩა, ის ქალი ჩვენ ველარ გვნახავს,—ურჩია ჰიჭია-ვანამ დას.

— სირცხვილია, ბიჭო! ნაჩუქარი როგორ გავყიდოთ! ამ მალაზიებს ჩავუართო და ისევ აქ მივიდეთ.

— მივიდეთ და მივიდეთ! შეხე, პელო, რა ჩექმებსა ჰყიდის ეს ღმერთძალი.

ხარაზი დახლს იქით იღიმება და ულვაშებს იგრებს, დახლზე კი მისი ნახელავი ჩექმება ლაპლაპებს. წითელ-წითელი ჩუსტები კი თოკზე ჩამოუქილია. იქით სხვა გამყიდველი ხის მეტრიანს

თენგიზ გოგოლაძე

აკაცი აკაცია

ატრიალებს, ვიღაცას ფართალს უზო-
პავს, თან ლოცავს, მშვიდობაშიო. პე-
ლოს თვალი მიუვარდა ერთ ნაჭერზე,
დახლს მიუახლოვდა და ცქერით დატყ-
ბა.

— ე ქათმები იქით გასწი, ქალო, არ
მაასკინტლოს!

პელო უკან იხევს, მაგრამ ნაჭერს
ოვალს არ აშორებს.

— იქნებ მეყიდნა, ვანო?

— იყიდე, რა!

ამ დროს ვიღაცამ ხელი წაავლო
პელოს.

— აა თურმე სადა ყოფილხართ. მე
კი ხელახლა მთელ ბაზარს დავუარე,—
სული ძლივს მოითქვა ტასომ, — მოგ-
წონს ეგ ნაჭერი? იყიდე, მოგიხდება.
მალე დედა იქნები და სულ მთლად და-
გშვენდება.

— ერთი კაბისთვის რამდენი დამ-
ჭირდება?

ტასომ ახედ-დახედა პელოს.

— ცალგანი ნაჭერია, შენ კა მორჩი-
ლა ხარ, ეგრე, ხუთ მეტრამდე უნდა
იყიდო.

— გამზადებული კი მინდოდა, ჩემ
ტანზე შეკერილი. რამე ისეთი, ზამთარ-
შიც რომ ჩაიცმევოდე.

— წამოდი, ეგრე ჩავყვეთ ქუჩას.
ერთვან შეკერილ კაბებს ყიდაან, იქნებ
რამე ჰქონდეთ საშენო.

— ვანას და ბერდოსაც მინდა ვუყი-
დო რამე.

— ბერდო, იმხელა კაცი გყავს! აბა,
იმის სარგოს სად შეეკრავენ! იმას კი აი,
ეს სახალათე უყიდე და ვინმეს შეაკე-
რინე.

— მართლა კარგი იქნებოდა. ვანო,
ბიჭო, იქნებ შენც ეს გიყიდო, ჰა?

— რა ვიცი, აბა. რაც გინდა ის მიყი-
დე, ყაბულსა ვარ. არა, კაცო ყველანი
რომ კურტუშებში უბერავდნენ, მე ისევ
იქა ვარ!—კიდევ სიცილით იტაჭება ჭი-
კა-ვანა და დახლზე დაფენილ სახალა-
თე ნაჭერს ზედაც არ უყურებს.

პელომ ორი სახალათე მოაჭრევინა.
მერე მზა ტანსაცმლის მაღაზიაში თავი-

სი სარგო კაბა იყიდა და მთელი დღის
განცდილი წყენა და დავიღარაბა უშალ
დაავიწყდა, ბავშვივით გაუხარდა, და
თვალემა ნეტარებით აუწყლიანდა.

ტასომ და-ძმა ფიქრისგორაზე თავის
სახლში მიიყვანა. მაშინვე ზანდუქი და
ყუთები გადმოაქოთა.

— ესეც კარგია, ესეცა! ეს კაბა ერთ-
ხელ მეცვა. აჰა, ბიჭო, ეს შენ მოგერ-
გება, ეს ბერდოს წაუღე. აი აქ გამოუ-
შალე, გოგო, და კარგად ექნება.

ტასო არაფერს იშურებდა და რაც
რამ ჰქონდა თავისი თუ ქმრის ნაქონი
ძველი, გადანახული, აურჩია და მოზრ-
დილი ფუთა შეუტარა პელოს.

— აქ ტყუილად ჰყრია, თქვენთვის კი
მადლია. ვინახე, დიდხანს ვინახე. მეძ-
ნელებოდა ამისი მოშორება. ბევრ რა-
მეს მაგონებდა, ახლაც მაგონებს, მაჟ-
რამ ბოლოს მიეხვედი, რომ ყველაფერი
ამაოა. მოგონებებში კი ამათ გარეშეც
გავლევ ჩემს ორიოდ დღეს.

— რამდენ რამეს მატან!—უკვირს
პელოს. შეკრულ ფუთაში ტასოს ახალ-
გაზრდობის დროინდელი გრძელი კა-
ბაც მოხება. პელოს ურჩია გადაეკეთე-
ბინა, თავის ტანზე დაეყენებინა, გამძ-
ლე ნაჭერია და კარგა ხანს გვეყოფო.
მერე სტუმრები დააპურა. პელომ სუ-
ლი მოითქვა. ტასოს ლოცავდა.

ნაშუადღევ იყო. ვანას უნდოდა ვე-
რის ყაზარმებში შეეგლო, გოლა ენახა,
ცხინვალში საგანგებოდ მისი გულის-
თვის წავიდა, ვერის ყაზარმებში ვერ
მივიდოდა! მაგრამ მარტო წასვლა არ
უნდოდა და დას დაედრიჯა, წამომყე-
ვით. დადლილ პელოს კი იმ დღეს მგზა-
ვრობა კიდევ უწყევდა და მოსვენება
სწყუროდა. თავში კიდევ უზუზუნებდა
ბაზარი.

გომნაზიიდან ალექსი მოვიდა. ერთ
წუთს გაკვირვებული შეჩერდა კარებ-
ში, როცა დეიდა ტასოს ოთახში ჭიჭია-
ვანა და მისი და, პელო დაინახა.

— ალექსი, შე ღმერთადლო!—დაი-
ძახა ჭიჭია-ვანამ და მისკენ გაეჰანა.
ხელი ვეცაცურად ჩაურტყა გამოწვდილ
ხელში.

— საიდან, ვანო, აქ როგორ მოგვამე-
ნი?

— დეიდაშენმა მოგვიყვანა და სა-
ჩუქრებით გვისტუმრებს. ჩვენც ორი
დღეა მოგართვით, ვალში არა ვართ!
აბა მიდი, შეუბერე კურტუმში! —
კბილები გამოაჩინა ვანამ.

ალექსიმ გაიღიმა, ვანას ყური აღარ
ათხოვა და პელოს მიესალმა.

— ბაზარში ვნახე და წამოვიყვანე.
შინ ამდენი რამ მეყარა. ესენი კი შიშვ-
ლები დადიან! — უთხრა ტასომ.

— კარგი გიქნა, დეიდაჩემო.

— ახლა ამ ბიჭს ვერის ყაზარმაში
უნდა წასვლა. მოდი, შექამე რამე და
გაჰყვები. პელო კი მოისვენებს, ცოდოა.

— ეგრე სჯობია. მიდი, პა, ჰამე რა-
მე, — ააჩქარა ვანამ ალექსი და ხელე-
ბი გადაიფშვნიტა, — რას უბერავდნენ
კურტუმში?

— რას აიჩემე, ბაჭო! — შეუწყრა და.
ალექსის გაეცინა.

— ქათმის სიმსუქნეს სინჯავდნენ.

ვანა ალექსისკენ წაიხარა და ყურში
რალაც უჩურჩულა. ალექსის ვერაფერი
გააგებინა, თვითონ კი სიცილით ჩაბ-
ჟირდა.

ალექსიმ ჯარისკაცურად სწრაფად ის-
ადილა და ჭიჭია-ვანა თავის ოთახში გა-
იყვანა, საწერი მაგიდის უჯრიდან რე-
ვოლვერი ამოიღო.

— ეჰ! ეს რა გქონია!

— სკოლაში არ ვატარებ, სხვაგან
ყველგან დამაქვს.

— ვისმესი გეშინია?

— ვასი უნდა მეშინოდეს! ნება მომ-
ცეს და მეც ვატარებ. იარაღი მიყვარს.

— კარგა ისერი?

— შენთან რა მაქვს სატრაბახო! გვა-
რიანად ვისვრი. აბა, წავიდეთ, შენი გო-
ლა ვნახოთ.

ფიქრისგორიდან დადმართზე დაეშე-
ნენ და მერე ვერის წითელ ყაზარმები-
საკენ აღმართს შეჰყვანენ. ეს ძველი
ბილაკი პირდაპირ ყაზარმებთან აღიო-
და. სწორედ ამ ბილიკით ავიდნენ მენ-
შევიკების ჯარში გაწვეული კასპელები
იმ ღამეს. იმ ღლეებს რა დაავიწყებდა

ვანას! მაშინ სამხედრო ქალაქი ფარ-
ღალა იყო და ვისაც მოესურვებოდა,
ის დააბოტებდა გაშლალ ეზოში.

როცა კარგად შემადლდნენ, ალექსიმ
მავთულის ღობურა დაინახა. ყაზარმე-
ბის ახალ ბინადრებს ეზო შემოეკაგე-
ბინათ და ახლა ბილიკით სამხედრო ქა-
ლაქში შესვლა შეუძლებელი იყო.

— საბურთალოზე უნდა გავიდეთ.
იქიდან თუ შევალთ, — უთხრა ალექსიმ
ენაგადმოგდებულ ჭიჭია-ვანას.

გაბრუნდნენ. სამხედრო გზაზე ჩაეაღ-
ნენ და საბურთალოსკენ გასწიეს.

სამხედრო ქალაქის შესასვლელში ახ-
ალი ჭიშკარი გაეკეთებინათ, მაღალ
სვეტებზე თალი იყო გადადებული. სვე-
ტებზე წითელი დროშები ფრიალებდა.
თაღზე პლაკატი იყო გაკრული: „გაუ-
მარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმი-
ას!“

ერთ სვეტთან წათელარმიელი იდგა
ხიშტიანი თოფით.

„ცხინვალშიც ეს არ იდგა, ეს ღმერთ-
ძალი?“ — უცებ მიამგვანა ჭიჭია-ვანამ.
მივიდა და ძმაცაცურად მიმართა:

— გამარჯობა, ბიჭო!

წითელარმიელი რუსი გამოდგა. თა-
ვის ენაზე შეუტა და ჭიჭია-ვანას გაუ-
კვირდა.

ალექსიმ ჩინებული რუსული იცოდა
და სამხედრო ქალაქის დარაჯს უთხრა
მოსვლის მიზეზი.

— გორჩიშვილი საპატიმროში ზის,
— უპასუხა წითელარმიელმა, — ვერა
ნახავთ.

— დაპატიმრებული ყოფილა შენა
გოლა, — მიუბრუნდა ალექსი ჭიჭია-ვა-
ნას.

— ეგ რალაცა ურევს! — არ დაიჯე-
რა ვანამ.

— რაზე ზის? არ გვეტყვი? — ისევ
წითელარმიელს მიმართა ალექსიმ.

— ჩხუბისთვის.

— უჩხუბნიაო, — აუხსნა ალექსიმ
ჭიჭია-ვანას.

— ურევს-მეთქი, ხო გეუბნები, — გა-

თანავიზო გოგოლაჰი
კაცი კაციოთა

ეცანა ვანას,—გოლას ჩხუბი ჯერ არავის გაუგონია და რაღა აქ იჩხუბა?! ეი, შენა, რუსო!.. ნიკაყოი ნიპრაყოი გოლა! ალექსი, უთხარი, გააგებინე, რომ მე იმის სანახავად მოვედი და უნდა ვნახო, ისიც უთხარი მარტო გოლა კი არა, თქვენი დივიზიის მეთაურიც უნდა ნახოს-თქო, იცნობს-თქო.

ალექსიმ ყარაულს გადაუთარგმნა ჭიკია-ვანას ნათქვამი. ახლა კა წითელარმიელმა გაიღიმა და ჭიკია-ვანას არ დაუჯერა, რომ იგი დივიზიის მეთაურს მართლა იცნობდა.

გოლა ვერ ნახეს. ვერც ნახავდნენ, რადგან იგი იმ დროს მართლა იჭდა დივიზიის საყარაულოს დასჯილთა კამერაში.

ვანოს გული დარდით აევსო. ვერ გაიგო რაზე იყო მისი მეგობარი დასჯილი. ალექსი და იგი უტყვად მიდიოდნენ.

გულდაძმარებული ავიდა გარიყულაზეც. როცა დაღამდა და დასთან ერთად წისქვილს მიუახლოვდა, წისქვილას კართან მდგარ ბერდოს შეჰყიყინა.

ბერდომ ხელეშში მოიმწყვდია ბელო და ალერსით უთხრა:

— ძნელი ყოფილა უშენოდ გატარებული ერთი დღეც კი! უფრო ბრმა ვიყავ და გულდაკოდილი. როგორ მოიარეთ ქალაქი?

— ჭრელა ყოფილა ქალაქი, ავი და კარგი ხალხით ათქვეფილი.

მერე წისქვილში გაშალეს ნავაჭრი და ნაჩუქარი. საფეკავზე მისული რამდენიმე გლეხი ჭრაქის შუქზე ათვალიერებდა და-ძმის მოტანილს, ნაირ-ნაირ რამეებზე თვალი მისდიოდათ და აქებდნენ.



წუთისოფელი მატებისა და კლებისაა.

მეობა ყველას კარს თუ არა, სიკვდილი ყველას კარსაა!

ერთი გარიყულელი კიდეც წაასვენეს ფაენისში.

ოქრუაშვილი არც ერთ დაკრძალვას არ გამოსტოვებდა, შესაწევარსაც გაიღებდა და ქელეხშიც მოკრძალებით

რჩებოდა, ხალხს ჭირში და ლხინში გაუბოდა და სადაც ხალხმრავლობა იყო, გულიც იქითკენ მიუწევდა.

დაფანტულად მიჰყვებოდნენ გლეხები რამდენიმე კაცის ზემოთ მოქანავე კუბოს. ნაწვიმარი იყო და თიხნარ, მოსიპულ გზაზე ფეხი უტურდებოდათ. კუბოს წამლებთ მალიმალ ცვლიდნენ, რადგან აღმართა ყველაზე მარჯვე და ღონიერ ვაჟკაცსაც კი ღლიდა. აღმართმა დაჰლაღა, მოჰქანცა და ძალა წაართვა ოქრუაშვილსაც. სასაფლაოზე ასულმა სული ძლივს მოითქვა. ყველა მიცვალებული სამარის კარამდე მიუცილებია, მაგრამ სწორედ აქ გასჭირვებია. განზე გადგებოდა, ძველად დასაფლავებულთა ქვებს ჩამოუვლიდა, გაიხსენებდა, ვინ სად იყო დასაფლავებული, ვინ იყო ოდესღაც ამქვეყნის სტუმარი და ვინ გამხდარიყო იმქვეყნის სამუდამო ბინადარი, მოუსაგლეთის მკვიდრი.

ადრეული გაზაფხულის ნაწვიმარი დღე იყო. ციოდა. უზარმაზარ თეთრ ბოხოს ჰგავდა მწვერვალი არჩევანი, თემის ხეობის შემადლებას რომ აგვირგვინებდა. სხვა მთა-გორაკებიც ჩამოთოვლილიყო, ხოლო აქეთ, ბარისაკენ, გორაკების ღარტაფებში და ხრამებში ჩარჩენილიყო თოვლი. ასიც ნელ-ნელა იწურებოდა და სოფელში ხევი გამუდმებით ღმუოდა.

წყალთა ჩქერანი გაზაფხულის მაყრიონი იყო და ჩხრიალით ამბობდა ბუნების გაღვაძების პირველ სიმღერას.

ფაენისიდან ძალზე შორს წგდებოდა თვალი ჩრდილო მხარესაც. მტკვრის ნაპირებამდე ვაკე ადგილი დაცემულიყო დიდ-პატარა სოფლებით. შორს, გორაკის ძირს შავ ზოლად რკინიგზა მაჰყვებოდა.

მოჩანდა თოვლი, იყო სიცივე, მაგრამ მაინც იგრძნობოდა გაზაფხულის სიახლოვე. ამას მიწა ადრევე იმჩნევს და მიუხედავად იმისა, რომ კვირტი შეუმჩნევლად ფუტდება, კაცის გული მაინც გრძნობს, რომ ხვალ მზეს სითბო მოემატება, რომ ხვალ უფრო დათბება და მალე, სულ მალე, ეს ნამძინარევი

ველ-მინდვრები მწვანე სამოსელით
მოირთვება, ნაირფერებით აჭრელდება
და სიცოცხლის სატკბო ისე მომძლავრ-
დება, რომ გული გასაფრენად შეიმარ-
თება.

მაგრამ, რამდენიც არ უნდა იფრინოს
გულმა, ბოლოს მაინც...

ტანში გასცრა ამის გაფიქრებამ ოქ-
რუაშვილს. ვინ იცის, რამდენჯერ უფიქ-
რია სიკვდილზე. მაგრამ სასაფლაოზე
ამისა გაფიქრება უფრო გულისმომკე-
ლელია. აქ გაიგონებთ:

„წუთია კაცის სიცოცხლე!“

„რა წაიღეს ამქვეყნიდან ამათ?
ჩვენც იმასვე გავატანენ“.

„ორმეტრიანი მიწის კანონი ღმერთს
კაცის გაჩენასთან ერთად დაუწერია!“

ბევრი ამგვარი აზრი აუკრეფია გლეხ-
თაგან თქმული, გონებაში გადაუმუშა-
ვებია და საბოლოოდ ცუდ გუნებაზე
დამდგარა, ფიქრით დამძიმებულა და
ვიდრე სოფელში ჩამოსულა, ცხოვრე-
ბაზე გულაყრილი ყოფილა, მაგრამ
მეორე დღეს, სკოლის ზარის ხმაზე პა-
ტარების ჟივილ-ხივილში ყველაფერი
დავიწყებისათვის მიუტია.

ერთი მიდის—ათი რჩება! ათი მი-
დის—ათასი რჩება! ესეც ბუნების და-
უწერელ კანონში სწერია. ეს კაცთა უკ-
ვლადების კანონია.

როცა ოქრუაშვილი საფლავის ქვებს
ჩაუყვია და ბევრგან ახალქალაქელი
ქვისმთელელს მიერ ამოკვეთილი „გამე-
ლელი შენდობა უბოძე“ ამოიკითხა,
ბერბიჭა გაახსენდა. უკანასკნელად მის
დასაფლავებაზე იყვნენ. სოფელმა პა-
ტივი დასდო. მაგრამ ახლა საფლავს
ვეღარ მიაგნო. იმ ახალქალაქელ ქვის-
მთელელს ქვა არავინ მიუტანა და არა-
ვინ ამოაჭრევინა: „გამგლელო, შენდო-
ბა უბოძე, მონასა ღვთისასა...“

აი, ამ ქვებს შორის უნდა იყოს მასი
საფლავი. მიწა ჩაწეულა. რაც პირვე-
ლად მიაყარეს, მეტი მიწა აღარავის და-
უმატებია. აღარც ორმოცი, აღარც
წლისთავი!

ცუდ გუნებაზე დადგა ბესარიონი
გადაწყვიტა თვითონ მოეგლო ბერბი-
ჭას საფლავისათვის, ახლავ, ვიდრე სულ
არ წაშლილა... უბატარონოს სიმწარე გა-
იზიარა. მაგრამ თუ სახელს დასტოვებ
და იმ სახელით ქვეყანაზე დარჩები, მა-
შინ ხალხის საკუთრებად იქცევი და ხალ-
ხი მოგხედავს, სამარადისოდ ხალხის
გულში იცოცხლებ. და ეს სამარადისო
სიცოცხლისკენ სწრაფვა უნდა აყოს აზ-
რი და არსი წუთისათვის ყოფნისას.
შენ კი რა გააკეთე ხალხისთვის, ბერბიჭ?
იყავ, არსებობდი. კველას ახსოვდი,
ვიდრე ცოცხლობდი. ახლა აღარავის
ახსოვხარ, იმიტომ რომ არ გხედავენ,
იმიტომ რომ აღარავის შეუძლია შენი
კარგი საქმის გახსენება, ღირსსახო-
ვარის მოგონება. ამიტომ მისცემი-
ხარ დავიწყებას. ახლა ზოგ-ზოგნი ჩემ-
სავით კიდევ მოგიგონებენ, მაგრამ
მერე? მერე იყავი კი ამქვეყნად? ეს უკ-
ვე აღარავის ეცოდინება. მე კი... მე რას
ვტოვებ და რა მანდა დავტოვო. სკოლა
და სინათლე!

ამის გაფიქრებაზე გული გაუთბა ოქ-
რუაშვილს.

„ხანდახან რატომ ვფიქრობ, რომ მარ-
ტო ვარ? მთელი დღე ათეულობით თვა-
ლი მომიჩერებია. მარტო ეს სიტბო მე-
ყოფა გულის გასათბობად! მე არა
ვარ შენსავით მარტო და მიუსაფარი,
ბერბიჭ! მაგრამ რა ვუყოთ, რომ ამ-
ქვეყნად უფრო ადრე მოველ, ვიდრე
სხვა...“

ნინოს გახსენებაზე კვლავ შეუღონდა
გული. ფაქრი შემოიფანტა. ერთ ხანს
გაჰყურებდა არჩვენის მაღალ მწვერ-
ვალს, მარადიულს, მუდამ მაღალს, მუ-
დამ დიდებულს, თემის ხეობის დამამ-
შვენებელს.

კვლავ მოვიდა ფიქრი:

„მინახავს ალუბლის ხე, შემოდგომა-
ზე ორიოდ ყვავილი გამოუტანია. ამ-
ბობენ, ეს ცუდის მომასწავებელიაო. ას-
ევე იყო ჩემი სიყვარულიც! შემოდგო-

თენგიზ ზოგოლაძე

კაცი კაცითა



მის უღლეური, მაგრამ მაინც ლამაზი ყვავილი“.

აღმა გახედა. მიცვალბულს უკვე აერიდნენ მიწას. ბესარიონმა ყურებზე ხელი აიფარა, რომ კუბოს ფიცარზე დაყრილი მიწისა და ქვის ბრაგაბრუვი არ გაეგონა და ყველაზე ადრე დაეშვა სოფლისაკენ.

სკოლის დანახვაზე გული საგულეს ჩაუღდა. რამდენიმე მოწაფე დაინახა და უმალ მოიხმო. პატარები შემოეხვივნენ. ბესარიონი მიეალერსა, თვალბეში სათითაოდ ჩახედა. სიყვარულით შეჰყურებდნენ მოზარდები. აღელდა, ბავშვები სათითაოდ დაჰკოცნა და შეუძახა:

— ახლა კი გაფრინდით, ჩემო მალხაზებო!

როცა სკოლაში შევიდა, თავისთავთან საუბარი განაგრძო:

— ყველაზე ცუდი ის არის, შუაგზაზე რომ შემოაღამდება კაცს! შენ კი ჯერ შუაგზაზე რა გინდა, ბესარიონ! სკოლა შენი სიცოცხლეა და ამ სიცოცხლით უნდა იარსებო. ხვალ კიდევ ერთი მასწავლებელი შემოგვიერთდება თავისი ბავშვებთან. აი, ამ ოთახში იქნებიან ისინი.

კარი შეაღო. ოთახში ბინდი, სიცვი და სიჩუმე იყო.

— ხვალ გახალისდები! — თქვა და კარი ისევ მიხურა.

მარტში, როცა აყვავდება ტყემლები, ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

აფუვდება მიწა, დასკდება კვარტი, შემწვანდება კორდი. როცა ჭეჭილი ამოიწვევრება, გული შინ აღარავის უჩერდება. ამიტომ იყო, პელო გაზაფხულის პირველსავე მზიან დღეებში ნაკვეთზე რომ მიდიოდა ხოლმე. ფეხმძიმე ქალს უჭირდა ერთი მცირე შეღმართის ავლა, მაგრამ მაინც მიდიოდა მინდორში, რათა თავისი თვალით დაენახა ჭეჭილის ზრდა. ერთ დღეს რომ ბუსუსივით ამოიწვერა, ველი მალე გადამწვანდა და ისეთი ხასხასა, ისეთი

ნორჩი იყო, თვალი უკეთესი რამდენიმე ნახვას ვერც ანატრებდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ქალმა იცოდა: ჭეჭილი მათთვის იზრდებოდა. მალე, სულ მალე დაპურდებოდა, ყანად გადაიქცეოდა, პირველ კალოსაც გალწავდნენ. რამდენი სინარულის მოტანა შეუძლია ამ პაწაწა მცენარეებს, ძალზე ბაცი მწვანე ფერისანი რომ არიან და ერთმანეთის გვერდიგვერდ მთელ ჯარად დგანან, ერთად, ტოლად მოდიან. ტოლად და ერთადვე დაპურდებიან და კაცის სარჩოდ გადააქცევიან.

„ბერდოს მაშინ ამოვიყვან, როცა ჭეჭილი დაეკაცდება და აშრიანდება“, გაიფიქრა პელომ, მაგრამ ერთხელ გულმა აღარ მოუთმინა და წამოიყვანა.

თბილი და სასიამოვნო ღლე იყო, ისე თბილი და ცხოველმყოფელი, მზე ისეთი მოალერსე, იმდენი აღმაფრენა შეჰქონდა გაზაფხულს კაცის გულში, რომ ბრმაც კი დაინახავდა ქვეყნის სიკეთეს.

ცოლ-ქმარმა აღმართი აიარა. პელო მალე დაიღალა. მოხშირებით სუნთქავდა. ქალები ურჩევდნენ, ბევრი იარეო და აი, ბევრი სასიარულოც ახალციხასკენ ჰქონდა, გზისპირა ყანისაკენ.

ცაცხვთან მივიდნენ. პელომ ნათესს გახედა. მოაგონდა ხენა და ბერდოს წაქცევა გუთანთან. ნამაგარი დაუფასდა, ნათესი თანაბრად და კარგად მოდიოდა. ხორბლის გამოცდილ მთესველებს მოაბნევენის მარცვალი და აჰა, თვალმა შემოწმა კიდევ მათი ოსტატობა და უნარი. მართლა მარჯვე თესვა სცოდნიათ ამ დალოცვილებს!

— ნეტავ განახა, რა კარგად წამოვიდა ჭეჭილი, ბერდო! — კარგა ხნის დუმილის შემდეგ მიმართა პელომ ქმარს, ნიშნად ნუგეშისა და სიბრაულისა, ხელი მოჰკიდა და გვერდიდან მიეკრო.

— ხელავ! — თქვა ბერდომ.

— შენ მოგიკვდა ჩემი თავი! — მღელვარება ვედარ შეიოკა პელომ. — განა შეიძლება ამ სილამაზეს არ უყუროს კაცმა! განა შეიძლება ამქვეყნად ტრია-

ლებდე და თვალი გარემოს მზერით არ დაატყობ! მერე რა დროს!

— რა იყო, რა მოგვივიდა, პელო? — ხელი მოხვია ბერდომ. ვითომ ვერ მიხვდა, ის სინანულის სიტყვები რამ ათქმევინა ქალს, — ახლა იკლავ თავსა, როცა ვმრავლდებით? ცოტაცა და ერთი ბიჭი და რამდენიმე კოდი ჭირანხული ერთბაშად შეგვემატება!

— რა იცი, რო ბიჭი იქნება?

— გოგო იყოს, იმას კი ვენაცვალე! ღმერთსა ვთხოვ, შენ დაგემგვანოს. შენ თუ მე გამიხარე გული, დაე იმან კიდეც ერთი კაცი გაახაროს ამ ქვეყანაზე!.. ოღონდაც შენა გვაკადეს!

ბერდომ ჩაიმოხლა ყანისპირას. მიწას ხელი მოუსვა და ჭეჭილი რომ მოხვდა, ისე მოეალერსა, როგორც შვილს ეალერებოდა. ჭეჭილი ჟღერტულვდა, ჭეჭილიც ხარობდა თავისებურად, ჭეჭილიც თვალებს აციმციმებდა... ამას გრძნობდა ბერდო და ეამებოდა ჯერ კიდეც სულ ნორჩი, თითებზე ძლივს შესაგრძნობი ხაო ახალდანაზარდისა.

— კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა! — თქვა ბერდომ და წელში გაიმართა, — ბოლომდე ესეა, ჰა?

— ბოლომდე, ბერდო!

— როცა ყანა აშრილდება, იმ ჩემი ბაღლის აკანასაც აქ დავიდგამ და უფრო მეტად გავიხარებ. მერე ის ბაღლი რომ წამოიხრდება და დავაყვაცდება, გუთანს ამოიტანს. მე და შენ მაშინ მოხუცები ვიქნებით, ამ ცაცხვის ქვეშ ვიხსნდებით. ჩვენი ბიჭი კი გუთნისდებდა იქნება. ამ მიწას გულს ის გადმოუბრუნებს! ომახიანად რომ იმღერებს და სხვასაც აამღერებს... ქრუნტელმა ლამის მამკლას, ისეთი სიამით დამივლის ხოლმე ამის გაფიქრებაზე! აბა, მითხარ, პელო, გეთყვავ, იმ სიმღერის გავონებას თვალეზა თუ უნდა!

— შენ კი გენაცვალე!

— ქალო სანატრელო და სიცოცხლეზე უფრო ტკბილო, ვინ იცის, კიდეც რამდენ სიხარულს ველი შენგან, მხოლოდ შენგან!

არა, ისე მძლავრად აღარ ჰკიდებს

ცოლს ხელს. ახლა უფრო ნაზად, მორჩილებით ექცევა, უფრო მეტის ალერსიანობით ეხება ქალს. პელო გრძნობს, ასე მორიდებით რატომ ეკიდება.

ტკბილი მოლოდინი გრძელდებოდა. გრძელდებოდა ორივესთვის მღელვარებით. კაცის, ადამიანის გაჩენის მოახლოება, კიდეც უფრო მეტად აახლოვებდა ისედაც მოსიყვარულე ცოლ-ქმარს.

ბერდო თავისებურად განიცდიდა. ის ოცნებობდა არა ბაღლზე, ჩვილსა და ძუძუმწოვარზე, უმწუროსა და უსუსურზე. ბერდოს წარმოდგენაში მისი შვილი უკვე მზებზუბუკი აყო, დავაყვაცებული. ხანდახან გუნებაში ელაპარაკებოდა კიდეც მას. არიგებდა და გასამხნევებელ, გულის დამამშვიდებელ სიტყვას მისგანაც ისმენდა. გულით ეწადა, რომ მისგან სწორედ ტკბილი სიტყვა გაეგო. მაგრამ თუ ქალი ეყოლებოდა? ქალი თუ იქნებოდა, დედის მინამგვანი უნდა ყოფილიყო, პელოს სასიამოვნო უნდა დაჰყოლოდა.

ბერდო ვაჟკაცში თავის თავს ხედავდა, ქალის სახით პელო ეხატებოდა. სხვათა ფერ-ლაზათის წარმოდგენა არც სურდა.

პელო კი სულ სხვაგვარად განიცდიდა. ის ჯერ კიდეც არ ფიქრობდა არც მოზრდილ ვაჟკაცზე, არც დაქალებულ შვილზე. მას ძუძუმწოვარი ევსებოდა და ერთი სული ჰქონდა, გულში როდის ჩაიკრავდა ჩვილს, ძუძუმწოვარას, მოეღურტულეს. პელოს ენატრებოდა ძუძუთა დაცლა და მკერდზე ჩვილას ალერსი. ეს იყო დედობაგაღვიძებული ქალის პირველი ნატვრა და სანუკვარი სურვილი.

ცოლი რასაც განიცდიდა, ქმარს არ უმხელდა. ბერდო თავის ოცნებებს სურათებს არავის უზიარებდა. და ასე, თავ-თავიანთთვის ტკბილ ფიქრში იძირებოდნენ.

ამ სიტყბოს მიზეზნი თვითონვე იყ-

თანავიუ მოგოლაძე
აკაცი კაციტა

ნენ ერთმანეთისათვის, ამიტომ უფრო უტყებოდნენ ერთმანეთს.

სიხარულის სათავე ბერდო იყო, პელოს ბერდოთი უხაროდა! სიხარულის სათავე პელო იყო, ბერდოს პელოთი უხაროდა!

ერთხელ კი პელომ ველარ შეძლო ახალციხის აღმართის ავლა. არადა, ახარისის იმ დღეს ჭეჭილის ნახვა ერთ რამედ უღირდა. დაბრუნდა. წისქვილში ქეთევანი დახვდა. პელო მძიმედ შევიდა წისქვილში, სტუმარს მისსაღმა და ხალამბართან ჩამოჯდა.

ბერდოს წისქვილი გაეჩერებინა და ქეთევანს ელაპარაკებოდა. პელოს მოსვლა რომ გააგო და მისი მოწმობები სუნთქვაც შემოესმა, ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— ქეთევანი თავისთან გვეპატიება.

სიტყვა ქეთევანმა ჩამოართვა. პელოს გვერდით მიუჯდა და მიეფერა:

— სახლი თქვენ არა გაქვთ და კარი. მშობიარობის დღე გიხსოვდება, დღეს თუ არა, ხვალ უნდა მოილოგიანო. ჩვენსა უნდა წაგიყვანო.

— დეიდა ქეთევან, შენ შემოგველე, როგორმე გავიჭირებთ.

— რაღა, რისთვისა!—მეუწყრა ქეთევანი,—წისქვილში აკვანს როგორ დაიდგამ, გოგო... ესლა მაგაზე ლაპარაკი ზედმეტია. შენ არც კი იცი, ჩემ გიგოს როგორ უყვარს შენი ბერდო... თქვენთვის... რას ლაპარაკობ! მე წაველი და მოგიშადებ, რაც რამ დაგჭირდება.

— გიგოს ვენაცვალე, მე ჯიგარი მეწვის იმის სიყვარულითა!—დაიბუხუნა ბერდომ და ქეთევანის სიტყვებით აღელვებულმა ეს ისე წარმოთქვა, თვალეზში თუ არ გამოუჩნდა ცრემლი, სამაგიეროდ ხმაში გამოერია და საკუთარი ხმის ეს უნებლიე შემდგრევა, თვითონვე არ მოეწონა.

როცა ქეთევანმა ცოლ-ქმარი დაითანხმა და წავიდა, პელო და ბერდო მარტო დარჩნენ. ერთ ხანს ჩუმად იყვნენ. ბერდოს ესმოდა ქალის ხვნეშა.

ალბათ ორი კაცის სამყოფი ჰერდოს ჰყოფნიდა.

პელო შეჰყურებდა ბერდოს. ბრმა დეკაცი წისქვილის კართან იყო აყუდებული. ალბათ ფიქრობდა.

ბერდო მართლაც ფიქრობდა იმას, რაც ქეთევანის მოსვლამდე აზრადაც არ გაუვლია. აქამდე ეგონა, რომ წისქვილი მისთვის ყველაფერი იყო, სახლიც და სასახლეს, მაგრამ აი, მოდის ჯერ კიდევ ქვეყნისათვის სრულიად უცნობი ადამიანი და უნებლიედ არღვევს წისქვილში მცხოვრებ სულ ცოტა რამით კმაყოფილი ცოლ-ქმარის აქამდე გამეფებულ მყუდროებას.

აქ აკვანი არ დაიდგამს, აქ მელოგინე ქალის გაჩერება არ შეიძლება. აქ მიღების ხალხი მიდი-მოდის და დოლაბების ზანზარში ჩვილი ვერ გასძლებს. წისქვილის კარი მუდამ ღია უნდა იყოს და ვაითუ პატარას ქარმა დაჰკარას! ფქვილის მტვერშიც მოაგანგლება. თეთრად შეიფიფიქება და შავტუხა ბიჭი აბა რას დაემსგავსება!

ამის გაფიქრებაზე ბერდოს გაედინა. პელომ შენიშნა ღიმილი და ქმრის კარგი გუნების გამო თვითონაც გაედინა.

— ბერდო!—ჩუმად დაუძახა პელომ.

ბერდო ცოლს მიუახლოვდა, მასთან ჩამიხვლა და უთხრა:

— ხედავ, ჯერ არ მოსულა ეგ მამა-ძალი და უკვე ვეზხოვს რაღაცას.

— რას ამბობ, ბერდო?

— რას და იმას რო სახლი და კარი გვინდა, რაც არა გვაქვს.

— იქნება, ყველაფერიც იქნება. გავთავისუფლდეთ, ისევ ჯდავტრიალებით. ჩემი ხელით გამოვზიდავ თირის ქვასა და თქმის ქვიშას...

ბერდო ქალს ნახად მოეფერა. დიდ სახარულთან ერთად გულში შიშაც შეჰპარვოდა ბერდოს, მაგრამ არ იმჩნევდა. მელოგინე ქალის დაღუპვის რამდენიმე შემთხვევა გაახსენდა. არ უნდოდა ამაზე ეფიქრა, მაგრამ ფიქრი კაცის ნებაზე უფრო ძლიერია და ზოგჯერ არ ემორჩილება. ერთ მოგონებას მეორე



მოსდევს. ასე ერთად არასოდეს არ გახსენებია ეს უბედურებანი, რაც ბავშვობაშიც გაუგონია. და ერთად თავმოყრილმა ამდენმა ავმა გახსენებამ შეაშინა.

თავს ძალას ატანდა, ისევ იმ მზეჭაბუკზე დაიწყებდა ოცნებას, მაგრამ ავერ, ამ მზიურ ოცნებაში ისევ შემოცურდებოდა საშინელი გახსენება. წინათაც მოჰგონებია, მაგრამ ასე არ განუცდია. ახლა მის კარსა სხედან ორნი: სიკეთე და სიბოროტე! უწინ რომელი შემოვა?

პელოს რამე რომ დამართოს, ყველაფერი დაიღუპება, ერთბაშად სამი ადამიანი გაუბედურდება. პელოს მშვიდობიანობა კი იგივე ბედნიერება და სიხარულია.

მხოლოდ ერთ საბედისწერო წუთს შეუძლია ყველაფრის გადაწყვეტა. საოცრად მოწყობილი ეს ქვეყანა!

...მზეჭაბუკო ტყიდან ნანადირევით ბრუნდება. ნანადირევს სახლის კართან აგდებს და ბერდო ხმით ატყობს, კაიხელა და მძიმე რამ მოუტლავს! სახელი? სახელი რა ჰქვია იმ მზეჭაბუკს? აა, სახელზე კი ჯერ არ უფიქრია. კაცი მოდის და სახელს არ ახვედრებენ, გაგონილა? ჯერ დაიბადოს, ისეთ სახელს მოუძებნიან, შესაფერსა და დამამშვენებელს! ახალი აკვანი გააკეთებინონ თუ ნახშირი ითხოვონ? ნახშირი და ბედნიერი აკვანა სჯობია, გაგონილი აქვს ბერდოს. ისეთი აკვანი უნდა შეარჩიონ, საიდანაც ცხრა ვაჟკაცი და ცხრა ქალი წამოფერნილა და თვრამეტივე დღეს სალი და სალამათი დაიარება ქვეყანაზე! მაგრამ იქნება ახალი გააკეთებინონ და სწორედ ამ აკვნით გადაითვალონ ზაქარაშვილების შთამომავლობა. ამაზედაც მერე ვილაპარაკებთო, გაიფიქრა ბერდომ, ჯერ ის წუთი გადაეიტანოთ, ის ერთი საბედისწერო წუთი!

ძილი გაუფრთხა. პელოს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. ველარც დადიოდა და აი, ერთ დღეს გიგომ და ქეთევანმა იგი ურმათ წაიყვანეს.

ბერდომ ურდული გაუყარა წისქვი-

ლის კარს და ახლა გიუნაშვილებმა სახლ-კარში აბორიალდა. ჭიჭია-ვანა უკან დასდევდა.

— ბიჭი გინდა თუ გოგო, ბერდო? — ეკითხებოდა გულარხინი ბიჭი.

— პელოს სიცოცხლე მინდა, — ახლა კი მხოლოდ ამასლა ნატრობს, ამასლა ოცნებობს ბერდო. ბერდო ფიქრობს პელოს გადარჩენაზე. შვილი კი არა, ისიც არ დაჰკარგოს, რამაც სიხარული მოუტანა. ახლა ამ განსაცდელის ეამს შვილიც კი აღარ უნდოდა ბერდოს.

ქალები პატარა ოთახში შეკრებილიყვნენ. მამაკაცები დარბაზში ისხდნენ. მამაკაცებში იჯდა ვაჟაც. ქეთევანს მცირე სუფრა გაეშალა. ბერდო დღინოს ეძაღებოდა. ჭიჭია-ვანას ღიღის არავინ უშლიდა, სვამდა, ჭამდა და ღიღინებდა, ხანდახან ვაჟს მეგობრულად წაჰკრავდა მუჯლუგუნს და სიხარულით შემტყარი ეტყოდა:

— ბიძა ცხდები, ბიძა!

ვაჟა პირველად ხდებოდა ადამიანის დაბადების მოწმე. იქვე, კედელს იქით ქალები ფუსფუსებდნენ, ირგვლივ ჩურჩულებდნენ. ბერდო დუმს, თან უხარია, თან შიშობს. კრიჭა ეკვრის. ვაჟა ხედავს გრძნობათა რაოდენი აღრევა უსწრებდა წინ ადამიანის გაჩენას. რა აშინებს ბერდოს? რატომ არის ხანდახან თავჩაქინდრული და ფიქრმეპყრობილი, ხან კი კვლავინდებურად ამაყი?

გიგოც სვამს, სვამს ზომიერად და ბერდოს ეუბნება:

— მე უკვე ველაპარაკე ბარნას. შენ აცი მისი კეთილი გულის ამბავი. მთელ სოფელს ფეხზე დავაყენებ და ბერდოს წისქვილთან ერთოთახიან სახლს მაინც დაუუდგამთო.

ბერდო ჭიქას ეძებს. ვაჟა გადასწვდა. უნდა მიეწოდებინა, მაგრამ ბერდოს აღარ დასჭირვებია მოხმარება.

— მაღლობელი ვარ, გიგო, ყველაფრის მაღლობელი ვარ! — მხოლოდ ეს თქვა და კვლავ ფიქრში ჩაიძირა. მისი

თეანო გომოლაძე
კაცი კაცი

ფიქრა პელოს დასტრიალებდა, რა ღროს სახლ-კარი იყო!

ბერდოს ღვინო არ ეკიდებოდა. ბახუსი ვერ ერეოდა. გიგოს განთქმული ღვინო წყალად იღვრებოდა. ჭიჭია-ვანაკი დაითრო, დაითრო და სიმღერაც გააბა.

ვაჟა შეჰყურებდა ჭიჭია-ვანას და მის პრანჭვა-გრეხვანზე სიცალით იგულებოდა.

იმ ღამეს პელო მშვიდად იყო. ბერდო წისქვილს ღვთის ანაბარად ვერ დატოვებდა, მართო თავის ძაღლსაც ვერ მიახლოებდა.

მთვრალი მოყვარე თან წაიყვანა, ხალამბარზე მიაგდო და თვითონ უძინარად იყო მამლის ყიფილამდე. მერე ისევ გაუნაშვილებისაკენ გასწია. სოფელში აქა-იქ ყიოდნენ დიდ-პატარა მამლები, სხვა ბაიბური არ ისმოდა. გიუნანთ ღობეს ხელის ცეცებით გაჰყვა და ჭიჭიამდე მივიდა.

გიგო აღრე დგებოდა ხოლმე და უკვე მზის ამოსვლამდე გაასმოდა მისი საბერველის ქშუტუნის და ჩაქუჩის კაკუნები. მაგრამ ახლა იმდენად აღრე იყო, მჭედელიც დილის ტბილ ძილს მისცემოდა.

პელოს სძინავს თუ უძილობას ებრძვის და უფოთავს? უწუხელ ისე წავიდა ბერდო წისქვილში, გაუნაშვილებისთვის არაფერი დაუბარებია.

ბებია ქალი ქეთევანმა აღრევე მოიყვანა, ისიც იმავე ოთახში დააწვინა, სადაც პელო იყო. ყველაფრის თადარიგი აღრევე დაიჭირეს, რომ მერე სირბილი და თავში ცემა არ დაეწყათ. თვითონ უშვილძირო ქეთევანს ჰქონდა საამისო გამოცდილება. არა ერთსა და ორ გაჭირვებულს მიხმარებია და არა ერთი და ორი მშობიარესათვის მიუხედავს. ახლაც კურდღლის ძილით ეძინა. რა აცოდა, რომ მათ ჭიჭიკართან ბერდო მისულიყო!

ბერდო ეზოში შევიდა, ხართუთის ძირში ჭვის სკამს მიაგნო და ჩამოჯდა. საოცარი ღუმელი სუფევდა ირგვლივ,

ყრუდ, ძალიან ყრუდ ისმოდა თქმული შორეული ხმაური.

დილა დგებოდა. აივნაზე გიგო გამოვარდა და მაშინვე შენიშნა ხართუთის ძირში საცოდავად მიმჯდარი ბრმა დევკაცი. დაუძახა და იგი მაშინვე შეინძრა.

— დილა მშვიდობის, გიგო!

გიგო აივნიდან ეზოში ჩამოვიდა და ბერდოს მოუახლოვდა.

— მშვიდობის დალა გქონდეს, ჩემო ბერდო! გულმაგარად იყავ! სამჯერ განვიცადე, რასაც ეხლა შენ განიცდი. ყველაფერი სიკეთით დაბოლოვდება, პელო თავს კარგადა გრძნობს.

— შენ პირს შეაქარი! ასე არასოდეს არ მიდარდია. მუდამ გულმაგარად ვიყავ და გამოგიტყდები, ეხლა ცოტა შეშინია კიდეც.

— ეგ სიტყვები შენგან მიკვირს. ერიპა! აქამდე გულს შენ გვიყვებდი. შენც თუ ეგენი დაიწყე! — ცოტა ხმამალა მოუვიდა ნათქვამი გიგოს.

— რად მიჯავრდები, გიგო? ბერდო ისევ ის ბერდო იქნება! შენი ამაგა კი გულში იწერება.

— შენ მაგნაირ ლაპარაკს თავი დაანებე! დიდი ხანია ამოხველ? რატომ არ გამაღვიძე?

— არც ვიცო, როდის ამოველ. მამლები კი ყიოდნენ, მაგრამ მაგათ რამე დაეჯერებათ?! — ჩაიციხა ბერდომ, თავისებურა სევდანარევი სიცილით და უცებ პირისახე გიუნაშვილების სახლს ისე გაუსწორა, თითქმის იქ პელო დაინახაო.

— ცუდი აზრი შემიჭდა თავში, გიგო, დამარტყანა და გადამრია, — დაიწყო ბერდომ, როცა კვლავ დახარა თავი და ჭვის სკამზე დაჯდა, — მზე ამოვიდა თუ არა?

— ამოდის. დღეს კარგი პირი უჩანს.

— წამო სამჭედლოში, რკინის ხმა გამაგონე, მეამება. ქურასაც გაგიღვივებ.

სანამ ნახშირი გაღვივდა, სანამ რკინა გახურდა და მერე იმ რკინას სასურვე-

ლი სახე მისცა მჭედელმა, გიუნაშვილ-
ბის სახლში ყველამ გაიღვიძა.

მამაკაცები სამჭედლოში გაერთვნენ.
ვაჟა და ფეხელო სკოლისაკენ გაიქც-
ნენ.

სამჭედლოს ფარდალალა კედელს
იქით გიუნაშვილს კიშკარი მოჩანდა, ჭიშ-
კარს იქით სახლისწინა ბილიკის ნაწი-
ლი. ამ ბილიკზე თუნგულთი სამზარეუ-
ლოსკენ გაქცეული ქეთევანი შენიშნა
გიგომ, მიხვდა, რომ შინ რაღაც ხდებო-
და, ის, რასაც მღელვარებით ელოდნენ.
ბერდოს არაფერი უგრძნია. გრდემლ-
ზე ჩაქუჩის კაკუნს უხშირა, რომ ბრმა
დეკაცს არაფერი გაეგონა.

ამ დროს გიგოს საუზმეზე უხმობდა
ხოლმე ქეთევანი, მაგრამ ახლა, ეტყო-
ბა მისთვის აღარ ეცალა.

სწორედ იმ დროს, როცა ბერდო
საბერველს აქმუტუნებდა და მჭედ-
ლის საქმიანობაში გულს აყოლებდა,
მოხდა მოსახდენი.

სამჭედლოს კარმა უცებ გაიჯახუნა
და ქეთევანი გამოჩნდა. გიგომ ჩაქუჩი
დაუშვა. ქალის გაბრწყინებულმა სა-
ხემ ყველაფერი თქვა. ბერდო მისვდა,
რომ სამჭედლოში ვიღაც შემოიჭრა.
სანამ შეფფოთებული კაცი რამეს იკი-
თხავდა, ქეთევანი მოეხვია.

— მომილოცავს, ბერდო! ტყუპია,
ტყუპი!

— მართალს ამბობ, ქეთევან! პელოს
ტყუპი ჰყავს, ჰა? ყოჩაღ ქალო! — წა-
მოიძახა გიგომ.

— მართლა ყოჩაღი ქალო ყოფილა!
ბარაქალა, ბერდო! ტყუპი და ისიც ბი-
ჭები, როგორი საქმეა! ენა რამ ჩაფიგ-
დო, კაცო? შენისთანა ბედნიერება გა-
ნა ყველას კარს არის! — მუჯლუგუნი
წაჰკრა ქეთევანმა ბერდოს. გიგოც
მოეხვია და გადაჰკოცნა.

— მე რო ვერ დავინახავ? — ჩაიდუღ-
ლუნა ბერდომ, მაგრამ უმაღლესი ხმამაღლა
დაიძახა, — ქეთევან, სამახარობლო ჩემ-
ზე იყოს! კარგი ქალი ხარ, შენ ღმერთს
ვენაცვალე ჭიგარში! მამ ტყუპია, ჰა?
ბიჭებო, თქვენ კი გენაცვალეთ! ეპეპი!

ასეთი ხალხმრავლობა დიდი ხანია არ
ყოფილა გიუნაშვილების სახლ-კარში.
შინაურებიდან ყველანი აქ იყვნენ. მაი-
სის ბოლოს გორიდან ანაიდა და ქუყუ-
ნა ჩამოვიდნენ, ივნისში ალექსი შემოე-
მატათ და აგერ, ნინოც მოვიდა თავისი
მეუღლით.

სხვადასხვა მხარეს წასულ შვილებს
სხვადასხვა მხარეს მიაქვთ ფიქრი. კა-
ცის გულში დარდი ბუდობს. მაგრამ,
როცა თავს ისევ ერთად მოაყრიან,
დარდიც ქარწყლდება.

მერედა, სახლი სულ ქალიშვილები-
თა და ჭაბუკებით იყო სავსე. ახალ-
გაზრდებს სიამით შეჰყურებდა ორი
ხანში შესული აღამიანი — გიგო და
ქეთევანი.

გიუნაშვილების ოჯახის ახლანდელ
ბედნიერებას მაიხვ სდევდა უბედურე-
ბის ლანდი. ორი ვაჟკაცის დაკარგვით
გამოწვეული ტკივილი არც ისე ადვი-
ლი მოსარჩენი ყოფილა. „ისანიც რომ
აქ ყოფილიყვნენ!“ ფიქრობდა გიგო და
გული უზომოდ სწყნებოდა. ეს ისეთი
ნატვრა იყო, ნატვრად რომ რჩებოდა.
ეს მხოლოდ განუხორციელებელი სურ-
ვილი იყო.

შინაურებს გარდა, გიუნაშვილების
სახლში ბინადრობდა პელო თავისი
ტყუპით!

ივლისში ამ ბიჭებს ოთხი თვე შეუს-
რულდათ და უკვე ხელში სათამაშებ-
ელი ბოკერები გახდნენ.

პელო სულ გამოცვლილიყო. თვითონ
ჭიჭია-ვანაც კი ველარ სცნობდა თავის
დას, ფერად სასიამოვნოს, დედობის
სილალით სავსეს. რაც მეტსა და მეტს
სწოვდა ორი ბოკერა, ის უფრო და
უფრო ივსებოდა და ლაღდებოდა.
ორივე შვილს ერთად მიიკრავდა გულ-
ზე. ძუძუს კრუტუნით სწოვდნენ გამ-
გელებული ბიჭები. პელო თვალს მი-
ნახავდა და ბედნიერებით ისე უჩქუყდ-
ებოდა გული, ლამის ეტირა. მერე ორი-
ვეს მაგრად ჩაჰკოცნიდა, აკვანში ჩააყ-

თანავი მოგოლაჲმ
აჲცი აჲცითა

რავდა. ერთს იქათ გადაარწევდა, მეორეს აქეთ.

გიუნაშვილებს ესმოდათ აკვნების რწვევის ხმა, პელოს გაუბედავი ღლინნი. ალბათ ერიდებოდა, რომ ემღერა, სიმღერა კი ეწადა, მაგრამ ღლინნიც პირველი იყო მის ცხოვრებაში.

პელოს მაგივრად და სოფელში ყველა უბედურის მაგივრად ხომ მისი ძმა, ჭიჭია-ვანა მღეროდა და ღლინებდა.

პელო აკვნებთან ტრიალებდა. ბიჭებს მიაძინებდა თუ არა, წისქვილში გაიქცეოდა, რომ ქმრისათვის მიეხედა, იჭაურობას მძალაგ-მოალაგებდა, ბერლოს დააბურებდა. არც ძმას ივიწყებდა, თავის ძველ ქოხსაც მოინახულებდა, მერე გიუნაშვილების სახლისკენ გარბოდა. ახლა ყველაზე უფრო მეტად გული აქეთ ერჩოდა. მტრიალა ბიჭები არ ჰყავდა. ჭკვიანი და ჯანმრთელი ბოკვერები იყვნენ. მაგრამ დედა თვალს მოარიდებდა თუ არა, ათას რამეს გულისხეივებით ფაქრობდა. შინ მიირბენდა და გულს დაიშოშმინებდა: მის ბიჭებს ღრმა ძილით მშვიდად ეძინათ. ბოლო ღროს მტრედებევით ღულუნებდნენ. აღუს იძახდნენ და უბნის დიდბატარას სააღერსოდ იზიდავდნენ.

ერთ დღეს ჭიჭია-ვანა მოვიდა პელოსთან, შარგლის ორავე ჯიბე ამოიბრუნა და იატაკზე უამრავი სათამაშო კოჭი დაჰყარა.

— შეხედე, პელო, რამდენი დაჯდა აღჩუზე! ჩვენი ბიჭების საქმეც სულ აღჩუზე იქნება!

— ჩუმად, ბიჭები არ გამიღვიძო!

ჭიჭია-ვანამ ხელი მოუსვა კოჭებს და ოთახის კუთხეში მიხეტკა.

— ეხლა ჩიკორები უნდა მოეუფროვო.

— ეს ამდენი კოჭი სადღა იშოვნე. ბიჭო?

— ბიჭებს დავერიე. ზოგმა ნებით მომცა, ზოგსაც წავართვი. ჩიკორებსაც ეგრე შევაგროვებ.

— ძალით წართმევა ვინ გაიგონა, ვანო!

— მეც რა, ისეთ რამეს ვაგროვებო! ოჯახი დაექცევით! სათამაშოა, რა! რალა ეხლა სძინავთ ამ ღმერთადლებს! ჭამენ და სძინავთ, ჭამენ და სძინავთ. აი, მაგათ კი ვენაცვალე! პელო, საბანი ცოტაზე გადაუწი, ვაკოცებ და წავალ.

— გაიღვიძებენ, მოეშვი! შენ ჩიკორებსა და კოჭებს დასდევ, ხვალ-ზეგ კალოობა გვექნება, ყველაზე გვიან ჩვენ უნდა ვეწიოთ ხოლმე საქმეს. მოგხედე, ბიჭო, ხო ხედავ, რა დღეში ვართ. ჩადი ფირუზასთან და კალოს საქმე გამოგი, კევრს ზეგისთვის გვათხოვებს თუ არა.

— ფირუზას ბიჭს ხუთი კოჭი წავართვი და შინ აღრიალეხული წავიდა. მე იქ ვერ მივალ, სხვა გაგზავნე.

— წადი და დაუბრუნე ის ხუთივე კოჭი. ბოდიშიც მოიხადე და კევრის ამბავიც გაიგე.

— აბა, რომელი კოჭებია, რო არ ვაცი!

— კოჭი კოჭია.

— ეგრე არ არის თაყაო, შე რო მამული გაყაო! მაშ კაცი კაცსა ჰგავს და ორივე აღამიანი? ერთი მხეცია, მეორე კი აღამიანი! ერთი კარგია, მეორე ცუდი. ყველაფერში ეგრეა, ჩემო დაო: ერთი ცუდაა, მეორე კარგი, ერთი თეთრია, მეორე შავი... წავალ, ჯანი გავარდეს, აი, ამ კოჭებს წავუღებ.

ვანამ ხუთი ყველაზე მომცრო და უსახური კოჭი აარჩია, ჯიბეში ჩაიყარა და წავიდა. ჭიშკარს რომ გასცდა, შემოსძახა. უსიმღეროდ მის სიცოცხლეს ფასი არ ჰქონდა. მღეროდა სულ ერთსა და იმავეს, მაგრამ ეს სიმღერა მუდამ ახალა, მუდამ ტკბილი ეგონა.

— განგებამ ორი თვალი წამართვა და ნამატით დამიბრუნაო. — ზუმრობდა ბერდო.

სანამ ძალზე თოთოვები იყვნენ ბიჭები, ერიდებოდა. ერთხელ კი პელომ ერთი ბიჭი ერთ მკლავზე დაუწვინა, მეორე — მეორეზე. მაშინ პირველად იგრძნო ბერდომ, კიდევ უფრო რა საყვარელი ყოფილან შვალეები.

— ე რა პაწაწა ცხვირები აქვთ, — ხელს ფრთხილად უთათუნებს ბერდო თავის ბოკვერებს, — საქოჩრე კი მოცდენილი ყანასავით მოსტიტელებათ.

— შენსავით ქოჩრები ექნებათ, ბერდო.

— შავტუხა ბიჭები იქნებიან? ხო იცი, ჩვენებური კაცა შავტუხა უნდა იყოს! ახლა რა ფერისანი არიან?

— ვარდისფრად ღაღანებენ.

— ჩატუტეულები კი არიან. ოთხი თვისანი და ასე დიდრონები!

— ახლა თვალებს როგორ აბრიალებენ! ისე იხედებიან, თითქოს რამე უნდა თქვანო.

— მაგათ კა ვენაცვალე! ისეთი დიდრონი თვალები უნდა ჰქონდეთ, რაც მე დამაკლდა, მაგათ უნდა დაინახონ, უფრო მეტი უნდა დაინახონ და უფრო მეტად შეიტკბონ მზისა და ცის ფერი!..

სოფლელებმა ბერდოს ყანა მოუმკეს და გაულეწეს. გიგომ და ბარნამ ითავეს და ერთოთახიანი სახლის საძირკველიც ჩაუყარეს. ჭიჭია-ვანა ამჯერად აღარ დაზარებია დასა და სიძეს, თირის კარაერში რბილ საშენ ქვას ამტვრევდა და საღამოთი წისქვილამდე თავი ძლივს მიჰქონდა. აქ დის გაკეთებული გემრიელი კერძი ელოდა. ჩიკორების შეგროვება დისწულებისთვის ცოტა ხნით გადადო.

მალე წისქვილთან კარიერში მოჭრალი თეთრი ქვა გადმოზიდეს და ხუროებმაც ქაფჩები დაატრიალეს.

ბრმა კაცს, ტყუბის მამას, მთელი სოფელი მხარში ამოუღვა. მართალია, ოდესღაც ბერდომ ბევრს აწყენინა, მაგრამ სიკეთე წყენაზე მეტი დათესა და სამაგიეროსაც იმკიდა. არც პელოს ჰქონდა ნაკლები სამსახურა გაწეული მეზობლებში. იმდენმა კაცმა გამოიღო დახმარების ხელი, თითოს თითო ქვა რომ დაედო, სახლი კი არა, სასახლეს ააშენებდნენ.

იქვე, წისქვილთან გასტრეს საძირკველი. ერთაწმინდიდან კირი ჩამოიტანეს, თეძმიდან ქვიშა მოზიდეს. პელოს დიდი

ჯაფა დაადგა იმ ზაფხულს, მაგრამ ამათაგან რომელი შელახა იგი, ჯერ იყო და თავთავის ლეწვისას ორივე აკვანი კალოზე ურმით აატანინა, კალოს პირას ჩრდილში დაარწია და ბერდო იქვე დაუყენა. თვითონ მეკალოებს ეხმარებოდა, მუშებს სამხარს უმზადებდა, აბურებდა. ჯამებს ჩამოარიგებდა და პატარებიც ილვიძებდნენ. დაღლილი ქალი ახლა აკვნებთან ჩაიმუხლებდა, ჯერ ერთ ბიჭთან დასცილიდა ცალ ძუძუს, ახლა მეორეს მიუშვერდა საცხეს. მერე ბერდო არწევდა აკვნებს, თან მეკალოთა ხმები ეყურებოდა.

ბერდო ვეღარ ერეოდა გრძნობას და ატყობდა, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად სწყუროდა გარემოს ხილვა. ხუმრობა საქმეა, ორი სამი წელი იყო ქვეყნად და ვერაფერს ხედავდა! მერე რამდენი რამ მოემატა სასიამოვნო დასანახი! ჯერ მარტო ბაჭების შეხედვა ერთ რამედ უღირდა! რაც დრო გადიოდა, მათ ნახვას არა ემჯობინებოდა რა. სანახავი იყო საკუთარი ყანა, საკუთარი კალო... საკუთარი კერიის საძირკველი... პელოს სახის თვითეული გოჯი და ქუნჭული იცის რანაირაა, მაგრამ მისი თვალების შუქის სხივი კი არ იცის რა ძალისაა. ქალს ამ ბოლო დროს ბევრი რამ უხარია და სიხარული მის თვალებში რომ სწვრია, სწორედ ამისი დანახვა სწყურა ბერდოს.

ბერდოს ორეული უფრო მეტად გამოიკვთა, ბერდო მაგარი და იმედიანი. ბერდო უსინათლო და დაჩაგრული. ახლა ექვიც ეპარებოდა, რომელი რომელს სჯობნიდა. უნდოდა კი ისევ მაგარსა და იმედიან ბერდოს გაემარჯვნა. მაგრამ სამყაროს დანახვის სურვილი განუზომლად დიდი იყო. ეს იყო მისი სულიერი ტრაგედია და ასე ნელ-ნელა დაუნახავ ცეცხლში იწვოდა.

პელოს არანაკლები ჯაფა დაადგა სახლის შენებისას. მართალია, ეხმარებოდნენ, მაგრამ თვითონაც გულხელდაე-

თინათინ გოგოლაძე

აკაცი კავთია

რეფილი ხომ არ იჯდებოდა! ტყუბის დედა მოაქანდა, ჯერ კი სახლის კედლები სანახევროდაც არ იყო აყვანილი.

ბარნამ ხის მასალაც გამოძებნა. რეკომის ახლანდელმა თავმჯდომარემ თავისი ხელით გაურანდა და გაუსუფთავა სალამფე და საიატაკე ფიცარი და სტრაფილები.

— ზოგს უნგრევენ, ზოგს კი უშენებენ! — ამბობდა ჭიჭია-ვანა. მას ვერა და ვერ მოენელებინა გოლას კარ-მიდამოს გაპარტახება. ის კი არა, რეკომმა დროებით მისი მიწაც კი დასამუშავებლად ვილაცას მისცა და საკითხავი იყო, ის ვილაც მერე კი დასთმობდა? რაკი თავის ოფელს ერთხელ მაინც ჩაღვრიდა იმ მიწაში, ისე ადვილად აღარ შეეწეოდა. ცარიელ-ტარიელი დასტოვეს ის ბაჭი და ეგ არის!

— ეჰ, ერთი გენერალი გახდებოდეს და ყოფას გიტირბდეთ! მე განზე გავდგები და ბევრს ვიციანებ! — უთხრა ერთხელ გაბრაზებულმა ჭიჭია-ვანამ ბარნას.

ბარნამ ვერ გაიგო ვინზე ამბობდა ვანა, გენერალი გახდესო, ან ბარნას რაღაზე უნდა უტყვიროს ყოფა?

— რას ამბობ, ბიჭო, ვისათ მეამუქრები?

— გოლა რო დაბრუნდება, რა პასუხს გასცემთ? სახლი დაუნიავეთ, მიწა სხვას მიეცით.

— მიწას ხო არ მოვაცდენდით! გოლა ერთი-ორი წელი კიდევ იქნება ჯარში. ქოხი კი... ის ქოხი იყო, დაბრუნებულს სახლი უნდა. კაცი ჯანზე იყოს, თორემ, სახლსაც დაიდგამს და თუ გინდა არა-ჯევანის მთას თეძმის თავიდან ბოლოში გადმოიტანს.

— იმასაც აუშენებთ?

— იმასაც და ყველასაც. უნდა აეშენდეთ, დასაქმევ გზას კი არ ვადგევართ.

— ჰაიდა და ჰარაალო! — პასუხად შემოსძახა ჭიჭია-ვანამ, ბარნას ზურგი შეაქცია და წისქვილში შევიდა.

ერთმანეთში მშვიდად წაეწყო სოფლის საამო საღამოები. მთვარე ამოდის. ცა ვარსკვლავებით მოჭედოდა.

გიუნაშვილები ეზოში ხართუთის

ძირში, ქვის მრგვალ მაგიდასთან იჯდნენ. თბილი ღამის მყუდროება და მთვარის სხივთა ალერსი არ აძინებთ.

ღუმს სოფელი. დიდი ხანია ჩაინავლა ღაღარი გიგოს სამჭედლოს ქუთრაში. მჭედელს სძინავს. მისიანები კი სხედან და ცას გარინდებულნი შეჰყურებენ. მთვარე ჩუმად, ფრთხილად შემოდის ცაში, ვარსკვლავებით სავსე ღარბაზში და სოფლის სახლი და კარი, ღობე და სარა, ხე და ბუჩქი ვერცხლისფრად ირთვება.

წუთისოფელი მარტო შფოთვა და ძრწოლა არ არის. არის სიმშვიდე და გარინდებაც. ხანდახან სულს უზომოდ რომ სწყურია.

პელოს სძინავს. დადლილა ორი ბოკვერის დედა. სძინავს ფრთხილად, რადგან ძილში ჩაჰყვა: შუალამისას ბერდო უნდა მოვიდეს. მოდის ხოლმე, რადგან წისქვილში მარტო ველარ სძლებს.

ალბათ უკვე შუალამეცაა. ბოგირის ბერდოს ლანდი გამოსცდა. ჯოხს მოაბაკუნებს და ნელა მოდის. მთვარე ვერცხლისფერ ნათელს ახვევს. მან არც კი იცის, ამ დროს როგორი მთვარეა ცაზე. მთვარის სხივს ვერა გრძნობს, მზის ალერსი კი უზომოდ უყვარს, რადგან მზეს შესწევს კაცის გულის გახარების უნარი.

ბერდო გიუნაშვილების ქიშკარს მიუახლოვდა. ხართუთასთან შეიმშუშნენ. ბერდომ იცის ამ დროს იქ ვინც სხედან. ასეა ეს უკანასკნელი ერთი კვირის საღამოები.

— საღამო მშვიდობისათ! — არღვევს აქამდე გამეფებულ მყუდროებას ბერდო.

ხმადაბლა, ფრთხილად ესალმებიან.

— კარგი მთვარეა, ჰა? — ბერდო ეზოში შემოვიდა. წამით შეჩერდა. პირასაზე მალლა, ცისკენ ასწია და ჩაიჩურჩულა, — მართლა კარგი ყოფილა!

და მან დაინახა მთვარე. დაინახა ისეთი, როგორიც ახსოვდა. მთვარეს რა შესცვლიდა! ცაში არაფერი იცვლება, რადგან ცა მარადიულია. მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს მუდამ დაინახავს ბერდო.

ბაღადა უკვდავებისა

ჯერ — ტყე, მინდორი...

მერე — წყალი....

მერე — ხმელეთი...

გამწყვრალი მზერა და ცისფერი ცრემლი
გუგებში...

მირბის მერანი, —

ამოოხვრით მერამდენეთი

მხედარმა ხეებს ნიავევით უთხრა ნუგეში.

მირბის მერანი —

ნაფლოქვარი ემჩნევა მიწას,

როგორც უსაზღვრო სივრცე რჩება

მხედრის ხსოვნაში;

კაცს უმზეობამ და სიმძლავრემ გადაავიწყა

გულით ღიმილი და ბოდბეში ბედის წინაშე.

მირბის მერანი —

ინგრევა მთებში...

მიჰქრის მერანი —

ზღვა დღეღ იქცა;

მხედრის თვალთაგან აღმონახეთქი

ელვა ბილიკად განერთხო მიწას;

საყურეებისოდენა ცრემლი

მერანს

ეფრქვევა.

ცისფერ ფაფარში...

ეს — ტირილია ცისა და მიწის,

ეს — სიკვდილია...

მაგრამ — ზღაპარში...

მირბის მერანი —

სივრცე ისევ სავსება ბინდით;

ირყევა ღამე

მშფოთვარ სულთა საყდრის მახლობლად...

გაუვალ ტყეში უღალავი მერანი მირბის, —

ნაფლოქვარები ირმებს ჰყოფნით

გადასახლტომად.

„— გამოჩნდი, მზეო!“ —

დადგა ზრიალი,

ცხრაკლიტულები იმტრევა თითქო...

გაყინულ ჰაერს ცეცხლი მოედო —

ციდან ღვთიური მოღვენთავს სითბო...

ეჯახებიან მკერდს ღამეები,

როგორც კლდეს ტალღა მღვრიე მდინარის...

მიღმა ხმა ისმის უკვდავებისა:

— ჰეი, ვინ მოდის!

— ჰეი, ვინ არი!

სად იყო დილა...

სად იყო მზე...

სად იყო დაღლა...

ახლა მზე იგრძნო და მხედარი ტირის


ბავშვივით...

ობოლი ცრემლი უკანასკნელ ღიმილში

ჩაღღვა

და... უკვდავების მკლავზე მოკვდა

ბარათაშვილი.



ბარათაშვილის ღამე

ცხელი მაჯები გასცივებია,
ვერ უშველია დედას,
თეთრ ქვეყანაში ჩასძინებია,
გზებზე დაჩანცულ მხედარს.

უცხო სიზმრები ესტუმრებიან,
გაუნათებენ თვალებს,
თვალეში ისევ მზე და მთებია
და საქართველოს მთვარე.

ვერ დააღონებს ახლა ვერავინ,
მტკვარი შრიალებს მკერდში,
მოელანდება — ლურჯი მერანი
ბრწყინავს აპრილის მზეში.

ცაო, უთეტრეს ქვეყნად იზრდები,
მან შენ გიპოვა ბედად,
შეთრთოლდებიან უცხო სიზმრები,
ეფერებიან მხედარს;

მთვარის თეთრ ფოთლებს შემოიფენენ
და გაჰყვებიან ბილიკს,
და სძინავს ტატოს თავის ცისფერი
და საიდუმლო ძილით.



„მთემიგონებებით უარსიგზ მგოსნს...“

ბალაქგიონ ზაბიძე

1. რისთვისაა, რომ ბარათაშვილის (ისე როგორც ზრ. მრბი-
ლიანის) რითმები არ მისდევინ რუსთაველის ხაზს — ნამდვილ
რითმას ქართული მახვილებით, შეუღარებალი მუსიკალური
რითმებით?

2. ხომ არ არის ამ ერთგვარი გავლენა ანტონ კატალიკოვის
„პოეტიკისა“?


3. ხომ არ იბულისხმება ის გარემოება, რომ ბესიკმა მების-
მეტად გაამჩაბა რითმა, ისე როგორც ალ. შავჭავჭავაძე. შეიძ-
ლება ამ რითმამ დაჰკარბა რუსთაველის სიმახვილე და მოგა-
ბაზრებული გახდა?

4. ერთი სიტყვით, ჩვენ ფაქტთან გვაქვს საჭმი. ბარათაშვი-
ლის მიერ უარყოფილია რითმის ისე გაგება, როგორც ესმოდა
რუსთაველს. ბარათაშვილი ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ
შინაგან რიტმს.

ამ ბარათაშვილი უმრდობა სავსებით რუსთაველს. ორი მე-
რანია: მერანი ამთანდლიის, მერანი ბარათაშვილის, ისინი
სხვადასხვანი არიან. საჭირო იყო მათი შედრთება.

5. და ეს მოვანახბა მე. ჩემი მერანი შეთავსებაა ამ ორი
სხვადასხვაობის: რუსთაველის რითმის დაცვა, ბარათაშვილის
რიტმის გამოყენება, აზრის გაღრმავება, აი — „ლურჯა ცხი-
ნები“.

6. ეს ეხლა სქემაა, მაგრამ ყოველივე ამას უნდა გავლა, გა-
ღრმავება.



შოთა ნიჟინიძე

მარადისობის ზეპირი

როგორც ბიბლიის ათი მცნება ამომწურავად გამოხატავს ქრისტიანული მსოფლმხედველობის მთელ მორალურ კოდექსს, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია (37 ლექსი და ერთი პოემა) უპასუხებს ფილოსოფიურ-ზნეობრივი ხასიათის მთელ რიგ ურთულეს პრობლემებს. ნ. ბარათაშვილს მხატვრულად დაუშუშავებელი არ დარჩენია ადამიანური ვნებათღელვისა და ცხოვრებისეული ჭირ-ვარამის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მისი ლექსები ამ საჭირობორთო საკითხების მხატვრული ფორმულებია, მაგრამ ყოველგვარი მხატვრული შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ღირებულია, არა საკითხების ფართო წრით, არა პოზიციონრით, არამედ მათი წარმოსახვის სიღრმით, შთამბეჭდაობით, მხატვრული ფორმის ძალმოსილებით. და სწორედ აქ მთელი სიღრმითა და სიმალლით წარმოსდგება ნ. ბარათაშვილი, რომელმაც თავის მოქალაქეობრივ პოეზიაში, როგორც ნოვატორმა შემოქმედმა, ერთ პარმონიულ მთლიანობად აქცია ერთმანეთის გამომთიშველი ორი შემოქმედებითი საწყისი: ემოცია და განსჯა, ნ. ბარათაშვილის პოეზიაში განსჯის ელემენტი განცდის სიმძაფრით, შემოქმედებითი ტანჯვით არის დაძლეული, ხოლო, მეორეს მხრივ, ემოციური წნევა ყოველთვის შეჯერებულია აზრობრივი სიცხადით. აზრი გადადის გრძნობაში და გრძნობა კონკრეტდება აზრში. ამიტომ ძნელი სათქმელია, რა არის მისი სულიერი განათებების შინაგანი პირველობიკი — აზრი თუ განცდა.

ჯერ კიდევ ნოვალისი ამბობდა: პოეზია ფილოსოფიის რაინდიო, და მართლაც, რომანტიზმის პოეტიკა ქადაგებდა პოეზიის და ფილოსოფიის ერთიმეორეში გადასვლას, წიაღისეულ გადაზრდას. აქ შემოქმედებითი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი გარემოება: თუ ეს ორი შემოქმედებითი ფენომენი მხატვრულ ფაქტში ერთმანეთს დაასუსტებს ან ერთიმეორის ხარჯზე გაძლიერდება, ე. ი. თუ შემოქმედებით ექსტაზში წინასწარგანზრახულობის მომენტი შეიჭრება, მაშინ მოხდება შთავგონების გაწყვეტა, ხოლო სადაც შთავგონება წყდება, იქ პოეზიისათვის ადგილი აღარაა. საბედნიეროდ, ნ. ბარათაშვილის შემოქმედება პოეზიისა და ფილოსოფიის ახალ, უფრო მაღალი კატეგორიის თვისობრიობად გარდასახვის ნიმუშია, ვინემ ცალ-ცალკე აღებული პოეზია და ფილოსოფია. მისი აზრი მგრძნობიარეა, მისი გრძნობა — გააზრებული. ამ ორი შემოქმედებითი საწყისის მთლიანობით აღბეჭდილი ბარათაშვილის მხატვრული ხილვები წარმოადგენს საგნისა თუ მოვლენის მრავალპლა-



ნიან დახასიათებას, ზოგჯერ მთელ ისტორიას, მაგალითად, გადმოგვცემს არა ნაპოლეონის რთული პიროვნების მთელ არსს ერთი სტრიქონი:

თვითონ სამარეც მევიწროს, თუ ტოლი მყევანდეს.

ანდა ადამიანური მოღვაწეობის მთელ საზრისს:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

ნ. ბარათაშვილის რომანტიულ ხილვებში ერთმანეთს ჰკვეთენ შუქ-ჩრდილები, რეალური და იდეალური ხმები, ფერადი ოცნებები და მკაცრი სინამდვილე, იმედი და სასოწარკვეთილება. ლოცვა და წყევლა, ცხოვრების მიღება და ბედთან შეუთრეგებლობა.

ერთმანეთს სცვლის რწმენა და ეჭვი, ერთმანეთს უპირისპირდება პალმის-რტოიანი ანგელოზი და მახვილსიანი დემონი.

ნ. ბარათაშვილი ახალი ევროპული სკოლის პოეტად არის მიჩნეული. არა მგონია, მთლად სწორი იყოს ასეთი მოსაზრება. მართალია, მან ერთადერთმა ქართველ რომანტიკოსთან შორის მაშინდელი მხატვრული გემოვნების რეფორმაცია მოახდინა და მისი პოეტიკა, მოტივები თუ ინტონაციები ძირითადად ევროპული ყადისაა, მაგრამ ნ. ბარათაშვილის ლაპიდარულ სენტენციებად მოჭრილი ფრაზა და საერთოდ მისი შემოქმედების ჭარბი აზრობრივი და ემოციური სიკცხადე მაინც აღმოსავლური კულტურის ტიფურიდან მომდინარეობს. ამიტომ ნ. ბარათაშვილის ეროვნული პოეზია საინტერესოა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური მხატვრული კულტურის წახანაგით.

მინდა ავღნიშნო ბარათაშვილის პოეტური გამძლეობის ერთი მექანიკური საიდუმლოება. მასთან უხვად გვხვდება ე. წ. ვაჟური რითმა, ვაჟური რითმის მოძალეა იმდროინდელ ქართულ პოეზიაში შეიძლება რუსული პოეტური კულტურის მექანიკური გავლენითაც აიხსნას. ყოველ შემთხვევაში, ბარათაშვილს რომ თავის დროზე უფრო სრულყოფილი რითმებით ეწერა, — დღეს მისი ტექნიკური ოსტატობა დღევანდელი ლექსის ტექნიკურ კულტურასთან შედარებით მაინც ღარიბულად გამოჩნდებოდა და საბოლოოდ წამგებიანი იქნებოდა. ახლა ბარათაშვილის სტრიქონთა უმრავლესობა თეთრი ლექსივით აღიქმება. ეს გარემოება არ არღვევს მათ მხატვრულ მთლიანობას, პირიქით. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

ტექნიკური პოეზიისათვის მთავარია არა ტექნიკურ-ვერსიფიკაციული უნგლიორობა, არამედ აზრობრივ-ემოციური სავსეობა.

მიუხედავად ბოხოქარი ვნებათაღელვისა, თავდავიწყებამდე მისული ვაჟკაციური შემართებისა, ნ. ბარათაშვილი ჩემთვის მაინც უნაზესი და უსათუთესი ლირიკოსია. მისი პოეტური ინტონაციები ყოველთვის რბილი და სალუქია, მიშველი სულის ვიბრაციებია. თუნდაც მერანის სრბოლა ავილოთ. ბარათაშვილის მერანი ზღაპრული რაშია, იგი ფლოქვებსაც კი არ აკარებს მიწას, ისე გადალახავს რეალურ თუ მეტაფიზიკურ ზღვარს. მართალია, სტრიქონებიდან უსაზღვროების რღვევის ხმაც კი მოისმის, მაგრამ უსაზღვროების დაძლევა-გადალახვა შესაძლებელია არა ფიზიკურად, არამედ ინტელექტუალური და სულიერი წვდომით, ბარათაშვილის პოეზიაში ფიზიკური საგნები თითქმის მატერიალურობას კჳარგავენ და რაღაც იდეალურ პაეროვნებას იძენენ, როგორც ეს

„მოვიკონებათ ყარბაზ გგონანა...“



ლოცვის ექსტაზს, აზროვნებას და შთაგონებით გაბრუებას შეფერის... თბილისში
ეს საგნები დიდი ვნებების დუღილში გადაიხარშა, გაილია და სულად იქცა.

შორსა ვარ ფერთა ყოველგვარი მისტიკისაგან, მაგრამ ბარათაშვილის
სტრიქონები ყოველთვის ცისფერი მეჩვენება, ცის ფერით ნაზი და სპეტაკი,
მაგრამ იქნებ ცისფერია უსაზღვროებისა და მარადისობის ფერი?

მოკის უოცნიშვილი

უკვდავების გზით

ბარათაშვილი მყინვარწვერივით დგას ქართული პოეზიის კავკასიონზე.

ხანდახან დროის ქართვან აბობოქრებული ნისლი და ღრუბელი შემოეხ-
ვევა ხოლმე მის სიდიადეს, მაგრამ იგი, როგორც მერანი, არად ავდებს თვალ-
ბედითი შავი ყორნების ჩხავილს და მზესთან წილნაყარი უკვდავების გზით მხო-
ლოდ და მხოლოდ სინათლისაკენ მიისწრაფვის.

მისი პოეზია ადიდებული თერგ-არავივით აწყდება ქართველი ხალხის
გულის კალაპოტს. იგი აფართოებს, ავსებს, აპოზიერებს და აცოცხლებს ჩვენი
გონების უმყარეს ნიადაგს, რომელზედაც მარადიული სიმწვანით ხარობს ზე
ცნობადისა და სიკეთისა.

დღეს, როგორც არასდროს, ისე შეიგრძნობა მისი ფიქრი, მისი სიყვარული,
მისი მამულოშვილობა, მისი გენია; ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათელი შარავან-
დები ადგას ჩვენს სიმღერა-საგალობელს, რომლის შუქ-ჩრდილებში ნათლად
გამოსჭვივის:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.

როდესაც დიდი პოეტის იუბილეს იხდის ერი, უცნაური და ზეაწეული, აღ-
მატებითი საზეიმო განწყობილება ეუფლება ადამიანებს. იწერება ათასგვარი
განოცვლევა. ლიტერატორები გეოლოგებივით ეძიებენ ჟამთა მტვერ-მტუტით
დაფარულ მთებად ქცეული ისტორიის ლაბირინთებში პოეტის შესახებ არსე-
ბულსა და არარსებულ ცნობებს; ფსიქოლოგებივით ანალიზებენ იუბილარის
პიროვნებას, მის ხასიათს, ტემპერამენტს, იკვლევენ ეპოქას, აზუსტებენ ყოველ
ნეგატიურსა თუ პოზიტიურ დეტალს, ამტკიცებენ პოეტის განსწავლულობას
და ერთსულოვნად ცდილობენ ეპოქალური ადგილი მოუწახონ მას ლიტერა-
ტურის განვითარების ისტორიაში.

პეშმარიტი შემოქმედის იუბილე შემოქმედებითი პროცესია, სახალხო
აღიარებაა სულის უკვდავებისა, დასტურია სილამაზის სიმამინჯეზე გამარჯვე-
ბისა, ბნელზე ნათელის აღმატების ჩვენებაა, ბოროტის კეთილით ცვლის აუცი-
ლებლობის დემონსტრირებაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს დღეებში ათასი ფიქრისა და ოცნების
ფრინველი ბარტყობს ადამიანის მაღალი რწმენის ბუდეში. ბარათაშვილის

ცხოვრება, შემოქმედება, ბედი თუ უბედობა მარადმოქმედი ვულკანით ისტორიის მდულარე ლავად უამრავ პრობლემას, რომელთა გადაწყვეტა საუკუნეთა ხვედრია.

ისტორია და დრო ყველაზე დიდი და ყველაზე პირუთენელი მსაჯულია და განმკითხველი.

იგი მათემატიკური სიზუსტით ცხრილავს ყველაფერს: ავსა და კარგს, დიდსა და პატარას, უმნიშვნელოსა და მნიშვნელოვანს...

ბედი თუ უბედობა დროის წინაშე არაბოძად ქცეულა მუდამ.

ყველა დროის უდიდეს პოეტად დაბადებული ბარათაშვილი სახელმწიფო კანცელარიის უბრალო მოხელედ მოჰკლეს. მაგრამ პოეტად დაბადებული პოეტად რჩება და უკვდავების გზით მიემართება.

მხოლოდ გული გწყდება, რომ თანამედროვენი ვერ მიუხვდნენ სულის საწადელს, ვერ დააფასეს, ვერ მოუარეს, ვერ გაახარეს ღირსი სიხარულისა და სიყვარულისა, შემოქმედი, რომელიც სხვათა ბედნიერებისა და უკვდავებისათვის იფერფლებოდა. ისტორია ხალხთან ერთად ბრალს დებს ყველას, დიდსა და პატარას, სახელმწიფო გამგებელსა და მსაჯულს, ბრძენსა და სწავლულს. „მეფის ღენერალს“ თუ რიგით ჯარისკაცს, ვინც პოეტს ვერ გაუგო, ვინც მოცალეობის ჟამსაც კი გულისყური არ ათხოვა მგოსანს, ვინც გულგრილობის ტყვია ესროლა ხალხისათვის თავგანწირულ მხედარს.

ვინც ჭეშმარიტ პოეტს არ უსმენს, ის არც ხალხს უსმენს, რადგან პოეტი ხალხის გულისთქმას გამოხატავს!

ვინც პოეტს ტყვიას ესვრის, ის ხალხს ესვრის, ტყვიას, რამეთუ პოეტის გული ხალხის მკერდში ძვრის.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველაზე უფრო თანამედროვე პოეტია თანამედროვეთა შორის. მისი პოეტური კრედი, მისი პატრიოტიზმი, მისი ჰუმანიზმი, მისი თავგანწირულობა შთამომავლობისათვის, მისი რწმენა — „ცუდად ხომ მანც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება...“ მისი პოეტური სულის სიბრძნე — „მაშა ღუმლიც მიმივალენ შენდამი ლოცვად“, რაც დრო გადის, მეტ სინათლესა და სიცხადეს აცისკარებს, მეტ ჟღერადობასა და სიღრმეს იძენს. ჭეშმარიტი პოეტის უკვდავება პოეზიის უკვდავებაშია. ადამიანი პოეტია. ადამიანი-პოეტი სამგზის პოეტია, რომელიც ადამიანის ბედნიერებისათვის ცოცხლობს და იწვის ჰუმანურობისა და სათნოების, სიმშვიდისა და სიკეთის ტაძარში, რომელსაც პოეზიის ტაძარს ვუწოდებთ.

პოეზია ყველგან არის — საგანში, ნივთში, ბუნებაში, მაგრამ ყველაზე მძაფრად ის ადამიანშია გამოხატული.

ადამიანი ხომ გვირგვინია პოეზიისა.

პოეტურის დანახვა-აღმოჩენა ადამიანის ხვედრია და ეს პროცესი ნიადაგ შვებისმოგვრელია მისთვის. სული სიხარულს განიცდის პოეზიის შეგრძნებით. ადამიანის ხასიათი პოეზიასთან ურთიერთობით ყალიბდება. რაც უფრო დიდია ეს სიახლოვე და ურთიერთობა, მით უფრო ძლიერია ადამიანი, მით უფრო ბედნიერიც.

პოეზია ამოუცნობის ამოცნობაა, მიუწვდომელის წვდომა, მოკვდავის გაუკვდავება.

საქართველოს ხომ პოეზია აცოცხლებდა უპირველეს ყოვლისა. ქართველი კაცის საგალობელი და სალოცავი ლექსად თქმულა. ქართველი ლექსად იტყოდა აღსარებას, ლექსით ლოცულობდა, ლექსით მოქმედებდა, ლექსით ხნავდა

„მოვიგონებდით ჟარიზს გოგონას...“

და ლექსით იმკიდა მოსაველს, ლექსით იქარვებდა დარდსა და ნადველს, სით იშუშებდა იარას, ლექსით ოცნებობდა, პოეზიით სუნთქავდა, ლექს-სიმღერით არწევდა აკვანს და საწუთროსაც ლექსებით ეთხოვებოდა.

ამიტომაც იყო მარადის სულით ძლიერი, მტკიცე, ამალღებული, განსპეტაკებული, მეგობრული, მოყვარე და მეომარი, მიჯნური, მომღბენი, ბრძენი და ფილოსოფოსი.

სწორედ ამიტომ იბრძოლა მან თავისუფლებისათვის, სიმღერის თავისუფლებისათვის, მარადყამულად ახსოვდა რა დიდი პოეტის სიტყვები:

„რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული?!“

დადგა ის დრო, როდესაც დიდი წინაპრის კვალდაკვალ მიმავალთ უფლებაცა აქვთ ამაყად განაცხადონ გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებით:

სიკოცხლო, მამულო!

მძაფრი, არა-ფარული

შვილთა შენთა ხმამაღლა

სოქან შენი სიყვარული! •

პანკაძე პანკაძე

ჩემი ბარათაშვილი

ბარათაშვილის პორტრეტი არ არსებობს.

და რადგან ბარათაშვილის პორტრეტი არ არსებობს, ყველას თავისებურად წარმოუდგენია პოეტის სახე.

ყველას თავისი ბარათაშვილი ჰყავს.

მეცა მყავს ჩემი ბარათაშვილი.

თავდაპირველად ეს იყო ყარბიზ მგოსანი, რომელიც ძალიან ადრე გარდაიცვალა, რომელმაც ძალიან ცოტა ლექსების დაწერა მოასწრო, რომელსაც არც ერთი თავისი სტრიქონი დაბეჭდილი არ უხილავს.

შენდეგ ამ ყარბიზ მგოსანს მთელი მსოფლიო ეპატარავა, მთელი სამყარო ევიწროვა.

იგი ამხედრდა თავის მერანზე და ისეთი ქარიშხალი დაატრიალა ირგვლივ, რომ სიტყვებმა მნიშვნელობა და წონა დაჰკარგეს, გაქრა ღრისა და სივრცის შეგრძნება, წაიშალა გეოგრაფიული საზღვრები და ერთ არსებად ქცეული მხედრისა და მერანის ცალ-ცალკე წარმოდგენა შეუძლებელი გახდა.

ეს არ იყო არც მხედარი და არც მერანი (როგორც ხატავენ ხოლმე).

ეს იყო... ეს არის ამხედრებული, ამბოხებული, აჯანყებული სული, რომელიც დედამიწის მიზიდულობის ძალას გაჰქცევია, რომლისთვისაც აღარავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს.

ეს არის „განწირულის სულის კვეთებით“ აღსავსე ოცდათექვსმეტი სტრიქონი. ალბათ მეტს ვერც გაუძლებდა ადამიანის ტვინი და ნერვი.

ალბათ ამდენსაც ვერ გაუძლებდა, ხანგამოშვებით რომ არ იცვლებოდეს მძაფ-
რი რიტმი ოცდათექვსმეტი ხანგრძლივი სტრიქონისა.

არ შეიძლება შეუთრევადი სულის ეს აღსარება ისე წაიკითხოთ, სხვათაშორის
წაიკითხოთ, მეტროში წაიკითხოთ ან წამოწოლილმა წაიკითხოთ.

ზოგან ეს ოცდათექვსმეტი სტრიქონი მუსიკალურ ნაწარმოებად უფრო აღიქმე-
ბა, და ამდენად და ამიტომ მისი თარგმნა თითქმის აღარ შეიძლება, თითქოს
აღარც არის საჭირო.

უსმენთ ლირიკული შესაძლებლობის უკიდურესობამდე დაძაბულ ამ ოცდა-
თექვსმეტ სტრიქონს და თქვენ იმუხტებით მაღალი ძაბვის პოეზიით, უკვე ფეხი
მიწაზე აღარ გიდგათ, თითქოს მოთმინების ბორკილებს იხსნით და წყვდიადიდან
მზეზე გამოდიხართ.

ეს უკვე აღარ არის მხოლოდ პოეზია.

ეს უფრო მეტია, ვიდრე პოეზია.

ეს არის პოეზია პოეზიისა.

მეხარ კიხაიშვილი

სიანხლის პოეზია

ყოველი დიდი შემოქმედი სხვადასხვა ეპოქებსა და თაობებში ახლებურად,
ახალი ელვარებით განაგრძობს ცხოვრებას. ნიკოლოზ ბარათაშვილი იმათა-
განია, ვისი პიროვნება და შემოქმედებაც ყოველ დროში მოწიწებას და გაცე-
ზას იწვევს. ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია ის დიდი გონებრივი სიმწიფე,
რასაც პოეტი ადრეულ სიჭაბუკიდანვე იჩენდა.

უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბარათაშვილის მასწავლებელი იყო
თავისი დროისათვის უგანათლებლესი ადამიანი და მოაზროვნე სოლომონ დო-
დაშვილი. სოლომონ დოდაშვილის მაგალითი განსაკუთრებით ნათლად მეტყ-
ველებს მასწავლებლის, მოძღვარის როლზე კაცის ცხოვრებაში. მაგრამ ისიც
უნდა ითქვას, დოდაშვილისა და სხვა ოსტატთა მეცადინეობა ამაო იქნებოდა,
თვით შეგირდი რომ არ ყოფილიყო ღვთიური მადლით ცნებულნი. „მარტო
წვრთნას“ არასოდეს გამოუღია ნაყოფი, მთავარი იყო, რომ თესლი „ქაუყა-
ნასა კეთილსა დაეთესა...“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ძირითადი დამსახურება ის არის, რომ მან შექ-
მნა ქართული ლექსის სრულიად ახალი ტიპი, მოიტანა ახალი პოეტური აზროვ-
ნება, ახალი თემები.

ბარათაშვილმა შეისისხლხორცა რუსული და ევროპული კულტურა, თავისი
სულიერი ინტერესებით დადგა მსოფლიო პოეზიის დიდ გზაზე, მაგრამ მის
შემოქმედებაში, როგორც მაკოცხლებელი ძალა, გამოკვეთილად ჩანს ჩვენი
ხალხური პოეზიის ნიადაგ მფეთქავი ძარღვი.

პოეტის ზოგიერთ ლექსში გასაოცარი ძალით ვლინდება საუკუნეებში გა-

მოცილი ხალხური სისადავე და სილადე, რასაც, უმთავრესად, ინტონაციაში
ქმნის:

თქვენი ჰირიმე, თუშებო, ბიჭობა თქვენი ქებულა...

ან კიდევ:

დედისერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!..

ამით იმის თქმა როდი გვიწევს, თითქმის ხალხური მოტივები და კილო წარმმართველი იყო ბარათაშვილის პოეზიაში, უბრალოდ, გვსურდა კიდევ ერთხელ აღგვეჩინა, რომ ისეთი მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე პოეტი, როგორიც „მერანის“ ავტორი იყო, მყარად იდგა ეროვნულ ნიადაგზე.

მისი შედევრების ყოველ სტრიქონში უზომო პოეტური ენერგია, მუდმივად მოქმედი ძალაა ჩაბუდებული. ამიტომაც, რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხოთ ეს ლექსები, ყოველთვის ახალი ძალით ბრწყინდება პოეტის განუყოფელი ხილვები, სულ უფრო და უფრო ღრმად ჩავდივართ მძლავრი გონების შუქით გაჩირაღებული მისი საუფლოს წიაღში.

პოეტის თვითმეტყველებას, თვითმეტყველებას უდიდესი ტანჯვისა და სიზარულის ბეჭედი აზის. ყველაფერი დასთმო, ყოველი წამი და სუნთქვა შესწირა იმ ერთს, რასაც პოეზია ჰქვია.

ბარათაშვილი მუდამ ცოცხალი მაგალითი იქნება იმისა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს მშობელი ხალხი, მშობლიური ლიტერატურა. მასავით უნდა შევხაროდეთ ყოველი ახალი და კარგი ნაწარმოების გამოჩენას, მასავით თავდადებულად უნდა ვიღვწოდეთ ჩვენი მწერლობის გაძლიერებისა და გამდიდრებისათვის. პატივს უნდა ვცემდეთ სხვა ერთა კულტურას და ჩვენსაც არ ვვიწყებდეთ.

გავიხსენოთ, რა ცხოვრებისეული სიბრძნით აღსავსე სწერდა იგი ზაქარია ორბელიანს: „ათასი რომ ვიჩაჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება...“

რაოდენ სასიხარულოა, რომ ქართველმა ხალხმა გაასკეცებული სიყვარულით შემოსა თანამედროვეთაგან გაუგებელი და დაუფასებელი გენიის სახელი, რაოდენ სამაყაა, რომ მისი დაბადების ასორმოცდაათ წლისთავს ასეთი ზეიმით აღნიშნავს ჩვენი დიდი სამშობლო, მთელი მოწინავე მსოფლიო.

ჯანსუღ ჩაჩქვიანი

„ნიჭთა კეთილთა უსვალ მოჩვეული“

ჯაცი ყმაწვილი, სულისმშვიდობაწარმოქმნი, მხდალთა განამხნევებელი, მხნეთა განმადვიებელი, დიდი მიჯნური და კოჭლი ჯარისკაცი...

ღიახ, საქართველომ მისი ღვაწლი ვერ დაიდუმა, —

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

იგი დიადი, გრძნობდა და აზროვნებდა, იტანჯებოდა და ნეტარობდა, რადგან ყოველი სხვა სიცოცხლე არის სიკვდილი და სხვა არაფერი.

„მე მინდა ვიცოცხლო, ვიზროვნო და ვიტანჯო“, — ასე თქვა ბუშკინმა. ტანჯვა და აზროვნება, ბედის სამძღვარს მიღმა ქროლვა და მხედრული შეუდრეკლობა იყო ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

ჰოვია ტაძარი, ტაძარი, რომელშიც ენთო წმინდა ლამპარი, ციური ანგელოსების გალობით სავსე.

მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს.

განჭრა ტაძარი და უღაბნო ჩემდა მღუმარებს.

ყველაზე ნათლად სწორედ ამ ფილოსოფიურ ლექსშია თქმული ყოფა და წუთისოფელი, ადამიანის ტანჯვა და ნეტარება, წმინდა სიყვარული და წყვდიადის დასადგურება. მაგრამ ეს მაგრამ, უაღრესად ფილოსოფიური მაგრამ, ჩემის აზრით, ბარათაშვილის პიროვნებისა და პოეზიის ჭეშმარიტი გასაღები გახლავთ.

მაგრამ საწუთრო, განა ვისმე დიდხანს ახარებს.

დიახ, დამაშვრალობა და შეუდრეკლობა, უნუგეშობა და ნეტარება, ბევრჯერ შეძრწუნებისა და გარდუვალობისგან წარმოშობილი სიმამაცეც, არის ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი გზა ჭეშმარიტებისაკენ. რას ნიშნავს შეძრწუნებისაგან წარმოშობილი სიმამაცე?

ახლავე მოგახსენებთ:

მანც რა არის, ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,

თუ არა ოდენ საწყაული აღუგებელი.

ამბობს ნიკოლოზ ბარათაშვილი და ისევ მაგრამ: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შეილნი სოფლისა, უნდა კიდევცა მივსდით მას, გვესმას მშობლისა; არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს; იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

დიახ, ეს სისხლითა და ბრძნული ძიებით მოპოვებული მაგრამ, არის უდიდესი კავშირი ორ ბარათაშვილს შორის, ბარათაშვილ დამაშვრალსა და ბარათაშვილ თავგანწირულ მხედარს შორის.

მაგრამ, ამ ფილოსოფიურმა სიტყვაკავშირმა, საქართველოს მისცა ერთი ბარათაშვილი, ბარათაშვილი პიროვნება და პოეტი.

მორბის არაგვი, მეც ცხენს ვაძოვებ და თვალს ვატყუებ, თვალს წყალს ვაღლეინებ, შენ მე დამყურებ მოწყენის თვალთ გარდმოშზირალი, დღეიქრებულის, „ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული“.

შენ მეუბნები, რომ „მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული“.

შენ მეკითხები, რომ „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება:“

მე მოგახსენებ: „აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა“.

„და ესკამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენი ძენი“.

მორბის არაგვი...

და შენ ღუღუნებ:

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს, მაშინ ვიღამ სთქვამს მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..“

—

„მ ა გ რ ა მ რადგანაც კაცნი გვქვან — შვილს სოფლისა,
უნდა კიდევაც მივსდით მას, გვესმას მშობლისა.“

„მ ა გ რ ა მ მე მხედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ.“

„მ ა გ რ ა მ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა.“

„მ ა გ რ ა მ გაჩნს კიდევც გულში მის არე,
გიყვარს ყაბახის კარგი და ავიც.“

„მ ა გ რ ა მ რას ხედავ აწ კრული ჩრდილოს?“

„მ ა გ რ ა მ საღ ვნახო შენი ღიმილი“

„მ ა გ რ ა მ სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა“...

.

ჩემთა ბაგეთ კი რაღა დაუშთ შენდა სათქმელად? ესდუმვარ და გისმენ,
„მაშა ღუმილიც მიმიტვალენ შენდამი ლოცვად“.

მორბის არაგვი....

და შენ ღუღუნებ:

„მ ა გ რ ა მ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი ღიდ-მშვენიერი“.

„მ ა გ რ ა მ ამას ვწუხ, რომ უქამოდ მეღების ბოლო!“

„მ ა გ რ ა მ ჩინარი, მაღლად მჩინარი ღვას მედიდურად და სიამაყით.“

„მ ა გ რ ა მ ძლიერად, ღაიტანჩების მარად მიჯნური“.

„მ ა გ რ ა მ რა მეფე ჭარასა უყურებს, მას გამარჯვება არღა ახარებს“.

„მ ა გ რ ა მ, პოი, გვირნო, ნუ შეშფოთდებით“.

„მ ა გ რ ა მ მნათობმა შეუქისა ნაცვალ ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს“.

„მ ა გ რ ა მ იუდა ქამს ეძიებდა“.

„მ ა გ რ ა მ ცუდ თუო ყოველი ღონე“.

„მ ა გ რ ა მ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება, სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება“.

„მ ა გ რ ა მ ირაკლიმ უქეთეს უწყის, თუ ვით საყვარელ არს ქართველ შორის“.

„მ ა გ რ ა მ ამოო იყო ყოველი: ღიდა ხანია გულს ირაკლისა გარდუწყვეტია ბედი

ქართლისა!“

ჩემთა ბაგეთ კი რაღა დაუშთ შენდა სათქმელად?

ესდუმვარ და გისმენ: „მაშა ღუმილიც მიმიტვალენ შენდამი ლოცვად“.

მე გეუბნები: „სადაც აქამდი ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
ძუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!“

მორბის არაგვი...

შენ მე დამყურებ დაფიქრებული, „ნიჭთა კეთილთა უხვად მორკმული“....
და შენ ღუღუნებ:

მ ა გ რ ა მ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!

მიტხზავს გვირგვინსა ღიდებისას მე თვითონ ბედი,

ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;

ქამი ჩემია და ქამისა მე ვარ იმედი.

ღიახ, საქართველომ შენი ღვაწლი ვერ დაიდუმა, რადგან—

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაინდების,

საშვილიშვილოდ გარდაეცემის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ტაპარი

მისთვის ეს ქვეყანა არც უძირო ცის თავანით თავდებოდა და არც ღრმა სამართით. ანჩისხატის ტაძრის გვერდით, სადაც ახლა სამარეკლოზე მტრედები დუღუნებენ და ეზოში სარეცხია გაფენილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავს აღწევდა ცხოვრების ერთფეროვნებას და ციურ განგებას განდობილი, გულზე ცისხატებადჩნეული ელტვოდა სხვა ტაძარს — უზარმაზარს, უკიდევანოს, უკედლებოს, ცისფერგუმბათიანს...

იმისი თვალნი იქა რბოდნენ. იქ ისწრაფვოდა იმისი ლოცვა, იმისი ფიქრი. იქ ეძიებდა ბედის ვარსკვლავს. იქ იყო სადგური მყუდროებისა. ციური სხივით გამთბარია მისი ლამპარი. მშვენიერებაც ცის ნათელია. მხოლოდ ცის ფერი არსებობს მისთვის, ცის ფერი — პირველადქმნილი, არამქვეყნიური, ციური ცვა-რით მისი დამტირებელი...

პოეზიის უმაღლეს საიდუმლოს განდობილმა ჭაბუკმა საიდუმლოს მხოლოდ მცირედი გავვიმქაფა და სალოცავად დაგვიტოვა ოცდათვრამეტი მარგალიტით მოჭედული პატარა ხატი, ხატი უწმინდესი სულისა, რომელიც დღეს ტუჩებთან მიგვაქვს, რომ ერთხელ კიდევ ვეამბოროთ და მის წინაშე მუხლი მოვიდრიკოთ.

მარინა ცვეტაევა ერთგან ამბობს: „პოეტისათვის სიკვდილი მუდამ დროულია და მუდამ ნაადრევია“. ბარათაშვილის პოეზიის დაუშთავრებელი შენობის კონტურები რომ წარმოვიდგინოთ, „მერანი“ უნდა გადავიკითხოთ. ამ ლექსში აღარ არის გარდუვალი სიკვდილის გარდუვალობა. ლირიკული აღსარების მასშტაბურობა ნამდვილად კოსმიურია, იგი ვრცელდება უსასრულო სამყაროში, სადაც ყოველგვარი ზღვარი და განზომილება წაშლილია. მოძმეს რომ გზა გაუყვალოს, იგი სწირავს იმას, რაც მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასია, რასაც ვერასდროს ვერ გასწირავს, ვერ დათმობს, ვერ შეეღევა.

ახალი და გაყვითლებული წიგნების ფურცლებზე პოეტების სახელისა თუ მოკრძალების გამო ჩვენ თავდახრილნი დავყურებთ მრავალი ლექსის მღუმარე საფლავს, მაშინ, როდესაც თაობების აღზნებულ გონებაში თავბრუდამხვევი და დაუოკებელი ჭენებით უსასრულო სივრცეს მთარღვევს მიუწვდომელის მიწვდომის სურვილით გახელებული „მერანი“, — აფრიალებული დროშა მარად ცოცხალი და უკვდავი ლექსისა.

ბარათაშვილმა ქალაქზე გადაიტანა დაუდგრომელი სულის სწრაფვა. იგი ამსხვრევდა გულგრილობის ყინულს. მან აიძულა ლექსი აღფრთოვანებულიყო, დაფიქრებულიყო, დაღონებულიყო. გამოეხატა საუკუნის პოლიტიკური და ესთეტიკური ტენდენციები, ადამიანური მოვალეობის ერთგულება, მომავლის წინათგონობა. შეეფასებინა წარსული და აწმყო. გადმოეცა შთაგონების თავდავიწყება და გაშმაგება, გონების სინათლით მიღწეული იდემალება და სიტყვის ძლევაბრძოლა. ბარათაშვილი განთიადის წინამორბედ ვარსკვლავობას და მზეობას მხოლოდ იმიტომ ნატრობს, რომ სადამოს ჩასული დილით აღმობრწყინდეს და სხვას გაუნათოს. მან შეინარჩუნა უმანკო სული, შეუბღალავი სიწმინდე და ადამიანის ოცნების ცისფერ კიბეზე კიდევ ერთი ხარისხი აიარა.


„მოვიგონებდეთ ჟარიზს გგონანსა...“

ბავშვობიდანვე თავბრუს გვახვევს მისი ლექსის იდუმალება და სიტყვების თანმიმდევრობა. იგი ახლა უფრო ხელშესახებია, უფრო მახლობელი, უფრო მიწიერი, მაგრამ ისევ მიუწვდომელი. სკოლის მერხზე წმინდანად შერაცხული წმინდანადვე დარჩა. მე ვერასოდეს გადავლახე მოკრძალების მიჯნა, თუმცა არც არასოდეს მიცდია, რომ გამამელახა. ვერაფერმა წაშალა ბავშვური წარმოდგენა მერხზე ამხედრებული ლანდისა, რომელსაც ბარათაშვილმა შენდგომთათვის გზის გაკვლევა დააქისრა.

ჩემს ბავშვობაში ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ჩემს ბავშვობაში იყო. ის ისევ მოდის ჩემთან, ის — ყმაწვილი ბერიკაცი, ანჩისხატის უბნის მეოცნებე და მოაქვს სამშობლოს სიყვარულისა და თანამავალი ვარსკვლავების უნეტარესი თრთოლვა. წუთისოფლის მსჯავრი გამოაქვს იმის მზეში გახელილ თვლებს და იმის სულში მეორდება და ფხიზლობს ხმა იდუმალი, როგორც ყოველი ჰემ-მარიტი პოეტის ხვედრი.

მოდის სულიერი მარტოობის კეთილი მეფე, რომელიც ცდილობდა შთამომავლობისათვის საწყევად არ მიეცა თავისი სახელი და მოაქვს მარტოობით ამაღლებული, განწმენდილი სულის ღაღადისი; დარბაისლური თოთხმეტმარცვლიანი ლექსის მღორე მდინარეებიდან თავდაღწეული ოცმარცვლიანი ლექსის სრბოლა და ლტოლვა; ქართულ ლექსში პირველად დარჩეული ფორტეპიანოს აკორდი და მჭმუნვარებით გაცისკროვნებული სიყვარულისა და ბუნების ჰარმონია. მოდის და მოაქვს დუმილის ლოცვა და სულიერი მოძრაობის წამიერი გაელვება; უნაყოფო სიყვარული ქალისა და ნაყოფიერი მიუსაფრობა; მოქანცული, მაგრამ დაუთრგუნველი სიამაყე და თბილი ცისფერი მდინარე სიკეთისა და კაცთმოყვარებისა. ისევ გულუხვად მაჯილდოვებს მისი ლექსის მღელვარე სტრიქონი და მტკვართან ისევ შრილებს მისი სულის ჩინარი — ხელბაწვდილი, მავედრებელი, მლოცველი...





აქაკი სურგულაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი და საქართველოს ისტორიის პრობლემები

(„ბადი ქართლისა“)

...პირველი წლები, 1825-ს რომ მოჰყვა, უსა-
შინლესი იყო. მხოლოდ ათი წლის შემდეგ შე-
ძლო საზოგადოებამ გამოფხიზლებულიყო და-
მონებისა და დევნის ატმოსფეროში. მას დაეუ-
ფლა ღრმა უიმედობა, ძალის საერთო დაცემა.
მხოლოდ ერთი — პუშკინის ეღერადი და ფარ-
თო სიმღერა გაისმოდა მონობისა და წამების
ველზე. ეს სიმღერა აგრძელებდა წარსულ საქ-
მეს, ვეჟაკური ხმებით ამხნევებდა ახლანდელს
და იმედიანად ეხმაურებოდა შორეულ მომე-
ვალს“.

ასე ახასიათებდა რუსეთის საზოგადოებრივ
ცხოვრებას დეკარისტების დამარცხების შემ-
დეგ, ღიდი რუსი განმანათლებელი და დემოკ-
რატი ა. ი. გერცენი.

ა. ი. გერცენის ეს დახასიათება თავისუფლად
შეიძლება მიგვეყენებინა იმ სულიერი გან-
წყობილებისათვის, რომელიც ქართველ ინტე-
ლექტუალურ სამყაროში 1832 წლის შეთქმუ-
ლების გამომჟღავნების და მისი მონაწილეები-
სათვის ანგარიშსწორების შემდეგ გაბატონ-
და.

შეთქმულების მონაწილენი ავღარბის ყაზა-
რებში იყვნენ გამოწყვდელნი. საგამომძიე-
ბლო კომისია თანდათან შედიოდა შეთქმულე-
ბის სიღრმეში და მრავალი ქართველი მამული-
შვილის ოჯახი შიშით ძრწოდა განაჩენის მო-
ლოდინში, მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები.
შეწყდა ქართული ეურნალის და გაზეთის გა-
მოცემა. „ქართველები ერთი წუთით გამოღვი-
ძებული, ისევ ძილს მიეცა, ქართველ საზოგა-
დოებაში რეაქცია დამყარდა. ქარიზმალის შემე-

დგე ისევ წყნარი, მაგრამ მოღრუბლული და
მოღუშული დღე დადგა“¹.

ერთწლიანი კვლევა-ძიების შემდეგ სასა-
მართლო შედგა. შეთქმულების მთავარი მონა-
წილენი — ერის სულიერი ცხოვრების მესა-
ქენი — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორ-
ბელიანი, ვიორა ერისთავი, სოლომონ დოდა-
შვილი, ვახტანგ ორბელიანი, ღიმიტრი ყიფიან-
ი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ რაზმაძე,
ალექსანდრე ორბელიანი — საქართველოს
მოწყვიტეს და თვალუწვდენელი, რუსეთის
სხვადასხვა მხარეში დაფანტეს. თბილისი სუ-
ლიერად დაცარიელდა, დაობლდა, თითქოს
შეწყდა მისი მაცისცემა.

მაგრამ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ დადო-
ლობისა და მოღუშულობის ასეთ ატმოსფეროში,
„უიმედობის და წამების ველზე“ გაისმა გენია-
ლური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათა-
შვილის ღრმად სევდიანი, მაგრამ გამაფხიზლე-
ბელი და იმედის მომცემი „ეღერადი სიმღე-
რა“.

ოცდაათიანელთა შეთქმულება რომ გამო-
ვლავნდა, ნ. ბარათაშვილს მხოლოდ 16 წელი
შეუსრულდა. შეთქმულების მოთავეთაგან ზო-
გიერთი მისი უშუალო მასწავლებელი (ს. დო-
დაშვილი), ზოგიც ახლო ნათესავი და უფრო-
სი მეგობარი იყო. საუბრაუდოა, რომ ბარათა-
შვილი განდობილი იყო კიდევ და ახალგაზრ-
და თაობასთან ერთად (დ. ყიფიანი, ზ. ავთან-
იანი).

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბილისი, 1962, გვ.
70.

დილაშვილი და სხვ.) შეთქმულთა გიმნაზიის ფილიალს ჰქმნიდა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: შეთქმულების ტრაგიკული აღსასრული ნ. ბარათაშვილმა ყველაზე მიმდებარე იყო, იგი ცხოვრობდა დაახლოებით მის სულს („რაც ერთხელ ცხოვრობდა სულს დაჩანდების, საშვილოშვილოდ გარდაცემის“) და სიკვდილამდე ერთგული დარჩა იმ იდეალებს, რის განხორციელებასაც ოცდათორმეტიანელები შეეწირნენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლიანადაა აღიარებული ქართველი ხალხის ეროვნულ გენიად, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მხატვრული აზროვნების მებაირახტრედ, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად. ამის შესახებ ბევრია დაწერილი და ჩვენ შესაძლებლობას აღემატება ნათქვამის ჩაღრმავება-გაფართოება. წინამდებარე ნარკვევში ნ. ბარათაშვილი ჩვენ გვანტერესებს როგორც ოცდათორმეტიანელთა სულიერი მემკვიდრე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაზრისოდ მოღვაწე XIX საუკუნის 30-40-იან წლებში, კერძოდ, ბარათაშვილის შეხედულებანი საქართველოს ისტორიაზე.

როგორც ცნობილია, დეკაბრისტების შემდგომი ხანა (30-იანი წლების მიწურული, 40-იანი წლები) რუსეთში აზრის უმძაფრესი პილიტით ხასიათდება. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა ამ პერიოდში ცდილობს პასუხს გასცეს კითხვებს: როგორია არსებული კრიზისული მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალი? საით, რა მიმართულებით უნდა წავიდეს რუსეთის ცხოვრება; სავალდებულოა მისთვის იმ გზით სვლა, რომელიც კაპიტალისტურმა ევროპამ გაიარა, თუ მას თავისი, ევროპისაგან განსხვავებული, ნაციონალური, წმინდა რუსული ცხოვრება გააჩნია და მისი დაცვა-შენარჩუნებისათვის არის მოწოდებული?

ამ საკვანძო, რთული, პრობლემური საკითხებისადმი პასუხისათვის რუსეთში მრავალი სტატია და ნაშრომი დაიწერა, მათ გარშემო მიმდინარეობდა მხურვალე დისკუსიები უნივერსიტეტის კედლებში, კერძოდ — სალონებში, პრესაში. რუსეთის თვითმპყრობელობამ ამ საკითხს თავისებური პასუხი მოუწახა. ეს იყო უფრო-ცის ოფიციალური ხალხურობის თეორია, რომელიც რუსეთის მომავალი ცხოვრების ხერხეშულად, მისი ხსნის ღუზად, მისი ძალისა და ძლიერების შესანარჩუნებლად სამ პრინციპს — თვითმპყრობელობას, მართლმადიდებლობას და ხალხურობას აღიარებდა. ამ თეორიის დასაწერგად მთავრობა რიგ ღონისძიებას მიმართავდა, მაგრამ თვით თეორია იმდენად უსუსური იყო, რომ არავის სჭერდა მისი. ჩადაცვის ასპარეზზე გამოსვლამ კი ხსენებული გაქარწყალა უფროვის დებულებანი. რუსეთის მომა-

ვალზე უფრო დასაბუთებული პასუხის ძიებაში მოაზროვნე ინტელიგენცია ორმოცამეტიან წლებში სამ ჯგუფად გაითიშა. ასე ჩამოყალიბდნენ „სლავოფილების“, მედსავლეთთა და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდევრობანი, რომლებმაც რუსეთის აზროვნებას ღრმა კვალი დააჩნეს. საქართველოში ამ დროს ცხოვრებდა კერძოდ მღორედ მიედინებოდა. არ იყო გზებით, არ იყო თეატრი, არ იცემოდა წიგნები. იდეურ ცხოვრებას მონატრებული ინტელიგენცია დროს თავშეკცევისა და ქაიფში ჰკლავდა. ყურადღების ცენტრში იყო შამილის წინააღმდეგ ომები და სახელს მოწყურებული ქართველი ახალგაზრდობა „ისტორიული მტრის“ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ იმყოფებოდა. ამ საერთო აბათიურებასა და უმოძრაობაში მხოლოდ აქა-იქ, განსაკუთრებით ედიაქალში, ბუბუბუბინდ შემოქმედებითი კერები. თბილისის ლიტერატურულ სალონებში, სადაც რუსულ კულტურაში გათვითცნობიერებული ახალგაზრდობა იკრიბებოდა, მსჯელობის საგანი თანდათან ხდებოდა მოაზროვნე რუსეთის ანალოგიური საკითხები.

შეთქმულთა დაპატიმრებისა და მათი საქმის ძიების პერიოდში ყველა წარჩინებული ქართველის ოჯახში, ყოველ შერკებაზე ინტელური საუბრის ძირითადი თემა უთუოდ შეთქმულთა საქმიანობას, მათ იდეოლოგიას და ბედს დასტრიალებდა. თვით შეთქმულებს, რომლებიც უაღრესად კონსპირატულად მოქმედებდნენ, რაიმე საპროგრამო დოკუმენტი არ ჰქონდათ. ამ შეთქმულების მსხვერპლი გახდა ოცდაათიანი წლების ქართული მოაზროვნე თაობა, ისე, რომ მათ თანამედროვეებს აუხსნელი დარჩათ საკითხი: მართებული იყო თუ არა მათი თავგანთირება, უსახურებელია თუ არა ერის კეთილდღეობას მათი ჩანადიქრი. შეთქმულთა მომდევნო მოაზროვნე თაობას ან უნდა განეგრძო იგივე გზა, რასაც წინაპრები აღდგნენ, ან დაეგმო იგი, როგორც ერის კეთილდღეობისათვის უფარვისი. ამიტომაც, საეცებით კანონზომიერად ოცდაათიანელთა მომდევნო თაობას აწუხებდა საქართველოს მომავალი — „ხედი ქართლისა“. იგი საქართველოს ორიენტაციის შესახებ გადაჭრილ და დასაბუთებულ პასუხს მოითხოვდა.

ცხოვრებისეული საკითხებისადმი პასუხის გაცემა საქართველოს „გენიალურ ჰაუბუს“ ნიკოლოზ ბარათაშვილს ხვდა წილად. დედნისა და დამოწმების ატმოსფეროში იგი მოვედინა თავის ხალხს, როგორც კეთილი გენია. გენიოსისა, რომელიც არა მარტო ყველაზე ღრმად განიცდის თავისი ხალხის სულიერ ტკივილს, არამედ აწეებს მისი დაუჩინების საშუალებას, გენიოსი ერის მესაიდუმლოა, მისი სულის გამომსახველია, მისი მეველთა.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში აისახა არა

მარტო მისი თანამედროვე ეპოქა, არა მარტო ტყველები მისი ხალხისა, წინააღმდეგობებით, ვეებებით და მწუხარებით აღსავსე დრო-ჟამი, არამედ დასახულ იქნა გზა, რომლითაც უნდა ევლო მოაზროვნე თაობას, ბარათაშვილმა ქართველი ერის ისტორიის ღრმა ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად დაასაბუთა და განაზოგადა ხალხის მიერ არჩეული ორიენტაციის სისწორე და ახალი საქართველოს მომავალი აზიურ-ბარბაროსული სამყაროსაგან იზოლირებასა და რუსეთსა და ევროპასთან თანაცხოვრებაში დანახა. ნ. ბარათაშვილისა და მისი თაობის დამოკიდებულება საქართველოს გამოხსნისათვის შეთქმულთა იდეოლოგიისადმი ჭკერ კიდევ გიმნაზიის წლებში გამოიკვეთა. 1833 წელს, როცა შეთქმულების მონაწილენი ავლაბრის ყაზარმებში იხსდნენ, ხოლო გამბოროტებული მთავრობა ოცდათორმეტიანელთა ფესვების სრულ ამოძიკვას ეწეოდა, გიმნაზიის მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა (ნ. ბარათაშვილი, მიხ. თუმანიშვილი, დავ. მაჩაბელი) გამოსცა პირველი ხელნაწერი ჟურნალი — ანთოლოგია, რომელიც შეთქმულთა ორგანოს „სალიტერატურო ნაწილის“ გზას ადგა და ქართველი ხალხის სულიერი გამოღვიძების, მისი ეროვნული თვითშეგნებას ამაღლების საქმეს განაგრძობდა. ხელნაწერი ჟურნალის ავტორ-შემდგენელთა გასათვალისწინებელი იყო მასში გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, გიორგი ერისთავის ნაწარმოებთა მოთავსება. არსებობს იმის ცნობაც (გრ. გურიელის, გოგულოშვილის მოგონებანი), რომ შეთქმულების საქმის ძიების პროცესში ნ. ბარათაშვილის ბინა გაჩხრიკეს და პოეტი რამდენიმე დღე პატიმრობაშიც ჰყვადით. ეკვროდნენ, რომ იგი, პირველყოფისა, შეთქმულ სოლ. დოდაშვილთან იყო დაეკავშირებული.

1836 წელს ნ. ბარათაშვილის წრემ ხელახლად დაიწყო ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა („გიმნაზიის ყავილი“); რომელიც ისევ აგრძელებდა ოცდათორმეტიანელთა ორგანოს იდეოლოგიას. შემთხვევითად არ მიგვაჩნია „გიმნაზიის ყავილის“ ღრმად დაინტერესება საქართველოს ისტორიული წარსულით, და კერძოდ, ერეკლე მეორის საბრძოლო ცხოვრების აღწერით, ამასთან, ერეკლეს შესახებ მოთხრობის ავტორად, გარკვეულ მოსაზრებთან, ნ. ბარათაშვილის ჯგუფის მასწავლებლისა და სახელოვანი წინამორბედის სოლომონ დოდაშვილის შერჩევა.

გიმნაზიის პერიოდი და შემდეგ რიგითი მოხელის უხალისო წლები ნ. ბარათაშვილისათვის წარმოადგენდა მოსაზრებულ ხანას, რომ მას პასუხი გაეცა თანადროულობის მტკივნეული კითხვებისათვის. ამ პერიოდში იგი გულმოდგინედ და შეუპოვრად სწავლობდა მშობლიური

ერის ისტორიას, პირველწყაროებში ეცნობოდა ქართველი ხალხის სულიერ საგანძურს — მის ლიტერატურას, ერეკლედა მსოფლიო ისტორიულ პროცესში, თარგმნიდა ტაციტს და წერდა ორიგინალურ ისტორიულ თხზულებებს პაპაზმის შესახებ დეკაბრისტი პოეტის კ. რილეევის ზეგავლენით.¹ ნ. ბარათაშვილი მოკლე ხანში საქართველოს ისტორიის საკითხებში იმდენად ღრმად ჩახედული და განსწავლული აღმოჩნდა, რომ მისი, როგორც ერის ისტორიის ღრმად მცოდნის სახელი, მისწვდა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას და მარი ბროს მას თანამშრომლობას სთავაზობდა. ცნობილი მეცნიერი მიხეილ ბარათაშვილი, რომელმაც 1844 წელს გამოაქვეყნა დიდი ნაშრომი «Нумизматические факты грузинского царства», ნიკოლოზის მაშისადმი მოკრძალებულ წერილში აღნიშნავდა, რომ მას მეტიმეტად გაახარებდა თუ ნიკოლოზი „შეაქვებდა თავისი უხვი ცოდნითა და ნიჭით თავისი მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს“.

მშობლიური ერის ისტორიის ღრმა ცოდნამ და არაჩვეულებრივმა ნიჭმა პოეტს გააბედინა მიეცა შეფასება იმ დიდი ისტორიული აქტისათვის, რომელიც საქართველოს ცხოვრებაში XVIII საუკ. მიწურულში განხორციელდა — რუსეთთან შეერთებისათვის, გაერკვია ამ აქტის მიზეზები, მისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები.

XIX ს. 30-40-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფია, მდიდარი ტრადიციების მიუხედავად, მოკლენების განვითარებას საგრძნობლად ჩამორჩებოდა.

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკ. დასაწყისში მძლავრმა ქართველიმ დროებით ჩაახშო კულტურული საქმიანობის ის კერები, რომლებიც ერეკლე მეორის მეფობაში იწყებდა გაჩაღებას. ისტორიული კვლევა-ძიება, რომელიც ეახლებოდა ბატონიშვილისა და ვახტანგ VI-ის ტრადიციებს აგრძელებდა, შეწყდა, უფრო ზუსტად, მან გადაინაცვლა პეტერბურგში, სადაც ცარიზმმა ქართველ ბატონიშვილთა ოჯახები გადასახლა. დავით, იოანე, თეიმურაზ ბაგრატიონები და მათი ნაშთები პეტერბურგში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. დავით ბატონიშვილის «Краткая история о Грузии». «Обозрения Грузии по части права и законодечения», ვახტანგ

¹ ი. ბალახაშვილი, ბარათაშვილის ცხოვრება, თბილისი, 1967 წ. გვ. 140.

აპაი სვამბაძე

ნ. ბარათაშვილი და საქართველოს ისტორიის პრობლემატიკა



ბატონიშვილის «Обозрение царства Грузинского народа», ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“ და სხვ. მართალია, სამშობლოს წარსულზე „უტყუარობისა და კმშარიტობის“ ნიშნით აღწერდნენ და ზოგადად ისტორიული მოვლენის კრიტიკულ ანალიზსაც შეიცავდნენ, მაგრამ მაინც ვერ იდგნენ ეპოქის მოთხოვნათა დონეზე და ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგომარეობდნენ ვერ უბასუხებდნენ. „რუსეთთან შეერთებამ, ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებამ და რუსული მმართველობის დამკვიდრებამ ქართველი ისტორიკოსების წინაშე ახალი ამოცანები წამოსწია. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, მომძლავრებული ერის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა ყოველგვარი ჭურის ნიპილისტებისა და დიდ მპყრობელური შოკინისტების შემოტევისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, საჭირო იყო ქვეყნის წარსულის, მისი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა საქართველოს ახალი მესვეურისათვის“¹. ამ მომწიფებული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლის ცენტრად 1830-იანი წლების მეორე ნახევრიდან გახდა ისევ პეტერბურგი, სადაც ქართველ მკვლევართა ისტორიოგრაფიულ საქმიანობას სათავეში ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე ჩადგა.

თეთი საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულისათვის მოშლილი კულტურული კერები ამ დროისათვის ჯერ კიდევ ვერ გაჩაღებულიყვნენ. რუსეთთან საქართველოს შეერთებას აყოლილი განუწყვეტელი ომები და მასობრივი აჯანყებანი მშვიდი და შემოქმედებითი ცხოვრების საშუალებას XIX საუკ. პირველ მეოთხედში ნამდვილად არ იძლეოდა. მხოლოდ ოცდაათიანი წლების დამდეგს დაიწყო ამ კერების გაღვივება, როცა ქართულ ენაზე პირველი ნაბეჭდი ექრანალი „სალოტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი“ გამოვიდა. 1832 წლის შეთქმულების მოთავე ინტელიგენციამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში, მშობლიური ისტორიისადმი ინტერესი გააღვივა. ექრანალი, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი რედაქტორობდა, აქვეყნებდა რიც სტატიებს, სადაც საქართველოს წარსულს პროპაგანდისტან ერთად, ზოგ სამართლებრივ საკითხებსაც აყენებდა და ერის ისტორიის გამყალბებლებს ებრძოდა. მაგრამ შეთქმულების გამჟღავნებამ და მისი მონაწილეთა დაპატიმრებამ ეს კერა ისევ ჩაქრო და ისტორიოგრაფიული ხასიათის საქმიანობაც ხანგრძლივი დროით შეწყდა.

30-იანი წლების მეორე ნახევარში ქართული საზოგადოებრივი აზრი ისტორიული ძეგლებებისადმი საპირობას მწვევედ განიცდიდა. ერის წარსულის და აწმყოს საჭირობოტო პრიოტრულ ლიტერატურულ სალონებში ცხარე მსჯელობა და კამათი მიმდინარეობდა.

ნ. ბარათაშვილი და მისი გარშემო შემოკრებილი მოაზროვნე ახალგაზრდობა ყველაზე უკეთ ხედავდა ამ საკითხებს და საქართველოს ისტორიის დაწერის თადარიგს ეწეოდა. „ზნირად გვერდნა ლაპარაკი ჩვენს წარსულ ცხოვრებაზე — იგონებს ბარათაშვილის მეგობარი კ. მამაცაშვილი, — ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადაწყვეტიტო, რომ რადგანაც არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-5 საუკუნიდან დაწყებული. თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლ. იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველი საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ მე-5 საუკუნემდე. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატრიანეები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯარები, არც ბევრი საინტერესო გრამოტები თავადების და აზნაურების სახლებში, მარტო მატრიანდ იყო „ქართლის ცხოვრება“.

ბარათაშვილთან ერთად ამ დიდ ეროვნულ წამოწყებაში მისი გინაზიის მეგობრებს — დ. მელიქიშვილს, კ. მამაცაშვილს, მ. თუმანიშვილს, ზ. ავთანდილშვილს, დ. ყუფიანს, კ. მანაბელს და სხვებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მშობლიური ისტორიის დიდი ერუტეტი მკვლევარი იყო პლატონ იოსელიანი, რომელიც პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ქუტის დამთავრების შემდეგ თბილისის სემინარიისში ფიზიკას და ფილოსოფიას ასწავლიდა. პლატონ იოსელიანი არ თანაგრძნობდა იმ იდეურ მიმდინარეობას, რასაც ბარათაშვილი და მისი წრე ეკუთვნოდნენ. საქართველოში რუსეთის დამკვიდრება და რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმი პლატონ იოსელიანს აუცილებელ და პროგრესულ მოვლენად მიაჩნდა. ქართველ შეთქმულთა იდეოლოგიას მცდარად და მავნეს უწოდებდა. ბუნებრივია, რეტროგრადული თვალსაზრისის მქონე იოსელიანს, რომელმაც ამასთან, ერის ისტორია ღრმად იცოდა, ბარათაშვილის ჯგუფი ანდობდა მხოლოდ საქართველოს ისტორიის ყველაზე ძველ, საწყის პერიოდზე მუშაობას, რომ აქ მას ნაკლებად შესძლებოდა თავისი რეაქციული იდეოლოგიის პროპაგანდა.

ბარათაშვილი და მისი ჯგუფი, საქართველოს ისტორიის დაწერისათვის მზადების პერიოდში აქტიურად საქმიანობდა ისტორიის წყაროების შესაყრებად. ჯგუფის წევრები აღტაცებული იყვნენ პეტერბურგის ქართულ კოლო-

¹ შ. ხანთაძე, მარი ბროსე (ისტორიული ნარკვევი), თბილისი, 1966, გვ. 44.



ნიაში ეროვნული ისტორიული კვლევა-ძიების გაინტენსიფიკაციითა და მარი ბროსეს, რომელიც ამ საქმეს მაღალ აკადემიურ დონეზე წარმართავდა, უწყვედნენ ყველა საჭირო დახმარებას, განსაკუთრებით ლიტერატურისა და წყაროების მიწოდებით.

საქართველოს ისტორიის რიგ პრობლემათაგან, რომლებიც თანამედროვე ისტორიოგრაფიის დონეზე დასაბუთებულ, მეცნიერულ ანალიზს და დამაჯერებელ პასუხს მოითხოვდნენ, ყველაზე მთავარი, მტკივნეული, საინტერესო საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემა იყო. იგი საინტერესო იყო არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით. ეს იყო, ამასთან, ცხოველყოფილი პოლიტიკური საკითხი, რომლის დამაჯერებელ ანალიზს და მეცნიერულ საბუთიანობას იმ ეპოქის მოაზროვნე თაობის მოქმედება უნდა განესაზღვრა.

ეს პრობლემა ნ. ბარათაშვილს, როგორც ჩანს, წლების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა. მისთვის პასუხის გაცემა გენიალურ კაბუტკს ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში უცდია; აქედანვე დაწყებული მისი შემოქმედებითი წვა ქართლის ბედზე. ზაქარია კივინაძე გადმოგვცემს: „მე ბევრისაგან გამიგია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ბედი ქართლისა“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამეხდა თავში. იქ განვიზრახე იმის დაწერა, რამოდენიმეჯერ დავწერე კიდევ, მაგრამ არ ვაჩნდი, ვიდრე გვარაიანად არ შევაშუშავებდიო“. პოეტი ქართლის ბედზე ფიქრობდა არა მარტო საქართველოს ისტორიულ წყაროებზე მუშაობის მომენტში, არამედ მარადეაშს, — დასვენების საათებშიც კი. დამახასიათებელია კ. მამაცაშვილის მოგონება: „მამსოცეს ერთ ივლისის ღამეს, 1832 წელს მე და ტატო წვედით სასეირნოდ გარეთუბანში (ეხლანდელი ვალაიუნის პროსპექტი) ტატო ძალიან მხიარული იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნის, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონოაზრედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ 1795 წელსა 12 სექტემბერს და სხვა...“

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარსა და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყა ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღლევებულმა მიითხრა:

„ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა, — და ოხვრით დაუმატა:

„ვამ ჩვენი ქართლის ბედიო“.

ამ საუბრიდან ერთი წლის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაასრულა თავისი გენიალური

პოემა „ბედი ქართლისა“ და ა. ჯავახიშვილის, ლონში წაიკითხა. ცხადია, მამაცაშვილთან უბრის დროს პოეტი, ალბათ, ღრმა შემოქმედებით ტკივილებს განიცდიდა; სწორედ მაშინ ძერწავდა ერეკლე მეორისა და სოლომონ მსაჯულის სახეებს და მათი პირით მისი თანამედროვე მოაზროვნე თაობის ორი ბანაკის არგუმენტებს აყალიბებდა, რომ მათთვის მსჯავრი დაედო და დავა გადაეწყვიტა.

„ბედი ქართლისა“ უაღრესად შეკუმშული, მეტისტიკვაობისაგან გაუმწიფილი, ზღვასაღი უძირო და ბოლოვით გამჭვირვალე რეალისტური პოემაა. ძალზედ მსუბუქ მიმზიდველ მის სტრიქონებში გენიალურადაა გადაშლილი ბედუქმდართობა ერისა, მისი დასუსტება — დეცემის მიზეზი, მისი ხალხის სამართლიანი კოჰმანი ისტორიული მობრუნების მომენტში, მისი გულისტკივილი ეროვნული თვითმყოფადობის დაცარვების გამო, მაგრამ მისი სწორი აღი და მკაცრი აუცილებლობით ნაყარანხევი მოქმედება. სამართლიანად შენიშნავდა კიტა აბაშიძე: „ეს დიდებული პოემა არა თუ ლიტერატურული განძია ჩვენთვის, ისტორიული მხრითაც ბევრად უფრო ღრმაა, ვრცელი და მრავალის ამხსნელი, ვინმე ბევრი ჩვენი ისტორიკოსის ნაწარმოებო“.

ნ. ბარათაშვილის მიერ პოემის ქარგად სრულიადაც არა შემთხვევით XVIII საუკ. მიწურულია შერჩეული. აღა მაჰმად ხანის გამანადგურებელი შემოსევა 1795 წელს უკანასკნელი მძიმე დარტყმა იყო, რომელიც მრავალ ტანჯვაგამოვლელმა ქართველმა ხალხმა თავისი ერცელი და ქართველიანი ისტორიის გზაზე განიცადა. კრწანისის ვიზიტული ომი და მისი ტრაგიკული აღსასრული ფოქუსი იყო ერის ისტორიული ძნელბედობისა. აქ შესანიშნავად გამოჩნდა ის ვეჟაცური სულისკვეთება, შემართება და თავგანწირვა, საქართველოს საუკეთესო შვილებს რომ ახასიათებდა მამულის გამოხსნისათვის ბრძოლაში. კრწანისის ევლზე მრავალმა ქართველმა დასდო თავი. ბარათაშვილი მაღლიერების გრძნობით მოიხსენიებს მათ აუნაღატებელ დამსახურებას:

მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის, დასდევს აქ თავი მამულისათვის! აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის; პაერში განქრა მათი სახელი და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი არ გვექადავებს მათთა საქმეთა;

1 კიტა აბაშიძე, ეტიუდები, 1963, გვ. 89.

აბაჰი სურგულაძე

ნ. ბარათაშვილი და საპარტოველოს ისტორიის პროგნოზები



დღემილი ფარგენ ერთგულთა ძეთა!..

მაგრამ ჰოჲ გმირნო, ნუ შეშფოთდებით, თქვენ სახსოვარი გაქეთ თვით განგებით! რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ ვარდაცემის.

ბარათაშვილის ეს ბრწყინვალე სტრიქონები მართლაც ხელთუქმნელი ძეგლია სამშობლოსათვის თავდადებული იმ გმირებისა, ვისაც უნდა უმაღლოდეს ქვეყანა ერის ფიზიკურ გალარჩენას.

მაგრამ კრწანისის ველზე გამოჩნდა ის შინაგანი სისუსტე და გათიშულობა, ღალატი და ორპირობა, რაც, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის მთელ გზაზე თითქმის აბათილებდა სამშობლოს მამაც და ერთგულ შვილთა ნამოღვაწერს, ხელს უწყობდა მტრის გამარჯვებას, მაღულად და მოღალატურად უღებდა მას ბრძოლით ჩაბრახულ კარებს.

ქართველი ერი რომ სათავადოებად დანაწევრებულ-დაქუცმაცებული არ ყოფილიყო, ცალკეულ სათავადოთა შორის შუღლსა და მტრობას რომ ქვეყანა დასუსტებასა და დაცემამდე არ მიეყვანა, მამაც ერეკლეს, სხვა თუ არა, საუფლისწულოში ჩაეკტილი შვილები რომ წამოშველებოდნენ, კრწანისის ველზევე გადაწყდებოდა ქართლის ბედი დადებითად და ალა მაჰმად ხანი თბილისს ვერ იხილავდა. მაგრამ ბრძოლის ველზე მამაცი პატარა კახი მარტომარტო აღმოჩნდა.

კრწანისთან განმეორდა ის, რაც არა ერთგზის მომხდარა: გაგულდიდებული, განაწყენებული, თავისი სათავადოს ინტერესებით შემოფარგლული დიდებულები საქართველოს ბედს ძალიან ზშირად ანაცვალებდნენ თავისი საბრძანებლოს ინტერესებს.

ქართველთა გმირული წინააღმდეგობით დამფრთხალი ალა მაჰმად ხანი კრწანისის შემდეგ უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ვადაწყვეტილება შეაცვლევიანა ელჩმა, რომელაც თბილისიდან ღალატით გააძარეს. ციხე შიგინთან გატყდა, წყეულმა ღალატმა მტერს დედაქალაქისაკენ გზა გაუყაფა. ასე ხომ არაერთხელ მომხდარა საქართველოს ისტორიაში („და მუხთაღისა ანგართა ხელთ აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბეჭენი“).

ალა მაჰმად ხანმა თბილისი მოაოხრა და ქუდილულად გაიქცა, მაგრამ გაიქცა იმისათვის, რომ თავისი ლაშქარი გააძლიეროს და ისევ შემოესიოს საქართველოს, რათა ფიზიკურად მოსპოს იგი, როგორც ქვეყანა. მუსლიმანური ყმადნაფიცი სახანოები გასულდგნენ საქართველოს და ყაჯარს ამოუდგნენ გვერდით. დასავლეთ საქართველოში თურქეთი პარპაშებს. საქართველოს დასუსტებით გათამამებული დეკები დათარეშობენ ქართლსა და კახეთში ლეგანუქითხავად ძარცვაზე ქვეყანას. ერეკლე მო-

ხუცდა, მის შვილებს კი აკლიათ მამისეული და ვაჟკაცობა. დიდგვარაინები ერთმანეთს წყუქუნიან. ასე იშრიტება საქართველოს ძალა, კარზეა მომდგარი მისი ტრაგიკული აღსასრული.

მამაცი ერეკლეს სამშობლოზე ამ მიმეფიქრებით იწყება პოემის მეორე კარი. ალა მაჰმად ხანისაგან ლტოლვილი მეფე მის მიერ ბრძოლით გამოვლილ გზას გაჟუტრებს გონებით: მეფობის პირველი დღიდანვე იბრძოდა იგი ქვეყნის ერთიანობისათვის და მიაღწია კიდეც, რომ გაიერთგულა ქვეშევრდომნი და საქართველოს გაძლიერება-აყვავებით უნდა დაეტებო დღენი მოხუცებულობისა, რომ შვილებმა მოუშხამეს ცხოვრება.

და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას განუწყობდები ეამკეთილშობას, აი მის ნაცვლად რაი მომავრეს მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს!..

ახარეს ალა მაჰმად ხანი, საქართველოს დაუთინებელი მტერი —

ამიერიდან გაქეზებული მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული არ დაგვაწყენარებს სიამაყითა: მას ეამი შესწევს ყოვლის ღონითა; ეს ხმა ლეკთაცა ავეციყანებს; ოსმალთა მხოლოდ დროს შემოჰყურებს, და მტერნი ძლიერ მაშინ შემოჰტყდნენ, როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ! მე თუმც კიდეც ვგრძნობ სულის სიმტკიცეს, გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს; შენი ირავლი ის აღარა ვარ, პატარა კახად რომ გინახივარ! აბა რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს, რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?.. ჰოჲ, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად ნულარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!..

ეს XVIII საუკ. მიწურულის საქართველოს პოლიტიკური ვითარების უაღრესად ზუსტი შეფასებაა. ამ შეფასებას ერეკლეს პირით გვაძლევს ბარათაშვილი, როგორც ისტორიის წყაროებში ღრმად ჩახედული ანალიტიკოსი-მოაზროვნე. რა ჰქნას დაუმტკიცებულმა, პოლიტიკურად დაშლილმა საქართველომ, როცა მას მტრები, ეთი მგლების ხროვა, ვარს ახევიდა და განადგურებას უმზადებს, შინაგანი ძალებით წარმოდგომა და მტრების მოგერიება მას არ ძალის. სპარსეთი და ოსმალეთი ვერაგები არიან. ისინი ისლამის რჯულს ავრცელებენ ცეცხლით და მახვლით და ცდილობენ ამოიპრკვნ ქრისტიანი ქართველთა სახსენებელი.

ამ ტრაგიკულ ფონზე, როცა თითქოს ხსნის ყველა გზა დახშულია, ავტორის მიერ წინ წამოწეულია ერის ვინაობის გადარჩენის ერთად-



ერთი საშუალება — რუსეთთან კავშირ-ერთობა, მისი მფარველობა. ძლიერი ჩრდილოეთი ქერხობელი — რუსეთი, მართლმადიდებელ მკრისტიანთა ქვეყანაა, რომელთან კავშირს აქვს სასარგებლო ტრადიციები და რომელსაც შეუძლია საქართველოს მშვიდობა მოუპოვოს.

აწ განთქმულია რუსთა სახელი, ხელწიფე უფისთ ბრძენი და ქველი, დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირა, — სარწმუნოება, — მას მინდა მივცე მეგვიდროვობა, და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!

პოემას, თუ მას ისტორიული სიმართლის თვალსაზრისით განვიხილავთ, მოვლენათა ერთგვარი ანაქრონიზმი ახასიათებს. აქ გადაადგილებულია ზოგიერთი ისტორიული დეტალი. მაგალითად, ცნობილია, რომ რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატი (1783 წ.) უკვე დიდი ხანია დადებული იყო, როცა აღა მაჰმად ხანი შემოვიდა საქართველოში და თბილისი ააოხრა. ზოგი თანამედროვე პოემას ამ თვალსაზრისით წუთსაც სდებდა. ალ. ორბელიანი თავის შემუშავებში, მაგალითად, აღნიშნავდა, „ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი საქართველოს ბელს რომ ლექსათა სწერს; სადაც სოლომონ მსაჯულს გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექსთამოყვანობა საუცხოვოა მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება“¹.

ალ. ორბელიანმა ალბათ ვერ გაიგო, რომ ბარათაშვილის მიზანს სრულებითაც არ შეადგენდა ისტორიულ მოვლენათა ლექსად გადმოცემა. ბარათაშვილმა, მართალია, ფანტაზია მოიშველია და მისი მიზანდასახულობისათვის შესაფერი ისტორიული სურათი შექმნა პოემაში, მაგრამ ამით სინამდვილის კანონზომიერებებისათვის არ უღალატია. პირიქით, მან განგებ შეკუმშა და დააჯგუფა მოვლენები, თავი მოუყარა ერის მოჭირნახულებათა აზრებს და სულიერ განცდებს, საქართველოს ისტორიული ბედის შესახებ სხვა და სხვა თვალსაზრისები ერთმანეთს დაუპირისპირა და ამით პოემა აიყვანა არა მარტო დიდ მხატვრულ, არამედ თეორიულ ფილოსოფიურ სიმაღლეზე. პოეტმა აქ არა მარტო დააყენა თეოქის ყველაზე მტკივნეული, ყველაზე თანამედროვე და ცხოველი საკითხები, არამედ პასუხი გასცა კიდევ მათ პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული პოზიციიდან.

პოემის თვითეულ სტრიქონში გამოსჭვივას ავტორის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ერეკლეს მიმართ. პატარა კახი პოემაში ღომავალი მეომარია, სწორუპოვარი სამხედრო

სტრატეგი, ბრძენი პოლიტიკოსი და დიპლომატი. პოეტი საქართველოს ამ სასიქადულო მესაზღვრეს საქვს გვიხატავს სწორად ისე, როგორც ის იყო მის წინაპართა და თანამედროვეთა წარმოდგენაში. მეფე მოვლენათა მკაცრი განმსჯელია. მოხუცი ბრძენი საქართველოს ბედის გადაწყვეტის ეამს ყველა ნაბიჯს გულმოდგინედ ზომავს, საპირისპირო მოსაზრებებს ანალიზს უკეთებს; ვის, თუ არა მას, უყვარს სამშობლო და მზადა ყოველგვამს მისთვის სიცოცხლე გასწიროს. მაგრამ როცა საქმე ერის მომავალს, მის ბედს შეეხება, როცა უნდა გადაწყდეს საშვილიშვილო კითხვა, — დარჩეს ქვეყანა მართლმართო „ფოცხვერის“ და „ბაბრის“ ხრევანთა შორის, ე. ი. მტრულ მუსლიმანურ გარემოებაში, თუ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშიროს და სრული დამოუკიდებლობის შეზღუდვის საფასურად თავის ხალხს მშვიდობა მოუპოვოს, ცივილიზაციის სარბიელზე გზები გაუკაფოს — მეფე აქ შეუპოვარია, ცივია, საუთარ გრძნობათა დამთრგუნველია და მხოლოდ გონებას, ცივ განსჯას, მხოლოდ ჭკუის კარნახს ემორჩილება.

ერთმორწმუნე რუსეთის ქვეშევრდომობაზე, როგორც შექმნილი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალზე, ერეკლეს აზრი ისტორიულ ქართველობაში შემოწმებული აზრია. ირან-ოსმალეთის მტრულ რკალში მომწყვდეულ საქართველოს, რომელსაც ფიზიკური გაქრობა ემუქრებოდა და რომლის არაერთგვისი ცდა ამ რკალის გარღვევისა და დასავლეთთან დაკავშირებისა ამაო გამოდგა, ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ძლიერ ქვეყანასთან კავშირი ერთადერთ ხსნად ესახება. საქართველოს მოწინავე პოლიტიკური მესვეურები ლევან კახთა მეფით დაწყებული, ამას კარგად ხედავენ და მიუხედავად იმ დიდი მსხვერპლისა, რაც ამ პოლიტიკას ახლდა, მკაცრი აუცილებლობით აღიარებულ ორიენტაციას პრაქტიკულად ამტკიცებდნენ. ერეკლეს სიტყვები ერთმორწმუნე რუსეთის მიმართ თითქმის აჯამებს და სრულყოფს ქართლის ბედის საკითხში იმ პოზიციას, რომელიც უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში თანდათან მტკიცდებოდა და პრაქტიკული გადაწყვეტის წინაშე იდგა.

გავისვენოთ ერეკლეს სიტყვები:

მე არა ვეფირობ. ვითარცა მეფე, თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქედე; არამედ ვითა მამა კეთილი, რომელსა სურს, რომ თვისი შვილი თვის სიცოცხლეში დასახლდეს. მნელ არს ცხოვრება სამეფოსი, რის

¹ ა. ორბელიანი, ლექთა დაღისტიანიდან გადმოვსლა და სხვა ამბები, გამოც. ს. კაკაბაძისა, 1914, გვ. 12.

აპაიი სურგულაძე

ნ. ბარათაშვილი და სამართველოს ისტორიის პრობლემები



უჭვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!
 აი ზომ ნახე აწ მაგალითი,
 რა ქმნა ამ ერთმან დამარცხებამან
 კარგი, რომ კიდევ ალა-მამამდ-ხან
 ქალაქს დასაყრდა განაწინებულს,
 სხვით არ აღიგოს მან საწყაულს!

ალა მამამდ ხანმა ვერ მოსპო საქართველო
 მთლიანად, მძინევარე ხანი მხოლოდ თბილისით
 დაკაყოფილდა ამჯერად. მაგრამ სადაა გარან-
 ტია, რომ ხელო უარესი დღე არ დაადგება
 ქვეყანას. იგი ზომ ბრძოლებში მოღლილია, მარ-
 ტიდმარტოა, შინაგანად აწეწილია და განა
 შეღმარებს გაუმკლავდეს მტრებს, რომლებიც მი-
 სი სრული განადგურებისათვის სახელმწიფო
 სახლებებს მოდგომიან?

და ბრძენი მეფე მხოლოდ ერთ გამოსავალს
 ხედავს:

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
 მშვიდობა ნახოს საქართველომა,
 მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
 ამოიყაროს ჯაგრი სპარსეთის,
 და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
 რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს
 საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
 და განისვენონ აჩრდილთა მათთა!

ბევრს ჰგონია, რომ ბარათაშვილის პოემაში
 სამსჯავროზე გამოდის ის ისტორიული აქტი,
 რომელსაც ცარიზმის ანექსია ეწოდება და 1801
 წელს რომ განხორციელდა. სინამდვილეში პო-
 ემაში 1801 წლის აქტი სრულებითაც არაა ნა-
 გულისხმევი. პოეტის გონება ამ შეთხვევებში
 1783 წლის მფარველობით ტრაქტატს დასტრია-
 ლებს. მართალია, ეს ტრაქტატი რამოდენიმე
 წლით ადრე დაიდო, ვიდრე ალა მამამდ ხანი
 დალაშქრავდა საქართველოს, მაგრამ ასეთი
 მცირე ანაჰრონიზმები, როგორც ზემოთ აღვნი-
 შნეთ, პოემაში დაშვებულია გარკვეული მოსა-
 ზრებით. კრწანისის ამბები ზომ დამოუკიდებე-
 ლი, მაგრამ მტრულ გარემოცვაში მყოფი და-
 უძლურებული საქართველოს ტრაგედიის სიმ-
 ბოლური გამოხატულებაა: ხოლო ერეკლეს გა-
 დაწყვეტილებაში — (რუსეთს შეადაროს თავი)
 — შეჯამებულია 3 საუკუნის განმავლობაში
 მომწიფებული აზრი ჩრდილოეთის ერთმორწ-
 მუნე მეზობელთან თანაცხოვრებისა.

ამაში დაჯერება ადვილად შეიძლება პოემის
 ტექსტის ჩაკვირვებით. ერეკლე გარკვევით ამ-
 ბობს, რომ დამშვიდებულ საქართველოს შეუ-
 ძლია:

მან საფარს ქვეშე მხოლოდ
 რუსეთის

ამოიყაროს ჯაგრი სპარსეთის...

ან სოლომონ მსაჯულის სიტყვები:

ვეჭვობ რომ იგი სამეფოს ქართლმეფის
 აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის

მაშასადამე, პოემაში ლაპარაკია რუსეთის
 მფარველობაზე მხოლოდ და არა საქართველოს
 იმ ანექსიაზე, რომელიც ტრაქტატის სრული
 უგულებელყოფა იყო. ერეკლე მეორე არც
 მოსწრებია ამ ანექსიას და რომც მოსწრებო-
 დ, ცხადია, მას ისევე აღუდგებოდა წინ, რო-
 ვორც აღუდგა სოლომონ მეორე — პოლიტი-
 კაში ერეკლეს სიცოცხლის პირდაპირი გაგრძე-
 ლება...

რუსეთის მფარველობაში შესვლას საქართვე-
 ლოს საგარეო პოლიტიკის მსგევრთაგან ყვე-
 ლა როდი იზიარებდა. გარკვეული პირობი-
 საქართველოში სპარსოფილურ განწყობილმა-
 საც ამოღებდნენ ზოგიერთი ისევე დასავლე-
 რი ორიენტაცია ეკავათ.

ძლიერი ჯგუფი საერთოდ უარყოფდა ყოველ-
 გვარ ორიენტაციას და მუსლიმანურ სამყარო-
 ში ლაიერების პოლიტიკის გატარებით დამოუ-
 კიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას ამ-
 ჯობინებდა. სპარსოფილობა ამა თუ იმ რაქცი-
 ნური მეფისა თუ თავადისა, პირადი ინტერე-
 სით იყო ნაპარსხევი, მისი განდიდების განწყო-
 ბილებიდან მოდიოდა და იგი ქართველ ერში
 ვერასოდეს ვერ დამიკვიდრებდა სიძარცველს.
 ქართველმა ერმა გამოცდილებით იცოდა, რას
 უქადდა მას სპარსეთის ქვეშევრდომობა. მუს-
 ლიმანურ სამყაროსთან ერთიანობა მასში სრულ
 გათქვევდას და ეროვნების წაშლას ნიშნავდა.
 ასევე თანდათანობით გაქარწყლდა კათოლიკურ
 დასავლეთზე დამყარებული იმედები. საბას მი-
 სიის წარუმატებლობამ გააცვივა ინტერესი ევ-
 როპისადმი და მიუხედავად პაპის მისიონერთა
 აქტიური საქმიანობისა, ერის მოწინავე წრეებში
 დასავლოფილობას აღარ ჰქონდა გასავალი.

ერის მესვეურთა შორის, როგორც ვთქვით,
 სხვის მფარველობაში შესვლის მოწინააღმდე-
 გე, სუვერენული მდგომარეობის შენარჩუნების
 მრავალი მხურვალე მოტრფიალე იყო. პატრიო-
 ტთა ამ ჯგუფს ყველაზე ძლიერი პოზიცია
 ჰქონდა. მათ დასაყრდენ ძირითად ძალას თვით
 ხალხი შეადგენდა, ხალხი, რომელიც მუდამ
 იარაღში იჯდა და მტერს სამკლერო-სასიცოცხ-
 ლოდ ებრძოდა, ომისაგან დანგრეულ ქვეყანას
 ოფლით რომ ისევ აშენებდა და ანახლებდა.

ასეთი მამაცი და პატრიოტი ხალხის ეროვ-
 ნული თავისუფლების ხელყოფა აღემატებოდა
 ყოველი მეფის უფლებას. ამიტომ არაა შემთხ-
 ვებითი, რომ ნ. ბარათაშვილმა ერეკლე მეფის
 პოზიციას დაუპირისპირა სწორედ საქართვე-
 ლოში ყველაზე ძლიერი ეს პოზიცია და ერეკ-
 ლეს მოწინააღმდეგედ გამოიყენა იმ დროის
 ბრწყინვალე ქართველი, პლატონ იოსელიანის
 სიტყვით რომ ვთქვათ, პატიოსნებისათვის ფაზ-

რიციოდ წოდებული, ერისა და ისტორიის კატონი — სოლომონ მსაჯული (ლეონიძე).

სოლომონ ლეონიძე სავსებით თანაუგრძნობდა ერეკლეს ყურის სავარყო პოლიტიკაში. იგი რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატის მომხრე იყო და მიაჩნდა, რომ საქართველო თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას რუსეთთან კავშირში და მის მფარველობაში თუ შეინარჩუნებდა. პოემაში კი ვხვდებით, რომ სოლომონ მსაჯული ერეკლეს მოპირისპირება, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ექვის თვლით უცქერის და იგი ჯერ კიდევ ნაადრევ, სარისკო, გაუმართლებელ ნაბიჯად მიაჩნია.

ბუნებრივია, კიბხუა ისმის, რატომ შეაჩერა ბარათაშვილმა თავისი არჩევანი სოლომონ მსაჯულზე. განა იგი არ იცნობდა სოლომონ ლეონიდის მოღვაწეობას? განა მას გამოუბარა ტრაქტატის დიდების საკითხში ერეკლე და სოლომონი რომ თანამოაზრენი იყვნენ? ჩვენ ზევიითაც აღვნიშნეთ, და ერთხელ კიდევ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რომ ბარათაშვილის პოემა არაა ისტორიული მოვლენების უბრალო ქრონიკა და პოეტს მიზნად არ დაუსახავს XVIII საუკ. მიწურულის ყველა ისტორიული დეტალის თანმიმდევრული დალაგება-გადმოცემა.

სოლომონ ლეონიძე მეტად საინტერესო, რთული ფიგურაა XVIII საუკ. მიწურულისა და XIX საუკ. დასაწყისის საქართველოს ისტორიაში. სოლომონი დაბალი ფენიდან იყო გამოსული და სახელმწიფო საქმეებში პირადი ნიჭითა და უნარით დაწინაურდა. დიდად განათლებულ, მკვერმეტყველ სოლომონს მომადლებული ჰქონდა მხედრული და დიპლომატიური ტალანტი. „საქართველოს აღდგენა-გაერთიანებისათვის თავდადებული მეგრძოლი“¹ სოლომონი მხარში ედგა ერეკლე მეორეს და უნარს და ძალას არ იშურებდა დაქუცმაცებული ქვეყნის მთავართა შორის შუღლის აღსაყვითად.

სოლომონის „თაოსნობით იყო, რომ ერეკლე მეორესა, ერთი მხრივ, ზოლო სოლომონ მეორესა, გრიგოლ დადიანსა და სვიმონ გურიელს შორის, მეორე მხრივ, 1790 წელს „ივერიელთა მეფეთა და მთავართან დამტკიცებული ხელ-შეკრულება“² დაიდო. ვ. ს. ლეონიძეს მიაჩნდა, რომ საქართველო თავისი შინაგანი ძალებით დაძლედა კრიზისს და ფეოდალთა კლასის შეგნებული ნაწილის დარბევით შესძლებდა ერთს მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად

აღდგენას. ერის გაერთიანების, მისი გარემოცული მტრებისაგან გამოხსნის საქმეში სოლომონი ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებას დასაშვებად მიიჩნევდა. ცხადია, იმ პირობით, თუ დახმარება ქვეყნის სამინირო ცხოვრებაში უხეში ჩარევა არ გამოვიდოდა.

ამგვარად, მფარველობითი ტრაქტატის დაწინაშელება ერეკლეს და სოლომონს ერთგვარად ესმოდათ და ერთი მიზნისათვის სჭირდათ. ერეკლეს ეს იმედები თან ჩაჰყვა საფლავში. სოლომონი კი 1801 წელს მომსწრე გახდა იმ აქტისა, რომელმაც ტრაქტატი უფარტანა ქაღალდად აქცია და საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ერთი ხელის დაკერით მოსპო.

სოლომონ ლეონიძე ცარიზმის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას, ცხადია, მტრულად შეხვდა. მას პირადი კონფლიქტიც შეემთხვა რუსეთის სარდლობასთან და ამის გამო დააპატიმრეს კიდევ. გათავისუფლების შემდეგ სოლომონი იმერეთს გადვიდა და სოლომონ მეორეს ამოუღდა გვერდში, რადგან სწორად ვარაუდობდა, რომ სოლომონ მეორე ერეკლეს პოლიტიკას აგრძელებდა და მისი აზრების სრული თანხზიარ იყო.

იმერეთის სამეფო კარზე სოლომონ ლეონიძე ცარიზმის მიერ მოშლილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლაში საყრდენ ძალად იმერეთის ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სამეფოს იყენებდა. ამ კეთილშობილური მიზნებით იყო შთაგონებული მისი ცდა რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერითა და დახმარებით ამიერკავკასიაში ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნის ძველი გეგმის აღდგენა-გაცოცხლებისა.

იმერეთის მეფის „ვიცე-კანცლერმა“ სოლომონმა პეტერბურგში ელჩობის დროს ალექსანდრე პირველს წარუდგინა თავისი „პუნქტები“, სადაც საოკუპაციო რეჟიმის გაუქმებას მოითხოვდა და შესანიშნავად ასახულებდა რუსეთის მხარდაჭერით გაერთიანებული საქართველოს მონარქიის სარგებლობას რუსეთის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში.

ლეონიძეს იმედები არ გაუმართლდა. მისი ყველა ცდა დასავლეთ საქართველოს შინაგანი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა ამაო გამოდგა. ამ იმედგაცრუების ვითარებაშიც სოლომონს არასოდეს გულში აზრად არ გაუქვია ქვეყნის ბედის მუსლიმანური სამყაროსათვის დამოუკიდებლობის. მას მტკიცედ სწამდა, რომ მისი შშობილური ქვეყნის პირველი ამოცანა ირანულ-თურქული გარემოცვიდან თავის

ბაბაი სურგულაძე

ნ. ბარათაშვილი და საპარტიმელოს ისტორიის პრობლემები

1 პლ. იოსელიანი, ცხოვრება ვიოტაშე მეთქისა, თბილისი, 1936, გვ. 255.

2 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 200.

3 ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 235-236.

დადწევა. საკაცობრიო ცივილიზაციის შარა-გზაზე გამოსვლა იყო.

ცარიზმის ანექსიონისტური პოლიტიკის თავდადებული მოწინააღმდეგე სოლომონ მსაჭული ნიკ. ბარათაშვილის საესკებო მართებულად მიიჩნდა საქართველოს პროგრესულ-ფეოდალური დასის იდეოლოგიის განსახიერებად, დასისა, რომელიც თავის დროზე მხარს უჭერდა რუსეთის მფარველობით ქვეყნის აღდგენა-გამოხსნას თავის ბრძოლას, მაგრამ 1801 წლის აქტის შემდეგ იმედგაცრუებული ცარიზმის ანექსიონისტურ ღონისძიებებს დაუპირისპირდა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება თავგამოდებით.

ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის თავისთავად პროგრესული კურსი იყო, მეგრძოლთა იდეალი ეროვნულ-პატრიოტულ საფუძვლებს ეყრდნობოდა, და წინ ეღობებოდა ცარიზმის აგრესიას. მაგრამ „ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესული იდეის გაქრებად ქართველი თავადობა არ გამოდგებოდა. ის, როგორც კლასი, დიდი ხანია პატრიოტულ-პროგრესული აღარ იყო, ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესულ იდეაში ქართული თავადები რაქციულ შინაარსს, თავადურ-ვასალური წყობილების შენარჩუნების იდეას სდებდნენ, რაც ქართველი ფართო საზოგადოებრიობისათვის სრულიად მიუღებელი იყო“¹.

როგორც ვხედავთ, სოლომონ ლეონიძე — მეფის მსაჭული ტრაგიკული პიროვნებაა. ერისთვის თავდადებული და უანგარო, კეთილშობილური იდეალით შთაგონებული და ამ იდეებისთვის შეუთოვარი მებრძოლი სოლომონი, ისე როგორც მთელი დასი მისი იდეოლოგიის მატარებელი ქართველი თავადობისა, ისტორიულად განწირულია.

ბარათაშვილს ღრმად აქვს შეგნებული ამ დასის ეროვნულ-პატრიოტული იდეოლოგიის მაღალი დანიშნულება და მათდამი უდიდესი თანაგრძნობითაა გამსჭვალული, მაგრამ XIX საუკუნის 30-იანი წლების პროგრესული მოღვაწე მოვლენების მკაცრ ლოგიკას თვალს უსწორებს და რუსეთთან საქართველოს თანაცხოვრების ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარე, სოლომონის და მისი თანამოაზრე ქართველების საქმეს განწირულად მიიჩნევს.

სოლომონის სახით ძლიერი მოაზროვნე ერეკლეს თვალსაზრისს არ ეთანხმება და მას საკითხს ასე უყენებს:

ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?
იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, წიგნი II, გვ. 273.

სოლომონი თვითონვე უბასუხებს მის მიერ დაყენებულ კითხვებს: მართალია, საქართველო და რუსეთი სჯულთ ერთნი არიან, მაგრამ მანამდე არაა მთავარი! რუსთ ბატონობა საქართველოსათვის თავზე უცხო რეჟიმის მოხვევა იქნება, ერი ვერ შეეგუება ამ უცხო ძალას და დაიჩაგრება.

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არაა არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოხსნეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქარველობამა?

პოეტს სოლომონის პოზიციის შესამაგრებლად პოემაში გამოჰყავს მისივე მეუღლე „სათნო სოფიო, სულისა ტოლი“. სოლომონთან პაექრობის შემდეგ მეფე კახეთს მიემგზავრება, სოლომონს კი უბრძანებს ქალაქს ჩახედოს და მხად დახედეს მეფის დაბრუნებას. ქალაქიკენ მიმავალი სოლომონი შეივლის ქსნის ხეობაში, სადაც ოჯახი ჰყავს გაზრდილი. აქ იგი თავის მეუღლეს გაუზიარებს ერეკლეს გადაწყვეტილებას და თანაც აღწერს იმ სიკეთეს, რაც ქვეყანას თითქმის ახალ მეფობაში მოულის. მაგრამ სოლომონის „სულის ტოლი“, ქმრის აზრებს თანაზიარია. მას არ იზიდავს არც მშვიდობა, არც ფუფუნება, თუ მოკლებული იქნება თავისუფლებას.

უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაც ვერ ვის ეიარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბუღბული,
გალიაშია დატყვევებული?

სოფიოს პოზიცია (იგივე სოლომონის) გმირული პოზიციაა. იგი რაინდული სულის ძაბილია, ეროვნული გრძნობის ამტყვევებია. იგი სათაყვანო ყველა შემთხვევაში, თუნდაც განუხორციელებელი ჩანდეს. სოფიოს სიტყვები თავისუფლების ჰიმნია უნაზესი არსების ბაგეთაგან წარმოთქმული.

ნ. ბარათაშვილი — თავისუფლების დიდი ტრფიალი მგოსანი, სწორედ სოფიოს ათქმევნებს ამ სიტყვებს, რომ გააცოცხლოს სახე მარად ნეტარი წინაპრებისა და დამოს საქციელი მისი თანამედროვე ქალებისა, რომლებმაც განცხრობისა და ფუფუნებაზე გაცვალეს ერის სიყვარული, რომელთაც „ქარმან ჩრდილოსმან“ გული შეუცვალა და მისი, როგორც ქართველი ღედის, უკეთილშობილესი მოვალეობა დაივიწყა.

პოე, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტყბილასხსოვარნო!

რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?

ირაკლისა და სოლომონის კამათით არსებო-
თად სრულდება მსჯელობა ქართლის ბედზე.
კახეთიდან მეფე თბილისს ბრუნდება. ქალაქი
აოხრებულია, ქართველთა სისხლით შეღებილი
მტკვარი მწუხარად ბუტბუტებს. მაგრამ ერეკ-
ლე ზულით არ ეცემა, იგი ისევ ხმაღს იღებს
ლექთა შესამუსერლად. მეფემ „სიბერის უამსა
მოიცა ძალი და შეაბრუნა კვლავაც ოსმალი,
კვლავ ასახელა თავის სახელი“, ქართლის ბედ-
ზე ირაკლისა და სოლომონის პაექრობა მეფეს
თავისი პოზიციის ერთგულ კიდევ შესამოწმებ-
ლად სპირვებია. სოლომონის (და სოფიოს) არ-
გუმენტო ძლიერია როგორც ერის გრძნობის
გამოხატულება, მაგრამ გრძნობებზე დაყრდნო-
ბა, როცა საქმე ერის ფიზიკურ ყოფნა-არყოფ-
ნას შეეხება, საქმეს ვერას უშველის. მეფე —
ქვეყნის მამა და პატრონი, ვალდებულია გონე-
ბის კარნახს დაემორჩილოს. ერეკლე ასეც იქ-
ცევა და ავტორი პოემის ლოგიკურ დასასრულს
ამოღეს:

დიდი ხანია გულს ირაკლისა
გარდუწყევტია ბედი ქართლისა!

* * *

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დღემ-
დე საკამათოა პოემის ავტორის პოზიცია. მკვლევარ კიტა აბაშიძეს მიაჩნდა, რომ ამ რეა-
ლისტურ ნაწარმოებში პოეტმა დაიცვა „უპი-
რობოვნება (impersonality)“ „ფაქტის სასტიკ
აღმნიშვნელად დარჩა“ და ამით რეალიზმის
ერთი უდიდესი კანონთაგანი შეასრულა.¹ ა
ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით, „ბედი ქართლი-
საში“ თითქმის ავტორის პიროვნება არა ჩანს,
მაგრამ ამავე დროს, ჩანს და ძალიან მკაფიო-
დაც. ამ პოემაში პოეტი პირველი შეხედვით
ობიექტურად აღწერს იმ მომენტს, როდესაც
ერეკლე საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე
ფიქრობდა, მაგრამ შიგ იმდენი მღელვარება
შეაქვს და იმდენია ლირიული განდგომა, რომ
სრულიადაც გარკვეული გვეჩვენება პოეტის
აზრი ამ ფაქტის შესახებ და მისი მელანქო-
ლიის მთავარი მიზეზიც.“²

ვ. კოტეტიშვილი აქვე მიუთითებს სოფიოს
ცნობილ სიტყვებზე („უცხოობაში რაა სიამე“) და აღნიშნავს, რომ „ეს ადგილი არის პოემის
გასაღები და პოეტის განცდების თუ სიმპა-
თიების მაჩვენებელი. აქედან ნათელი ხდება,
თუ ვის მხარეზეა პოეტის სიმპათიები. მართა-
ლია, ის ერეკლე მეფესაც დიდი სიყვარულით

ახსენებს, მაგრამ ეს სიყვარული იმით კი არ
არის გამოწვეული, რომ საქართველოს რეა-
ლისტურ უეროვნება, არამედ იმ გმირობით, რაც
მელსაც „პატარა კახი“ იჩენდა თავისი ქვეყნის
დასაცავად. პოეტმა ერეკლე მეფე გამოიყვანა
ტრაგიკულ პიროვნებად, რომლის არსებობა-
საც შინაგანი ქარიშხალი გლეჯდა.“³ პოეტ.
ა. გაწერელიას მიაჩნია, რომ „ნიკ. ბარათაშვი-
ლის სიმპათია სოლომონ ლეონიძის მეტელი-
საყენა და თავისუფლება მისთვის სიცოცხლე-
სა და ბედნიერების უზინარეს პირობას წარ-
მოადგენს.“⁴ „მაგრამ — შენიშნავს ა. გაწე-
რელია, — იდეების ასეთს რკალში თითქმის არ
მქცევია ორი ლექსი „საფლავი მეფისა ირაკლი-
სა“ და „ომი ქართველ თავად-აზნაურ-გლეხთა“...
ამ წინააღმდეგობის შერიგებას ა. გაწერელია
ციდილობს ასეთი დებულებით: „პოეტს მონარ-
ქიული რუსეთის ხელშეკვეთი არსებობის პოლი-
ტიკური ხასიათი კი არ აინტერესებს, უპირა-
ტესად, არამედ კულტურული“.⁵

მკვლევარ გ. აბზიანიძის აზრით, „თავის
პოემაში ნ. ბარათაშვილი თანაბარი სიმპათიით
გვიხატავს ერეკლე მეორისა და სოლომონ
მსაჯულის მოპირდაპირე პოლიტიკური ორიენ-
ტაციის აღმანიშნებს, იგი არ იჩენს მიკერძოებას
არც ერთის მიმართ...“

ნ. ბარათაშვილი პრინციპულად ეროვნული
თავისუფლების იდეის თავადდებულ მომხრედ
გვევლინება. ამ მხრივ იგი ეხმარება სოლო-
მონ ლეონიძის გრძნობებს და დიდი სიმპა-
თიით გვისურათებს მას, მაგრამ იმ ისტორიულ
სიტუაციაში, რომელშიც მოქცეული იყო მე-18
საუკუნის საქართველო, ბარათაშვილი ერთად-
ერთ სწორ პოლიტიკად თვლის ერეკლე მეო-
რის ორიენტაციას.“⁶

სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებისაა
მკვლევარი გ. ნადირაძე. „პირდაპირ უნდა ითქ-
ვას, — წერს იგი, — რომ პოემის დაწერის
მომენტში, ოცდაათიანი წლების დამლევს ბა-
რათაშვილი ისე აფასებს მეფის რუსეთის დამ-
კვიდრებას საქართველოში, როგორც აფასებდ-
ნენ მას 1832 წლის შეთქმულების მონაწილე-
ნი — ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, ფ. კიკ-
ნაძე, ს. რაზმაძე და სხვანი — უარყოფითად.
სხვა აზრის გამოტანა ამ პოემის რეალობიდან

3 ვ. კოტეტიშვილი, იქვე გვ. 124.

4 ა. გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მონოგრაფია.

5 იქვე, გვ. 92.

6 გ. აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბილისი, 1955 გვ. 81.

აპაპი სურგულაძე

ნ. ბარათაშვილი და სამართმელოს ის-
ტორიის პრობლემები

1 კიტა აბაშიძე, ეტიუდები, 1963 წ. გვ. 88.

2 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატუ-
რის ისტორია, თბილისი, 1959 წ. გვ. 123.

იქნებოდა სრულიად შეუწყნარებელი ძალმომარეობა აზროვნებაზე.¹

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამოთქმული ეს სამი თვალსაზრისი თანაბარი უფლებებით სარგებლობს და გენიალური პოეტის გამოკვეთილი პოლიტიკური იდეოლოგიის გაგებას, რა თქმა უნდა, ართულებს.

„ბედი ქართლისა“ მართლაც ისეა დაწერილი, რომ მკითხველი ღრძივ საპირისპირო პოზიციის მიმართ თანაბარი სიმპათიით იმსჯელებს. მკითხველი თავიდანვე აღფრთოვანებულია პატარა კახის გმირობით ბრძოლაში, მისი მამობრივი სიყვარულით მამულისადმი, მისი მიუყრდნელი მსჯელობით ქვეყნის ახლანდელი ვითარებისა და მომავლის შესახებ. მკითხველი ასევე მოხიბლულია სოლომონ მსაჯულის ოპონენტით, რომელსაც პოზიციას სათნო სოფიოც უმაგრებს. თავისუფლება არსებობის უმაღლესი ნიშანია და რა მომხიბვლელად, არგუმენტირებულადაა გამოთქმული მისი სილითა და პოემაში! ავტორს სხვაგვარად არც შეეძლო. რომელიმე მხარისადმი მიკერძოება პოემის მხატვრულ სახეს ძალზე დაამდაბლებდა, რეალისტურ სურათს გააფერხებდა და გააღებრალებდა თავისთავად იმ რთულ საკითხს, რომელიც დამაჯერებელ პასუხს მოითხოვდა.

პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება მკაცრი პოლიტიკოსის ანალიტიკური განსჯა ქვეყნის მომავალზე და გულისტყვილი იმ ზეედრის გამო, რაც სხვის ბატონობას ახლავს. მოკლედ, — გონება და გრძნობა.

ერეკლეს არგუმენტაცია თანმიმდევრული, ლოგიკური და მონოლითურია. განა მეფეს არ ესმის, რომ უცხოობაში სიამე არ არსებობს? რომ თავისუფლების ფასი ქვეყნად არაფერია, რომ ძლიერი მეზობლის მიკედლებას საბოლოო შედეგად მისდამი მონობა მოსდევს, რადგან პოლიტიკაში ყველა ქვეყანა ხელმძღვანელობს არა კეთილშობილების, არამედ სარგებლიანობის პრინციპით. რა შეიძლება იყოს ბადალი საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა? მაგრამ ერთია სურვილები და ოცნებანი, მეორე — მკაცრი სინამდვილე; სინამდვილე კი შემზარადია: ეკონომიურად დაცემული, პოლიტიკურად დანაწევრებულ საქართველოს, რომელიც გამუდმებული ომების გამო სისხლისაგანა დაწერილი, მტრულ მუსლიმანურ გარემოცვაში გაჭრობა ემუქრება. ყველა ღონისძიება ერის აღორძინებისა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რომ დაიწყო, ისევე ჩაყვდა. ქვეყანას არ აღმოაჩნდა ძალა გამკლავებოდა შინაგან სისუსტეს და ამ ვითარებაში აღა მაჰმად ხანის შემოსევამ დაავიარგინა ნგრევის საშინელი პროცესი.

¹ გ. ნადირაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიური სამყარო, თბილისი, 1961, გვ. 62-63.

სად არის ხსნა? ირანთან ან თურქეთთან? შირი ხომ იმას ნიშნავს, რომ ერი გასწორებული ფიზიკური სიკვდილისათვის. გარემომცველ მეზობლები საქართველოს დედაბუდიანად აღმოფხვრას, მისი საფუძვლის მოშლის აპირებენ; ისლამის რჯული სპობს არა მარტო ქრისტიანობას, არამედ სამშობლოს ცნებას ქართველის გაგებაში.

აღდგომა-გამოხსნისათვის ბრძოლა ერთადერთ მშველელად ისევე რუსეთს გულისხმობს. რუსეთის ქვეშევრდომობა როდია ბედნიერება, მაგრამ ამ ვითარებაში იგი ერთადერთი ხსნაა. რადგან ფიზიკურად დაღლილი ერის დასვენებაა. მისი შევიდომიანი ამოსუნთქვა და ძალების მოკრებაა.

მართლმადიდებელი რუსი ვერ მოშლის ერს ფიზიკურად, ვერ წაართმევს ქრისტიანობას, ვერ ამოადგებს სამშობლოს ცნებას; პირიქით, იგი გაიყვანს ერს ფართო სარბიელზე — ევროპულ ორბიტაში, ცივილიზაციის ნაკადს გაუჟღავნებს გზას დახშულ მუსლიმანურ სამყაროში.

საქართველოს ასეთი არჩევანი სხვაფრივადაც შეპირობებულია. ძლიერი რუსეთი თანდათან მოიკვლევს გზას სამხრეთისაკენ. ახლო აღმოსავლეთში ბატონობისაკენ მოისწრაფვის, შავ ზღვაზე დამკვიდრების დიპლომატიური პოლიტიკა მას კავკასიური პლატდარმის ძიებას უყარნახებს. იგი, სულერთია, აქ ბრძოლით მოვა, მოვა როგორც დამპყრობელი, რომ „დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიკავს რუსთ ხელმწიფება“, — ასე ფიქრობს ერეკლე და ეს განსჯა სახელმწიფოს გონიერი მეთაურის განსჯაა, ვითარების მკაცრი ანალიზიდან გამომდინარე.

რას უპირისპირებს ამ არგუმენტებს სოლომონ მსაჯული? — ისე რა უპირისპირებულს, რომ განვისყიდოთ თავისუფლება, უცხოობაში ცხოვრება ძნელია, უცხოებაში კაცს იღუმალი ტანჯვა გულს მოუკლავს, რუსთა მეფობა ვერ შეიწყნარებს მას, რასაც ქართველობა მოისურვებს. ეს აზრები თავისთავად დიდებულია. მაგრამ განა ეს არგუმენტი აბათილებს ერეკლეს მეორის არგუმენტს და ხსნის რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობის თეზას?

მე ეგ ყოველივე არ ვიცი განა?

მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის

რა მოვაგვარო უმჯობეს ამის? —

უპასუხებს სოლომონს ბრძენი ერეკლე და სოლომონს თავისი პოზიციის დასაცავად განმეორებით არაფერი აქვს სათქმელი.

ამრიგად, სტრიქონებში დავა გადაწყვეტილია ერეკლეს სასარგებლოდ. ავტორი თითქოს არ ამჟღავნებს თავის პოზიციას, მაგრამ ისე თვალნათლივ ხატავს საქართველოს გამოუვალ მდგომარეობას, რომ მკითხველს ერეკლეს გადაწყვეტილების მართებულებაში აჯერებს.

მკვლევარი გ. ნადირაძე ამ თვალსაზრისს „ზაროვნებაზე“ ძალმომრეობას უწოდებს. მას, მაინც, რომ ბარათშეილი ოცდათორმეტიანელებთან ერთად რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში უარყოფითად აფასებდა.

მაგრამ ოცდათორმეტიანელები არ იყვნენ თავგამოდებული სეპარატისტები. ისინი 1783 წლის ტრაქტატის მოტრფილნი იყვნენ და განადიდებდნენ ერეკლეს პოლიტიკას. შინაგანად დამოუკიდებელი საქართველო რუსეთის მფარველობაში — ასეთი იყო მათი იდეალი. ოცდათორმეტიანელები დუქინელები მტრები იყვნენ იმ ანექსიონისტური პოლიტიკისა, რომელიც ცარიზმმა 1801 წელს განახორციელა. 1801 წლის მანიფესტი 1783 წლის ტრაქტატის გაუფასურება-უარყოფა იყო. 1801 წლიდან მოკიდებული ცარიზმი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს ახორციელებდა საქართველოში და შეურაცხყოფდა ეროვნულ ენას, ტრადიციებს, ერის ჩუმ ასიმილაციას მიმართავდა. ოცდათორმეტიანელები ცარიზმის ამ უხეში კოლონიური რეჟიმის დამხობისათვის იბრძოდნენ. გ. ნადირაძე სწორად შენიშნავს, რომ ბარათშეილი „ისე აფასებს მეფის რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში, როგორც აფასებდნენ მას 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი... საქართველოში... უარყოფითად, მაგრამ აქ არაფერ შეუძლია პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც პასუხს აძლევს მხოლოდ ერთ საკითხს — სასარგებლო იყო თუ არა იმ ვითარებაში რუსეთის მფარველობა და სწორი იყო თუ არა ერეკლეს გადაწყვეტილება. ეს პასუხი დღემდომია და არა უარყოფითი.

პოეტის მერ პოემაში დაყენებული კარდინალური საკითხი უფრო ნათელ, პირდაპირ და კონკრეტულ პასუხს პოულობს ბარათშეილის ლექსში „საფლავი მეფისა ირაკლისა“. ეს ლექსი 1842 წელსაა დაწერილი და პოეტი აშკარად აეთმარებს იმ თითქმის საჭეკმანე პოზიციას, რომელშიაც, სავარაუდოა, ბარათშეილის თანამედროვენი მერ გარკვეულობას მოითხოვდნენ. ლექსში პოეტი მუხლს იყრის მსცოვანი გმირის, ერეკლეს საფლავის წინაშე და გარკვევით ლაპარაკობს მეფის პოლიტიკის მართებულობაზე, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების პროგრესულობაზე.

თაყვანსცემ შენსა ნაანდერძეს წინასწარად
თქმულს!
გახსოვს, სიკვდილის ქაშის რომ უთხარ
ქართლს დაობლებულს?

ლექსში ლაქონურად, მაგრამ ღრმად და დამაჯერებლად ჩამოყალიბებული რუსული ორიენტაციის — რუსეთთან საქართველოს თანაცხოვრების პროგრესული შედეგები. ერეკლეს შთამომავლობა იმის საქართველოს რუსეთთან

შეერთებით მოწეულ „ტკბილსა ნაყოფს“. ახლა

„უამთ-ვითარებით გარდაცეწილთ შენთ
შვილთ მიდამო
მოაქეთ მამულში განათლება და მძა
სამო;
მათი ცხოველი, ტრფილებით აღსავსე
სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა,
განცეცლებული.
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ
მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი
ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ფლობდა
ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ
ხელი!
აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის
ღელვას,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი
აღტყვევლა,
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა
მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვირან მრავალის მხრით ჩვენთა
მომხეთა!

ლექსი გარკვევით მიუთითებს, რომ რუსეთთან თანაცხოვრება საქართველოს მშვიდობა მოუზოვა. ახლა, ქართველ მამულშიშვილებს რუსეთის ცენტრებში ცივილიზაციის ნაყოფს ნაზიარებთ, განათლება მოაქეთ სამშობლოში. საქართველოს აღარ აშინებს ირანელ დამპყრობთა აზვაება, შავი ზღვიდან თურქ დამპყრობთა ნაცვლად ზომალდებს სასიამოვნო სტუმრები მოჰყავს.

ეს საქართველოს რუსეთთან შეერთების მართლაც ის ობიექტურად პროგრესული შედეგებია, რასაც დღეს ერთხმად აღიარებს საბჭოური ისტორიოგრაფია. ნიკოლოზ ბარათშეილმა პირველმა მოუწახა გასაღები ორი ერის თანაცხოვრების იმ დადებით მხარეს, რაც, ცხადია, ცარიზმის ნების გარეშე და მის სამპირისპიროდ ხორციელდებოდა. სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი პ. ინგოროყვა: „პოეტი ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან დაახლოება იყო ისტორიული გარდუვალი აქტო და ერთადერთი სწორი გზა შექმნილი გამოუვალი მდგომარეობიდან. პოეტს თავისი ქვეყნის ხსნად მაინცია, რომ საქართველომ გააჩლია რაკალი ბარბაროსული ქვეყნების გარემოცვისა და აღადგინა კავშირი კულტურულ მსოფლიოსთან, რომე-

აბაკი სურგულაძე

ნ. ბარათშეილი და საპარტიველოს ისტორიის პრობლემები

ლსაც საქართველო საუკუნეებით იყო მოწყვეტილი“.¹

საქართველოს რუსეთთან თანაცხოვრების პროგრესულობის აღიარება ოდნავადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბარათაშვილი შერიგებული იყო იმ კოლონიურ პოლიტიკასთან, რასაც საქართველოში რუსეთის ცარიზმი ახორციელებდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე ჩვენ, ისტორიკოსებს გვაქვს გარკვეული ფორმულა. შეერთება ობიექტურად პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ეს სრულებითაც არ ჩრდილავდა ცარიზმის სუბიექტურ უხეშ კოლონიზატორულ ზრახვებს, მის მისწრაფებას მთელი ერის დამონებისა და ასიმილაციისა.

ოცდათორმეტიანელები და მათი იდეური მემკვიდრე ნ. ბარათაშვილი ცარიზმის ამ სუბიექტურ რეაქციულ პოლიტიკას ებრძოდნენ, ბარათაშვილი გულმოკლული იყო სამშობლოს მწარე ხვედრით; მისი ზღზის ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფისა და ფეხქვეშ გათელვის გამო.

საქართველოს ჩაგვრის გამო მკაცრი პროტესტის, მისდამი შეურიგებლობის გამოხატულება ლექსი „სუმბული და მწირი“, რომელიც სრულიად არა შემთხვევით 1842 წელსვე, ე. ი. „საფლავი მეფისა ირაკლისა“ გამოქვეყნების წელსვე დაიწერა.

სუმბული აქ სიმბოლურად ცარიზმის უღელქვეშ მყოფი საქართველოა. წინათ ველზე ლაღად გაფურჩქნელი ყვავილი ახლა ბნელშია დახშული. განგებამ ჩამოაიკლა „სწორთა ყვავილთ, მშენიერ ცას“, ბუღბუღსა და ტურფა ბუნებას. მწირი მას მოაოვნებს, რომ სუმბულს მკაცრი ზამთარი უწყალო სიკვდილს უმზადებდა, მხოლოდ მზრუნველმა კაცის ხელმა იხსნა იგი ამ საშინელი ხვედრისაგან. მაგრამ სუმბული ასეთ სიცოცხლეს არაფრად აგდებს, იგი დასტურის თავის ბრწყინვალე წარსულს და პატივობს მდგომარეობას ვერა შერიგებისა.

„მარტე, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-

მშენიერი,

ვით გააღიმებს ჩემს შეენებას ხშული

ჰაერი?

არღა მეველება გარე წყარო, ცივი კამაში,
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის
ნამი;

გრილი ნიაგი ჩემთა ფურცელთ არ

უალრესებს

და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა

უჩრდილებს.

აქ მხატვრულ ალგორიაში გადმოცემულია სევდა და მკაცრი პროტესტი „მზუნველი კაცის

ხელით“ დაპყრობილი და დაჩაგრული ერისა. ლექსი იმეორებს იმ მოტივებს, რომლითაც 1832 წლის შეთქმულნი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს ებრძოდნენ.

რუსული ორიენტაციის უპირატესობის აღიარება, საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულად შეფასება არაა მართოდ ნ. ბარათაშვილის პირადი თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისის 30-იან წლების მიწურულის ქართველ მოწინავე ინტელიგენციაში ფეხი მძლავრად განუდგამს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ალ. ჭავჭავაძის თხზულება „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. ეს ნაშრომი, როგორც ცნობილია, 1836-37 წლებშია დაწერილი. XVIII საუკუნის მიწურულის რთული ვითარებისა და ერეკლე მეორის მიერ აღებული პოლიტიკური კურსის შეფასებაში ალ. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის სრული თანამოაზრეა.

ალ. ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ „ალამამდახანის უკანასკნელმა შემოსევამ და თბილისის აოხრებამ 1795 წელს გადაწყვიტა საქართველოს ბედი. საქართველომ თვალნი თავისნი მიაყრო ერთმორმშენ რუსეთს, რომელშიც იგი წინათაც პოვებდა დასაყრდენს“.²

1801 წლის აქტს კი ალ. ჭავჭავაძე ასეთ შეფასებას აძლევს: „საქართველო მაშინ ისეთ მძიმე ავადმყოფად ჰგავდა, რომელსაც ძლიერლა შეუძლოა მეტრნალს თავისი სისუსტე ამცნოს და განა შეეძლო მას ამ დროს რაიმე წინააღმდეგობა? იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მფარველობა მისთვის აუცილებელია და ამიტომ ამის შესანარჩუნებლად ყველაფერი სხვა გასწირა.“

ალ. ჭავჭავაძე, როგორც ვხედავთ, აღიარებს 1801 წლის აქტის აუცილებლობას, შექმნილ ვითარებაში მას ერთადერთ გამოსავალს უწოდებს. ნარკვევის შემდგომი გვერდები საქართველოში რუსული მმართველობის მკაცრ კრიტიკას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ნარკვევი რუსეთის იმპერატორთან წარსაღებად იყო გათვალისწინებული, ალ. ჭავჭავაძე აქ არ მორიდდება ცარიზმის კოლონიური რეჟიმის უეარგისობის მკვეთრ მხილებას.

„ბედი ქართლისაში“ ნ. ბარათაშვილს წამოყენებული აქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც მას მჭიდროდ აკავშირებს არა მარტო ოცდათორმეტიანელებთან, არამედ მთელი განათლებული კაცობრიობის ახალ იდეოლოგიასთან.

სოლომონ დოდაშვილის იდეებზე ვაზრდილ

² ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, 1940, გვ. 243.

³ იქვე, გვ. 245.

¹ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1945 წ. პ. ინგოროყვა, ნარკვევი, ნ. ბარათაშვილი, გვ. 10.

პოეტს, რომელიც დეკაბრისტული მოძრაობის წინააღმდეგ ახლო იცნობდა და ევროპული დემოკრატიული იდეების მოტრფიალე იყო, აბსოლუტური მონარქიის, დესპოტიზმის დროშა-მულობა ღრმად ჰქონდა შეგნებული. იგი თავიანთ სიყვარულს ისეთ სახელმწიფოებრივ მმართველობას, სადაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს არა ერთი კაცი წყვეტდა, არამედ ჭკუდი ხალხის წარმომადგენლებისა, მოკლედ რომ ვთქვათ, კონსტიტუციური მმართველობა, რომელიც ევროპის რიგ ქვეყანაში ამ დროს დიდი ხანია განხორციელებული იყო, ბარათაშვილის — ევროპული პოლიტიკური იდეებისა და კულტურის მცოდნე კაცის ტრფილს შეადგენდა.

ნიკოლოზ პირველის რეაქციული მმართველობის ეპოქაში, როცა კონსტიტუციის ხსენებაც კი კანონით ისჯებოდა, პოეტს, ცხადია, არ შეეძლო აშკარად და თავისი სახელით ელაპარაკა ქვეყნის კონსტიტუციურ მმართველობაზე, თვითმპყრობელობის უფლებების შეზღუდვაზე.

სოლომონ მსაჯული ქსნის ხეობით ოჯახში მიმავალი ფიქრს გაუტაცნია და აქ აღმოხდებოდა მას საყვედური თვითმპყრობელური რეჟიმის მისამართით:

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!

ერთს კაცს მომადლებ ყოვლითა უფლებას,
და მისს ერთ სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულენი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!

ამ სიტყვებში უმკაცრესი პროტესტია თვითმპყრობელობის უსამართლობის წინააღმდეგ.

ეს მონოლოგი შეთქმულთა რადიკალური ფრთის პოლიტიკური პროგრამის მხატვრულ ენაზე გადატანაა.¹ რა ვუყოთ, რომ სოლომონ მსაჯული ამბობს ამ სიტყვებს, ეს ხომ პოეტის სიტყვებია მოხერხებულად შეპარებული და შეზრდილი პოემის ჩონჩხთან, ამასთან ყველაზე რადიკალური ნააზრევო, რაც კი დაწერილა XIX საუკუნის საქართველოს პირველ ნახევარში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: XIX საუკუნის 30-40-იანი წლების ქართველმა პროგრესულმა ინტელიგენციამ, რომლის იდეური ხელმძღვანელი გენიოსი პოეტი და მოაზროვნე ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, თეორიულად დაასაბუთა საქართველოს რუსეთთან შეერთების ინიციატივად პროგრესული მნიშვნელობა. მიუხედავად იმ მკაცრი კოლონიური რეჟიმისა, რომელიც რუსეთმა დაამკვიდრა საქართველოში, რუსეთთან თანაცხოვრება ტრაქტატის მუხლების საფუძველზე ნიკოლოზ ბარათაშვილმა ერის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად გამოაცხადა. ახალი საქართველოს განთავისუფლების ქეშმარიტი გზა რუსეთზე გადიოდა. კოლონიური უღლის დამხობისათვის უკვე დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართველი ხალხისა უნდა წარმართულიყო რუს ხალხთან ერთად.

ეს უკვე პირველი მონახაზი იყო იმ გრანდიოზული პროგრამისა, რომელიც ბარათაშვილის სახელობაზე მეგვიდრეგებმა, თერგდალელმა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში თავიანთ საბრძოლო დროშას წააწერეს.

¹ ა. გაწერელია, ნ. ბარათაშვილი.



გუგამ ასათიანი

«მეჩანნი» და მისი პეტროლი

წერილი მისამდე

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება მეტად ღარიბია ლირსშესანიშნავი ფაქტებით.

...დაიბადა 1817 წელს გაღარიბებული თავადის, მელიტონ ბარათაშვილის ოჯახში. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უბრალო მოხელედ («Экспедиция суда и прав»). ნახევარი წელიწადი გაატარა ნახიჩევანში. გადარიცხა 1845 წლის 9 ოქტომბერს (ძვ. სტილით) განჯაში, სადაც რამდენიმე თვე მაზრის მმართველის თანაშემწედ იყო განწყობილი. გადმოცემის თანახმად, 28 წლის პოეტისათვის ავთვისებიან მალარიას მოუღია ბოლო.

უცნაური შემთხვევითობის გამო პოეტის სურათს ჩვენამდე არ მოუღწევია. თანამედროვე ქართველ მკითხველს მისი სახე მხოლოდ მიახლოებები აქვს წარმოდგენილი.

პოეტის პიროვნული პორტრეტის აღსადგენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი რამდენიმე წერილი ახლობლებისადმი და თანამედროვეთა ცალკეული მოგონებები.

მთავარი, რაც ყურადღებას იპყრობს ბარათაშვილის ბიოგრაფიაში, არის არა ის, რასაც რეალურად ჰქონდა ადგილი, არამედ ის, რაც პოეტს აღსურვლებელი დარჩა. — განუხორციელებელი სურვილები, გეგმები (სამხედრო კარიერაზე იძულებით უარის თქმა, რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად გამგზავრების ჩაშლა, უბედური სიყვარული ეკატერინე ჰაგჰაგისადმი და სხვ.).

ძრახვის განუხორციელებლობა თან სდევს პოეტის ყოველ პიროვნულ ნაბიჯს...

ნიკოლოზ ბარათაშვილს რომ მეტ ხანს ეცოცხლა, შესაძლოა, მისი ცხოვრება და შე-

მოქმედება სრულიად სხვა გზებით წარმართულიყო.

ვინ იცის, ბაირონის მსგავსად, წმინდა რომანტიკულ შთაგონებას ისიც სინამდვილის ცოცხალ სახეებზე გაცვლიდა ან, როგორც ჯაკომო ლეოპარდი, თავის უცაყოფილებასა და კაეშანს გესლიან პაფლეტებში უპოვიდა გამოსავალს.

ქართველი პოეტის პირად წერილებში არის მთელი რიგი ნიშნებისა, რომლებიც ასეთ შესაძლებლობას უშვებენ.

მაგრამ ლიტერატურის ისტორიკოსისათვის ასეთ ვარაუდს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. იგი იძულებულია შემოიფარგლოს იმით, რაც ნამდვილად განხორციელდა პოეტის შემოქმედებაში.

ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა აბსოლუტურად მოკლებულია ირონიას, რომელიც მისი პიროვნების განუყოფელი თვისება იყო. როგორც პოეტისათვის, მისთვის ასევე უცხოა სინამდვილის ზუსტი ასახვის, აღწერის ხერხები, რასაც თავის წერილებში ამტკიცებს — საერთოდ ემპირიული სამყაროსადმი, ყოფაცხოვრების კონკრეტული დეტალებისადმი რაიმე ინტერესი, რაც, თანამედროვეთა მოწმობით, ცხოვრებაში მას თითქმის პიპერტროფირებული სახით ჰქონდა განვითარებული.

როგორც ლირიკოსი, იგი ყველა ამ თვისებას პოეზიის გარეშე ტოვებს.

შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილს თავისი ცხოვრებით არ უტყოვრია. თანამედროვეთათვის მას ჰქონდა რაღაც ნიღაბის მსგავსი, გაყინული გრიმისა, რომელსაც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იცილებდა.

ბარათაშვილის მთელი პოეტური მემკვიდრეობის შინაგან პათოსს არსებული რეალობის უარყოფა წარმოადგენს, მაგრამ როგორც ცოცხალი ადამიანი, იგი გამუდმებით ეძებდა თავის მიწიერ მოწოდებასაც, თავისი პიროვნების ობიექტურ, ემპირიულ დამკვიდრებას. «Ведь я страдаю от фантастического — елбнеბა ეშმაკი ივანე კარამაზოვის, — а потому и люблю ваш земной реализм. Я здесь все ваши привычки принимаю: я в баню торговую полюбил ходить... Моя мечта это — воплотиться».

ბარათაშვილი ქალაქში ოინბაზად იყო ცნობილი, ოხუნჯად, სკანდალისტად, მოქიფედ. ქალებს მისი უნის ცეცხლივით ეშინოდათ. არც ერთი ახალი ქორი არ გამოეპარებოდა. თათრის აბანოების სმირი სტუმარიც იყო. სათარბს ბაიათების მოყვარულიც. პირველი რომანი ფრანგი მეფუნათუშის ქალთან გააბა. როგორც ჩინოვნიკი, სამაგალითო „გერმანელი“ სიბეჭითით გამოირჩეოდა. «Баратов на моем месте сидеть будет!» — თქვა ერთხელ მისი პუნქტუალობით აღტაცებულმა პალატის უფროსმა...

თანამედროვეთაგან ბარათაშვილის ყველაზე მეტად ილია ორბელიანის პიროვნება აწუხებდა. ი. ორბელიანი პოეტის დედის, ეფემიას უმცროსი ძმა იყო. ილია და ნიკო ერთად იზრდებოდნენ.

შამილთან ბრძოლაში ილია ორბელიანმა ლეგენდარული გმირის სახელი მოიხვეჭა. არა მხოლოდ რუს სარდლობაში, დაღესტნელთა შორისაც. ალექსანდრე დიუმას თავის „მოგზაურობაში“ აღწერილი აქვს, როგორი პატივით მიიღო ილიას დატყვევებული ქართველი შამილმა, როდესაც მისი ვინაობა გამოარკვეა.

ამ კაცს მართლა გმირული ბოვრავა იქონიდა და ბოლოს, როგორც ნამდვილმა მეომარმა, ბრძოლის ველზე დალია სული.

როგორც ცნობილია, „მერანის“ შექმნას სწორედ ილია ორბელიანის ტყვეობის ამბავმა მისცა ბიძგი. მაგრამ, აი, რას სწერს პოეტი თავის უფროს ბიძას გრ. ორბელიანს ერთი წლის შემდეგ:

„ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუნქამდი თავისი ჯამადირი გამოუვიდა... ამისი საქმე თავში ბოსტანია“...¹

სწორედ ილია ორბელიანს მოუწყო ბარათაშვილმა თავის ამხანაგებთან ერთად ერთი იმ შეურაცხყოფილ ოინთავანი, რომლის მსგავსი ხორცილობაც ერთ დროს ლერმონტოვი აცოფებდა თავის ბელუჯულმარტ მკვლელს.

ეს ინციდენტი ბიძისა და მძისწულის მისტიფიცირებული დუელით დამთავრდა და აქაც, ბა-

რათაშვილის გეგმით, კავკასიის სახელგანთქმული გმირი სასტიკად გაამასხრეს.

ბარათაშვილისათვის ილია ორბელიანი აღტაცების საგანიც იყო და ამავე დროს მკვეთრად ანტიბოლდური პიროვნებაც. ის რაც პოეტის სულში ჩაიდევლვა ბუნებრივი გამოსავლის უზოველად, — ეს თანდაყოლილი, დუოკეებლი წყურვილი პრაქტიკული მოქმედებისა — თითქმის სრულიად უბრალოდ, თავისი უხეში, ტრივიალური ფორმით იყო ვანზორცილებული სახელმწიფევილი მეომრის პიროვნებაში.

ბარათაშვილის სულიერი ტრაგედია იყო ტრაგედია დიდი ცხოვრებნიათვის, დიდი მოქმედებისათვის დაბადებული პიროვნებისა, რომელსაც დრომ ფაქტური უმოქმედობა მიუღწავა.

არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიყმაწვილში ორივე ფეხი მოიტეხა და ჯარისკაცის საოცნებო კარიერაზე უარის თქმა მოუხდა, ან იმის გამო, რომ გაცოტრებულმა მელოტონ ბარათაშვილმა უმადლეს სასწავლებელში ვერ გააგზავნა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი.

ბარათაშვილის დროინდელ საქართველოში ყოველი პრაქტიკულად შესაძლებელი მოქმედება თავისი ობიექტური შინაარსით იყო აუცილებელი გაყალბება იმ მაღალი იდელებისა, რომელთაც პოეტის სულიერი სწრაფვა განსაზღვრეს.

ასეთ ყალბ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, კერძოდ, პოეტის ბიძები გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანები, მეფის სამსახურში დაწინაურებულნი, კავკასიის ომში სახელგანთქმული ბრწყინვალე მოციურები.

ქრესტომათიული ბარათაშვილის კრედიტ გაცნისილია ცნობილ სიტყვებში: „მაგრამ რადგანაც კაცი გვქვანს, შევლნი სოფლისა, უნდა კიდევამეგს დიდით მის“...

მაგრამ ეს ხომ მხოლოდ პოსტკრიპტულია სრულიად სხვა შინაარსის შემცველი ლექსისა, მხოლოდ ნაწილობრივი, იძულებითი კომპრომისი. სინამდვილეში, მოქმედების ის სარბიელი, რომელიც აქ იგულისხმება, უტეხ და მთელეებლი იყო პოეტისათვის.

ბარათაშვილი არ გასდევნებია იმ გზას, რომლითაც მისი ბიძები წაივდნენ.

პოეტის ნამდვილი რწმენა გამოიხატა არა ამ კომპრომირულ მინაწერში, არამედ „მერანში“, სადაც ბრძოლა, მოქმედება სავსებით განთავისუფლებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ვიწრო ჩარჩოებისაგან და თავისი წმინდა, ოდეალური სახით წარმოგვიდგება, როგორც ზღვარდაუდებელი სულიერი აქტივობის წადილი.

ეს არის ოცნება ჭეშმარიტ მოქმედებაზე, სულდიდ ქმნილების უნივერსალური ამბოხი, როგორც ბედიწერის, ისე ბრმა აუცილებლო-

¹ ილია ორბელიანი სხვა თვისებებთან ერთად თბილისში მეზოატნეობის სიყვარულითაც იყო ცნობილი.

პარამ ასათიანი
„მერანი“ და მისი ავტორი

ბით ზღვარდებული სოფლის უცენტური წესის მიმართაც.

ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიზმის მწვერვალია. ქართველი ერის პოეტური გენია მის ლირიაში თვალისმომკრელ სიმაღლეებს სწევდა. ეს არის მაღალი ინტელექტის, ღრმა, დაძაბული და რაფინირებული სულის, მისი ახალი „მგრობნებულობის“, შეუზღუდავი პოეტური შთაგონების, ადამიანის შინაგანი სამყაროს „საიდუმლო მუსიკის“ ნამდვილი ზეიმი და გამარჯვება.

ბარათაშვილის გამოჩენა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ნიშნავს ჩვენი ხალხის დაუპრეტელი სულიერი ენერგიისა.

გავიხსენოთ, რას წარმოადგენდა საქართველო ამ დროს — ქვეყანა, რომლის წარსული ნანგრევებად იყო ქცეული, ხოლო აწარსის შენება ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. და აი, ასეთმა საქართველომ შეა პოეტი, რომელმაც შეძლო, მიუხედავად საკუთარი ქვეყნის ამგვარი უსუსური მდგომარეობისა, ამაღლებულიყო თავისი დროის უდიდეს ზოგადადამიანურ იდეალებამდე და ეპოქალური მნიშვნელობის მხატვრული სახეები შეექმნა.

ნ. ბარათაშვილთან ქართული პოეტური სიტყვა ახალ შინაარსს იძენს, ახალი სულიერი მოთხოვნილებითა და აზრით ივსება და ამის შესაბამისად სრულიად განახლებული ფორმით არის ხორცშესხმული.

თუ რუსთაველის ლექსში თავისი უმაღლესი გამოვლინება პოეტიკლასიკურმა პოეტურმა აზროვნებამ, ბარათაშვილის პოეტური ფორმა რომანტიკული მსოფლმხედველობის ანუთივე სრულყოფილი გამოხატულებაა.

„ვეფხისტყაოსნის“ მწყობრ, ნათელ და პარმონიულ პოეტიკას აქ უპირისპირდება მძაფრი, მღელვარე, ღრმა წინააღმდეგობებით აღსავსე და თითქმის შინაგანი ბიძგებით ატორტმანებული პოეტური ფორმა.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა გააცეთა ის, რისი გაბედვაც მხოლოდ გენიალურ პოეტს შეეძლო. მან სრულიად უბრალოდ უარყო, უქუდაგო ძველი ფორმა, საბოლოოდ დაამსხვრია ქართული ტრადიციული პოეტიკის არტახები და ახალი, ფართო, შეუზღუდავი გასაქანი მისცა პოეტურ აზრს. მან თვითონ, დამოუკიდებლად შექმნა თავისი საკუთარი ფორმა, ერთადერთი შესაფერისი ყალიბი, რომელშიც ახალი შინაარსი შეიძლებოდა დატეხულიყო.

ბარათაშვილი თავისი სულიერი წყობით არ ეკუთვნოდა კლასიკური მსოფლმხედველობის შემოქმედთა რიგს, იმ ე. წ. „ოლიმპიელთა“ პოეტებს, რომელმაც კაცობრიობას მისცა შექსპირი, რუსთაველი, გოეთე და პუშკინი.

მის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ ახალი ეპოქისათვის დამახასიათებელი რომანტიკული გენიის მკაფიო გამოვლინებას.

ნ. ბარათაშვილი იყო რომანტიკოსი მსოფლმხედველობით, შემოქმედებითი მოწოდებით, სინამდვილის განცდისა და პოეტური აზროვნების უაღრესად ორიგინალური თავისებურებით.

მის პოეზიაში იდეა და მატერია, სული და სინამდვილე გამოთვალ, ტრაგიკულ წინააღმდეგობაში იმყოფება ერთმანეთის მიმართ.

ოპიქტური რეალობა ის ვიწრო საპყრობილეა, ის საბედისწერო ზღვარია, რომლის გარღვევა და გადალახვა წარმოადგენს მერანის მხედრის თავდავიწყებული ღტოლის მიზანს.

საკვირველი არ არის, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში წარმოიშვა ამგვარი მძაფრი უქაყოფილება სინამდვილის მიმართ, საოცარია ის, რომ სწორედ ამ რეალობის ღვიძლმა პირშიმომ შეძლო განუზომლად ამაღლებულიყო თავის დროზე და ერთხელ კიდევ დაედასტურებინა ადამიანის გონებისა და სულის სიღრმე.

საოცარია ის შინაგანი პოეტური შეხმინება, რომელიც ნამდვილად არსებობს ბარათაშვილსა და მისი ეპოქის გამოჩენილ ევროპელ და რუს პოეტთა შორის.

ევროპული რომანტიზმის კორიფეებთან ბარათაშვილს ანათესავენს არა მხოლოდ მსოფლმხედველობრივი შეხედულებები, ან ცალკეული პოეტური მოტივები და განწყობილებები, არამედ ის განსაკუთრებული ისტორიული როლიც, რომელიც მას წილად ხვდა შეესრულებინა ქართული ლირიკის — საერთოდ ქართული პოეტური აზროვნების განვითარებაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო კემშარიტი რეფორმატორი ქართული პოეტური ფორმისა. მან არა მხოლოდ უარყო ძველი ფორმა, არამედ შეძლო ახლის შექმნა და დამკვიდრება. როგორც მოაზროვნემ და მხატვარმა მან გვიჩვენა მთელი მე-19 საუკუნის ლიტერატურულ განვითარებას საქართველოში.

„მერანის“ ავტორის მსოფლმხედველობრივი ინტერესთა რკალი მეტად ფართოა. მისი დაუქანებელი ფიქრი კაცობრიობის ისტორიის მარადილ, „დაწყველილ“ საკითხებს დასტრიალებს. სამყაროს ტრაგიკული მოუწესრიგებლობის შეგრძნება გამუდმებული უქაყოფილებით, ღრტყინვით, განგავით ავსებს პოეტის სულს.

მაგრამ მიზეზთა მიზეზი მისი სულიერი ტკივილისა მაინც ეროვნულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული.

პოემა „ბედი ქართლისა“ თავისებური გასაღებია ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივი ძიებათა რთული შინაარსის ამოსახსნელად.

ამ პოემისაღმდ მიძღვნილი საეპიკური ლიტერატურა საკმაოდ მდიდარია. არსებობს სამი იბირითადი თვალსაზრისი, „ბედი ქართლისა“-ს შინაარსის სამი დამეტრალურად განსხვავებული ინტერპრეტაცია. სამივე ყურადღების ცენ-

ტრში პოემის პოლიტიკურ კონცეფციას აყენებს.

პირველის მიხედვით ბარათაშვილი სავსებით იზიარებს ერეკლე მეორის ორიენტაციას:

ეხლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა...

ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად ჩვეულებრივ მოჰყავთ პოეტის გვიანდელი ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც ერეკლეს ეროვნული პოლიტიკის აპოლოგიას წარმოადგენს.

მეორე შეხედულების მომხრენი ბარათაშვილის ეროვნული მრწამსის მატარებლად სოლომონ ლორთქიშხის სახეს თვლიან. მოხუცი მსაჯულისთვის ნაციონალური დამოუკიდებლობის ინტერესები ყველა სხვა პოლიტიკურ მოსაზრებებზე მაღლა დგას:

განზრახვა შენი, მეფე, მაკვირებს!
ირაკლმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება

თუ აქვთ თვის ჰერო ქვეშ თავისუფლება!

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებენ ლექსზე „სუმბული და მწირი“, რომელშიც ალექსანდრე ფორმით იგივე აზრია გამოხატული.

მესამე თვალსაზრისის მომხრენი პოემაში ავტორის შეხედულებათა გაორებას ხედავენ. მათი აზრით, ბარათაშვილი ღიად ტოვებს პოემაში წამოჭრილ პრობლემას, ან აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება.

სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ სამივე მოსაზრება მეტად საგულისხმოა და პოეტის მეგვედრებობის საქმად მრავალმხრივ ანალიზს ეყრდნობა.

რა გარემოება იწვევს აზრთა ასეთ რადიკალურ სხვადასხვაობას? ჩვენი ფიქრით, ამის მთავარი მიზეზია თვით პოემის მხატვრული სპეციფიკა — ჩანაფიქრის სირთულე და მისი რეალიზაციის უჩვეულო ფორმა, რაც წარუმატებლად ტოვებს სპეციალისტთა ცდას, დაუყოვნებლად დაადგინონ ავტორის საბოლოო მსჯავრი.

„ზედი ქართლისას“ მსოფლმხედველობრივ პათოსი, ჩვენი ფიქრით, უპირველეს ყოვლისა თვით პრობლემის ორიგინალურ დასმაში მდგომარეობს. კონკრეტული ისტორიული კითხვა, რომელიც აქ არის წამოჭრილი, პოემის ავტორის რწმენით, სამყაროს „უწყელ“ საკითხთა რიგს განეკუთვნება. ეროვნული ალტერნატივა აქ აყვანილია ფილოსოფიური დილემის ხარისხში.

შემოხვევითი არ არის რომ „ზედი ქართლისა“ თავისი პოეტით დიალოგური ნაწარმოებია. შინაგანი წინააღმდეგობა აქ იგრძნობა არა მხოლოდ მეფისა და მსაჯულის საუბარში, არა-

მედ პოემის მთელ კომპოზიციაშიც. წინააღმდეგობის, შინაგანი ჰილიოსის, pro et contra-ს შთაბეჭდილება აქ მიღწეულია რიტმისა და ინტონაციის ცვალებადობით, მხატვრული საღებავების მექანიკური კონტრასტებით, მინორულ და მაჟორულ ტონალობათა მოულოდნელი შენაცვლებით.

მსგავსად ბეთოვენის „პათეტიკური სონატი-სა“, ბარათაშვილის ამ პოემასაც ორი ძირითადი თემა, ორი ლეიტმოტივი გასდევს. მათი შეპირისპირებისა და გადაჯვარედინების საშუალებით გადმოცემულია ორი მტრული საწყისის — ბელისწერისა და ბედნიერების, აუცილებლობისა და თავისუფლების ორთაბრძოლა.

არის მომენტები, როდესაც მეორე საწყისი იმდენად გაძლიერებულია, ისე ინტენსიურად ელერს, რომ ჩვენთვის თითქმის ექვემდებარებული ხდება მისი უპირატესობა.

ასეთ ელერადობას იქნეს თავისუფლების თემა სოლომონ მსაჯულის მეუღლის „სათნო სოფიოს“ მონოლოგში:

უწინამც ღლე კი დამეღევა მე!

უცხოებაში რაა სიამე,

სადაცა ვერ ვის იკარებს სული

და არს ჟოვისო, დაობლებული?

რა ხელ-ჰყრის პატევს ნაზი ბულბული,

გალიაშია დატყვევებული?

ქართველი ადამიანის სმენისათვის ამ სიტყვებს იმდენად მაგური ძალა აქვთ, რომ აქ თითქმის ყველგან თავისთავად ცხადი ხდება...

პოემის ეს ნაწილი საყურადღებოა ერთი დეტალითაც: უთვისო, დაობლებული სულის ჩივილს აქ კონკრეტული მიზეზი უდევს საფუძვლად და ამ მხრივ იგი ნათლად წარმოაჩენს ბარათაშვილის ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი მოტივის („სული ობოლის“) მეტად მნიშვნელოვან ასპექტს.

სოფიოს მონოლოგში სიტყვა „უცხოება“ ჩვეულებრივ მნიშვნელობას ინარჩუნებს. იგი ფაქტობრივად უცხოეთში ყოფნას ნიშნავს, (თუმცა მოტანილი სტროფის სიმბოლიკა შესაძლებლად ხდის უცხოელთა მპყრობელობის ქვეშ ყოფნაც ვიგულისხმობ).

ბარათაშვილის ლირიკულ ლექსში („სული ობოლი“) უცხოობის ცნება გაშლილია ზოგად-ადამიანური ხედრის, პიროვნების აბსოლუტური მარტოობის ფილოსოფიურ კატეგორიაში. „უცხოება“ აქ უნივერსალურ მნიშვნელობას იძენს. ობოლი სულისთვის მთელი გარესამყარო გაუცხოებულია, განსხვავებულია. პოეტის სული მწვედვად განიცდის უთვისტომობას საკუთარ მეგობართა და ნათესავთა შორისაც.

პუზაგ სათიანი

„მირანი“ და მისი ავტორი

და მაინც ბარათაშვილის სევდის პირველ-
მიზნის დასადგენად სოფიოს სიტყვები,
ჩვენი ფიქრით, უაღრესად საუფლისხმო მინიშნე-
ბას შეიცავენ.

თავისუფლება ბარათაშვილის პოემაში ქალის
ხმით მეტყველებს...

მხატვრული გააზრების თვალსაზრისით ამა-
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ
იმის გამო, რომ ნაწარმოების მუსიკალურ კომ-
პოზიციაში აქ, ამ ხერხით მიღწეულია კულმი-
ნაციური წერტილი — უმაღლესი ტონალობა,
(განსაკუთრებით ერეკლესა და სოლომონის
დარბაისლური საუბრის შემდეგ). კიდევ უფრო
მნიშვნელოვანია ის, რომ სათნო სოფიოს ხმა
ავტორისათვის თვით ბუნების ხმაა, —
აღამიანის ჭეშმარიტი, თანდაყოლილი, დუშ-
ხინჯებელი ბუნების წრფელი დღაღღისი.

მშვენიერი ქართული ქალის ეს მაღალი, სა-
ნოებით გაწმენდილი ხმა, როგორც საგანგაშო
ზარბის რეკვა, ერთი წუთით თითქმის უცვლელად
ახშობს ყველა სხვა ხმებს — გონიერი განსჯის,
ფრთხილი პაექრობის, ჭმუნვისა და იჟვის მოტი-
ვებს — და ავტორის აღფრთოვანებული ლირი-
კული მიმართვით გვირგვინდება:

პოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკილ სასოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!

მაგრამ პოემის ფინალში, რომელიც ამ სტრი-
ქონებისგან მევეთრად განსხვავებულ თხრობის
ეპიურ სტილს ემორჩილება და, როგორც მკაცრ
სინამდვილესთან დაბრუნების მოტივი, აშკარა
კონტრასტს ქმნის მთელ წინა პასუხის მიმართ,
კვლავ ძალაში შედის ბედისწერის, ობიექტური
აუცილებლობის თემა.

ბარათაშვილის პოეტური ოსტატობა აქ განსა-
კუთრებით მკაფიოდ ჩანს. პოემის ფინალურ ნა-
წილში ინტონაციური განვითარება გარკვეულ
მომენტამდე თითქმის კვლავ აღმავალი გზით მი-
ემართება, მაგრამ ეს მხოლოდ უფსკრულის ნა-
პირისაკენ მიმავალი გზაა:

აღვსო კვლად ერმან ტფილისი
რა მოზრამანება ჰსცნა ირაკლისი,
ქალაქი ისევ ჩქარა აშენდა,
თუმცა აღრინდელს მრავალი აყლდა.
წარვიდნენ წელიწადი მთვევებობა
და კვლავ ირავლიმ ხრამლი ბრძოლისა
აღიღო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დუშმარცხებლად.
სიბერის ეამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვლად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი;
მაგრამ ამაო იყო ყოველი;
დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის!

აქ პოეტის მიერ შექმნილი განწყობილება
თავისი მოძრაობით თითქმის სასიკვდილოდ დაქ-
რილი ფრინველის ტრაექტორიას იმორბებს.
უკანასკნელი ლაღი კამარა, განწირული შეფრ-
თხილება და... ყველაფერი უცეცხრო, სამუდამო
კატასტროფით მთავრდება.

ბედისწერის ეს უღმრთელო ხმა — „მაგ-
რამ ამაო იყო ყოველი“ — თავისი
მოულოდნელი, უცეცხრო შემოჭრით (მაშინ რო-
დესაც იმდენი ნაპერწკალი თანდათან დგომდება
და თითქმის განახლებული ძალით უნდა აკამყაშ-
დეს) დიდსამქუხარო ღრუბლის ჩრდილივით აღ-
გება პოემის ფინალს. მოუხედავად მოულოდნე-
ლობის ამ მძაფრი ეფექტისა, უკანასკნელი ორ
სტრიქონში უაღრესი ლაპიდარობით იკვეთება
წინასწარ გაცნობიერებული გარდუვალობის
იდეა:

...დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის.

ეს ორი სტრიქონი თავისი მკაცრი, ხაზგას-
მით შეკავებული, ყრუ ელვადობით თითქმის
ორივე თემის ლოგიკური დასრულებაა და რო-
გორც ნაწარმოების უკანასკნელი აქორთხე ყვე-
ლაზე მწიკრად და ხანგრძლივად რჩება მსმე-
ნელთა მესხიერებაში.

„ბედი ქართლისა“ სიტუეტს საფუძვლად
უდევს რეალური ისტორიული მოვლენა — აღა
მამად ხანისაგან 1795 წელს თბილისის აღება,
რამაც ფაქტურად ქართლ-კახეთის სამეფოს
მომავალი ბედი განაპირობა. მაგრამ როგორც
რომანტიკული პოემა, „ბედი ქართლისა“ შორს
დგას მხატვრული ისტორიზმის მყარი პრინცი-
პებისაგან.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გა-
მოთქმულია სამართლიანი აზრი, რომ ბარათაშ-
ვილის პოემა დაიწერა 1832 წლის შეთქმულების
უშუალო შთაბეჭდილებით. ეროვნული პრობლე-
მატიკა „ბედი ქართლისა“-ში საგრძნობლად მო-
დერნიზებულია. ერეკლეს და სოლომონ ლიო-
ნიძის კამათი (კრწანისის ბრძოლის შემდეგ)
თავისი შინაარსით უკვე ახალ საუბრეში მომხ-
დარ ამბებს ითვალისწინებს. მეფე და მსაჯული
პოემაში არსებითად საქართველოს, როგორც
დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ყოფნა-არყოფ-
ნაზე მსჯელობენ და არა რუსეთის პროტექ-
ტორატის ქვეშ მისი შესვლის მიზანშეწონილ-
ობაზე. ეს აშკარად ჩანს ერეკლეს განცხადებაშიც
(„აჲ განთქმულია რუსთა სახელი, ხელმწიფედ
უვისთ ბრძენი და ქველი... მას მსურს, რომ მიე-
ცე მეგვიდრეობა“) და სოლომონის პასუხშიც
(„ჩვერ სამაგისო რა გეძმარებთა, რომ განვისიყ-
დოთ თავისუფლება“).

ასეთი შინაარსის საუბარი ერეკლესა და
მის მსაჯულს შორის სინამდვილეში ვერ შედ-
გებოდა, რადგან ორივე მათგანისთვის ერთ-
ნაირად უცხო იყო ეროვნული „თავისუფლე-

ბის გამსყიდვის“ იდეა. ერეკლეს გეგმა მხოლოდ ძლიერი მთარეგლის დახმარებას ითვალისწინებდა.

ბარათაშვილის პოემაში საქართველოს ისტორიული ბედის საკითხი დასმულია იმ ლოგიკური შედეგების გათვალისწინებით, რაც 1801 და 1832 წლის ამბებს მოყვა.

ალსანიშნავია აგრეთვე, რომ სოლომონ ლიონიძის მსჯელობაში შეინიშნება 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა, კერძოდ, დოდაშვილის, რესპუბლიკურ იდეათა ზემოქმედება. იგივე მსაჯული ლაპარაკობს მომავალ ამბოხებაზე, რომელშიც, როგორც ჩანს, 1832 წლის შეთქმულება უნდა იგულისხმებოდეს:

მაშინ ვისალა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კელავ ამბოხება!

როგორც ვხედავთ, ისტორიული მასალა ბარათაშვილის მიერ გამოყენებულია თავისი დროის აქტუალური პრობლემატიკის გადასაჭრელად.

არსებითად აქ საქმე ეხება არა ერეკლე მეორისა და სოლომონ ლიონიძის პოზიციების ისტორიულ სისწორეს, არამედ ახალ ეპოქაში, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნული ცხოვრებისა და მოქმედებისათვის რეალურად შესაძლებელი, მიზანშეწონილი გზის ამორჩევა.

ასეთი ასპექტით იხსნება პოემაში მისი ძირითადი პრობლემის შინაარსი. მაგრამ „ბედი ქართლისას“ კონცეფცია მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული ასპექტით როდი ამოიწურება. ეროვნულ-ისტორიული პრობლემატიკა აქ განზოგადებულია და ზოგადადამიანური, ფილოსოფიური ასპექტითაც წარმოგვიდგება. პოემაში წარმოსახული მოვლენები, ცოცხალი სახეები, კონკრეტული ვითარებანი თავის სიღრმეში მგერვი, სიმბოლიურ განზომილებასაც შეიცავენ.

ერეკლეს სახე, მისი მოქმედება და მრწამსი, მთელი მისი ხაზი პოემაში ბარათაშვილისათვის გაცნობიერებული აუცილებლობის განსახიერებაა. ერეკლეს ღრმად შეგნებული აქვს ბედისწყლის (იმ შემთხვევაში ისტორიული ბედისწყლის) გარდუვალობა: „რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიკავს რუსთ ხელმწიფება“. მისი ერთადერთი ამოცანაა შეძლებისამებრ გონიერი კალაპოტი მისცეს იმ ძალის მოქმედებას, რომელიც თავისი არსებით დამოუკიდებელია ამა თუ იმ პიროვნების სუბიექტური ნებასურვისაგან.

ერეკლე უფრო შორისმჭვრეტელია, ვიდრე მისი ბრძენი მრჩეველი. მან კარგად იცის, რომ ადამიანის „გულისთქმით“, ემოციონალურ მხარეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ისტორიის რეალური მოძრაობისათვის. განსხვავებით

მოკამათისაგან, ის არც კი ცდილობს თანამოქალაქების დარწმუნებას საკუთარი პოზიციის სწორეში რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური ზეჩინება ან ზედმეტი არაგუმენითი. ის პირველი წყვილი კამათს:

აი, — მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას...

ერეკლეს მსჯელობის მანერა მშვიდია, რადგან მის უკან დგას თვით ისტორიის ობიექტური, აუთორიტეტული აუცილებლობა. თავისი მხატვრული ფუნქციით ერეკლეს საზე ბარათაშვილის პოემაში იმ როლს ასრულებს, რომელიც ანტიკურ ტრაგედიაში ორატორის ეპიკურ სახეს ჰქონდა დაკისრებული. მისი აზრები და პროგნოზები აშკარად წინასწარმეტყველურია. მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ მოხუცი მეფე, რომელიც პოემის მთავარი პერსონაჟია, ძალუწებურად თვითონვე გამოდის ბედისწყლის აღმსრულებლის როლში.

სოლომონ მსაჯული თავისი შეხედულებების ჩამოყალიბებისას ძირითად აპელაციას ბუნებისა და ეჭრობად, ეროვნული ხასიათის მისამართით ახდენს. „ერის თვისება“ მისთვის უმაღლესი კატეგორიაა, რომელსაც ეროვნული ცხოვრების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს. ადამიანის თანდაყოლილი სწრაფვა სიმათისაკენ, თავისუფლებისაკენ შეუძლებელს ხდის მისთვის არსებობის უცხო, შეუთვისებელ ფორმებთან შეგუებას.

მაშინ, მეფეო, რადგენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვით იღუპილთ...

სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური იდეალიზმი მისი მთლიანი მსოფლმხედველობრივი მრწამსიდან გამომდინარეობს. ერთადერთი კანონი, რომელსაც იგი აღიარებს, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

შეიძლება ითქვას, რომ ერეკლესა და სოლომონ ლიონიძის დავა ემოციური შთაბეჭდილების თვალსაზრისით მსაჯულის სასარგებლოდ წყდება.

„ბედი ქართლისა“ ბარათაშვილმა 22 წლის ასაკში დაწერა. ცხადია, ჰუბუკი პოეტის სუბიექტური თანაგრძნობა იმ „ტკბილასასოვარა“, იდეალურ მამულიშვილთა მხარეზე იყო, რომელთაც მან ისოდენ აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა პოემაში.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ქართველმა თავდაზნაურობამ რადიკალურად იცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და იმპერატორის ერთგულ სამ-

ზურაბ ასათიანი

„მირანი“ და მისი ავტორი

სახურში დანახა თავისი საზოგადოებრივი თუ კლასობრივი მოწოდების ასპარეზი, როდესაც სიტყვები — „რის ქართველობა, რა ქართველობა! ვითომ რას გვაწვდის უცხო ტომობა“ — სოციალური ყოფისა და მოქმედების თითქმის საყოველთაო დევნად იქცა, ნიკოლოზ ბარათაშვილი წარსულიდან გამოიხმობს და საოცარი პოეტური სიხეველით აღადგენს თავისუფლებისმოყვარე წინაპართა იდეალურ სახეებს.

მაგრამ „ბედი ქართლისაში“ განსაცვიფრებელია არა ეს ბუნებრივი ლტოლვა იდეალისაკენ და არც მისი ჭკრეტისა და პოეტური წარმოსახვის ესოდენ მაღალი ნიჭი. საოცარია ის ფილოსოფიური სიღრმე, აზრისა და განცდის ის უჩვეულო სიმწიფე, რომელსაც სრულიად ახალგაზრდა პოეტი იჩენს ეპოქის ურთულესი მსოფლმხედველობრივი პრობლემის გადაჭრისას.

მეუხედავად თანდაყოლილი რომანტიკული სულიერი წყობისა „ბედი ქართლისას“ ავტორს აღმოაჩნდა რეალობის უღრესი გრძნობა.

ბარათაშვილის პოემაში საბოლოოდ, ობიექტურად მაინც ერეკლეს აზრი იმარჯებს...

ისტორიული ბედისწერის დიქტატი აუქმებს ყველა ალტერნატიულ სწრაფვას, სიმართლისა და სამართლიანობის სასარგებლოდ მოტივით ყველა მეცვრემეტყველურ საბუთს, ყველა ობტიმისტურ ილუზიას, რომლებიც პოემის დასასრულს თითქმის მხოლოდ იმისთვის აღმოცენდებიან, რათა ერთი საბედისწერო დაკრით გაცამტყრდნენ.

საოცარია, როგორ მშვიდად უსწორებს თვალს ჭაბუკი პოეტი სინამდვილის უღმობელ განაჩენს, როგორი მშვიდი, უდრტინველი, შეკავებული ტონალობით, ამთავრებს თავის პოემას.

ის აქ თითქმის დაქინებით ავირდება გარდუვალობის ამოქმედებულ კანონს, აუღელვებელი სიჭიქტით ცდილობს გაერკვას, შეისწავლოს, ფხიზლად, აუჩქარებლად, მხედველობის მაქსიმალური დაძაბვით განწყობით მისი არსი.

ბედისწერა ბარათაშვილის პოემაში ისტორიული აუცილებლობის სახით წარმოგვიდგება. ეს არის მისი ერთ-ერთი ფორმა, ერთი იმ მრავალრიცხოვან ნაირსახეობათაგანი, რომელთაც ამის შემდეგ ხშირად შევხვდებით პოეტის ლირიკაში.

თვით „პოემაში, თუ მის ესთეტიკურ მთლიანობას — მხატვრული და მსოფლმხედველობრივი ზემოქმედების მთელ კომპლექსს — გაითვალისწინებთ, ავტორის მსჯავრი ჯერ კიდევ მოკლებულია უდავო რეალიზაციას.

სწორედ ეს გარემოება უშვებს რამდენიმე საწინააღმდეგო თვალსაზრისის არსებობას

პოემის კონცეფციის შესახებ. ორი მტრული საწყისი, ბუნების ორი მოწინააღმდეგეა — ორი მსოფლმხედველობრივი მოტივის წინააღმდეგობა. ორივეს აქ თვით სამყაროს, კაცობრიობის ისტორიის დასაბამი, სუბსტანციურ თვისებად არის გააზრებული.

მაგრამ პოემა „ბედი ქართლისა“ მხოლოდ პრელუდიაა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული შემოქმედებისა. ამ ნაწარმოებშიდან იწყება დამატებით, თვდავოწყებულ ძიებას. რომ პოეტის მსოფლმხედველობრივი ევოლუცია სწორ სიბრტყეზე არ გაშლილა, ამას ნათლად მოწმობს მისი წინააღმდეგობრივი შინაარსი. კერძოდ, ის უკიდურესობანი, რომლებიც ერთსადაიმევე წელს (1842) დაწერილ ორ ლექსში გამომჟღავნდა. მხედველობაში გვაქვს „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „სუმბული და მწირი“.

არც პოემაში და არც ამ ორ ლექსში ბარათაშვილს ჯერ კიდევ გარკვევით არ დაუდგენია რეალური გამოსავალი, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჩამოუყალიბებია პასუხი იმ კითხვაზე, რომლის გადაჭრა მას მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულმა სინამდვილემ დააციარა.

ლექსში „სუმბული და მწირი“ სუმბულის ენით კვლავ აღამაინის სულის თანდაყოლილი მოთხოვნილება, თავისუფალი, ლაღი, ბუნებრივი თვითღამყვდრების იდეა მეტყველებს.

„საფლავი მეფის ირაკლისა“ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შინაარსის ლექსია. სამყაროთი რომანტიკული უკმაყოფილების თემა, რომელიც ბარათაშვილის მთელ მეგემიდროებას გამსჭვალავს, აქ მოთუოდნელად იცვლება არსებულ ისტორიულ რეალობაში პოზიტიური, გონიერი საწყისების განჭვრეტის ცდით.

„ბედი ქართლისაში“ დასმული კითხვა, ისევე როგორც ბარათაშვილის მთელი შემოქმედების ძირითადი ფილოსოფიური ალტერნატივა თავის საბოლოო პასუხს მხოლოდ „მერანში“ პოევეს.

ბარათაშვილის სულიერ დრამაში „მერანი“ კვანძის გახსნას მოასწავებს. აქ საბოლოოდ გარდევულია ის დახშული წრე, ის წყველი რკალი, რომლის დაძლევას პოეტი სიყრმის წლებიდანვე ცდილობდა.

ერთგულ საკითხი ამ ნაწარმოებში გადაჭრილი უნივერსალურ პრობლემათა რიგში და სწორედ ამის გამო ზოგადდამიანურ ღირებულებას იძენს. „მერანის“ მთავარი იდეა — აღამაინის შემოქმედის სულისა და თვითუღალი ნების სამეცდრო სასიცოცხლო უკომპრომისობა — ბრძოლა ბრძოლა აუცილებლობის მტრულ ძალებთან, როგორც კაცობრიობის ისტორიის ქვეყნისა.

რიტი აზრი და გამართლება—თავისი ნოვატორი შინაარსით ამომწურავ პასუხს იძლევა იმ კითხვაზეც, რომელიც 22 წლის პოეტმა „ბედი ქართლისაში“ დასვა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია დროის შედარებით მცირე მონაკვეთს მოიცავს (1833-1845). მაგრამ ამ ხნის მანძილზე მან მსოფლმხედველობრივი და მხატვრული განვითარების უაღრესად მნიშვნელოვანი გზა განვლო. ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი ლუნაის სიტყვით, ბარათაშვილის მეელი ლიტერატურული შემოქმედება მხოლოდ „ოდისეა“ მისი თვითგამორკვევისკენ მიმსწრაფი სულისა“. ეს იყო ამავე დროს ახალი ესთეტიკური მრწამსის, ახალი პოეტური მანერის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ურთულესი გზაც.

გრ. ორბელიანისაგან განსხვავებით „მერანის“ ავტორმა, ძალზე ადრე, ჯერ კიდევ სიკვამლეში დასძლია ტრადიციული აღმოსავლური პოეტიკის ინერცია. თუ მისი ორი ყრობისდროინდელი ლირიკული ლექსი „ვარდი და ია“ და „ნარგიზი და ყაყაო“ (1833) როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმითაც ძველი ქართული ლირიკის, კერძოდ, ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძის პოეტური სამყაროსადმი შეგირდული მიმბაძელობის ნაყოფს წარმოადგენს, ლექსში „ბუღბუღი ვარდზედ“ (1834 წ.) ლიტერატურული ინერციის კვალი მხოლოდ ფორმაში არის შემორჩენილი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უკანასკნელი ხარკი, რომელსაც ნ. ბარათაშვილი უხდის კლასიკური ლირიკის მხატვრულ წარმოდგენებს, კერძოდ, ვარდ-ბუღბუღის ტრადიციულ სიმბოლიკას.

სამაგიეროდ ამ ლექსის პოეტური იდეა უკვე ახალია, ორიგინალურია, აქ უკვე იგრძნობა ნ. ბარათაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელი ფილოსოფიური სიღრმე და ახალი ესთეტიკური იდეალების ძიება.

მშვენიერება აქ გაგებულია როგორც ცვალებადი, ევოლუციური კატეგორია. აქ არის დაჭერილი მშვენიერების დიალექტიკა.

ნ. ბარათაშვილისათვის მშვენიერების მთავარი საიდუმლოება მდგომარეობს სიახლეში, „კოყრობაში“; „გაშლა“, აყვავება, სისრულე, მისი შეხედულებით, თავისთავად უკვე „დაშკნობის“ დასაწყისია.

ამ პოეტურ იდეას გააჩნია კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც არა ნაკლებ დამახასიათებელია ნ. ბარათაშვილისათვის.

ბუღბუღის ტრაგედია მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ იგი წინააღმართს გრძნობს გაშლილი ვარდის მომავალ ჭკნობას, არამედ იმაშიც, რომ მას ჩაეძინა სწორედ მაშინ, როდესაც კოყრობი ვარდად უნდა ქცეულიყო და

თავისი თვლით ვერ იხილა ეს „ვარდადქმევის“ მომენტი.

შეიძლება ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილისთვის, როგორც პოეტისათვის, განსაკუთრებით ძვირფასია სწორედ ეს პროცესი: გადასვლა, სახეცვლილება, განვითარება. ეს გარემოება უაღრესად ნოვანდობლივია მისი ლირიკისათვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ „შემოღამების“ ავტორი ჩვენ წარმოგვიდგება ლირიკული განცდებისა და განწყობილებების შინაგანი ცვალებადობის, განვითარების გამომხატველ პოეტად.

ნ. ბარათაშვილის ლირიკული გენიის პირველ საოცრად მძლავრ და კაშკაშა გამოვლინებას წარმოადგენს „შემოღამება მოაწმიდაზედ“ (1833-1836 წწ.).

არც ერთ ქართველ პოეტს მანამდე არ გაღმოუჩინა ასე უშუალოდ, ასეთი ცოცხალი ფეხებით საკუთარი სულის ინტიმური მოძრაობანი.

ობიექტური სინამდვილის სურათები და პოეტის სულიერი მოძრაობანი აქ ურთიერთშერწყმულია, მაგრამ სუბიექტურ საწყისს გაიკლებით მეტი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. გარემო, ნივთიერი რეალობა განწყობილების ფონია და სწორედ ამის გამო იგი ზოგადი, ერთიანი ტონალობით არის დახატული. ეს არის მკრთალი, იდუმალებით მოსილი, თითქმის შეგნებულად „გაბუნდოვანებული“ ფონი („ციაგნი ნელნი“, „იდუმალება“, „კლდედ ბუნდოვანო“... „ბინდი გადევრა ცისა კამარს...“ და სხვ.).

არცერთი კონკრეტული შტრიხი არ გამოირჩევა საერთო ფონიდან. ყველაფერი ერთმანეთში გადადის, ჰჰარავს თავის კონტურებს და თითქმის ითქვიფება საერთო განწყობილებაში.

აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილს, როგორც მხატვარს, თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით, განვითარებული აქვს პაერის მძაფრი შეგრძნება; რეალური საგნები აქ დანახულნი არიან არა ცარიელ სივრცეში, არამედ იმ თავისებურ ელფერში, რომელსაც მათ შემოღამების პაერი აძლევს: ბინდში, ციაგში, ყვავილათა მიერ დაკმეულ უხილავ გუნდრებში, მისის მწუხრში.

„შემოღამების“ პოეტურ განწყობილებაში მთავარია რომანტიკული ამაღლება, მიწიერი ტვირთისაგან განთავისუფლება, სამყაროს იდუმალ, მარადიულ ძალებთან სულიერი შეხმიანება. აქ უარყოფილია ყოველივე კონკრეტული, წამიერი, ემპირიული, მიწიერი, რჩება პოეტი და სივრცე, პოეტი და სამყარო, პოეტი და მარადისობა.

გუზარე ასათიანი

„მერანის“ და მინი ავტორი

პოეტის განცდა „ნელია“, ნაზია, მხურვალე აღსარებით „მიქანცებულია“; „შეება“ და „მჭუნვარება“ აქ არა მხოლოდ ენაცვლება ერთმანეთს, არამედ ერთმანეთში გადადის და საერთო მშვიდ ტონალობას ქმნის.

მაგრამ ამასთან ერთად „შემოღამებაში“ იგრძნობა ფარული სულიერი დაძაბვის ტენდენციაც (ე. ი. პოტენცია, რომელიც „მერანში“ არის რეალიზებული).

ამ ლექსში თითქმის ყველაფერი ქვევლდან ზევით, მიწიდან ცისკენ არის გახედული. პოეტის სხეული, და მთელი მიწიერი გარემოცვა თითქმის ის მშვილდია, რომელმაც ისარივით უნდა გასტყორცნოს ზეცისკენ მისი სული, მისი აზრი და ოცნება:

აწუა რა თვალნი ლაყვარს გიხილვენ,
მეის ფიქრნი შენდა მოსწარფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და
ჰაერშივე განიზნევიან!
მე, შენსა მჭვრეტელს, მივწყუდების
საწუთრობება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ძიებებს
საღვტრს...

მიუხედავად ამ შინაგანი გაბრძოლებისა, მთელი ლექსის განწყობილება მაინც ნაღვლიანია, მიუღწეველი, განუხორციელებელი ოცნების სევდიანი მოტივით არის გამსჭვალული.

თვით ფინალიც ამ ლექსისა, რომელსაც ზშირად ოპტიმისტურად მიიჩნევენ, მოკლებულია ქმედით, აქტიურ პათოსს. იგი უფრო სინამდვილესთან შერაგებაზე მერყევლებს, ვიდრე მასთან შებრძოლებაზე. იმედი აქ გამოთქმულია თითქმის იმავე სევდიანი კილოთი, რომელიც მთელ ლექსს გასდევს; რადგან ეს არის არა ბედისწყლის დაძალების გამოხატველი განწყობილება, არამედ თვით სამყაროს კანონზომიერებაში რაღაც მასთან შემოგებლის, შემავლებლის აღმოჩენის ცდა:

ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ
დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭუნვარება შემომესეივს, შენდა
მოვილტვი განსაქარებლად!
მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა
ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს
ბინდსა ის განაიათლებს!

აქ ჯერ კიდევ არ არის „მერანისათვის“ დამახასიათებელი ბედთან შეჭიდების მოტივი და ამის გამო არ არის ტრავიზმიც, რომელიც „მერანის“ ოპტიმიზმს, მის შერაგებაზე, დაუბრკილებელ განწყობილებას განსაზღვრავს.

ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ზედაპირული ანალიზია „შემოღამებისა“, მისი მხატვრული ზემოქმედების საიდუმლოება, ცხადია,

ამოუხსნელია, რადგან საბოლოო ამოხსნა ამ შემთხვევაში ისეთსავე გენიალობას მოითხოვს, როგორიც ამ ლექსის შემქმნელის შესრულება თვისებას წარმოადგენდა.

აქ მთავარია ის პოეტური სასწაულომკმედება, რომელიც ფარული კავშირით აერთებს ცალკეულ სახეებს, სურათებს, განცდებს, ფიქრებს, ასოციაციებს ზმებთან, მელოდიასთან, ინტონაციასთან.

ეს არის იდუმალი მუსიკა პოეზიისა, რომელიც ოკეანესავე შემოღის სულში და თავისი შინაგანი სიწმინდე და მღელვარება შემოაქვს.

პოეტის შთაგონების ძალა აქ თითქმის ყველაფერს უქარგავს საგნობრიობას, სიმძიმეს და საოცარი სიმსუბუქით აღიტაცებს ზევით. ეს არის თითქმის ბავშვობის სიზმრების განხორციელება, როდესაც ადამიანს უხილავი ფრთები ესხმება და იგი თავისუფლად ძლევს დედამიწის მიზიდულობას.

აღსანიშნავია ერთი საოცარი რამ. „შემოღამების“ ავტორი თითქმის ერთნაირი უშუალოდ ხედავს და აღიქვამს რეალურ საგნებსა და სულიერ მოვლენებს. აქ თითქმის დარღვეულია საზღვრები ამ ორ სინამდვილეს შორის.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თითქმის ფიზიკური შეგრძნება საკუთარი ფიქრის მოძრაობისა:

...მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და
ჰაერშივე განიზნევიან“.

„შემოღამებაში“ მიღწეულია საოცარი სიახლოვის განცდა ბუნებასთან (არა საერთოდ სინამდვილესთან, არამედ იმ პოეტისათვის საყვარელ, გათრჩეულ კუთხესთან, რომელიც მის გულს „ეთანხმება“) ეს განცდა გაძლიერებულია არა მხოლოდ რატორიკული მიმართევებით („ჰოი, მთაწმიდავ“, „ჰე, ცაო, ცაო“), არამედ იმ ინტიმური ეპითეტითაც, რომელსაც პოეტი ზმარებს საღამოს მიმართ: „და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი“.

„შემოღამება“ სწორედ ის პირველი ლექსია ბარათაშვილისა, სადაც ფორმა ჰკარგავს თავისთავად მნიშვნელობას და აბსოლუტურად ითქმევება შინაარსში. აქ ყოველი პოეტური ფრაზა, სიტყვა, კომპოზიცია, წყობა, რითმები საოცრად ორგანულია.

„შემოღამებაში“ გვხვდება წყვილი რითმები, ჭვარდენი რითმები, შინაგანი რითმები. ამ მხრივ აქ ძნელია რაიმე მყარი ევრისტიფიკული სქემის ან კანონის დადგენა, რადგან ერთადერთი კანონზომიერებას პოეტის სულის შინაგანი მოძრაობა განსაზღვრავს.

„შემოღამებაში“ ვერ შევხვდებით თითქმის ვერცერთ მკაფიო ალიტერაციას, ან რაიმე სხვა ხელშესახებ ბევრად ეფექტს. მაგრამ ბარათაშვილის მერყევლება აქ საოცრად კეთილშოვნანია. ეს არის თითქმის ორღანის გუ-

გენი, ან ქრისტიანული გალობისათვის დამახასიათებელი ხმების პარმონიული შეზავება.

ქართული ლირიკის განვითარების თვალსაზრისით „შემოღამება“ მნიშვნელოვანია ერთი თავისებურებითაც. ფრიდრიხ ჰუნდლოფის სიტყვით, „ღანტე და შექსპირი, როგორც წესი, პყვებოდნენ ან მსჯელობდნენ საკუთარი განცდების შესახებ. გოეთემ პირველად უშუალოდ გადმოსცა სიტყვაში საგნებისა და თავისი სულის ფარული დინამიკა“.

შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილის „შემოღამება“ წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას ქართული კლასიკური პოეზიის ისტორიაში.

მართალია, ამ ლექსში დიდი ადგილი უკავია მკითხველს, მაგრამ აქ მთავარია არა განცდილის გახსენება, არამედ თვით განცდა, რომელიც ჩვენს თვალში ცოცხლობს, თრთის, იცვლება და ვითარდება.

ადამიანის სულის შინაგანი დინამიკის გადმოცემის ამ ბრწყინვალე ოსტატობით ბარათაშვილი ჩვენ წარმოგვიდგება უახლესი დროის ქართული ლირიკის წინამორბედად.

„ფიქრნი მტკვრის პირას“ პირველი მკაფიოდ გამოქვეყნებული ფილოსოფიური ხასიათის ლექსია ბარათაშვილის შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პოეტური ნაწარმოები წარმოადგენს მისი ლირიკის მსოფლმხედველობრივ გასაღებს.

ადამიანური კმედების, ღწვის, „შრომისა და ზრუნვის“ მთავარ სტიმულს ნიკოლოზ ბარათაშვილი ხედავს მისი გულის დაუფლებელ წყურვილში, მის თანდაყოლილ ძლიერ ენებებში.

ბარათაშვილს უკვე აღარ აკმაყოფილებს ალ. ჭავჭავაძის ჰედონისტური მსოფლგაგება, რომელიც ადამიანის არსებობის გამართლებას ამქვეყნიურ ზოციელ ტკბობაში ხედავდა. აქ საქმე გვაქვს უფრო ღიღ მოთხოვნილებასთან, უფრო რთული და მრავალმდომავლო სულის ლტოლვასთან.

თუ ალ. ჭავჭავაძე სასტიკი მოწინააღმდეგე იყო „უშრომობისა“ და სწორედ მისი დაძლევა მიიჩნდა ამქვეყნიური ბედნიერების, „სიამოვნის“ მიღწევის მთავარ პირობად, ბარათაშვილისათვის ადამიანის სულიერი მოთხოვნილება განუზომელია, ზღვარდაუდებელია და სწორედ ამის გამო ბედნიერება მისთვის ყოველთვის მიუღწეველი რჩება.

ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ მსოფლმხედველობრივი კონცეფცია განფენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელ ლირიაში. „აღუფრებელი საწყაულის“ სახე, რომელიც ახალი ადამიანის სულიერი სამყაროში გაღმებული კოლოსალური ენერგიისა და პრაქტიკულად დაუქაყოფილებელი მოთხოვნილებების სიმბოლოს წარმოადგენს, თავისებურ

შექს ფენს როგორც პოეტის ინტიმურ ლირიკას, ისე მოქალაქეობრივი შინაარსის ლექსებად.

ლექსში „ხმა იღუმალი“ განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკისათვის დამახასიათებელი ადამიანის ინტიმურ სამყაროს ფარულ ხვეულებში წვედომის მძაფრი სურვილი და ამ სამყაროს, როგორც ერთადერთის, განუმეორებლის, არაჩვეულებრივის გაგება.

ადამიანის პიროვნების განუსაზღვრელი შინაგანი შესაძლებლობები აქ განსაკუთრებით მკაფიოდ არის ნაგარძნობი, რადგან ეს ლექსი პირადი სულიერი გამოცდილების განზოგადებას წარმოადგენს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიაში მსოფლმხედველობრივი ტრაგიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზს წარმოადგენს საბედისწერო შესაბამოება ახალი ცხოვრებისთვის გაღმებულ პიროვნების მაღალ მისწრაფებასა და იმ უმწეო, რეალურ მდგომარეობას შორის, რომელშიც იგი ჩაყენებულია თავისი დროის ობიექტურ ვითარებათა გამო.

აქედან იღებს სათავეს მწვავე კონფლიქტის, უცმარობის, დაუქაყოფილებლობის გარძნობა გარემომცველი სინამდვილის მიმართ და საკუთარი „მეუსაფრობის“, „სულიერი ობლობის“ მტკივნეული განცდა.

ლექსში „სული ობლობი“ საბოლოოდ გაშვილებულია ბარათაშვილის ეს მოურჩენელი სულიერი ჭრლობა, ეს აუტანელი, ტრაგიკული სიმარტოვე.

ეს არის წრფელი აღსარება, რომელიც ქართული კლასიკური პოეზიისათვის დამახასიათებელ მეტაფორულ მეტყველებას კი არ ეყრდნობა, არამედ უშუალო დარწმუნების ფორმაში არის განხორციელებული.

აქ საქმე გვაქვს გამოხატვის მაქსიმალურ სიეხადესთან, იმ გენიალურ უბრალოებასთან, რომლის საშუალებით ახალი დროის ქართულ პოეზიაში მხოლოდ ბარათაშვილს შეეძლო გადმოეცა თავისი ყველაზე ღრმა და მძაფრი განცდები.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოახდინა ქართული ლირიკის არა მხოლოდ ფილოსოფიური და ესთეტიკური საყრდენების, არამედ ეთიკური იდეალების განახლება.

სიყვარულის თემა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში, სრულიად ახალ ელფერს იძენს და თავისი შინაარსით თანდათან სულ უფრო მკვეთრად უბირისპირდება ბესიკისა და განსაკუთრებით ალ. ჭავჭავაძის ეროტიკულ კონცეფციას.

ნ. ბარათაშვილი სატრფიალო ლირიკის ერთ-

გურამ ასათიანი
„მირანი“ და მისი ავტორი



ერთ პირველ შედეგს წარმოადგენს 1840 წლით დათარიღებული ლექსი „სატრფოვ, მახსოვს თვალი შენი“.

სატრფოს სახე აქ საბოლოოდ გათავისუფლებულია ზორციელი „ნიდაბისაგან“.

...სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ზორციელსა.

რჩება მხოლოდ თვალები, სულის ფართო სარკმლებად და მდუმარე ბაგენი, რომელნიც უძლურნი არიან იღუმელი გრძნობის გამო-სახატავად:

აწ მივხვდი, მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველების:
თურმე ცრემლი უცნაური
მოეღოდა ჩემს ობლობას!

უბედური სიყვარულის განცდა ჩვენ აქ წარმოგვიდგება რაინდული შერიგების რომანტიკულ სამოსელში. და ეს შერიგების მოტივი მით უფრო შთამბეჭდავად ქდერს, რომ იგი მომდინარეობს განუზომელი, დაუშრეტელი სულიერი მოთხოვნილებების სამყაროდან, რომ აქ მთელი შინაგანი ძალების საოცარი დამახვიტ ჩახშობილია, შეკავებულია სასიკვდილოდ დაჭრილი სულის კვილი, რომელსაც ერთადერთი იმედი ეცლება ხელიდან.

ყური დაუვდეთ, როგორი რბილი და ხავერდოვანია პოეტის ხმა, როდესაც იგი სატრფოს მიმართავს, როგორ ფაქიზად არის გახვეული ამ ხავერდში მისი სულის ფარული ცახცახი:

სატრფოვ, მახსოვს თვალი შენი
მშვენიერი ცრემლით კრთოდენ,
და ბაგენი მდუმარენი
ხვაშიდასა მიმოლაგდნენ!
მაგრამ, სულ, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ზორციელსა.

თუ ამ ლექსში პოეტის ინტონაცია მთლიანად მინორულია, თავის შემდეგ ლირიკულ ნაწარმოებში „აღმოხდა მნათი აღმოსავალს“ ნ. ბარათაშვილი მოულოდნელად სულიერი აღორძინების პათეტიკით გვიპყრობს.

ეს არის ლექსი იმედის გამოჩენაზე და აქ ეს თავბრუდამხვევი აღტაცება, დაღუპული რწმენისა და ილუზიების დაბრუნების წამიერი იმედი რაღაც კოლოსალურ ენერგიას აღოვეებს პოეტის სულში.

როგორც განწირული ზომალდის მეზღვაურები თავდადოვნებით აწყდებიან ანძებს შორეული ნაპირის მოულოდნელი გამოჩენისას, ისე უცერად ისხამს ფრთებს და თვალსმოპყრელ კამარას ჰყარავს ჰაერში პოეტის სული აღმოსავლეთით გამოჩენილი „მცირე შექის“ წინაშე.

ლექსი იწყება პათეტიკური შესავლით, რომელშიც ავტორის შინაგანი მდგომარეობა მოხატულია გრანდიოზულ დღესასწაულებრივ სურათში:

აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ
ცხოველი,
მცირითა შექით გარდუყარა ცასა
ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საიდარო და მეც ვლახ
გული
მსწრაფლ განმითენა, შეა-ბელისკან
დაღამებული.

აქ ბუნების სურათს, ცხადია, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი სინამდვილეში თითქმის მთლიანად ჰყარავს პირობითობის ელფერს, იმდენად ცხოველია, ორგანულია პოეტისათვის ეს სახე. იმდენად უშუალოდ განიცდის იგი მას. და ჩვენც მასთან ერთად თითქმის ცხადად ვხედავთ, როგორ თანდათან ირღვევა და იფანტება ეს სულის შეშხუთავი „დიდსამქუხარო“, „საიდარო“, ღრუბელი „მზეებრ ცხოველი“ აღტაცების სხივებზე.

„აღმოხდა მნათის“ პოეტურ ინტონაციაში არის ერთი მთავარი ნიუანსი. პოეტი აღტაცებულია, აღფრთოვანებულია, სულიერად. „განახლებულია“ ბედნიერების იმედით, რომელიც თითქმის ცხადად გამოჩნდა მისი ცხოვრების კაბადონზე. მაგრამ მას სულის სიღრმეში მაინც ბოლომდე არ სჯერა ამ იმედის ახლომისა. აქ არის დიდი და ღრმა ქვეტექსტი, რომელსაც ავტორი ჩვენგან და კიდევ უფრო მეტად საკუთარი თავისგან მალავს.

ამ ლექსშიც კი, რომელიც აშკარად გამოხატული სიხარულისა და აღტაცების განცდით არის ფრთაშესხმული, თითქმის ქვეცნობიერად შემოიჭრება ბარათაშვილის პოეტური მსოფლ-შეგრძნებისათვის დამახასიათებელი ტრავიკული წინათგრძნობის მოტივი, ის ფარული შინაგანი შეშფოთება და ეჭვი, რომელიც მოახლოებული კატასტროფის განწყობილებას ბადებს.

„რად ჰყვედრი კაცა ბანოვანო“... მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავისი ორიგინალური სატრფილო კონცეფციით. აქ მოცემულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ესთეტიკურ შეხედულება გასაღებიც. „ზორციელნა“ (რომლის სიღამაზე წარმავალია, ხრწნადია) ბარათაშვილის ლექსიკონში აღნიშნავს არა მხოლოდ მშვენიერი ქალის გარეგნობას, არამედ საერთოდ ნივთიერ, მატერიალურ, ობიექტურად არსებულ სინამდვილეს. ყოველი ცოცხალი არსებისათვის მისაწვდომ ამ ზორციელ შეგრძნებას აქ უპირისპირდება მხოლოდ რჩეულ სულითათვის განუთვნილი „ზეითი მოსული“ მშვენიერების განცდა.

ადამიანის სულიერი სამყარო ნ. ბარათაშვილისათვის განუზომლად მაღლა დგას ობიექტურ რეალობაზე, ბუნებაზე. იგი ზებუნებრივია, „ღვთაებობის კერა“ გამოხატულებაა, და ამდენად მის „იდეალ“ შინაგან მოძრაობებსაც არაფერი აქვთ საერთო ჩვეულებრივ მატერიალურ მოვლენებთან.

ნ. ბარათაშვილი იყო არა მხოლოდ გენიალური შემოქმედით, არამედ განსაკუთრებული ინტელექტუალური და ემოციური თვისებებით დაცდილობელი ადამიანი.

თავისი სულიერი წყობით იგი გაცილებით მაღლა იდგა თანამედროვეებზე და სწორედ ამის გამო ასე მწვავედ განიცდიდა საკუთარ „ობოლბას“ ადამიანთა შორის.

ეს მართლმაც მისთვის იყო არა ლიტერატურული პოზა, არამედ ნამდვილი ჭვარი, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა.

დანტის „ახალი ცხოვრების“ მსგავსად ნ. ბარათაშვილის ლირიკის ინტიმური პათოსიც „დაკარგული ტოლის“ მუდმივ ძიებაში მდგომარეობს. მხოლოდ მასთან — ამ მონათესავე, მასავით წმინდა და ამაღლებულ სულთან შეერთებას შეეძლო მოეტანა პოეტისათვის „ზეგარდმო მაღლით“ დამტკიცებული ნეტარება.

ბარათაშვილი იყო უღარესად ადამიანური, სიცოცხლის მშვენიერების ყოველგვარი გამოვლინებისადმი საოცრად მგრძნობიარე ადამიანი. მას არ დაუხუჟებს თვალი იმ სილამაზეზე, რომელსაც თავის ლექსში „ხორციელების ნიკს“ უწოდებს. მთელ რიგ მის პოეტურ ქმნილებებში ჩვენ ვხვდებით სინამდვილის ცოცხალი სურათებით შთაოცნებულ პოეტურ სახეებს. ასეთი ლექსებია, მაგალითად, „მადლი შენს გამჩენს“, „საყურო“ და სხვ.

მაგრამ ნ. ბარათაშვილის პოეზიის მთავარ შინაარსს, მთავარ მიზანს, რუსთაველისა და ეკუა-ფშაველასაგან განსხვავებით, წარმოადგენს არა „ფერუთვალავი“ ნივთიერი სამყაროს პოეტური ამეტყველება, არამედ ადამიანის შინაგანი სულიერი ცხოვრების გამოხატვა.

ეს მეორე არამატერიალური და ამის გამო უზრუნველი, მარადიული „რეალობა“ მას მიანიჭა უფრო მაღალი მშვენიერების გამოვლინებად, ვიდრე ის თავისთავად მომხიბლავი სილამაზე; რომელიც სწორად თავისი „ხორციელების“ გამო პოეტის თვალში ღრობით, წარმატებულ ნიკს წარმოადგენს.

აუცილებელია მხოლოდ აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელი ეს თვისებური მსოფლგანება სინამდვილეში არასოდეს არ გადჭრილა შეზღუდულ გეოცენტრისში. მართალია, პოეტისთვის სიყვარული სრულიად განსაკუთრებული ინტიმური მოძრაობაა და თითქმის არაფერი აქვს საერთო ამ გრძნობის ჩვეულებრივ, ტრივიალურ გაგებასთან, მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ მისი პოეტური გამოხატვისას იგი ობიექტურ სინამდვილიდან აღებულ უღარესად მატერიალურ ფორმებსა და საღებავებს მიმართავს და სწორედ ამ გზით ცდილობს საკუთარი, სუბიექტური განცდის უნივერსალური ხასიათის გახსნას.

ლექსში „არა უკიენო, სატრფო“ სიყვარულით გამოწვეული განწყობილება გადის რაღაც ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველ სულიერ ენერგიაში, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც გრანდიოზული აფეთქებები მზის ზედაპირზე, მიემართება არა პოეტის ინტიმური სამყაროს სიღრმეებისაკენ, არამედ თითქმის უსაზღვროდ ვრცელ „ქოსმიურ“ სივრცეებს განუფინება.

სიყვარული აქ იხარჯება უნივერსალურ სიკეთეში და ამდენად იგი საოცრად აქტიურ, ცხოველმყოფელ ხასიათს იძენს:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივი ჩემთ დღეთა
გარსამოვავლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა
უფრო ვაცხოვლო.
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა
მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა
ფრინველნი და ვარდი...

ლექსი „არ უკიენო სატრფო“ მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ აქ ძალზე ორიგინალურად დგას ფორმის, პოეტური გამოხატვის პრობლემა.

ის, რააც პოეტი ცდილობს გადმოგვცეს სატრფოსადმი თავისი ინტიმური გრძნობის გამხელისას, სინამდვილეში სრულიად ახალი, უჩვეულო ხასიათის განცდაა. პოეტი, მთელი თავისი არსებით განიცდის ამ უჩვეულობას: ნუთუ ამ სულის წაღილსაც პრჭა სიყვარული სხვათაებრ?

...და მართლაც რაღა აქვს საერთო ამ ლექსში გამხელილ სულიერ სწრაფვას ქართული კლასიკური ლირიკის გვიანდელი ნიმუშებისათვის დამახასიათებელ იმ წმინდა ეროტიკულ განცდებთან, რომელთაც ტრადიციულ აღმოსავლურ მეტაფორიზმში ჰპოვეს თავისი გამოხატულება.

სუბიექტური განცდის სიახლე და უჩვეულობა ბარათაშვილში იწვევს მამარ უკმაყოფილებას არსებული პოეტური ფორმებისა და საერთოდ მხატვრისათვის ხელმისაწვდომ გამოხატვის საშუალებათა მიმართ.

მსგავსად გრ. ორბელიანისა, ისიც მწვავედ

გურამ ასათიანი
„მარანი“ და მისი აზტორი

განიცდის ამ აშკარა შეუსაბამობას შინაარსსა და ფორმას შორის:

მოკვადვსა ენას არ ძალუძს
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა.

მაგრამ გრ. ორბელიანისაგან განსხვავებით ნ. ბარათაშვილი თავისი გენიალური ინტუიციით უკვე ავსებს იმ ახალ საშუალებებს, რომლებიც ორგანულად შეესაბამებიან მისი სულის შინაგან თითოღვას. იგი საბოლოოდ უკუავადებს ძველი პოეტური ენის ტრადიციულ, პირობით სამკაულებს (რომელთაგან მხოლოდნად გათავისუფლება გრ. ორბელიანმა მაინც ვერ შეძლო) და, რაც მთავარია, გენიალური სისადავით ქმნის ახალ, უაღრესად ტევად, მონუმენტურ პოეტურ სახეებს. „მზე“, „გარსკვლავი“, „ცვალი“ — სიმბოლური სახეების ეს თითქმის ნაცნობი სისტემა ბარათაშვილთან სრულიად ახალი, კლასიკური პოეტიკისაგან მკვეთრად განსხვავებული ასპექტით არის გააზრებული და სრულიად სხვა ხასიათის პოეტურ ასოციაციებს აღძრავს.

პოეტის „უკვდავი გრძნობები“ თავისი მხატვრული რეალიზაციისათვის ირჩევენ ისეთ საგნობრივ ფორმებს, რომლებიც განსაკუთრებით შეესაბამება მათ შინაგან ბუნებას. და თუმცა ეს უკანასკნელი წარმოადგენენ მხოლოდ სიმბოლოებს, მხოლოდ პირობით „განსაგნებას“, ჩვენს წინ არის არა მკვდარი ნიშნები, არამედ საოცარი მხატვრული ძალის მქონე პოეტური სახეები. მათი საშუალებით, მათი ცოცხალი, ხატოვანი ზემოქმედებით აღძრულია ახალი განწყობილება, მდიდარი, მრავალფეროვანი წარმოდგენები, ცხოველი შეგრძნება იმ შინაგანი სურათისა, რომლის გამოხატვა წარმოადგენს ბარათაშვილის მთავარ, საბოლოო მხატვრულ მიზანს.

ნიეოლოზ ბარათაშვილი ქედუხარელი პიროვნება იყო. მისი ხასიათის სინატიფე და გრძნობიერება სისუსტის ნიშანი არ ყოფილა. სწორედ ამიტომ შეძლო მან გადაერჩინა თავისი სულაერი სიწმინდე „ქვეთებათგან შავის ბედისა“. ამ შეუპოვარ, პერიოკულ, წინააღმდეგობაში გამოიკვთა მისი ნებისყოფა.

მძაფრი დრამატიზმის ელემენტები ნ. ბარათაშვილის პოეზიაში გაპირობებული იყო არა მხოლოდ „სულისა“ და „ხორციელების“, პიროვნებისა და სინამდვილის ტრაგიკული შეუთავსელობით.

ნ. ბარათაშვილის პიროვნებაში ჩვენ ვხედავთ თავისებურ, საბედისწერო გაორებას, რომელიც ახალი „რომანტიკული“ ეპოქისათვის ტიპური ნიშნებით ხასიათდება.

ეს არის თითქმის ძველსიძეული გაორება ბოროტსა და კეთილს შორის, მაგრამ სინამდვილეში მას უკვე სრულიად ახალი ხასიათის ფსიქოლოგიური კონფლიქტი უდევს საფუძვლად.

ბავშვობის სიზმრები და ილუზიები, ლებუღი განწყობილება, თანდაყოლილი ლტოლვა ცის ლაქვარდვით ხელუხლებელი, ნათელი იდეალებისადმი საბედისწერო წინააღმდეგობაში ექცევა არა მხოლოდ მიწიერი, ცოცხალი აღმამის ჩვეულებრივ ინსტიტუტთან, არამედ პოეტის ბასრი და ძლიერი ინტელექტის გამუდმებულ ფიზიკლ მოქმედებასთანაც.

ასე იბადება ორი საწინააღმდეგო მოტივი, ორი შეუთანხმებელი თემა ნიეოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში.

თუ „ცისა ფერს“ გამოვლინება თავისუფალი, ლიბი, ჩველივით უტოდველი და გულბრუნველი სულის მარადიული ექსტატიური აღმადრენისა, „სულ ბოროტოში“ გამოხატულია ის საოცრად მძაფრი შინაგანი კრიზისი, რომელიც პოეტის შეგნებაში მიმდინარეობდა.

ეს არის ტრაგედია გონებისა, რომელიც ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის, გონებისა, რომელმაც თითოთ მოიკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“ და უკვე ძალა აღარ შესწევს ხელმოკრეად დასაბრკელებლად.

„სულ ბოროტოში“ თითქმის შევყავართ პოეტის სულს ყველაზე ღრმა, ილუზიულობითა და წყვედილი მოცულ სიღრმეებში.

საკირველია, აქ პოეტს არა აქვს დასახელებული არც ერთი ფერი, მაგრამ ჩვენ გამუდმებით თან გვსდევს სინების, უკუნეთის გრძნობა.

ეს შეგრძნება კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ჩვენ ამ ლექსს ვაღარებთ „ცისა ფერს“, სადაც ყველაფერი მზის ციაგით მოსილ ლაქვარდში კაჟაჟება.

აქ თითქმის ფიზიკურად შეიგრძნობა სწორედ იმ „დიდსამქუხარო, საადარო“ ღრუბლის ჩრდილი, რომლის გარდევას და განქარვებას ამაოდ ზეიშობდა „აღმზოხა მნათის“ აეტორი.

თუ ლექსში „ცისა ფერს“ ყოველი პოეტური სახე საგნებით გათავისუფლებულია „მიწიერი“ სიმამისაგან, უაღრესად ნათელი და პაეროვანია და, როგორც მსუბუქი ისარი, ლაღად მიფრინავს ზესკენისაკენ. „სულ ბოროტო“ ჩვენში იწვევს მიწისქვეშა „შავად მღელვარი“ სტიქიის ასოციაციას, რომლის მღვრიე, ბოშოქარი ტალღები თავგამეტებით ასკდებიან ერთიმეორეს და ამაოდ ცდილობენ ქვესკენიდან თავის დაღწევას.

აქ ცალკეული ფრაზები, წინადადებები, პათეტიკური კითხვები, შორისდებულები, გამომკიდებელი ეპითეტები, წყევლის, ჩივილის, სასოწარკველისა და შექარის გამომხატველი რიტორიკული მიმართვები თითქმის ერთმანეთს ეხლებიან, სწეწენ, ამღვრევენ, იმსხვრევიან და ამგვარად გამოუსავლობს, სასოწარკვეთის განწყობილებას ბედებენ.



1847 წელს გრ. ორბელიანმა თემირხანშუ-რაში თარგმნა ალექსანდრე პუშკინის ცნობი-ლი ლექსი «Дар напрасный, дар случайный». აღსანიშნავია, რომ ამ თავისუფალ თარგმა-ნში კიდევ უფრო მკაფიოდ ქდერს დედანში აქცენტირებული ეპიკით შემოფოთებული გო-ნების მოტივი.

გრ. ორბელიანის მიერ ამ დროს პუშკინის სწორედ ამ ლექსის თარგმნა შემთხვევითი მოვლენას არ წარმოადგენდა. ეს ფაქტი ნათ-ლად მიგვიჩივებს ქართული რომანტიზმის შინაგან ინტელექტუალურ კრიზისზე, რომე-ლიც განსაკუთრებით მწვედრად სწორედ მისი განვითარების ამ ეტაპზე გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის თარგმანსდე ოთხი წლით ადრე (1843) ნიკოლოზ ბარათა-შვილმა დაწერა თავისი „სული ბოროტი“, სა-დაც სწორედ „ჰეუთი ურწმუნო“ ა. გულთით უნდა ბიროვნების შინაგანი ტრაგედია არის გამოხატული.

თავისთავად თითქმის ბარადოქსალური ფაქ-ტია, რომ ისეთი ინტელექტუალური ბუნების პოეტს, როგორიც ბარათაშვილი იყო, ამ ლექს-ში გონება, ფიზიკური აზროვნების ნიჭი ბო-როტ საწყისად აქვს წარმოდგენილი.

მაგრამ ამ გარემოებას აქვს თავისი ღრმა ისტორიული აზრი და გაბართვება.

ნიშანდობლივია, რომ მთავარი, რასაც გო-ნების „მაცდური“, „აღმშფოთი“ სული უპი-რისპირდება ამ ლექსში, არის რწმენა.

და, მართლაც, იმ სინამდვილეში, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილს წილად ზედა არსებობა, ფიზიკურ გონებას შეეძლო მხოლოდ საბოლოოდ მოესპო და გაენადგურებინა ყველა რომანტი-კული ილუზია.

ბარათაშვილის სული ბოროტი ეპოქალური შინაარსის სახეა. ეს პოეტური სიმბოლო მსოფ-ლიო ლიტერატურის იმ უკუდავ სახეა რიგში დგას, რომელთაც რომანტიკოსებმა განსაკუთ-რებული აზრი და მნიშვნელობა მისცეს. თავის პირველწყაროს იგი ბიბლიურ ლეგენდაში პო-ულლობს. სამოთხიდან განდევნილი ანგელოზის სახე (ისევე როგორც ოლიმპიელთაგან მოკ-ვეთილი პრომეთეოსის ტრაგიკული ფიგურა) ევროპის ახალმა მწერლობამ მარადილთ ამბო-ხისა და შურისგების სიმბოლოდ აქცია. მილ-ტონის ბოროტი სული „დაკარგული სამოთხი-დან“ თავის ხასიათში უთუოდ ატარებდა მე-17 საუკუნის უმთავრეს რეკონსტრუქციას თავისე-ბებს, ისევე როგორც ახალგაზრდა კარდუჩის „პიშნი სანანასაში“ (1863 წ.) გამსჭვალული იყო იტალიელ მეამბოხეთა სულიანკეთებით.

მე-19 საუკუნის რომანტიზმმა ბიბლიის მიერ შეჩვენებული პროტესტანტის სახე თავის დრო-შაზე აზიდა.

სული ბოროტის ბარათაშვილისეული გაზა-რებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ის თავისებური რომანტიკული ინტერპრეტა-ცია, რომელიც ამ სახემ ბაირონის „კაენში“ მკაფიოდ იღო.

განსხვავებით გოეთეს მეფისტოფელისაგან, ბაირონის ლიუციფერი ადამიანთა წრეელ მო-კავშირედ თვლის თავის თავს. მის სატანისმს აღარაფერი აქვს საერთო ფაქტის ბოროტი მეგზურის მდებალ მიზნებთან. ადამიანებს იგი „მჩაგვრელი ძალის“ წინააღმდეგ ასამეფდრბე-ლად მოუწოდებს, ზოლო ამ ტიტანური ბრძო-ლის მთავარ იარაღად გონების „ლიადი, კეთი-ლი ნიჭი“ მიაჩნია. ბაირონის ლიუციფერი პო-ეტური განსახიერება მე-18 საუკუნის განმანა-თლებლური სულისკეთებისა, რომელმაც თავი-სი რწმენის სიმბოლოდ ადამიანის გონების ძლევაამოსილება გამოაცხადა.

დამახასიათებელია, რომ ინგლისელი პოეტის მისტერიაში ლიუციფერი—ბოროტი სული თავ-ისი „უცხო მშვენიერებით და სიძლიერით ქერუბინებზე მალლა დგას“. მაგრამ კიდევ უფ-რო საუკუნისხმოა, რომ მის უკუდავებას განუყ-რელად თან სდევს „ლიადი კაენში“.

ბარათაშვილის „სული ბოროტიც“ მწუხარე-ბის სულია. მისი „მომჯადოებელი ძალი“ მხო-ლოდ ამსხვრევს, აუქმებს, არღვევს და სპობს ყოველივეს, რაც ყმაწვილის მიამიტ სულს მშვიდობის ილუზიას უქმნიდა. სამაგიერო ბე-დნიერების მინიჭება მას არ ძალუძს, ზოლო თავ-ისუფლება, რომელსაც იგი თავის მსხვერპლს „ამა სოფლად“ აღუთქვამდა, ლიტონ სიტყვად რჩება.

შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილი, რო-გორც რომანტიკოსი, ბაირონზე უფრო შორს მიდის თავისი ბოროტი სულის გაენობიერები-სას. ადამიანური გონების ის ისტორიულად გან-საზღვრული ფორმა, რომელსაც რომანტიკული თვალსაზრისი ბაირონიდან მოყოლებული ვი-დრე ბარათაშვილამდე ამ სიმბოლოტ სახეში დებდა—წინა ეპოქის რაციონალისტური მოძღ-ვრება, ფიზიკური კრიტიციზმი, ზუსტი ცოდნისა და მკაცრი ლოგიკური აზროვნების კელტი—ქართველი პოეტის თვალში ამაო, უნაყოფო ნი-ჭად წარმოდგება და მართლაც, სინამდვილის იმ კონკრეტულ პირობებში, როდესაც ბარათა-შვილი ქმნიდა თავის ლექსს, განმანათლებლურ სკეპტიციზმს, „ეპიკით აღმშოთებულ გონებას“, „ურწმუნო ჰეუსა“ მხოლოდ უარყოფილი მი-სისის შესრულება შეეძლო.

საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა, სრულად სხვა ხასიათი უნარი, სხვა, მანამდე უცნობი, უჩვეულო ნიჭი, რათა ადამიანის სულს თავი დაეღწია სინამდვილის რეალური კონმარისაგან და პოზიტიური მოქმედებისათვის, ახალი იდე-

ზურაბ ასათიანი

„მმრანია“ და მისი ავტორი

ალეხისათვის საბრძოლველად აღორძინებულიყო.

ბარათშვილის ეპოქას სჭირდებოდა წინათგრძნობის, მისწერი ნათესავების, თავდავიწყებული რწმენის გენია.

„მერანის“ ავტორის გენიალობა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ მან თავისი შეზღუდული დროის სიღრმიდან მაინც შეძლო ადამიანის მომავალი გამარჯვებისა და ზეიმის განჰყვრება.

მან შეძლო გონებისა და რწმენის შეერთება და ბრმა ბედისწერასთან მათ თავგანწირულ, ტრაგიკულ კიდილში დანახა ადამიანის არსებობის უმღელესი აზრი და გამართლება (ე. ი. დანახა ის, რასაც ამაოდ ეძებდა პუშკინის ლექსის მთარგმნელი).

„მერანში“ ადამიანის ინტელექტის მოქმედება უკვე სრულად სხვა თვისებას იძენს. ეს არის უკვე არა „ურწმუნო კუთა“, არამედ პეროიკული მოქმედებისათვის, შეგნებული თავგანწირვისათვის შთაგონებული, ცხოველი რწმენით ფრთაშესხმული ყოვლისშემძლე გონება, რომელიც სავესებით განწმენდილია პასიური სეპტაციზმისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ პოეტის პირველ თხოვნას მერანისადმი „შავად მღელვარა“ ფიქრის განქარვება წარმოადგენს.

ბრმა ბედისწერასთან სამკვდრო-საიციოცხლოდ შეგრძნებული ინტელექტის შინაგანი რიტმი აქ იმორჩილებს პოეტის მთელ სულიერ ძალებს. აქ ხდება სრული მობილიზება ადამიანური ნებისყოფის, შემართების, გამგებლობის და „განწირულის სულის კეთებისა“. ეს შეუჩერებელი, დაუთრგუნავი, ზღვარდაუღებელი ლტოლვის რიტმი გამოხატულია ზღაპრული ცხენის, მერანის თავდავიწყებულ ჰენებაში.

გონება აქ გათავისუფლებულია ცივი ურწმუნოებისაგან, და ამავე დროს იგი ადვილს არ ტოვებს გულუბრყვილი ილუზიებისათვის.

მერანის ჰენება განწირულია დასამარცხებლად, მისი მხედრის იდეალი მიუღწეველია, მაგრამ:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს
განწირულის სულის კეთება,
და გზა უფალი, შეგან თელილი, მერანო
ჩემო, მაინც დარება,
რომ ჩემს შემდგომად მომქმნა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის
ბედის წინ გამოუქროლდეს.

„მერანის“ ქმედითი, აქტიური, ოპტიმისტური მსოფლმხედველობა დამყარებულია არა საბოლოო მიზნის, იდეალის პრაქტიკული მიღწევის იმედზე. მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს იმის შეგნება, რომ ადამიანი გაჩენილია, მთელი თავისი არსებით მოწოდებულია ამ მიზნის მისაღწევად თავგანწირული ბრძოლისათვის.

ეს არის ტრაგიკული ოპტიმიზმი.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ „მერანის“ პრობლემატიკის კავშირი ძველ ქართულ ხელოვნებასთან.

არანაკლებ საინტერესოა საკითხი მსოფლიო ლიტერატურაში, კერძოდ მე-19 საუკუნის ევროპულ და რუსულ მწერლობაში არსებული პარალელებისა, როლებიც სხვადასხვა ასპექტით უახლოვდებიან „მერანის“ მხატვრულ შინაარსს.

ერთი ასეთი პარალელი უკვე გასულ საუკუნეში იქნა დადგენილი. მხედველობაში გვაქვს ადამ მიცკევიჩის „ფარისი“, რომელსაც ბარათშვილი რუსულ თარგმანში უნდა გასცნობოდა. ამ გარემოებამ დაბადა აზრი, რომ „მერანი“ პოლონელი პოეტის ლექსის ერთგვარი ზემოქმედებით შეიქმნა. ასეთი შეხედულება მოკლებულია რეალურ საფუძველს, პირველ რიგში იმის გამოც, რომ ეს ორი ნაწარმოები თავისი მხატვრული შინაარსით მეტად შორეულ, თითქმის უმნოშეწილ მსგავსებას ამჟღავნებს. რაც შეეხება ჩვეურ ნათესაობას, იგი უდავოა. მიცკევიჩის პოეზიის სულისკვეთება უთუოდ ახლობელი იყო ბარათშვილისათვის. მაგრამ, ჩვენი ფიქრით, „ფარისი“ პირველ ადგილს ვერ დაიკავებს იმ ნაწარმოებთა რიგში, რომლებიც ამ თვალსაზრისით შეიძლება „მერანს“ შევადაროთ.

წინააღმდეგობებთან შეპიძებული მხედრის სახე სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი ნაირსახეობით საქმად ხშირად გვხვდება როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის ძეგლებშიც. ამის შესახებ სამართლიანად შენიშნავს სიმონ ჩიქოვანი: „არაოისტოს ეპიკური სიმღერით, „დაუდგრომელი როლანდით“ დაწყებული სიული პრიოდომის ლირიკულ „ჰენებამდე“ ცხენოსანი, ბედთან შეპიძებული ვაჟაკი მრავალი ვარიანტით გაელვებულა პოეზიაში.

...ყოველ დიდ ნაწარმოებს მსოფლიო მწერლობაში მრავალი მონათესავე პოეტური ნაწარმოები გააჩნია. „მერანსაც“ შორეულად ეხმიანება ადამ მიცკევიჩის „ფარისი“, რომელიც თავად აღმოსავლურ პოეტურ ქმნილებათა ანარქია. მას ენათესავება პუშკინის «Шуми, шуми послушное ветрило...», რომელიც ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის“ ერთი ნაწყვეტის თავისუფალი თარგმანია... მაგრამ ყველა ეს შეხვედრა საუკუნის სულიერი მღელვარების შეხვედრაა და არა გავლენები. ჩემი ღრმა რწმენით, ნიკოლოზ ბარათშვილის „მერანს“ ყველაზე მეტად ეხმიანება პუშკინის მიერ „ჩაილდ ჰაროლდიდან“ გადმოკეთებული ლექსი:

Лети корабль, неси меня к пределам
дальным,
По грозной прихоти обманчивых морей,
Но только не к берегам печальным,
Туманной родины моей.

სიმონ ჩიქოვანის პარალელი უთუოდ ღირს-შესანიშნავია. ჩვენი ფიქრით, შეიძლება აქვე გაგვეხსენებია ლერმონტოვის ცნობილი სტრიქონებიც „თეთრი იალქნიდან“, — რომლებიც თავისი შინაარსით განსაკუთრებით ახლო დგას ბაირონის პოემის ამ ნაწყვეტთან.

აღსანიშნავია, რომ უგზო-უყვალოდ მჭრო-ლავი რაშის სახე გვხვდება ბაირონის შემოქმედებაშიც. „ჩაილ პაროლდის“ ავტორის ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მკვლევართა მიერ მისი პოეზიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშად აღიარებულია ის ადგილი, როგორც „მაზეხადან“, სადაც სწორედ ამგვარი სურათია აღწერილი.

შემდეგი მაზეხა, მტრების მიერ ველური ცხენის ზურგზე გულადმა მიკრული, უგზო-უყვალოდ მიჰქრის თვალუწყვდენელ ტრამალზე. მისი გაშმაგებული რაში ქაირშხალივით მიაპობს სივრცეს, შეუპოვრად გადალახავს ათასგვარ წინააღმდეგობას და ბოლოს დაღლილობით ღონეშიხდილი უსულოდ ვარდება მიწაზე.

აქ შეიძლება კიდევ ერთ მაინტერესო დეტალზე მითითება, რომელიც აგრეთვე ბაირონის პოეზიას ეხება.

პ. ინგოროვყამ ყურადღება მიაქცია ნიშანდობლივ თანხედრას „ვეფხისტყაოსანსა“ და „მერანს“ შორის:

„ბარათაშვილის თავგაწირული მხედარი ამბობს:

საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,

მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო“!

ამასვე ამბობს რუსთველი მომოსათვის თავგანწირული ავთანდილის შესახებ:

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის,

მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის ეუზნებოდის“.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ის ფაქტი, რომ რუსთველისა და ბარათაშვილის ამ უთუოდ მონათესავე სტრიქონებს შორიდან ეხიანება მერი ჩავორტიანდში მიძღვნილი ლექსის „სისმრის“ ცნობილი სტროფი, რომელიც ინგლისელი პოეტის შემოქმედებაში „მან-ფრედის“ პრელუდიად არის მიჩნეული:

Вершины гор ему друзьями были,
С звездами, с вольным гением

вселенной

Он вел беседы. И они учили
Его волшебству чар своих.

XIX საუკუნის მსოფლიო პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰყავს ერთი შორეული თანამომე, რომელსაც ის აღბაღ არ იცნობს, შე-

იძლება სახელიც კი არ სმენია მისი. და მაინც მათი სულიერი სიახლოვე ეგვსგარეშეა.

ჯაკობო ლეოპარდის მემკვიდრეობამ შედარებით გვიან ჰპოვა აღიარება დასავლეთ ევროპაში. რუსულ ენაზე მისი ლექსების სრული კრებული მხოლოდ 1908 წელს გამოვიდა! (საინტერესოა, რომ პოეტი, რომელმაც იტალიური რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის შემოქმედება რუსულ ენაზე აამეტყველა, იყო ამავე დროს პირველი რუსი მთარგმნელი „მერანისა“, 1884 წ.).

ლეოპარდის პოეზიის მთავარ მოტივს, რომელსაც მისმა გვიანდელმა მკვლევარებმა „მსოფლიო სევდის“ სახელი უწოდეს, საფუძვლად უდევს ეროვნული კეშანი, მშვენიერი იტალიის დამხობით და დამცირებით გამოწვეული სევდა.

იტალიელი პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ისევე როგორც ბარათაშვილის პირადი წერილები, სავსეა დაობლებული, უთვისტომო სულის ჩივილით, მოქმედების ფართო სარბიელისა და სახელის მოპოვების სურვილით, რაც მარტოოდენ ქაბუჯურ პატივმოყვარეობას როდღ ამჟღავნებს.

მშობლიური რეკანატი მასაც „გონებისა და გულისათვის უსარგებლო ქაღალდ“ წარმოუდგება, ხოლო თანამემამულეთა მოქმედებაში უმთავრესად ზრახვის სიმდაბლესა და სულიერ უმწეობას ხედავს.

„დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან

წარმიტანა ყვავილი,

მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვალღი.

იგი ნიდავ ციურთა ცვაართავან იყო ნამილი;

დრომ უქამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი“.

— წერს საყოველთაო აპატიით, თავისი დროის „უქამურობით“ გულმოკლული ქართველი პოეტი.

დაახლოებით ასეთივე შინაარსის პოეტურ სახეში აქვს გამხილი ლეოპარდის თანამედროვე იტალიის უღიმღამო სინამდვილის მტიყნეული განცდა:

...Что ж осталось нам
Теперь, когда все листья облетели?
Нам стала ясной мира нищета:
Все, кроме горя, в мире — суета.

1 Леопарди, Избранные стихотворения и отрывки, перев. Ив. Тхоржевский, Спб. 1908 г.

პარანა ასათიანი

„მერანი“ და მისი ავტორი

კათოლიკურ ოჯახში გაზრდილმა პოეტმა, „გოვე ტაძარის“ შემქმნელის მსგავსად, მეტად ადრე იგრძნო ქრისტიანობის მრავალსაუკუნოვანი იდეალების სამუდამო დამხობა და, ამ შემზარავი სურათით შეტრფუნებულმა, სკადა ახალი რწმენისთვის ეზიარებინა თავისი მწუხარე სული.

იტალიისადმი მიძღვნილ ელეგიაში ლეოპარდომ თავისი მშობელი ქვეყანა პატივსაცემი, უსასოოდ მიტოვებული მგლოვანი ქალის სახით დახატა. არავის ძალუძს ამ ოდესღაც მშვენიერი ბანოვანისათვის ნუგეშის ცემა, არავინ ეცდება მისი შებღბულ სახელის დაცემა, რადგან მისი უფუფური შვილები სხვა მხარეს იბრძვიან და სხვა კერპებისათვის სწირავენ სიცოცხლეს. უმეყოფილება ცხოვრებით, არსებული რეალობით, სამყაროს საბედისწერო მოუწესრიგებლობით მძაფრი პროტესტის გრძნობას ბადებს „დაწყვეილი ქვეყნის“ შვილში. „რატომ არ გვაძლევ იმას, რასაც გვექადლი? რაზედ აცრუებ შენს პირმშოთა ყმაწვილურ რწმენას?“—ასე მიმართავს ლეოპარდი გულგრილ ბუნებას.

ერთადერთ ხსნას, დაქანტული სულის ერთადერთ მყუდრო სადგურს იგი „მოკვდავ ენაზე გამოთქმელ“ იდუმალ განცდებში, პირველი, უცოდველი სიყვარულის მოგონებაში ხედავს. სხვა ყველაფერი ამაოა: დიდება, პატივი, სახელზე ზრუნვა. ადამიანის ყველა იმედისაგან მხოლოდ სიკვდილი და არარაობა რჩება.

შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილისა და ლეოპარდის სტლიერი ოდისეა თითქმის ერთნაირი გზით წარმართა. მათი ხომალდის აფრების ერთი ქარი სწევდა... და მიწეც, საბოლოოდ ისინი, სრულიად სხვადასხვა ნაპირებს მიადგნენ.

იტალიელი პოეტის საბოლოო დასკვნა, მთელი მისი შოგლმზღვდელობრივი ძიების შედეგი გამოხატულია ცნობილ ლექსში „Ganto notturno di un pastore del l' Asia“ („აზიელი მწყემსის ღამეული სიმღერა“) ეს ნაწარმოები თავისი მხატვრული შინაარსით, სახეთა თავისებური გაზრებით, რიტმით, კომპოზიციური აღნაგობით საკვირველ მსვეტებსა აძლევს ბარათაშვილის „მერანთან“. მაგრამ მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე. „კალარა, სწული ბერიაცი, სამოსშემოფლეთილი და ფეხშიშველი, მძიმე ტვირთით წელში გადრეკილი მიჰქრის მთებზე და ველზეზე, ტრამალზეზე და უდაბნოებში, ქარში და სუსხში, ხვატში და ყინვაში, მიჰქრის სუნთქვა-შეკრული, გადაღის ნაყადებზე და, ჰაობზე, ეცემა, დგება მაინც მიჰქრის, დაუშოვავად, სულმოუთქმელად და მან არ იცის, რაა სიმშვიდე, ჩამოფლეთილმა, დასისხლიანებულმა; რომ მიაღწიოს და მივიდეს შემზარავ, უშირო უფსკრულთან, რომ იქ გადაქმვას და სამუდამოდ მოისვენოს“.

ასეთი იყო სასრული წერტილი ლეოპარდის მსოფლგაგების რთული და მტკივნეული ევოლუციისა. ასეთი განაჩენი გამოუტანა მან ადამიანს, ადამიანური ცხოვრების აზრსა და მიზანს.

ეროვნულმა მწუხარებამ იტალიელი პოეტის შემოქმედებაში საბოლოოდ ყოველგვარი მოქმედების, ღწვის, ბრძოლის უარყოფა და უფარესობამდე მისული ფილოსოფიური სკეპტიციზმი გამოიწვია.

საკვირვლია როგორც ეყო მეორე, მეტად თუ არა, ყოველ შემთხვევაში არანაყლებ უზედური ქვეყნის შვილს, ლეოპარდის უმცროს თანამედროვეს. მასსაიეთ ადრე დაღონებულ ფილმო ჰაბუეს სულიერი სიმტკიცე და შორსმსწერტელობა, რათა თავისი დროის ყველა მასოწარმევეთი მარცხი, ყველა გაცრუებული მოლოდინი ადამიანის მომავალი გამარჯვების, მისი სულისა და გონების, მისი დაუთრგუნევი რწმენის მომავალი ზეიშის საწინდრად წარმოედგინა.

„მერანი“ ქართული პოეზიის ისეთსავე მწვერვალს წარმოადგენს, როგორც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. თუ რუსთაველის პოემაში თავისი სრულქმნილი გამოხატულება ჰყოფა კლასიკურმა ეპიკურმა აზროვნებამ, „მერანი“ რომანტიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი ლირიკული თვითგამოხატვის უბრწყინვალესი ნიმუშია.

ადამიანის სულის მოქმედებაში მოყვანილი მთელი შინაგანი პოტენცია აქ გადმოცემულია განსაკვირვებელი მხატვრული ექსპრესიით. „მერანის“ რიტმულ წყობაში თავის სრულყოფილ, იდეალურ გამოვლინებას ჰყოფს ეს შეუჩერებელი სრბოლის, წინსწარადვის მძაფრი რიტმი, რომელიც ერთი წამითაც არ დუნდება. აი, როგორი ხერხით აქვს გადმოცემული ნიკოლოზ ბარათაშვილს, მაგალითად, მერანის ქვენების უსასრულო ხანგრძლიობა:

გაქვეთ ქარი, გაავე წყალი, გარდაიარე
კლდენი და ღრენი!

გასწი, გაჰყურცხლე და შემიმოყლე
მოუთმენელსა სავალნი ღდენი.

აქ ეს ერთი და იმავე გვარის მოქმედების გამოხატულება ზმნები თავისი დაყინებულობით, „მონოტონური“ ინტონაციით ჩვენს წარმოდგენაში ქმნიან მარადიული, მუდმივი მოძრაობის შთაბეჭდილებას.

მიუხედავად იმისა, რომ „მერანი“ აეტორი ხშირად მიმართავს ე. წ. ტავტოლოგიურ და გამაღიერებელ პოეტურ საშუალებებს, არსებითად მისი ენა აქ საოცრად ლაკონურია და ზუსტია. აქ ნაპოვნია ის ერთადერთი საღებავები და მხატვრული შტრიხები, რომლებიც გამოხატავენ ნაწარმოების იდეის შინაგან არსებას.

პოეტური წარმოსახვის საოცარი ლაქონიზმით გამოირჩევა უკვე ამ ლექსის პირველი ორი სტრიქონი, რომელშიც სიმბოლური სურათი არის დახატული:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი
მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედილი შავი
ყორანი,

ხოლო იქ, სადაც ბარათაშვილი მერანისა და მისი მხედრის ტრაგიკული დაღუპვის სურათს ხატავს, მისი პოეტური ხილვები სულის სიღრმეზე შემყვრელი ჯადოქრული ნათელმჭერების ძალით მოქმედებენ.

თუ „შემოღამებაში“ ყველაფერი ბინდით არის მოცული და თავის მკაფიო კონტურებს ჰკარგავს, აქ, პირიქით, ყოველი საგანი უაღრესი რელიეფურობით არის გამოკვეთილი. შეაბამისად იცვლება ლექსის ბგერადი ფაქტურაც, მისი მუსიკალური ელერადობა. „შემოღამების“ ორდონისებურ კეთილზმოვანებას აქ ცვლის ქარიშხლის „ზარი, ღრიალი“ და მოვალაღ სევთა გამყვიარი ხმა.

„მერანის“ უკანასკნელ სტროფში (რეფრენის წინ), სადაც პოეტი მის კვალზე გამოსულ „მომეზე“ ფიქრობს და ამით ნათელი, ოპტიმისტური სხივი შეაქვს თავისი ნაწარმოების ფინალ-

ში, იგი ოსტატურად ცვლის განწყობილებას ლექსის ბგერად ქსოვილში ჰარბი ხმოვანების შემოტანით:

... და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის
წინ გამოუქროლდეს.

„მერანი“ იაეთ პოეტურ ნაწარმოებთან რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც შინაარსი, იდეა, ემოციური განწყობილება სრულად და ამოწურავად არის გამოხატული პოეზიის მთელი ფორმალური არსენალის საშუალებით. ეს არის ერთ-ერთი უბრწყინვალესი გამოვლინება ქართული ერის პოეტური გენიისა და ამის გამო მას გარდუვალი მხატვრული ზემოქმედების ძალა გააჩნია.

„მერანის“ მსოფლმხედველობრივ შინაარსში, მასში გამოხატულ ჰეროიკულ ლულისკვეთებაში ჰპოვებდნენ შთაგონების წყაროს მთელი თაობები, საქართველოს მოწინავე შეილები, რომელთაც მაღალი ჰუმანისტური და პატრიოტული იდეალებისათვის ბრძოლას შესწირეს თავი.

როგორც ადამიანის სულის უქცნობი გამოსხივება, იგი დღემდე განაგრძობს განუწყვეტელ ცხოვრებას და თავისი უშუალო ზემოქმედების ძალა ქართული პოეტური სიტყვის უკვაფერბას გვიდასტურებს.



ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება მთაწმინდაზე.

გიორგი ბაჩიაშვილი

პოეზია სიყვარულის შესახებ

ისევე როგორც ბევრ რამეში, ბარათაშვილს ბედმა მკვლევართა მხრივ მისი ეროტიკული თვალსაზრისის შეფასებაშიც არ გაუმართლა. და ეს მაშინ, როდესაც ქვეყნად აღამიანის „წილობის“ რთული კომპლექსიდან ეს პლანი განსაკუთრებული სისავსით არის წარმოდგენილი მის შემოქმედებაში. საკმარისია ითქვას, რომ მისი ოცდაჩვიდმეტი ლექსიდან ნახევარზე მეტი მხოლოდ ამ პათოსის სხვადასხვა ვარიაციებზე წარმოსახვენ. არსად ბარათაშვილის პოეტური პიროვნება არ გახსნილა ისეთი მრავალფეროვნებით, მისი სახე არსად არ წარმოგვიდგება ინტიმის ისეთი უშუალოებით, როგორც ეს ჩანს სიყვარულის სხვადასხვა ნიუანსების ამსახველ მის ლექსებში.

ბარათაშვილის ეროტიკული თვალსაზრისი კი მისი მთელი შემოქმედებითი პრობლემატიკის კაპიტალურ შრეებს უკავშირდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ბარათაშვილის ეროტიკული თვალსაზრისი არ შეზღუდულია არც სიყვარულის სენსუალისტური გაგებით და არც რომანტიკულ ირონიაში მოცემული „სიყვარულის ხელოვნების“ მოდელით.

შეცდომა იქნებოდა ბარათაშვილის ლირიკაში დაგვენახა სიყვარულის მხოლოდ სენტიმენტალური ასპექტი. ამ მიმართულებით საკმაოდ ვრცელი ექსპერსებია ჩატარებული მკვლევართა მხრივ. გამოვლენილია იმ ქალთა სახელები, რომლებიც სხვადასხვა დროს ბარათაშვილის რომანულ გატაცებათა საგანს წარმოადგენდნენ. „მერანს“ აეტორის ეროტიკული თვალსაზრისი გულწრფელად იქნა დაყვანილი პოეტის ბიოგრაფიული თავგადასავლების ფაქტოლოგიაში.

ყველაზე ადრე ბარათაშვილის დიდმა სულიერმა მემკვიდრემ გ. ტაბიძემ მიაქცია ყუ-

რადღება, რომ ბარათაშვილის ეროტიკული თვალსაზრისი უფრო ფართო კონცეპტუალური შინაარსის მომცველია, ვიდრე პოეტის ბიოგრაფიის მიერ დადგენილი სასიყვარულო თავგადასავლების ხასიათი. ბარათაშვილის შესახებ 1919 წელს დაწერილ ესეიში პოეტის სატრფიალო ლექსების გამო გ. ტაბიძე წერდა: „ამ ლექსებში, ამ შავ ლაბირინთში, შორს დაუსრულებელ სილაქვარდში მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიქსი, მუდმივად სასურველი და მუდამ მიუღწეველი იდეალი: ციური, ღვთაებრივი სილამაზე. ჰაეროვანი, უსახელო ლანდი შორეული ქალის, შექმნილი სინათლისა, ალის და სურნელები-საგან; ღრუბელი. ოცნება, ანგელოსთა ქვეყნის ანარეკლი. ამ ქალს ბარათაშვილის ლექსში არა აქვს სახელი, მაგრამ შეიძლება განა ამ ბეატრიქსი, ამ ლატრაში დავინახოთ რომელიმე ქალწული ან ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში? ბარათაშვილის ბიოგრაფიები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან“¹.

ამ შენიშვნაში ნათლადაა მიითითებული მშვენიერების იდეალისაკენ ლტოლვის ხასიათი. გ. ტაბიძემ სწორად მიუთითა სიყვარულის კონცეპტუალური გააზრების იმ მასშტაბებზე, რომელსაც ბარათაშვილი ამჟღავნებს დანტესა და პეტრარკას სულიერ სამყაროსთან ნათესაობის თვალსაზრისითაც. ეს ნათესაობა კი მათი საერთო წყაროზე ორიენტაციის შედეგია. ამ ორიენტაციას ამჟღავნებდა დანტეც და პეტრარკაც, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო, ჯორდანო ბრუნო და პასკალი, გოეთეც და ბარათაშვილიც. ეს არის სიყვარულის ის ფილო-

¹ გ. ტაბიძე, „ძვირფასი საფლავები“, ლიტერატურული საქართველო, № 4, 1968.

სოფიური კონცეპცია, რომლის დევიზია: შემეცნების საწყისი და წინამძღვარი არის სიყვარული. ეს არის ნეოპლატონური ფილოსოფია.

საქმე ის არის, რომ ბარათაშვილის ეროტიკული თვალსაზრისი, პოეტის მთელი შემოქმედებითი პრობლემატიკის ფონზე, იკვეთება როგორც განვითარების რთული გზა. ამ განვითარების საფეხურები აბსოლუტის წვდომის პროცესს გამოხატავენ. იგი განვითარების ტრიადისებურ შრეებად ლაგდება. ქაბუცი პოეტის ადრეულ ეროტიკულ გზნებაში ასახული მორცხვი დეოლატურობა ჩქარა ინთქება ვნებას დონეუანური პათოსის ტალღაში და გაწმენდილი სახით მიისწრაფვის განსულებიერებულ აბსოლუტის ქეშმარიტებისაკენ.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო მონაცემებს ამჟღავნებს ბარათაშვილის ლექსების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

შეკარა, რომ ამჟღერის ფრთებზე აზიდვის ნეტარებას ბარათაშვილი თავისი შემოქმედების მთელ გზაზე ეძლევა. ამ ტკბობაზე „მერანის“ ავტორს არასოდეს უთქვამს ასკეტური უარი. იგი ქვეყნად აღმაიანის „წილობის“ მუდმივი და სასიცოცხლო კომპლექსია. მაგრამ მედიტაცია სიყვარულის გრძნობის შესახებ ბარათაშვილის ლირიკაში უფრო ღრმად იჭრება მას შემდეგ, რაც დაიწერა „ჩემი ლოცვა“ (1840) და „აღმობადა მნათი“ (1840).

ამ შემოქმედებითი უღელტეხილის გავლის შემდეგ ბარათაშვილის ლირიკაში თანდათან იკვეთება სიყვარულის არა მექანიკურ-სენტიმენტალური წვდომა, არამედ მისი ფილოსოფიური აზრის კომპლექსში განსჯა.

მაგრამ ვიდრე ბარათაშვილის ეროტიკის ამ ახალ საფეხურს შეეცხებოდეთ, განვიხილოთ მისი ადრეული სატრფიალო ლექსები. ისინი ამ გრძნობის განვითარების საფეხურთა თვალსაზრისით „მერანის“ ავტორის ფაუსტური სულის საინტერესო დინამიკას წარმოსახვენ.

ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის გარკვეულ ასნამბლს ქმნის ლექსები: „ქეთევან“ (1835), „ღამე ყაბაზზედ“ (1836), „ჩემს ვარსკვლავს“ (1837). „თავდის ჭმის ასულს“ (1834), „საყურე“ (1839), „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენი“ (1840).

უაღრესად საგულისხმოა ბარათაშვილის „ღამე ყაბაზზედ“ (1836). თავისთავად, მას არც შეიძლება წმინდა სატრფიალო ლექსი ეწოდოს, რადგან იგი თავისებური ენარული სცენის პოეტურ ჩანახატს წარმოადგენს. მასში გაცოცხლებულია ის კოლორიტული ატმოსფერო, რომელიც ყაბაზის სანახაობასთან დაკავშირებით იქმნებოდა.

ამ მსუბუქი განწყობილების, საყვებლათა მზიარულებისა და კრიამულის ფონზე იკვეთება კონტრასტული სილუეტი ქალისა.

სდგას აქა კრძაღვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,

ყელი ყელყელობს, ამგზნებელი გულთა ჭირისა!

ეს სცენა შეიცავს საინტერესო ეპიზოდს. ისევე როგორც „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი ბეატრიჩესაგან იღებს ერთადერთ „უტკბილეს გაღიმებას“, რომელსაც შემდეგში ეძღვნება ღანტეს მთელი პოემა, ასევე ყაბაზის ღამის მიჯნური უნეტარეს სიხარულს ეძლევა თავისი შორეული ღონას ერთი გაღიმების გამო, რომლის წასვლის შემდეგაც მიეფარება „ნათელი-თვალსა!“, აი ეს სცენაც: თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და

შემომკინა; ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდელი წინა.

პიკანტური ილუმალეზით მოსილი სახის ქალთან იმართება დიალოგი.

და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად

სანატარი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მზიარულად!“

„გმაღლობთ — მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ;

ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, იფრწყებს ისევე.“

„ღარწმუნებულ ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოღები

ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები.“

ამ დახვეწილი ტონის მიღმა, რომელიც გვაგონებს გ. ტაბიძის ლირიკულ ლექსებში გავლებულ დიალოგებს, ფეთქავს უიმედოდ შეუვარებული ქაბუკის გული:

ამ პერიოდის სატრფიალო ლირიკიდან ერთერთი მნიშვნელოვანი ლექსია „ჩემს ვარსკვლავს“ (1837).

ბარათაშვილის ბიოგრაფიების მიერ ზუსტადაა დადგენილი, რომ იგი „მერანის“ ავტორს მიუძღვნია ფრანგი მეკონდიტრის ქალის დღე-ღინა ლაბიელისადმი (Labielle). მისთვისვე მიუძღვნია ბარათაშვილს მეორე ლექსიც სათაურით „Astre“, რომელიც დაკარგულად ითვლება.

ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ „მრისხანე“ ქალბატონის უმოწყალო სახე სტუბლიმიკებულია ზოგადად სიყვარულის სახეში. იგი მუდამ სასურველია, მიუხედავად იმისა, რომ „უეტრად ბუქით ნისლს მოიფარებს“.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო, მაინც გაიცნობ, მშენიერის ცის მთენო;

გიორგი ბაჩჩილაძე

კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე

ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მაღბნებელ დაბინდულის გულისა.
მოციმციმდი, მოდი, გამომეღარე,
შენგან ბნელი გული გამომიღარე;
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაბერწყალი ემხისა მომაყარე.

„მშვენიერის ცის მთენო“, „ნათელი ხარ შენ
ნათელის სულისა“, „ციური ცეცხლი“ ის პო-
ეტური სახე-სიმბოლოებია, რომელთა შესახე-
ბაც უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი.

კონკრეტული ადრესატი ყავს ლექსს „თავა-
დის ჰ... ძის ასულს, ეკ... ნას“ (1839). იგი გა-
მოსატავს მორიდებულ ენებას ქალისადმი,
რომელიც პოეტის ტრფობის დაწყულულებულ
გულს „ღმილითა ესალბუნება“.

შენის ენითა,

სავეც ლხენითა,

ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

ამ ლექსშიც სიყვარულის ობიექტი „სულს
ელხინება“ („ლხენა — ქირთავს ხსნა“. საბა).
იგი სულიერი სასუფეველის წყაროა.

მორიდებულ სენტიმენტალურ პათოსს გამო-
ხატავს იმავე ადრესატისადმი მიძღვნილი ლექსი
„საყურე“ (1839).

1840 წლის თარიღით ბარათაშვილის ლიტე-
რატურული მემკვიდრეობიდან ჩანს სამი ლექსი:
„სატრფოვ, მახსოვს თელნი შენნი“, „ჩემი
ლოცვა“ და „აღმოხდა მნათი“.

„ჩემი ლოცვა“ გამოხატავს აბსოლუტისადმი
მიმართვას და სული თავისებურ განწყობას
ღმერთის შინაგანი ხილვისათვის. „აღმოხდა მნა-
თი“ კი ამ ხილვის, როგორც უხეანესი ნეტარე-
ბისა და მშვენიერებისაკენ ექსტატიური ლტოლ-
ვის პათოსს გაღმოსცემს. არსებობს ახრი ამ
ლექსში უკავშირდება ღვთაებრივი სხივის, ნათე-
ლის ანუ წმინდა შუქის ატმოსფეროს. თავის-
თავად იგი „ჩემი ლოცვის“ ღვთაების ხილვას-
თანა დაკავშირებული. უხეანის ასეთი ხილ-
ვის შესახებ პლოტინი წერდა:

„ასეთი შეხების მომენტში სხივისგან უეცრად
გაბრწყინებული სული დაჯერებულია, რომ
იხილა ის, რომ ეს შუქი მისგან გამომდინარე-
ობს, რომ მასში თვით ის (პირველი ერთი)
გაბრწყინდა... სული უსინათლოდ რჩება, რო-
დესაც მოაკლდება ღვთაების სახელოვეს; ხოლო
როცა ღმერთი ანათებს მას, იგი სწვდება იმას,
რასაც ეძებს. სულის არსებობის ქვეშარტი
მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ იცოს ამ ნა-
თელთან ნაზიარები, უკვრიტოს ამ შუქს არა
გარეშე რაიმე სინათლის შემწეობით, არამედ
თვით მისგან, მსგავსად იმისა, როგორც მზეს
გზადავთ მისივე სხივის შემწეობით, ასევე
ღვთაება სულს შეუძლია და უნდა იხილოს
მხოლოდ იმ შუქის საშუალებით, რომლითაც
იგი მას ანათებს“¹.

ეს არის ექსტატიური ტრფობის თავისებუ-
ლი. ბარათაშვილის ლექსი კი გამოხატავს სული-
ერი ღირებულების პირობად ამ ტრფობის ექს-
ტატიური მდგომარეობის მიღებას. უნდა გვახს-
ოვდეს, რომ ამ ლექსის სახე-სიმბოლოებია:
„მზეებრ ცხოველი შვების სხივი“, „შუქი ეგ
საოცარი“, „შვების მომღვწელი შუქი“, „ძლი-
ერი სხივი“, მშვენიერების იდეალს ანუ ღვთა-
ებას გამოხატავენ. „სინათლე უხეანულია და ის
არის გონება და იდეა“, ხოლო „ამ მშვენიერე-
ბას შეიცნობს შესატყვისი უნარი სულისა“
(პლოტინი). ამ შუქის სახე-სიმბოლოს თავის
პოეზიაში უხეად იყენებდნენ არსთაველიც და
დანტეც. მაგრამ როგორ ვითარებაში ხორციელ-
დება ეს ექსტატიური ლტოლვა მშვენიერე-
ბისაკენ?

პლოტინი ამბობდა, რომ ბუნების არავითარი
გარანდიოზული სანახაობა არ შეედრება ამ
უმაღლესი მშვენიერების ხილვას, რომელსაც
ჩვენ „შინაგანი თვლით“ და გრძნობის ორგა-
ნოთა დაუმხარებლად ვწვდებით. „ხილვით კი
მამინ იხილავ მას, როცა სულს ძალი შესწევს
მისი ჭკერტისა, და, რა იხილავ, სიხარულით
შეიმძვრი დიდით, და არა მარტო სიხარულით,
ძრწოლითაც და განცდიფრებითაც, უფრო დი-
დით, ვიდრე სხეულბრივი მშვენიერების ჭკერ-
ტის დროს, რამდენადაც აქ თვით ქეშმარიტს
ეხება სული. რადგან ხილული მშვენიერების
ჭკერტისას სწორედ ეს განცდები უნდა იპყ-
რობდეს სულს — განცდიფრება, შინაარევე
სიხარული, წყურვილი, სიყვარული და ნეტა-
რებასთან წილნაყარი ძრწოლი. მაგრამ უხილავი
მშვენიერების ჭკერტის დროსაც სწორედ ამას
უნდა განიცდიდეს და განიცდის კიდევ ყოვე-
ლი, განსაკუთრებით კი ის, რომელიც მთლი-
ანად ეძლევა და მთელს არსებით შეჭდრფენს
სიყვარულს, ისევე როგორც ყველა ხედავს
სხეულბრივი მშვენიერებას, მაგრამ თანაბრად
რთილი განიცდის მას: ყველაზე მეტად სწორედ
ისინი იწყუწიან მის მიერ, ვისეც ამბობენ —
„მთი უყვართ“².

ბარათაშვილის ლექსი გამოხატავს ამ ექს-
ტატიური მთელი არსებით შთანთქმის პათოსს.
იგი მთავრდება ამ უმჭურვალესი გრძნობისათ-
ვის სულის სარკმელის ბოლომდე გახსნით:

ეჭუტეაღ ძლიერსა სხივსა შენსა, პოო,
მნათო ჩემო!
ოდეს ეიხილო მცირე ბინდი შენს შუქს
გარემო,
მყის ღამიღამდეს ამა სოფლის საომოვნება

² პლოტინი, ენეადა I, ტრაქტატი VI. (თარ-
გმანი ბ. ბრეგვაძისა).

¹ პლოტინი, ენეადა, V, 3, 17.

და შენთვის დავთმო ტრფობის წინადა
ყოვლი დიდება.

„აღმოხდა მნათის“ ფინალში „შუქი ეგ სა-
ოცარა“ მიღებულია, როგორც სულის უზენა-
ესი ნეტარებით აღმსვები წყარო. და მისი
ტრფობის წინადად“ დაითმობა ამა სოფლის
„ყოვლი დიდება“. რის დათმობაზეა აქ ლაპა-
რაყი? ამის შესახებ ჭერ კიდევ „ჩემს ლოცვა-
ში“ იყო საუბარი.

ცხოვრების წყარო, მასე წმიდათა
წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმრთოანი გულისა სენთა!
იხა დაჰქროლონ ნაგა ჩემსა ქართთა
ვენებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

აქ ლაპარაკია იმ „განწყენდაზე“, სულის იმ
თავისებურ შემზადებაზე, რომელიც უზენაესის
ხილვისათვის აზრის საჭირო. „აღმოხდა მნათ-
ში“ სწორედ სოფლის ამგვარ დიდებათა დათ-
მობაზეა ლაპარაკი. რადგანაც უზენაესი მშვე-
ნიერების ხილვა და სულის მასთან ზიარება არ
განხორციელდება მანამ, სანამ „ამ აღმა სელი-
სას არ დაუტევებს ყველაფერს, რაც უცხოა
უზენაესის ბუნებისათვის და პირდაპირ არ
იხილავს თვითონ ღვთაებრივ-წმინდას, მარტვის,
ნათელს, მართალს, ყოვლის დასაბამს, რომელ-
საც უმზერს, რომლისთვისაც არსებობს, რომ-
ლისთვისაც ეოცხლობს და აზროვნებს ყოველი
არსი, რადგან იგია ქვეშაობი მიზეზი გონების
და ყოფიერების, და რა იხილავს, როგორი
სიყვარული მოიცავს ან როგორი ვნება, მასთან
შერწყმის სერვილით შეძრულს! ნეტარებას-
თან წაღწაყარი როგორი ძრწოლა! ვისაც ჭერ
კიდევ აო უხილავს იგი, მისკენ მიიღებს, ვით
სიკეთისკენ, მისი მშვენიერი სახის მხილველს
კი აღტაცება იპყრობს და ნეტარებასთან წილ-
ნაყარი ძრწოლა, ცხოველყოფელი განცდიე-
რება. ქვეშაობი სიყვარული და უწმინდესი,
უმზერვალესი ვნება. ამ გრძნობებით შეპყრო-
ბილი დასიძინის ყველა ძველ სიყვარულს და
ზოხლით იბრუნებს პირს მისკან, რაც მშვე-
ნიერად მიაჩნდა უწინ¹. გაიხსენეთ „აღმოხდა
მნათის“... „და შენთვის დავთმო ტრფობის
წინადად ყოვლი დიდება!...“

საქმე ის არის, რომ ამ უზენაესი ნეტარების
წვდომის მიზნით სული ებმება „უსწორო და
უმაგალითო შერკინებაში“ და „უბედურია არა
ის, ვინც მოკლებულია დამაზ სხეულებს, ლა-
მა ფერებს, ამა ძალუფლებას, ხელმწიფე-
ბას, თუ მეუფებას, არამედ ის, ვისთვისაც მი-
უწვდომელი რჩება ღვთაებრივი მშვენიერება,
რომლის გულისათვისაც გემართებს ზოხლათ
დავუტოვო ხელმწიფეობა და მეუფებაც, არა
მარტო ხმელის და ზღვის, არამედ ცისაც, თუ-
კი, ამ ზოხლისა და ამ დატევების წყალობით,

ძალგების მისკენ მივიტყუთ და ეიხილოთ იგი <sup>„ქართული
ხელმოწერა“</sup>
(პლოტინი).

ეს ვრცელი ამონაწერები პლოტინის მოძლ-
ვრებიდან ნათელ წარმოდგენას იძლევა ბარათა-
შვილის შემოქმედებითი ორიენტაციის გარკ-
ვეულ ხასიათზე.

ნეოპლატონურმა ფილოსოფიამ, რომელიც
თავის დასრულებულ სახეს იღებს პლოტინის
მოძღვრებაში — მშვენიერებისადმი, როგორც
უზენაესი სიკეთისადმი ექსტატიურ სიყვარუ-
ლის პრინციპით, საყოველთაოდ აღიარებული
გავლენა იქონია შემდგომი დროის კულტურა-
ზე. ამ გავლენის მასშტაბები ვრცელდება ნე-
ტარი ავესტინიდან — დანტემდე, მიქელანჯე-
ლოდან — გოეთემდე, ლაიბნიციდან — იუმამდე.
აღმოსავლეთში სუფიზმი და ასე ჩვენს დრომ-
დე.

ქართული კულტურის თვალსაზრისით სა-
გულისხმოა შემდეგი: პლოტინისა და საერთოდ
ნეოპლატონისტურ შეხედულებების უშუალო
გამოძახილი, რომ არაფერი ითქვას ძველ ქარ-
თულ ფილოსოფიაზე, ყველაზე მასშტაბურად
არეკლილია ვეფხისტყაოსანში (ნათელის, ერ-
თისა და მრავლის მეტაფიზიკა და სხვა). მაგ-
რამ მშვენიერებისადმი ლტოლვის ის პრინციპი,
რომელიც პლოტინის „ენაიდებშია“ წარმოდგე-
ნილი, ვეფხისტყაოსანში მიუღებელია.

ეროტიკული პლანის ქრისტიანული მისტიკის
სიმბოლიკაში გადაზრდის სულისკეთებით
პლოტინის ექსტატიური სიყვარულის პრინციპი
არ მიუღია არც დავით გურამიშვილს.

საგულისხმოა, რომ „აღმოხდა მნათის“ პო-
ეტურ სულისკეთებას ბარათაშვილის ბიოგრა-
ფები ხსნიან ეკატერინე შუკუაშვიტსთან, რო-
გორც პოეტის განწირვებულ სატრფოსთან,
ხელახალი შეხვედრის განცდით. მაგრამ რითაც
არ უნდა იყოს პოეტი აქ შთაგონებული, მის
პოეტურ სიმბოლიკას აშკარად მიეყვებათ იმ
ფილოსოფიურ და ლიტერატურულ ტრადიცი-
ებთან, რომლის გამოძახალი შეიმჩნევა ლექს-
შიც „სატრფო, მახსოვს თვალნი შენნი“. მა-
შე, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც იგრძ-
ნობა ეროტიკული ლტოლვის ღვთაებაში სუბ-
ლიმაციის ანარეკლი.

ლიტერატურული ტექნიკის თვალსაზრისით
ბარათაშვილის უშუალო წინამორბედად აქ
გვევლინება ალექსანდრე ხანის ქართველი
პოეტი². და, განსაკუთრებით, დავით გურა-
მიშვილი. გურამიშვილის ეროტიკული გზე-
ბა უშუალოდ ქრისტიანული მისტიკის სიმ-
ბოლიკას, კერძოდ, ძე ღვთისას ანუ ქრის-
ტეს სახეს ეუკავრება. გაიხსენოთ მისი

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის
ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 540-541.

ბიოგრაფიკული

პიოზია სიხვარულის შესახებ

¹ პლოტინი, ენადა, I ტრაქტატი, 6.

„სიმღერა“, საყვარელმან სიტყვა ავი მიიხრა, გულსაწვავი“ და განსაკუთრებით, „სიმღერა დავითისა, ზუბოვცა“. ამ ლექსში ტრფობის ობიექტია არა ქალი, არამედ ქრისტე, რომელსაც ჩვენი ე. ი. ადამიანთა „სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულება“ და ჯვარს აცვეს („სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბასრულსა“), ხოლო ამჟამად იმყოფება ცად. გურამიშვილის ლექსის ექსპოზიციური ლეოთება ქალის კონკრეტულად ხელშეახებ ფერებშია წარმოსახული:

ზუბოვიდან მომავალმან ენახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, მშვენიერი, მასზე ღაფრა
თვალი,
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდ,
შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლენა, შვიმბუსრა
ქვალი.

შემდეგ აღწერილია ამ „ქალთან“ სამიჯნურო დიალოგი. წასვლის დროს „ქალი“ (ქრისტე) მას პირდება „ისევე მოსვლას“. (შდრ. მეორედ მოსვლა). ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში კი თანდთან იხსნება სიმბოლოა და ქალის სახე-ნი ამორტივირდება ჯვარცმული ქრისტეს ხილვა:

ღეთისგან ვიბოვ, არ გამყაროს მე მის
სიყვარულსა,
სხვას უკეთეს ვის ვიშოვნე სილამაზით
სრულსა?
ჩემის სიყვარულისათვის სცემეს
ხელშეკრულება,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით
გაბასრულსა.

აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ
მყვანდა.

ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულეები
ცადა:

გეაჭები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!
გეაჭები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!
ბარათაშვილის ლექსშიც „სატრფოვ, მახსოვს
თვალნი შენნი“ განცდილია სატრფოს სახისა
და ღეთების თავისებურად გაორებული კადრში
ხილვა.

სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით კრთოდნენ,
და ბაგენი მღუმარენი
ხვამილდას მიმალდნენ!
მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა გავდა ხორციელსა!
აწ მივხვდი მე, უბედური,

თვალთა შენთა მეტყუელებას:
თურმე ცრემლი უცნაურა
მოელოდა ჩემს ობლობას!
ახლაც, ოდეს ენახე სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,
გულამოსკენათ ვიკონებ მე
ღლეთა ჩემთა ბედნიერთა!

როგორც ვხედავთ, სატრფოს ცრემლები აქ არ გამოხატავს ამქვეყნიური ცხოვრების სევდას. მისი სახე მოწყენილია, როგორც ღმერთის იკონოგრაფიული სურათი და არა ჰგავს ხორციელს, ხოლო ბაგეები მაღავენ რაღაც დიდ საიდუმლოს. ეს მხოლოდ მან, ღმერთმა იცოდა. მისი მნიშვნელობა კი მას შემდეგ ხდება ცხადი, როცა სატრფო დაიკარგება. ეს იწვევს ობლობის განცდას. სატრფო-ღმერთისათვის ეს წინასწარ იყო ცნობილი და მას სიმშველით მოელოდა.

ბარათაშვილის ბიოგრაფები ამ ლექსის პათოსს ხსნიან ეკატერინე ჰავერჰაუსთან პოეტის განშორების ნაღველით. ამ ფაქტის დადასტურებას ისინი ხედავენ მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილშიც. მაგრამ წერილში ნაგარაუდევ ქალსა და ამ ლექსში ხსენებულ სატრფოს შორის, პოეტის დამოკიდებულებების თვალსაზრისით, მხოლოდ მოჩვენებითი მსგავსებაა. მეტიც, ლექსში ლაპარაკია სატრფოს მხრივ რაღაც საიდუმლოების არამსოფლური, ქრისტეს მსგავსი სტრიქონით დაფარვაზე, რომლის აზრს მხოლოდ გვიან მიხვდებიან. ახლაც მეხსიერებაში აღდგენილი სატრფოს მუდამ უკეთილშობილესი და ცრემლიანი სახის მოგონებას ყოველ მშვენიერ თვალთან განდამომსკდარი ცრემლი იწვევს.

როგორც ვხედავთ, ლექსში ასახულია განსტელიერებული ხატება სატრფოს იდეალური სახისა.

ბარათაშვილის წერილში კი სრულიად სხვა რამე წერია: „...დიდი ხანია ობოლი ვარ... ვინც მაღალი გრძნობის მქონე მეგონა, იგი ენახე უფლო!.. ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველდნენ მშვენიერის სულისა. თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი სამწიგნოს საწყალოვანსა! სად განისვენოს სულმა, სად მივიდრიკო თავი? ვიცი, გაივინებ, ასე გეგონება დამწვარი ელაპარაკობ. ჰეშმარითად, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული“. როგორც ვხედავთ, ამ წერილში გამოკრთის მოვლენათა ფიზიკური განსჯისაკენ მიდრეკილება, ხოლო „სატრფოსადმი“ პოეტის დამოკიდებულების თვალსაზრისით, ქალის ვერაგული სულის ანარეკლი.

ამკარაა, რომ „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“ ბიოგრაფიული ფაქტის სენტიმენტალუ-



რი გამოძახილი რომ ყოფილიყო, მასში უნდა ასახულიყო გაწმენდილი შეყვარებულის წყრომა თავისი სატრფიალოში, ლექსში კი სხვა სურათია.

როგორც ჩანს, წერილი პოეტის ბიოგრაფიული თავგადასავლის მომენტს გამოხატავს. ლექსი კი ამავე წერილში აღნიშნული „გულ-ცივი განსვსა“ და „მტკივე გულის“ მზერაზე გამოხატულებაა. და საერთოდ, ბარათაშვილი არ არის ისეთი პოეტი, რომელიც მოქარბებული გრძნობების ტალღაზე ატივტიველის მთლიანად ინთქება ამა თუ იმ განწყობილების სტიქიაში. „გულცივი განსვა“ და „მტკივე გული“ „მერანის“ ავტორის ის „უსყიდელი მსაჯულია“, რომელიც განწყობილების თვითდინებას საიმედოდ თოკავს. ბარათაშვილი უკასპერო მათფლავანცდის პოეტი და გრძნობის რომანტიკული ეგზალტიკა მისთვის უცხოა.

ამრიგად, ბარათაშვილის შემოქმედებითი პრობლემატიკის ფონზე ნათლად იკვეთება სიყვარულის გააზრებაში აღმქედელი ტენდენცია. „მერანის“ ავტორი ტრფიალების ცნებაში ორგვარი მიმართულების შინაარს დებს. პროზოლოგიურად გაერთიანებულ იმ ლექსებში, რომლებსაც ჩვენ შევეხეთ, ერთი მხრივ, სიყვარული განცდილია, როგორც სულიერი ცხოვრების სენტიმენტალური ასპექტი, ხოლო მეორე მხრივ, სიყვარული მიღებულია როგორც მშვენიერებას კატეგორია.

იგი უფრო ზოგადი მნიშვნელობის თვალსაზრისს ითვალისწინებს. ლექსში „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“ ქალის სახეში თვითღვაობის, როგორც აბსოლუტის მინიშნებისა, კენ მიდრეკილება ამქლავებს. სიყვარულის გრძნობისათვის მინიჭებულ მასშტაბების ხასიათს. უფრო ზუსტად, ბარათაშვილის მსოფლგანცდაში სიყვარული არ არის გააზრებული, როგორც მხოლოდ ქალის, სამშობლოს, ბავშვის, მოგობარ-ნათესაეობთან შინაგანი სიახლოვის მარტივი გრძნობა, რადგანაც შ. ტეიარის საგულისხმო შენიშვნით, ყოველ ასეთ ჩამოთვლაში გამოტოვებულია „ენების ყველაზე ფუნდამენტალური ფორმა, რომელიც ნაწილებს ერთმეორეზე მიმოფენს და მათ მთლიანობაში აერთიანებს დამსარულებელი უნივერსუმის ლეწით. შესაბამისად, ეს სიახლოვე არის კოსმიური გრძნობა“¹.

ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკა თავის მთლიანობაში, სიყვარულის კოსმიური გრძნობის მასშტაბებითაა გასაზრებული.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა სიყვარულის ამ ზოგად ფილოსოფიური გააზრებისაყენ მიდრეკილების გამო მხოლოდ ცალმხრივად, სიყვარულის მხოლოდ ერთი თვისების აბსოლუტი-

ზაციით წარმოგვედგინა ბარათაშვილის ერთპირი ტიკა...

სიყვარულის ასეთი თვალსაზრისით გააზრების ფონზე ბარათაშვილის ლირიკაში მკვეთრად ეკთარდება ცხოვრების წმინდა სენტიმენტალურ-ეროტიკული ნაკადი...

საგულისხმოა, რომ „მერანის“ ავტორის აღრეული სატრფიალო ლექსებიდან მოიძმის ცნების მორიდებული, სალონური გალანტურობით თავდაპირველი ტონი, („ღამე ყაბახზედ“, თავადის ჭ... მის ასულს, ეკატერინას“, „საყურე“). მიუხედავად ამ ლექსებში მინიშნებული საოცრად დამუხტული ენებისა, მათი დილოკატურობის ყესტში მხოლოდ მინიშნებულია „მერანის“ ავტორის გრძნობისა და ტემპერამენტის სიცოველე. მათში მხოლოდ ყრუდ ისმის ქალის ფიზიკური მშვენიერებით ტკიბობის ეპიკურიტული ხმა... უფრო ზუსტად, სატრფიალო ლირიკის ამ ნაკადში არა ჩანს ბარათაშვილისეე სიტყვებით „სიამენი სოფლისა“. მათი არსი სხვა სიბრტყეშია გადატანილი.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საგულისხმოა 1839 წელს დაწერილი ბარათაშვილის ლექსი „სული ობოლი“. ვიდრე ამ ლექსს შევეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ მასში გამოვლენილი პათოსი, რომლის თავისებურ შეფრს, თავისებურ პოეტურ ფორმულას წარმოადგენს მისი სათაური, — „სული ობოლი“, ბარათაშვილის ლირიკის მთელ მანძილზე თავისებური სახე — ცნების ხარისხშია აყვანილი.

ისევე როგორც ლექსში „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“, „სული ობოლიში“ სუბიექტური განწყობილების მასშტაბები ფართო სიმბოლური განზოადების პლანშია გადატანილი... „სული ობოლის“ სიმბოლიკაში ადამიანის სულიერი მარტოობის, როგორც სულიერი დრამის ფონზე, იკვეთება თვითღვაობის ალვგორია, რომელიც თვითონაა სული ობოლის ტრაგიკული თავგადასავლების გმირი. ლექსი გადმოსცემს მარტოობის ისეთ დრამას, რომელსაც არ შეედრება ადამიანური ობოლობისა და ამქვეყნად ადამიანური ცხოვრების არც ერთი ტრაგედია... მისი პირველივე სტრიქონებიდან აღნიშნულია ადამიანური სიმარტოვის, უთვისტომობისა თუ შინაგანი დრამის წერილობანი ხასიათი იმ ზოგად, რადაც აბსოლუტის მომცველ სიმარტოვესთან შედარებით, რომელსაც სული განიცდის.

ამ ლექსის თავისებურ სიმბოლიკაში ცნურდება ის დრამა, რომელსაც, პლოტინის აზრით, მშვენიერების იდეალისაყენ ლტოლვის დროს სული განიცდის. „სული ეგმება უსწორო და უმაგალითო შერკინებაში. მისი გულისთვის იბრძვის ძალთა ზღვრული დაძაბვით, რათა

¹ П. Тейяр де Шарден, феномен чело-века, М., 1965, стр. 261.

ბიოგრაფიული მონაცემები
პროფირი სიყვარულის შესახებ



არ დაეარგოს თავისი წილი, რომელიც ჰერეტისაგან უკეთეს ჰერეტაში გვიძევს. ბედნიერია, ვინც გამარჯვებული გამოდის ამ შერყინებიდან, ბედნიერია ნეტარების ნათელი სახის ჰერეტიკი და პირიქით, უბედურია დამარცხებულია¹.

ბარათაშვილის ლექსში იკვეთება ამ დამოუღებელი სულის დრამისათვის სრულიად უჩვეულო შტრიხი. ეს არის „სიამენი სოფლისა“. დაბნელებული სული იმ დიდ ტრაგედიამში, რომელსაც თავისი მარტოობით განიცდის, წუხს იმის გამოც, რომ მას ამქვეყნიურ ცხოვრებას სრულყოფილად მიღებაც აღარ შეუძლია.

მწელი არის მარტოობა სულისა,

მას ელტვიან სიამენი სოფლისა.

(„ლორთქალი — გარდახვეწა“, საბა).

იმ რთული გზის შემდეგ, რაც „მერანის“ ავტორმა აბსოლუტის ძიებაში გაიარა, ამ მონეტრიდან ერთბაშად იფეთქებს მისი მსოფლგანცნობისათვის უარესად მნიშვნელოვანი ნაქადი... ეს არის ბარათაშვილის ეროტიკის წმინდა სენტიმენტალურ — ეპიკურისტული პათოსი.

პირველი ლექსი, რომელიც ახლებურად მჟღერს შუქს ბარათაშვილის ეროტიკულ თვალსაზრისს და მისი ადრეული ლექსების გალანტური ტონის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს, არის „ჩემთ მეგობართ“ (1841).

ამ ლექსში პირველად იფეთქებს პოეტის კაბუტური ზრახვების შეუნიღბავი სურათი ქვეყნად აღამიანის „წილობის“ კომპლექსი იმ გზიდან, რომელიც „ფიქრის მტკვრის პირას“, „ნაპოლეონისა“ და „ჩემი ლოცვის“ პათოსში განვითარდა, ახლა მიწიერი სიყვარულის სტიქიაში ჩაეფლო. ბარათაშვილის ლექსში ფიქრის ქვეყნითად ღონეუანური ენერგიისა და გამოცდილების ხალისი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღონეუანისა და ფაუსტური სულის შინაგანი ნათესაობის სფერო, რომელსაც პირველად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მიაქციეს ყურადღება, ბარათაშვილის პოეზიის სახით მდიდრდება გრძნობიერების გრანდიოზულ ტალღაზე ატირებების სიღრმით.

ღონეუანისა და ფაუსტის შინაგანი ნათესაობის თავისებურებაზე, ნარკვევში „ღიგნა ღონეუანის შესახებ“ ა. ევსელოვსკი წერდა: „ფართული ლტოლვა მარადიულობისაკენ, ბოლოქარი გრძნობების ამხედრება აღამიანთა ხედრის წინააღმდეგ, აღამიანებისა, რომელნიც ვანჭირულნი არიან უწყოდნენ მხოლოდ ზომიერი შეგრძნებანი, დაიღუპონ ნების, ფანტაზიის, ძალის ყოველი ზედმეტი დამატულობისაგან, უდიდამოდ ელოდონ სავალალო ბოლოს. გარკვეულად აახლოვებს მას მეორე ასეთსავე მეამბოხესთან ბედის მიმართ — ფაუსტთან. რა გინდ განსხვავებული არ უნდა იყოს მათი

საწყისი ბიძგები, დროდადრო მათი თვისებები უეტრად თანხვედრიან. როცა მკვლავად ნიერებაში რწმუნადეარგული ბრძენი ღოტორი ისწრაფვის, რომ თავისი ძლევამოსილება გამოიყენოს არა სამყაროს კანონების შესაწინააღმდეგ, არამედ გრეთუნის ან ელენეს აღერსში სიყვარულით დასატუბობად, როცა იგა ატუნებს თავის პირველ მსხვერპლს, ვნებიანი აღსარებით ეჩურჩლეუბა და შემდეგ ტოვებს მას — ჩვენ არ ვიცით, ეს ღონეუანი ხომ არ მეტყველებს მისი ბავებები?“².

უფრო ადრე კი „კრომველის“ წინასიტყვაობაში ეს თვალსაზრისი ასე ჩამოაყალიბა ვ. პიუგო:

„ღონეუანი არის მატერიალისტი, ფაუსტი კი სპირიტუალისტი. ერთმა მთელი სიტუაცია შეიმეცნა, მეორემ — მეცნიერებანი. ერთმა და მეორემაც ხე ცნობადისაგან იკემეს კეთილი და ბოროტი. ერთმა მოსწყვიტა მისი ნათი, მეორემ შეისწავლა მისი ფესვები. პირველი რომ დატეხეს, ღუბავს თავის სულს, მეორემ რომ შეიმეცნოს. ერთია განმეგებელი, მეორე — ფილოსოფოსი. ღონეუანი სხეულია, ფაუსტი — სული. ეს ორი დრამა ავსებს ურთიერთს“³.

როგორც ცნობილია, შპისისეული ფაუსტის ლეგენდებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ფაუსტის სწორედ ღონეუანურ პრაქტიკას. უფრო მეტიც: მასში ეროვნებების მიხედვით არის მიითთებული იმ ქალთა სია, რომლებიც ფაუსტმა აცდუნა. ეს პათოსი ფაუსტური ლიტერატურის ტრადიციულ და განუყოფელ თვისებად გვევლინება მისი განვითარების ახალ საფეხურზეც.

ფაუსტურ კომპლექსში ღონეუანური პლანის არსებობამ თავის შრომაში „ან-ან“ კიერეგორი მიიყვანა იმ თვალსაზრისამდე, რომ ღონეუანურ სულისკვეთებას და მის მაცოუნებელ ძალას უფრო მეტად განაპირობებს დახვეწილობისა და სულიერების ელფერი, ვიდრე ზორცილებისა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პოეზიაში ბარათაშვილის „ჩემთ მეგობართ“ ამ თვალსაზრისით არის ღონეუანური პათოსის პირველი მედიტაცია.

ქაბუნო, ვიდრე ცხოვრებას დღეთ დღისა გინათებთ

და სიყვარული გულის ქირთაც

გისამივნებთ,

არ დაინიშნო შევის ბედის მსწრაფლნი

ლახვარნი

და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლიცა

მწარნი.

² А. Веселовский, Избранные статьи, стр. 47.

³ В. Гюго, Собрание сочинений, т. 14, М., 1956, стр. 56.

¹ პლატონი, ენეადა I, III.

აპყევით სოფელს, შეურჩენელს და
მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა
ალსა!

სასაცილოა, ბერი კაცი რომ
ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, რომ ჭაბუკი
ბერიკაცობდეს!

მას ვაქებ, ვინცა თავის სიცოცხლე
ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინაც კმარა დადუმება გულის ენებათა,
კისრად ტვირთება წუთი-სიფლის მძიმე
ზრუნვითა.

ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ
დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულად შეპყრის
სარგებელს!
მხოლოდ ერთს გირჩევთ და გასოვდეთ
ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნიკადი მაქვს ეს
გულის ძირი:
არ შეემსჯვალოთ მოკისკასეს, კეკელა
ჭალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა
ცრულ მომღერალსა!
აშოის ენა მას ახარებს, მას
ასულდგმარებს,
ბოლო სიყვარულს გული მისი ვერ
მიიკარებს!

ამ ლექსში ჩანს უკვე გამობრძმებული დონ
ქუანის ფაშილარული ტონი. კონკრეტული
იდუალის ფაუსტური წყურვილი აქ მთლიანად
არის გადართული ენების სტიქიაში. ბარათაშვი-
ლის პოეზიაში ეს მომენტი თვისობრივად იმავე
ღირებულებას უკავშირდება, რომელიც გოეთეს
ფილოსოფიური ლექსებიდან „მიძღვნის“ პასა-
ჟებშია მოცემული:

**Роскошных благ горячий дар,
Как все, приемлю тоже;
Но женской плоти милый жар
Вдыхать стою как дороже.**

ბარათაშვილის ლექსის ცალკეული სტრიქო-
ნები უშუალოდ ეხმარება „მიწიერი სიხარუ-
ლის შემცენების“ (გოეთე) იმ თვალსაზრისს,
რომელიც „ფაუსტის“ ავტორმა ფორმულს სა-
ხით ჩამოაყალიბა:

**И вместили все земные цели,
Не взликует сердце неужели?
В своре псов и доброй бабе боле
Радости, чем в елисейском поле.
Чде бредут вослед прозрачной тени,
Гуть касаясь радужных видений.**

როდესაც ახალი ქართული ლიტერატურის
ღვაწლმოსილი სისტემატიზატორი კ. აბაშიძე

ბარათაშვილის საქმოდ ელევანტური სტრი-
ქონების შესახებ —

პოე, საყურეო,
გრძნებით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ჭეშ დიიტბარუნოს? —

წერდა: „დიიტბარუნოს“, ბატონებო, ეს მე-
ტად ტლანქად გამოთქმულია. შეიძლება ლამა-
ზი სიტყვაც იყოს, მაგრამ ნაზი გრძნობის აღმძ-
ვრელი კი არ არის-ო!“ ასევე ის მკვლევარე-
ბიც, რომლებიც ბარათაშვილის პოეზიის ამ
პლანს გვერდს უვლიან და პოეტის ეროტიკუ-
ლი კონცეფციის სხვა თვისებაზე ამახვილებენ
ყურადღებას, აშკარად აღარბეჭდენ იმ საესეობას,
რითაც გენიალური შემოქმედის მსოფლანცდა
ხასიათდება. ეს საესეობა კი ნათლად ჩანს ბა-
რათაშვილის პოეზიაში გამეფებული მძაფრა
ღრმანათიზმის ფონზე უეტრად შემოჭრილი ეპი-
კურიზმის აფეთქებაშიც. გაიხსენეთ მისი ექვს-
სიტყვიანი ლექსი: „ქნიაზ ბარათაშვილს ახარფეშა-
ზედ“ (1842).

ამავსებ ღვინით,
ავავსებ ღვინით,
შესვი? გამოს!

აქ სწორედ ის პათოსია, რომელსაც ზემო-
აღნიშნული ლექსის ბოლო სტრიქონებში გო-
ეთე იძლევა:

**Кто в ладах с природою живет.
В виной чаше целый мир найдет.**

ბარათაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრე-
ბით მძაფრდება სიცოცხლის ღირებულებათა
სფეროში ორიენტაციის განცდა. ეს მომენტი
კი ყველაზე მასშტაბურად მის ეროტიულ თვალ-
საზრისში გამოვლინდა.

გავიხსენოთ მისი ამ ტიპის შესანიშნავი ლექსე-
ბი: „ნა— ფორტეპიანოზედ მომღერალი“ (1841),
„შენი დაღალნი“ (1842), „შევიშრობ ცრემლ-
სა“ (1843), „როს ბედნიერ ვარ“ (უთარილთა)
და სხვა.

ამ ლექსებში ლაბარაკია დიდ ენებებზე, ლაბა-
რაკია სიყვარულით მიყენებული ტკივილებისა
და სიხარულის განცდაზე.

ბარათაშვილის ამ ახალი ენერგიით გამაჟფ-
რებულ ლტოლვაში ჩანს სიყვარულისადმი
პროფესიონალი თაყვანისმცემლის დამოკი-
დებულება. მას უკვე სიყვარული იზიდავს, რო-
გორც პრინციპი და როგორც ამქვეყნიად აღა-
მიანის „წილობის“ საოცარი გამოვლინება.
მათში გამოსკვივის ლტოლვა ქალური

1 კ. აბაშიძე, ეტრუდები (დ. გამეზარდაშვი-
ლის რედაქციით) გვ. 71.

გიორგი ბაჩიაშვილი
პრემია სიყვარულის შესახებ



იდუალისავენ, ხოლო „კეკელა“ და „მოკის-
კისე“ არსებობდათ თავის არიდების აღნიშვნა-
მ ლტოლვას დონეჟანური პათოსის ელევან-
ტურობით ავსებეს.

ბარათაშვილის ეროტიკული ლექსების მხატ-
ვრულ ქსოვილში იკვეთება ქალის ფიზიკური
მომხიბვლელობის განცდა. გაიხსენეთ: „ნ-ა
ფორტეპიანოზედ“... „შენი დაღლინი“ და სხვა.
მაგრამ მის სატრფიალო ლექსებში განცდილი
სატრფოს მშვენიერების ხილვიდან ჩვენ განსა-
კუთრებით გვაშფოთებს ქალის დაუფიქრარი
თვალბრის ნათელი. ბარათაშვილის თითქმის ყო-
ველ მეორე ეროტიკულ ლექსში ლაპარაკია სა-
ტრფოს თვალბრზე და მის „მეტყველ დემიო-
ში“ აღმტეხილი განწყობილების ეფექტზე. თვა-
ლები როგორც „ცეცხლის ორი აბედი“ (გალაქ-
ტიონი) ბარათაშვილისათვის არის ის ღია სარე-
მელი, რომელიც უღამაზესი ნაგებობის ეფექტს
დასრულებისა და ინტიმურობის ატმოსფერო-
თ ავსებს. „მიყვარს თვალები მიხნედილები“, „სატ-
რფოვ, მასოვს თვალი შენნი“, „თვალთა შენ-
თა მეტყველებას“, „უუუუნა თვალი, გულოა
მომცველნი“ და სხვ. თავისებურ ვარიაციებს
ქმნიან ბარათაშვილის ეროტიკულ ლექსთა გა-
მონი.

ფიზიკური მშვენიერების ხილვა კი არის ის
გზისგა, რომელიც მის თვალბრს ადვარისებს
„ხან ნუგეშისათვის, ხან დასაწყევლად“ გაიხ-
სენეთ რუსთაველის „ამაო კვრეტა ტურფისა“...
ბარათაშვილის ლირიკაში სატრფოს მკერდი
ხომ „ტრფობის ველია“, რომლებიც არა მარ-
ტო „ადვარისებენ“ მათი მოტრფილის თვა-
ლებს, არამედ უძლები შურითაც აღაგზნებენ
(„ჩემს თვალებს აღაგზნებს შური“).

„მერანის“ ავტორის სატრფიალო ლირიკის
სურათებიდან, და საერთოდ, თვალბრს პოეზი-
ის, როგორც სულის გახსნილი სარკმელის გან-
საკუთრებულ ინტიმურობაში გონცდის პათოსით
ბარათაშვილის ლექსები მოგვაგონებენ მიქე-
ლანჯელოს ეროტიკულ სტრუქტურებს. მის ლექ-
სებში წამდაუწყებ გაუღებელი „Occi mia vita“
(„თვალბრ — ჩემი სიცოცხლე“) და ბარათაშვი-
ლის —

მის თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღმრთა შევბის მოძებნი,
ჩემი წარმწყემდი, მაცხოვრებელი,
განმარბნობელი, გამხელებელი! (1843).

— ერთი სულიერი არსენალიდან საზრდოო-
ბენ.

ამ პოეტური სურათებიდან მომზიარაო,
„შურით ამგზნები“ სატრფოს თვალბრს სულის
გახსნილ სარკმელზედ წარმოგვიდგებიან. ისი-
ნი მიხილულობის აშკარა საიდუმლოებით ხა-
სითდებიან და მისკენ ლტოლვის მწველი ნეტა-
რებით აპრუნებენ მათ რაინდს. მუდამ არ არა-
ს მოწყვალე სატრფოს თვალები, მაგრამ ბარათა-
შვილის ეროტიკულ თვალსაზრისში ამას არ

აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგანაც
ლუტისავენ მალღდება არა ის, ვინც უყვარ-
ა არამედ ის ვინც გაბასრულია სიყვარულისაგან
მიყენებული ქრილობებით. ვინც უყვართ, ის
მხოლოდ მიზნია სიყვარულისა. ღმერთი მხო-
ლოდ შეყვარებულის არსებაში ბუდობს. ეს
პლატონური თვალსაზრისი მძაფრი შინაგანი
მღელვარებისა და ინტიმურობის პათოსითაა
გადმოცემული ლექსში „მიყვარს თვალები მი-
ხნედილები“ (1842).

ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგარძნობელსა,
უწყალოდ სტანკვენ უნო მსხვერპლსა,
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენს,
მათივე კპოვებს საყურნებელსა!

თვალთა ლამაზნი, ვინ უძლეს თქვენსა
ძლიერს ბასრობას,
თუ არა სკვრეტდეს თქვენგან სიკვდილში
თვით უკვადებას?

აქ არ არის ვერცერთი სიყვარულის გაზიარე-
ბაზე... უყვართ არა იმიტომ, რომ თავსაუკრ-
ნობენ, არამედ იმიტომ, რომ სიყვარული არის
უკვადებისა და კუმარტების დაუფლები
პირობა. ამ ლექსის პათოსში თავისებურად
გამოკრთის სიყვარულისა და სიკვდილის amor-
mors-ის უძველესი ფორმულა.

სავანებოდ უნდა აღინიშნას, რომ სიყვა-
რულის გზით ღმერთთან ზიარების ხეობლატო-
ნური თვალსაზრისი „მერანის“ ავტორის უმუ-
ალო სულიერ მოძღვართა მსოფლმხედველო-
ბრივი და ზეობრივი პათოსის სყურას უკავ-
შირდება. როგორც ცნობილია, ბარათაშვილი
ფართო ლიტერატურული ინტერესების სტიმი-
ლად პირველ რბეში ჩანს 1832 წლის „შეიქმულ-
თა ზეობრივ ქმედებათა კოდექსი „აქტი გო-
ნიური“. ფილადელფოს კენახის ამ პოლი-
ტიკური ამოცანების მქონე რელიგიურ ტრაქ-
ტატი კი გამოხატულია ის აზრი, რომლის მიხე-
დვითაც ღმერთი არის „თვით სიყვარული“ და,
რაც მთავარია, „რომელი ეგოს სიყვარულსა-
ზედა, ღმერთი მასთან ჰყის“.

ბარათაშვილის აღნიშნული ლექსიდანაც ცხა-
დად ჩანს, რომ „მერანის“ ავტორის თავისე-
ბური დონეჟანური პათოსი არის არა შიშვე-
ლი ავხორცილის ამოლოგია, არამედ რაღაც
მარადიულისაგან ლტოლვის ფაქტური გამო-
ხატულება.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ეს ფი-
გენტი, როგორც ბარათაშვილის ლირიკის ფაქ-
ტური კომპლექსის თვისება, უღერესად საკუ-
ლისხმობა ამ პლანის იმ ქრონოლოგიური თან-
მიმდევრობით განვითარების სურათი, რომე-
ლიც „მერანის“ ავტორის შემოქმედებაშია გან-
ვინილი.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა „ჩემთა მეგობართა“
ბარათაშვილი წერს მისი ეროტიკული თვალსა-

ზრისის შემავსებელ ისეთ მნიშვნელოვან ლექსს, როგორიცაა „არ უჩიეინო, სატრფო“ (1841).

ამ ლექსში უკვე ხაზს უსვამს არას გამძლეველ ბარათაშვილის ეროტიკულ ავადმჯობრის-ში აღდგოთიქოს დაფარული ქვეტექსტი. იგი გვიჩვენებს ინდივიდუალუზმის კარიზისაგან საფსებით განტეირთული ბუისონის ნამდვილ სახეს. ბარათაშვილისათვის ეს არის ვიწრო განკერძოებულობიდან სიკეთისა და სათნოების უზენაეს ინსტანციის ამოღების ცურბი. საქმე იმაშია, რომ ის მორალური ადმონიფიკო. რომელითაც ამ ლექსში გაბრწყინებული სიყვარულის კოსმიური გრძნობა ვლინდება, ბუნებრივად ერწყმის ეროვნული იდეის განცდას. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ბარათაშვილის ბავთაგან ღიღადებს ერის პერსონა, ეს თვალსაზრისი უადრესად საგულისხმო კუთხიდან ნათდება სიყვარულის ამ ლექსში გამოვლენილი პათოსით.

ლექსი იწყება იმ თვალსაზრისის მიღებით, რომლის მიხედვითაც ადამიანთა ყოფის ჩვეულებრივ, მოკვდავს ენას არ ააღებს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა. მასში გმოხატულია ღმერთის, როგორც სიყვარულის თავისებურ-მდგომარეობის ფორმა. ადამიანის ენა მას ვერ გაღმოსცემს. ღმერთის მდგომარეობა არის ისეთი დუმილი, რომელსაც, ზემოთსოფლისათა მათ-სა ხელოვნებასა „საიდუმლოებაში უმეტრების“ გამო, პ. იბერიელის თქმით, დუმილით ჰყოფენ პატივცემულს. ამ ღვთაებრივ სიყვარულთან წილნაყარი გრძნობა უკვდავებით იმსჯელება. მისი რაობის გაღმოსცემა კი სცოდნება ადამიანის მოკვდავი ენის ფარგლებს.

მაგრამ პირველი, რასაც ასეთი სიყვარულით ატაცებული ადამიანი განიცდის, ეს არის სიკეთის კოსმიურ მასშტაბებში დანთქმა. ეს არის თავისებური ექსტატიური განცდა, რომელშიც იხსნება პიროვნული მე-ს ნილაბი და ინდივიდი უერთდება სამყაროს მთლიანობას. მისი პათოსი ალტრუისტული სიკეთის უმაღლესი ფორმაა... მასში თავისებურადაა სუბლიმი-რებული „მერანის“ ავტორის „ფიქრის მტკვრის პირასში“ განცდილი ფუსტიური ზრუნვის ტენდეცია, როგორც სწორედ „სოფლისთვის ზრუნვის“, სამშობლოსათვის სიკეთის მოტანის მოთხოვნილება.

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა
გარამოვავლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო
ვატკოვლო.

მინდა რომ ვიყო ვარკვლავი, განთიადისა
მორბელი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა
ფრინველნი და ვარდი.

მინდა შენ იყო, სატრფო, მშვენიერისა ცის
ცვარი,

რომ განაცოცხო, შავარნო, მდღელ სიციხთა
დამკუნარი,
რომ მხოლოდ მშისა ციაგი მას დილის ნამსა
აშრობდეს,
და, ერთად შესხივებულნი, შევბას მოჰყენდნენ
სიციტლეს!
მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანი
მიუმსგავსებდი!
მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ
დაეღარები?..
მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო,
უხრწნელი,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდგან
კაცთა სახელი!

ეს „სხვათაგანთან“ განსხვავებული სიყვარული, რომელსაც თვით პოეტიც ანსხვავებს „კაცთა სახელისაგან“, ზღვარდაუდებელი კოსმიური სიკეთის ფორმად წარმოგვიდგება. ბარათაშვილის ამ იმპულსს ეროვნული კომპლექსის რაობა განაპირობებს. „მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო“ და მისი მომდევნო სტრიქონები ახალ ქართულ პოეზიაში უშუალოდ ამზადებენ კვარცხლბეკს ეროვნული შეგნების იმ თავგანწირულობისათვის, რომელიც ბარათაშვილის შემდეგ ქარიზმალში ჩაუქრობი კვარივით ელავს აქაჲ წერეთლის სტრიქონებში:

ხატია ჩემი სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდუ, ვდნებოდუ,
არ შემოდლია მე განა?

აქაჲ წერეთლის შემდეგ, ბარათაშვილის უშუალოდ ამ ლექსის სულისკვეთებასთან წილნაყარი კოსმოსური ალტრუიზმის განცდას უკვე ვაჲ ფშაველა იძლევა თავის შედეგში „რომ შემქმნა ადამიანად“.

მაგრამ ამ საფეხურზე არ მთავრდება ბარათაშვილის ეროტიკა. მას ჯერ კიდევ არ მოუტია სიყვარულის, როგორც ქვეყნად ადამიანის „წილობის“ სრული შეფასება. იგი მოცემულია „მერანის“ ავტორის შედეგში „რად ჰყვოდრი ვაცსა, ბანოვანო“ (1842). მაგრამ „არ უჩიეინო, სატრფო“ შემდეგ ბარათაშვილი ვერ წერს თავისი ეროტიკული თვალსაზრისის შემავსებელ ბრწყინვალე ლექსს „გოვცე ტაძარი“ (1841).

ეს არ არის წუთიერი განწყობილებების ეფექტზე დამყარებული სატრფილო ლექსი... მასში არ გამოკრთის არც სატრფოს „მიხენდილო თვლები“ ეშხი და არც „პაწაწა ტუჩის“ უტკბილესი დიმილი.

ბარათაშვილი აქ კიდევ ერთხელ უბრუნდება სიყვარულს, როგორც მშვენიერების სფეროსა-

გიორგი ბაჩჩილაძე
პოეზია სიყვარულის შესახებ



კენ ექსტატიური ლტოლვის განცდას. ამ მძაფრად შინაგანი დრამატიზმით აღსავსე ლექსში „მერანის“ ავტორი სწვდება არსებობის ამ საიდუმლოების არსს, რომელიც სიყვარულის ნეტარებაშია აღბეჭდილი. ფაქტურით „შეჩერდი წამოს“ ან, როგორც ბარათაშვილი იტყვის ადამიანთათვის, „ისი ეკმაროს“ დილემას, აქ თითქმის ემეხნება გამოსავალი, როგორც სულის „მწირი სოფლისა“, მაგრამ ადამიანური ყოფის ცოცხალი პრაქტიკა არახელსაყრელ პირობებს ქმნის ამ სასუფეველში დამკვიდრებასთვის... ამიტომ სიყვარულის ტაძარში შესული „მწირი სოფლისა“, ისევ მწირი და მიუწაფარი რჩება, რადგანაც სიყვარულის ტაძრის სიწმინდე ვერ ეგუება „ცრუ და მუხთალი“ ცხოვრების პრაქტიკას...

ამ ლექსში ბარათაშვილი გადმოსცემს დრამას სულისა, რომელშიც დაკარგა სიყვარულის სასუფეველი, რადგანაც ამ „უღანოში მდგარი“ სიყვარულის ტაძარი (შდრ: „ქებათა ქება“ VIII, 5) შეიძლება დამკვიდრის მხოლოდ მან, ვისაც შესწევს ძალა დასძლიოს ცხოვრების „ცრუ და მუხთალი“ ფორმა... ბარათაშვილი მიჰყვება პლოტინის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ექსტატიური სიყვარულის პრაქტიკაში ადამიანი „უჭერეტს თვალ-შეუღღამე მშენებლებს, რომელიც წმინდათა წმიდა ტაძრის წიაღსა შინა პეიეს და არა მის გარეთ... დაე, მან, ვისაც ხელმწიფების, უშიშრად შევლის ტაძრის ბეჭენი, დაე, გარეთ დაუტევოს ხორციელი თვალნი; დაე, ნუღარ უქუიქევა საგანთა უწინდელი ბრწყინვალების ჰერეტად, რადგან მან, ვინც საგანთა სიღამაზეს ჰვრეტს. უნდა იცოდეს, რომ ის ხატია მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილი და ნაკვალევი მისი, რის ხატადაც იქმნენ ღამაში საგნები. ამიტომ კი არ უნდა მისდევდეს, პირიქით, უნდა გაუბოდვს მათ. რადგან ის, ვინც მას მისდევს, იმ ჰუბუქის ხვედრს გაიზიარებს უცილობლად, რომელშიც, როგორც მთით გვაუწყებს ერთი, მდინარეში თავისი ღამაში სახის ანარეკლს რომ მოკრა თვალი, წყლის სიღრმეში ჩაყვინთა მის დასაქვრად და... უჩინარ იქნა“.

ხორციელი სიღამაშით თავდავიწყების ნარცისისტულ დრამას ბარათაშვილი ერთი წლის შემდეგ განვაცადებინებს თავის შედეგში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“ (1842).

იგი წარმოადგენს ბარათაშვილის ეროტიკული თეატალზრისის განვითარების უკანასკნელ საფეხურს.

მასში უკვე გამოლიანებულია ის ფრაგმენტები, რომლებიც ადრე ქვეყნად ადამიანის „წილობის“ ეროტიკულ თავგადასავალში იყო აღბეჭდილი. „მერანის“ ავტორი აქ ერთიან კონცეპციას აყალიბებს.

- ბარათაშვილი აქ ემიჯნება რომანტიზმს.

1 პლოტინი, I, 6.VII (ხაზი ჩვენია გ. გ.).

სიყვარული მის მსოფლგანცდაში არამხოლოდ მხოლოდ ადამიანური არსებობის აბსოლუტური იგი სამყაროს პარამონის პირობაცაა. ძველ ბერძენთა კლასიკური აზრის კვალდაკვალ სიყვარულს იგი მარადიული ჰუმანიტეტის წდომას უკავშირებს. ამდენად, სიყვარული აქ მიღებულია, როგორც მშვენიერების ფორმა, რომელიც მთელი კოსმოსური სამყაროს მარადიულობაშია გახსნილი. მშვენიერება, როგორც სიყვარული, აქ არ ექვემდებარება დროში ადამიანური ხანგრძლივობის რეგლამენტს. სიყვარული მარადიულია (შდრ. პლატონი. Conv-206 E) უფრო ადრე ჩვენ გავიცანით ბარათაშვილის ეროტიკულ ლექსებში გამოვლენილი პოეტური სიმბოლიკის ნათესაობის ფაქტს პლოტინის მოძღვრებასთან...

საგულისხმოა, რომ მსოფლიო კულტურის ისტორიაში მშენებლების იდეალისადმი ექსტატიური ტრფობის კონცეპციას აღმოაჩნდა უფრო ხანგრძლივი და ფართო რეზონანსი, ვიდრე ნეოპლატონიზმის მთლიან იდეოლოგიას.

მას ეყრდნობა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ სიმბოლიკა, თავი რომ დავანებოთ შუა საუკუნეების ნეოპლატონურ და რენესანსულ პოეზიას; მას ეყრდნობა გოეთეს „ვილჰელმ მეისტერისა“ და „დასავლურ-აღმოსავლური დიანის“ ეროტიკული სტრუქტურა, თავი რომ დავანებოთ მისი „ფაუსტის“ სატრფილო თავგადასავალს. მას ეყრდნობა ბარათაშვილის „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“ მთლიანი კონცეპცია, თავი რომ დავანებოთ მის სხვა ეროტიკული სულისკვეთების გამომხატველ ლექსებს.

რას წარმოადგენს ასეთი პლოტინის მოძღვრებაში დასტურებული ნეოპლატონური სიყვარულის კონცეპცია, რომლის რეზონანსმაც ასეთი დიპლომატიზმი მიიღო მსოფლიო კულტურის ისტორიაში?

პლოტინის აზრით, აბსოლუტისაკენ ლტოლვის გზა იერარქიული ზეალსავლის პროცესს წარმოასახვს. მასში სიყვარულის სამი იერარქიული საფეხური გამოიყოფა. სიყვარულის დაბალი საფეხური ფლობს თავის დაძლევისა და შემდგომ საფეხურზე ამაღლების ენერგიას.

ეს არის ექსტატიური სიყვარულის პათოსი. აირველ საფეხურზე პიროვნულში ობიექტის მგაწონებლობითი აღქმა ისახება. მის შემდეგ ეკვეთება მეორე საფეხური. აქ სრულდება ობიექტის სათელში გაბრწყინებულ ჰერეტად, იოლქმაც მგაწონებლობითი აღქმა აწმინდება და შორდება ილუზიას. ეს საფეხური, ისევე, როგორც პირველი, ფლობს თავისი მყოფობის დაძლევისა და უფრო სრულყოფილ საფეხურზე ამაღლების სტიმულს.

საგულისხმოა, რომ ყოველი საფეხურის გადალახვა აქ ხორციელდება წინამავლის შეცირებისა და ძაძლევნის მნიშვნელობითი გაყართობის გზით. მომდევნო საფეხური კი თავის პირველსაწყისს „სიღვწის ვითარ განცდიერ-

ბული“ (პეტრიწი), და ეუფლება მას. ამ პირ-
კელ ორ საფეხურზე თანაბარი სისასით მყო-
ფლობენ ორივე მხარე: ვისაც აღიქვამენ და
ვინც აღიქვამს, მათგან პირველი თანდათანობით
ქრება და მესამე სტადიაში ორივენი მთლია-
ნად ინთქებიან ერთმანეთში. მესამე საფეხუ-
რი წარმოსახავს ექსტაზს, რომელშიც სუბიექ-
ტი იგრძნობს ობიექტში, კარგავს თავის განსაკუთ-
რებულობას და მასში ნატარებობით ისპობს თავს.
ეს არის ექსტატიური სიყვარულის დაგვირგე-
ნება და უმაღლესი ნეტარება. ეს არის უკვდა-
ვების ნათელი გასხივონებული ქეშმარიტება.
გოეთეს ფაუსტის ეროტიული თავდასაყ-
ლშიც, როგორც ქვეყნად ადამიანის „წილო-
ბის“ დაღვენაში, იერარქიული ზედასვლის ეს
სამი საფეხურია წარმოსახული. პირველი —
გრძნობის ენებთან სიყვარული, მეორე — ანტი-
კური ელენეს ხილვა მშვენიერების ნათელში;
მესამე — ამ ორივე საფეხურის დაძლევის, პი-
როვნების გაქრობისა და უზენაეს ქეშმარიტ
ართან შერწყმის გზით მიღწეული ნეტარება...

ფაუსტის მიერ მიღწეული ქეშმარიტებას უკვ-
დავებით „აღიქროვნებს მშვენიერება“.

ძნელია დაიძებნოს მეორე ნაწარმოები, ისიც
ლირიკულ პოეზიაში, სადაც ისეთი სრულყო-
ფილობით იქნება განცდილი და გააზრებული
სიყვარულის კონცეპტუალური გააზრების ის
სტრუქტურა, როგორც ესაა ბარათაშვილის შე-
დევრში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“
(1842).

ბარათაშვილის ლექში ვლინდება თავისებუ-
რი პოლემიკური პათოსი იმ თვალსაზრისისა-
დმი, რომლის მიხედვითაც სიყვარული არის
დროებითი და წარმავალი, ანუ არამარადიული
ენება.

საგულისხმოა, რომ ლექსის პირველივე სტრა-
ქონებში ჩმოყალიბებული თვალსაზრისი ანო-
ნიმური ბანოვანისა, რომელიც სამღერავს გა-
მოთქვამს ადამიანური სიყვარულის ცვალებ-
ადობის გამო, სიმპტომატურად ეხმაურება ლე-
რომონტოვის ცნობილი ლექსის „И грустно и
скучно“ — პათოსს, ლერმონტოვის ამ ლექსს
კარგად იცნობდა „მერანის“ ავტორი, რაც და-
დასტურებულია მის ორ წერილშიც.

1943 წელს გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ
ერთ-ერთ წერილში ბარათაშვილი ატყობნებს
თავის ბიძას თბილისის ამბებს, იგი აქაური გან-
წყობილების გადმოსაცემად უშუალოდ იხსენებს
ლერმონტოვის სტრიქონებს: „И грустно и
скучно и некому руку подать в минуту
душевной невзгоды“...

ლერმონტოვის ამ ლექსის მინორულ ტონს
განსაზრავს შემდეგი სტრიქონები: Любить
...но кого же? На время — не стоит
труда.

А вечно любить невозможно.

„მერანის“ ავტორი კი თავიდანვე იღებს პო-
ლემიკურ ტონს:
რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო,
პირუმტყიობას?
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს,
გრძნობას,
რომ არ გემჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა?
ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით
მშვენიერითა.

„საუკუნო ტრფიალებითა“ გამსჭვალვის პი-
რობას ბარათაშვილი ხედავს „მშვენიერი სუ-
ლის“ უნარში. ლექსის შემდგომი სტროფე-
ბი წარმოადგენს ამ ეროტიული თვალსაზრი-
სის პოეტურ არგუმენტაციას...

სხვათა შორის, ასეთი ვედრება სიყვარუ-
ლის მარადიულობის შესახებ გოეთეს „ფაუს-
ტში“ გამოხატეს ზღვის ფერია ქალებმა — ნერეი-
დებმა. ფერია ქალები ვაბუე მელვადურებს, დო-
რიდებს გადაარჩენენ და მათთან ეროტიულ
ტკბობას ეძლევიან. შემდეგ ისინი ტრფივის
მარადიულობას თხოვლობენ. მაგრამ ნერეიდე-
ბი უკვდავები არიან, დროიდები — მოკვდავნი.
ამ შეუსაბამობას ნერეიდები ვერ მოაგვარებენ
და მწუხარებით ეთხოვებიან საქმრებს. მათი
სიყვარულის უკვდავება ადამიანის სიცოცხლის
განსაზღვრულობამ შეზღუდა.

მაგრამ ბარათაშვილის ლექსში საუბრობს
არა ზღვის ფერია, არამედ მიწიერი სილამაზის
ნივით: ხორცშესხმული ბანოვანი. „მერანის“
ავტორის პოლემიკური ტონი კი სილამაზით
თავიმომწონე ბანოვანის სამღერავისადმი მიმ-
ართული.

ბარათაშვილი სიყვარულის გრძნობის ცვა-
ლებადობას ტრფივის მხოლოდ ხორციელ სა-
ლამაზზე დაფუძნების მოჩვენებითობაში ხე-
დავს.

სილამაზა მხოლოდ ნიჭი ზორციელურსა
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად
დაქვებვის,

აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა
შენამსჭვალეობი,
ცვლებადია, წარმავალი და უმტყიცებო.

ბარათაშვილი ზორციელი სილამაზის შეფასე-
ბაში პოლიტიკის მოწვევა და იცის, რომ ეს
ნიჭი არის „მხოლოდ ჩრდილი და ნაკვალევი
მისი“ (უზენაესი მშვენიერების. გ. გ.) ამიტო-
მაა, რომ მხოლოდ „მისდა შენამსჭვალეობი“ გუ-
ლი განწირულია წარმავლობისათვის, ანუ, რო-
გორც პოლიტიკი იტყობდა, იგი გაიზიარებს ამ
ვაბუეის ხედვას, რომელმაც „მდინარეში თა-
ვისი ლამაზი სახის ანარეკლს რომ მოჰყრა
თვალი, წყლის სიღრმეში ჩაყვინთა მის დასა-
ჭერად და... უჩინარ იქნა“.

გიორგი ბაჩიჩილაძე
კომეზია სიყვარულის შესახებ



ბარათშვილი სიყვარულის იდეალურობას არ ზედავს ხორციელი ნიჭის სახით წარმოდგენილ სილამაზისაკენ ცალმხრივ ლტოლვაში. მხოლოდ მისდა შენამსკვალეები ტრფომა განწირულია. მისი აზრით, „სილამაზის ნიჭის“ გარდა კიდევ სხვა რამეა საჭირო. ეს არის მშვენიერება. იგი სულის თვისებაა და თავადაა სიყვარული. შესაბამისად მხოლოდ მაშინ, როდესაც განხორციელებდა ამ ორი საწყისის პარმონია, ადამიანი, როგორც გამოვლინება „კერძოსა ღვთაებობისა“, სწვდება სიყვარულს. საქმე ის არის, რომ თვით სიყვარულისაკენ ლტოლვის უსასრულობა, როგორც „სიყვარულის სიყვარული“, წარმოადგენს ტრფობის „საუკუნო მადლის“ თავისებურ გარანტიას.

მშვენიერება ნათელია ზეით მოსული, რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული, და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა, რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა.

გავიხსენოთ, რომ ჭერ კიდევ ლექსში „ჩემი მეგობარო“ ბარათაშვილი თხოულობს აწყვეტილი დონეუანური პათოსის მოთოვას, თუ ჭაბუკი შეემსკვალება „გრძნობათა ცრულ მომღერალ“ ქალს, რადგანაც „სიყვარულს გულუ მისი ვერ მიიკარებს!“

საჭიროა ხორციელი ნიჭის ზიარება მშვენიერების ნათელთან, რომ განხორციელდეს ქეშვირით სიყვარული. „მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“, რადგანაც ამ დონეზე იგი აღიჭურვება კიდევ ერთი ახალი თვისებით. ეს არის ესთეტიკურობის სფერო. დროის ფენომენი მას ვერ შეეხება:

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში
მდგომარეობს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ
დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს
სიყვარულსა,

ზეგარდმო მადლით დაუხსნელად
დამტკიცებულსა!
მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ
სანუკველი,
რომ მის უტყვილს არტუთ არის სასუფეველი!

ტრფობის ამ საფეხურის გამოკვეთაში ბარათაშვილი ზედავს ყველაზე „უტყვილესი სასუფეველის“ სფეროს. გოეთეს ფაუსტისათვის ეს იყო „ღვლათა სფერო“, როგორც მიზეზი ელენის სახით უმაღლესი ქეშვირითების გზის დადგენისა. ელენე ფაუსტისათვის არ არის ისეთი ქალი, რომელიც მხოლოდ სექსუალობის დონეზე იზიდავს მას. ეს საფეხური მან ტრაგიკულად გაიწვია გრეთეზთანაც, რომელიც მხოლოდ მანამდე იზიდავდა ფაუსტს, ვიდრე ის

ქმნიდა „სიყვარულის სიყვარულის“ იდეალს ელენე კი ქალურობის ისეთ საწყისს განაჩნის რიცელებს, რომელთაც ფაუსტი სულიერების დონეზე „შენამსკვალეობი“. ელენეს მშვენიერება ესთეტიკური გრძნობის სფეროში ხორციელდება. სიყვარულის სწორედ ასეთი თვალსაზრისით გააზრების ტრადიციასთან გვაქვს საქმე, როცა გვითხულობთ ბარათაშვილის შემდეგ სტრიქონებს:

მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს
სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად
დამტკიცებულსა!

ამ დონეზე სიყვარულს „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“. ბარათაშვილის ლექსის ეს პათოსი შინაგანად ეხმარება იმავე სულიერი არსენალთან მომდინარე მიქელანჯელოს ცნობილ 39 (44) სონეტს.

განხორციელებული სიყვარული ბარათაშვილისათვის არის „კავშირი ესრეთ სულთა“. იგი ესთეტიკურობის დონეზე ხორციელდება და, როგორც პარმონია, მთელი სამყაროსა და ადამიანური არსებობის ქვეყნუთხედია...

მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და უკვდავებით ავეიგვინებს ქეშვირითება

ეს არის სიყვარულის უზუნაესი და უკანასკნელი საფეხური. ამ საფეხურზე ბარათაშვილის ქვეყნად „წილობის“ ფაუსტური კომპლექსი განვითარების ახალ მწვერვალზე იქნა აყვანილი. მის სიმაღლეზე ახალი შინაარსით მდიდრდება ქეშვირითებისაკენ მიმსწრეფებული სული.

ამრიგად, სიყვარულის ზეციდან მიწამდე დაშვებული ჯაქვის რგოლები, რომლითაც „აღვიყვანებით“ აბსოლუტის სფეროში უკვე განვადილია. ამ ჯაქვს პ. იბერიელი უწოდებდა „მრავალხაზითლოვანად თხელ საბელს“. იგი ცისა და მიწის დამაკავშირებელ კიბეს წარმოასახვს. სხვათა შორის პირველად ბარათაშვილის შემდეგ ამ საბელის სიყვარულისაგან ატოკებულ არხება განცდილია აკაკი წერეთლის სტრიქონებში:

შენ, სიყვარული, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანტაროს,
მზა ვარ სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!

გავიხსენოთ ბარათაშვილის: „და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება“.

1844 წელს ბარათაშვილი ქმნის მის ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეულ უკანასკნელ ლექსს „ჩინარი“. ამ ნაწარმოებით ჩვენს წინაშე თავისუფლად ცოცხლდება ბარათაშვილის შემოქმედებითი განვითარების პირველი საფეხურებზე აღძრულ ეტიკური ინტერესების პათოსი. უპირველეს ყოვლისა, აქ თავიდანვე იფეთქებს სიცოცხლის

საიდუმლოებათა წვდომის ფაქტორი წადი-
ლი, რომელიც ლექსში „ბელბული ვარდზედ“
ესული არსების, ვარდის გაშლის გაუხსნელი
იდუმალეობით მოცულ ექსპერიმენტს დაუკავ-
შირდა... „ჩინარში“ ეს მომენტი განვითარე-
ბის დიდი ინტერვალის შემდეგ მოგვევლინა.
მაგრამ ძიებების ის გზა, რომელიც ბარათაშვი-
ლის შემოქმედებითი განვითარების საფეხურე-
ზე აისახა, კიდევ უფრო არწმუნებს მის ფაქ-
ტურ ხილვას, —

...რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაყოთაც და
ესულთ შორის
და უცხოველეს სხვათა ენათა არს
მნიშვნელობა მათის საუბრის...

ეს არის მთელი სიცოცხლის საიდუმლოება,
მთელი ბუნების ენა, რომლის ცოდნაც „ადამი-
ანის შეუწელებელი წადილია. ბარათაშვილი
სწედება ამ საიდუმლოების მთავარ მომენტს,
რომელიც მთელი კოსმიური სამყაროს შინა-
განი კანონზომიერების მოდუსს განსაზღვრავს.
ეს არის სიყვარული. ეს არის ის ენერგია, რო-
მელიც ზემოთ ჩვენს მიერ ციტირებული შ.
ტაიერის სიტყვებით „დამასრულებელი უნივერ-
სუმის ღწეით ნაწილებს ერთმანეთზე მიმოფენს
და მთლიანობაში აერთიანებს“. „ჩინარის“ პო-
ეტური ხილვა ყოველმომცველი სიყვარულის
ამ აბოთეოზითაა გამსჭვალული. სამყაროს მდგო-
მარეობა მასში გააზრებულა, როგორც სიყვა-
რული.

მოქშეის მტკვარი, მოჭრის ნიაკი და შრიალით
არხევეს ჩინარსა. ^{საიდუმლო}
და გადმოსცემენ სახიობას, ტყბილის ოცნებით
დამაძინარსა!

ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას
ნორჩსა ფერხთა ევლების,
და აღმობარხევეს უსფერულეზობად, და
აღვლელი კლდესა ეხლების!
მაგრამ ჩინარი, მალალა მჩინარი, ღვას
მედიდურად და სიამაყით,
და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდიღებს
სევდიანსა შერჩევის სახით.
რამდენჯერ ჭარი შეარხევეს საროს, იმდენჯერ
მტკვარი უმეტეს
ოხრავს.

თითქოს სიშურით შემფოთებული და კლდის
პირებზე ზვირთთა შემუხრავს.
ესრედ იღუმალ, მაგრამ ძლიერად, დაიტანჯების
მარად მიჯნური,
თუ მის ნამდვილად ეგზნების გულსა
ტრფილებსა ცეცხლი ციური.

აქ, ბუნების ამ მდგომარეობის გრანდიო-
ზული ფონი, სადაც ფრაგმენტები უხილავ ში-
ნაგან კავშირში იმყოფებიან და მთლიანობი-
საყენ მიისწრაფიან, შეწონასწორებულია იმ
ენერგიის ძალით, რომელსაც სიყვარული ეწო-
დება. მისი კანონზომიერების წვდომა კი ბუ-
ნების ენის საიდუმლოებათა წვდომის ბადა-
ლია. ამ ფილოსოფიური მიგნების პათოსითაა
შთაგონებული ბარათაშვილის პოეზიის ეროტი-
კული პლანი.



ირაკლი კანჭოშვილი

ბარათაშვილის მსოფლგანცდის საკითხი

ბარათაშვილის პოეზიაში გამოვლენილია ადამიანურ შესაძლებლობათა მიღმა გაღწევის ის წადილი, რომლის ზოგადი სახელი არის ფაუსტური საწყისი. ამასთანავე, მის პოეზიაში გამოვლენილია ადამიანისა და წუთისოფლის ურთიერთობის იმგვარი ანალიზი, რომლის ზოგადი სახელი არის პამლეტური საწყისი. ეს ორი თვისება, ცალ-ცალკე, ერთად და სხვადასხვა კავშირით ქართული კულტურის ძველი თემაა, რომელიც ახლებურად არის წარმოდგენილი ბარათაშვილის ქმნილებებში. ამ იშვიათ კავშირს განავითარებს შემდგომ ვაჟა-ფშაველა, და მინდია მონოლოგებში არაერთგზის გავიგონებ ნაცნობ ხმას.

ბარათაშვილის პიროვნებაში თითქმის გაერთიანებულია ორი მითითური ფიგურა: მინდია და პამლეტის ქართული ტიპი. დონ კიხოტის შემდეგ ევროპის კულტურამაც ორი მითითური ზოგადი სახე შექმნა: ფაუსტი და პამლეტი. ეს ორი სახე დონ ჟუანის ნიშნებაკ მოიცავს. ხოლო ბარათაშვილისეული „პამლეტური“ საწყისის არტისტიზმი და პიროვნული ღირსების შეგნება ითავსებს დონჟუანურ საწყისსაც. ვნების დემონური, დონჟუანური საწყისი თავის თავს აცხადებს არა მარტო შემახილში, როგორცაა — „მიყვარს თვალები მიზნედილები“ და სხვ; დონ ჟუანი, ეს ვნებით ღელავილი „იე შეცთომილი“ არის „ჩემს ლოცვაშიც“, ოღონდ იგი შემკრთალია მინდია-ფაუსტის ღრმა სულიერ-ინტელექტუალური არგუმენტების წინაშე.

ბარათაშვილი თავის თავში აერთიანებს ისეთ საწყისებს, რომლებიც ქართულ ცივილიზაციაში მითოლოგიური ხანიდან მოსდგამს; ახალია ამ საწყისთა შერწყმა და მიზანი. იგი თითქმის არა ტრადიციებით, არამედ სისხლის გენებით ზოგად-ქართულია და მარად-ქართულია. ზოგაის მინდიას სიკვდილის კოსმითური მასშტაბი

„მერანის“ „ვარსკვლავთა თანამავალთა“ თანამოზიარე გმირისათვის ერთობ ნაცნობია; პიმნოგრაფთა თვალთახედვის მიმართულება და პეტრე იბერეელის „საღმრთოთა სახელათთვის“ პირდაპირი და გაშუალებული გზებით „ჩემს ლოცვასა“ და „სული ობოლის“ ავტორისათვის როდი არის შორეული და უცხო ტრადიცია. ბარათაშვილის მერანის მხედარს აქვს განცდის ტარიელისეული სიღრმე და ლოცვის ავთანდილისეული სიწმინდე. პიროვნების რელიგიური ნიშნადობის გურამიშვილისებური გააზრება, როგორც სულიერი თვისობრიობა, „ვპოვე ტაძრის“ შემოქმედისათვის ფიქრთა მთავარ საგანთაგანია. ფორმულა „ბედი ქართლისა“ ისეთი ტევადია, როგორც გურამიშვილის „ქართლის ჳირი“... ბესიკის სევდს ბაღსაც კარგად იცნობს ბარათაშვილი.

ბარათაშვილი ქმნის კლასიკურ ხელოვნებას: ახლებურად არის მოწესრიგებული, გამოყენებული და აედერებული ის, რაც ჩვენს ერს შეუქმნია სიტყვის, მორალისა და აზრის სფეროში; იგი ქმნის ძველი ლიტერატურული ნორმების, მარად-ქართული ზნეობრივი, ინტელექტუალური და პოლიტიკური შეხედულებების ახალ „კლასიციზტურ“ წესს.

ღიდი სიმპათია ძველი ქართული სალიტერატურო ენისადმი ბარათაშვილის მხრივ არის „კლასიციზტის“ ანგარიშის გაწევა „ნორმატივებისადმი“, უკვე არსებულ პირობითობათა გარკვეული ოდენობისადმი. ამდენად არის იგი „ძველი“ და ამდენად არის „ახალი“; ამდენად ახალია თავისუფლების, სამშობლოს, სიყვარულისა და სარწმუნოების ბარათაშვილისეული გააზრება.

მინდია — ფაუსტური საწყისის ერთ-ერთი გამოვლენა, ბარათაშვილის პოეზიაში არის ადამიანურ შესაძლებლობათა, ანუ „ბედის სამ-

მღერის არსებობის დანახვა, რაც მისი მსოფლგანცდის კლასიკურობის უმთავრესი ნიშანია. ლექსებში—„ფიქარი მტკვრის პირას“, „მეძლავებრა მთაჟმინდარი“ ვაცხადლებოლია აზრი, რომ ადამიანი აღამიანა და არა ღმერთი. სული მიისწრაფის უმაღლესი მიზეზისაკენ, რომ „ღამითოს აქ ამოაგება“, „მავრამ შენი-მდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნე-ლიან“.

ბარათშეიღის ლირიკის გმირი ქედუხრებალა, მგერამ მაინც „ბარათშეიღი - სატანისტი არ იყო. სატანისტის დამახასიათებელი ისაა, რომ მას არაფერზე არ უყვარს ამა ანგის წინ თავს აჩრხრის“ (გალაქიონი). აღასთანავე, ბარათშეიღი ნათელყოფს, რომ ადამიანი არის არა მარტო „გლახ მოკვადი“, რომ ადამიანთა სიოცოცხლე არის არა მარტოოდენ ბრძოლა „იმავ მიწისთვის, რაც ღღეს თუ ხვალ თვითვე არიან“. „ბედის სამძღვრის“ გარღვევისაკენ სწრაფავს ადამიანი მაღალ კვარცხლბეგზე ამაყდ. ასე უნდა გავიგოთ პოეტის შეგონება. ყოველ ადამიანთა ეღრა „გვესმის შმოთგება“. ეს პროცესი ჩანს ღექსში „ჩემი ლოცვა“, ამ გზით ამოღლების შედეგე თავს იჩენს ღექსებში — „მერაბი“, „ნაბოლოონ“, ამ გზის დაკარგვის ტრაგედია მოცემულია ღექსებში „გზოვე ტაძარი“, „სული თოღლა“ და სხვ.

ბარათაშვილის მსოფლგანცდის ძველ ძირებზე ლაპარაკისას საველოსმზოა მშვენიერების ვაგება, რომელიც მოცემულია მის პოეზიაში. უკვე შეუფხისტყაოსანში¹ მევეთრად არის გამოკვეთილი მშვენიერება შინაგანი და მშვენიერება გარეგნული: მიწურეს მოეთხოვება რომელი სულიერი სილამაზე (აგია საქმე საზეო, მომცემი აღმოფრენათა), აქვე გარეგნული სილამაზე („მოქრნა თვალად სიტურფე მჰარებეს“). ბარათაშვილი ხობტას ასხამს გარეგნულ სილამაზეს: „მენი დალალნი ყროლობენ გველად“, „ნა...ფორტეპიანოზედ მომლორად“, „მოქვარს თვალვებ მიწენდლებე“ და სხვ. მაგრამ ბარათაშვილი გარეგნულ მშვენიერებაზე მადლა შინაგან, სულიერ სილამაზეს აყენებს, ბადასკაუთრებობი თვალნათლივ ჩანს ლექსში „როდ ჰვედრი ყტსა, ბაოვანი, პირუმტიკობას“. მოვიყვანე ზოგ სტრიქონს:

სიღამაზე ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე
მსრავლად დაქენების...
მშვენიერება ნათელია, ზეცილ მოსულა,
რომლით ნათლდება ყოელი გარძნობა,
ბული და სული...

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში
მდგომარეობს...

აქ შეიძლება გაგვახსენდეს საფოსტო სტრიქონები:

„ვინც სახით მშვენიერია, მარტოდენ მზგმზ
ამებს, ვინც სულით მშვენიერია — სახითაც
ჩნდება ლამაზი“.

ბრათაშვილის ღირვანში „მშენებრება“
ქარბად იმჟვალება ზნეობრივი მომენტიო, —
მშენებერი და ზნეობრივი ცალ-ცალკე არ არ-
სებობს. ბუნებაჲ მშენებრივია იმიტომ, რომ იგი
მეცავს ზნეობრივ სწიშნინდეს, შეუძლია იყოს
„გულდახუტულთა მეგობარი“.

დასავლეთ ევროპაში აღორძინებამდე გაბატონებული იყო მშვენიერების ძირითადი ორგვარი გაგება: ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა (პეტრე იბერი) და ნეტარ აგუსტინესესელი. პეტრე იბერის თვალსაზრისში სხვადასხვაი დენობითა და სახით XIX საუკუნემდე მოაღწია — სოლ. დოდაშვილის, ი. ხელაშვილის, ნ. ბარათაშვილის დრომდე. პეტრე იბერია თხზულებაში „სამართიოთა სახელათვისს“ ამბობს, რომ მშვენიერება დღავტარივი ნათელია; ახსოვლუტი ადამიანის გარეთ მდებარეობს და თვით პიროვნებაზეა დამოკიდებული ამ ნათლის მიღების ოდენობა. „სახიერებისაგან (ე. ი. ღმერთისაგან — ი. კ.) არს ნათელი და სახე არს სახიერებისაჲ. ამისთვის ნათელთ-სახელოებით ივალთმების სახიერებაჲ... რამეთუ, ვითარცა იგი ყოველთა მიერ ყერძობას ღმრთეებისა სახიერებაჲ ...განანათლებს ყოველთა შემდეგელთა ნათლისა დატრებისათა... ყოველსეც განანათლებს რაოდენსა ძალ-უც მიღება ნათლისა... ხოლო რომელსაჲ ვერ მიიღებს ნათელსა მისსა... უმარჯობისაგან ნათელ-მიმღებელთაჲსა“ (IV, 4).

საგულისხმოა, რომ ბარათაშვილის ლექსში წარმოდგენილია მსგავსი თვალსაზრისი, მსგავსი გამოთქმებით. მოვიყვანთ ორ სტროფს:

[illegible]

რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი
ტრფობისა?
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში
მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ
დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთი სულთა შობს
სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად
დამტკიცებულსა!

მშვენიერების სპეციფიკური გაგების გამო
ბარათაშვილის ლირიკაში საგნისა თუ მოვლენის
ასახვა ჩაშუალებაა და არა მიზანი. მისთვის

ირაკლი კანჭოშვილი

ბარათაშვილის მსოფლგანცდის საკითხი



მოვლენა თუ საგანი საინტერესოა არა თავის-
თავად, არამედ მათი, ასე ვთქვათ, მშვენიერე-
ბის საჩინოებით, მათი მიმართებით იდეალურისა-
დმი. ამიტომ არის. რომ ბარათაშვილის ლირი-
კაში არ არის ასახული გარე სამყაროს მყარი
და ზუსტი სურათი. ყოველ შემთხვევაში ასეთი
სურათის შექმნა შორისა პოეტის საბოლოო
მზრისაგან („ღამე ყაბახელ“). არ იქნებოდა
მთლად სწორი, მისი ლექსები რომ მარტოდენ
შინაგანი სამყაროს სარკედ მიგვეჩნია. იგი
მიმართებულს აკვირდება: გარე და შინა
სამყაროთა, იდეალურსა და რეალურს შორის,
მამასა და შეს შორის, ზორციელ და სულიერ
სილამაზეს შორის, რწმენასა და ურწმენობას
შორის. იგი ხილავდა და შეგრძნობდას ჰყოფს
უხილავსა და ფარულს. „სულთ ბორო-
ტო“, „ეპოვე ტაძარი“ — ეს ლექსები პიროვე-
ნულ სიმძლავსსა და „ცრუ და მუხთაოლ“ რეა-
ლობას შორის გადაულახავი მანძილის ხილავს.
ასევე, ლექსებში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანო-
ვანო, ლექსმტყიცობას“, „მადლი შენს გამჩენს,
ლამაზი...“ მოჩანს „მუდმივად სასურველი
და მუდამ მიუღწეველი იდეალი“ (გალაქტიონი).

ბარათაშვილის ლექსებში ტაძრისა და ბორო-
ტი სულის სიმბოლიკა აღნიშნავს იმას, რასაც,
ჩვეულებრივ, რწმენა და ოცნება ეწოდება. ეს
ლექსები არის „ღონ კახტის“ ფინალი; აქ
არის ტრაგედია ხელოვანისა, რომელიც დას-
რულა ლამაზი ლეგენდის თხზვა და ლურჯი ცი-
დან მიწაზე დაბრუნდა. ეს არის მისეცა ჰამ-
ლეტის მდგომარეობასთან, ზიარება სკეპტიცი-
ზმთან, როცა ადამიანი ხდება „ქვეით ურწმე-
ნო, სულით უნდო“, როცა უფრო საღად ხდე-
ბა იდეალურისა და რეალურის ურთიერთმიმარ-
თების შეფასება.

შევი ყოჩანი და მერანი, სიყვარული და
ტანჯვა („დაიტანჯების მარად მიჯნური“), საყვე-
დური სოფლისადმი და ადამიანისაგან მორა-
ლურ ვალდებულებათა მოთხოვნა, პესიმიზმი-
სა და ოპტიმიზმის შეპირისპირება — ყოვე-
ლივე ეს ბარათაშვილისათვის ხილვად და უხი-
ლავ სამყაროთა და მიმართებათა გაშუქების
გზაა. ამ მხრივ იგი ენათესავება შექსპირის სუ-
ლისცეცხლებს. გავიხსენოთ ბარათაშვილის ლექ-
სებში სინამდვილის შეფასება კიცხვის, სკედსი-
სის პოზიციებიდან, — და იქვე საპირისპირო
თვალსაზრისი — „მაგრამ რადგანაც კაცნი
გვეყვან...“.

არსებულისა და იდეალურის ურთიერთობა-
თა დაკვირვებისათვის ბარათაშვილის პოეზია-
ში თემატიკაც შესაფერისია: ისტორია („ბედი
ქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“); ბავ-
შვის „შეუპოვარი მკვრეტელობის“ სამყარო
(„ჩჩელი“ და სხვ.); ბუნება, სიყვარული. სი-
ყვარული მისთვის განსაკუთრებით მახლობელი

სამყაროა არსებულში აბსოლუტური იდეალუ-
რისაგან. გამოვლენის გამო, ამიტომაც სიყვარულს
ლირიკაში, ასე ვთქვათ, „საერო რელიგიის“
(მეგელი) უფლებებს იძენს: „მის უტყბილეს
არც თუ არის სასუფეველი...“ სიყვარულით,
საკუთარი კერძობის დავიწყებით პიროვნება
ახალ სიმაღლეზე ჰპოულობს თავის „მე“-ს.
დანტეს „კომედიში“ ბეატრიჩე არის მეგზური
ღმერთის „დასანახავად“. ამავე მიზნით მოსუ-
ლან ბარათაშვილის ლირიკაში შავთვალეზიანი
თუ ცისფერთვალეზიანი ქალები.

საგულისხმოა, რომ ქართველი კაცი ბარა-
თაშვილის ბრავალ ლექსს თუ სტრიქონს პატ-
რიოტულ პლანშიც კითხულობს, ეროვნულ-სიმ-
ბოლიკასაც ეძებს შიგ. კიდევ რომ დავუშვათ
ერთი წუთით, რომ პოეტს არ უვარაუდია ზოგ-
ჯერ გადატანილი მნიშვნელობა, ეს არ ცვლის
საკითხს. ბარათაშვილის ყოველი ლექსის უკან
ხან პირისპირ, ხან გაშუალებულია ჩანს ადა-
მიანი, რომლისთვისაც მისი ეროვნულობა, ქარ-
თველობა არის საკუთარი დეო-ს უმთავრესი
არსთაგანი. ბარათაშვილის ყოველი ლექსის
უკან იგრძნობა ეროვნულად შეუჩვენელი და
მოზილიზებული ადამიანის სახე და ხმა, რაც
გაშუალებულია მის ყოველ მოძრაობასა და
სიტყვაში აირეკლება. ამიტომ სრულიად კანო-
ნიური იქნება ეროვნულ პლანში წავიკითხოთ
სტრიქონები: „გათენდება დილა მზიანი და
ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

თუ რამდენად გამახვილებული იყო ბარათა-
შვილის სულში ეროვნული გრძნობა, ამის სა-
ბუთია პოემა „ბედი ქართლისა“, „სულმბოლი-
და მწირი“ და სხვ. ლექსში „ომი საქართველოს
თავაზ-ზნაურ-გლეხთა“ პოეტი საქართველოს
სახელით აცხადებს: „ძრწოდე, კაცკასო!“

ბარათაშვილი მძაფრად, „პოეტურად“
გრძნობს რეალობას. მის პოეზიას ახასიათებს
უსაზღვრო რომანტიკა. მაგრამ სხვაა რომანტი-
კა, სხვაა რომანტიზმი.

ბარათაშვილი მკვეთრად ანტირომანტიკული,
უფრო ზუსტად, კლასიკური მსოფლგანცდით
ხასიათდება. ამის ერთ-ერთი ფორმალური ნი-
შანია მისი ერთგვარი გულგრილობა ორიგინა-
ლობისადმი. მისი დიდი პოეზია არის ქმნილება
ერისა, რომელმაც ახალ სრულ ისტორიულ
ვითარებაში შეიმუშავა მყარ მორალურ, პო-
ლიტიკურ და ინტელექტუალურ შეხედულება-
თა ახალი სისტემა. ამ გაგებით ბარათაშვილის
პოეზია არ არის „პიროვნული“, „ბიოგრაფიუ-
ლი“ და „ორიგინალური“. ნიკოლოზ ბარათა-
შვილის კლასიკური მსოფლგანცდა ზოგადად
ქართული თვალსაზრისისა და შეხედულებათა
გამომხატველია. იგი გვიამბობს ისეთ სიღრმე-
ებზე, ისეთ მოვლენებზე, და იმგვარად, რომ
ყოველივე ამას იზიარებს მისი ერი.



ნიკოლოზ ბარათაშვილი ბ. პასტერნაკის თარგმანებში

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელმა დიდი ხანია მიიპყრო რუსი მკითხველის ყურადღება. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ლექსების თითქმის ნახევარზე მეტი. ბევრი მათგანი რამდენჯერმე ითარგმნა. რუსი მკითხველი გაეცნო პოემა „ბედი ქართლისას“ პირველ ნაწილს. მაგრამ მხოლოდ რევოლუციის შემდეგ, როცა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა მიღწევების გაცნობა საბჭოთა მკითხველისათვის ახალ, პრინციპულ საფუძველზე დააყენეს, ნ. ბარათაშვილის და სხვა ქართველი პოეტების თარგმნა უფრო ინტენსიურად დაიწყო.

პოეტის ლექსები არაერთგზის გამოქვეყნებულა რუსულ ენაზე. პირველად „მერანის“ ავტორის ნაწარმოებები თბილისში 1922 წელს გამოიცა (რედაქტორი ვ. გაფრინდაშვილი). მაგრამ თარგმანების საერთო ღონე მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი ვერ იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის ბარათაშვილის ლექსებზე: — „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“ და სხვ. ქართველი პოეტების ლექსების საუკეთესო თარგმანები ქვეყნდება მოსკოვში, 1938 წელს (რედაქტორები ვ. გოლცევი და ს. ჩიქოვანი). მთარგმნელები იყვნენ ცნობილი ოსტატები — პ. ანტოკოლსკი, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. დერჟავინი, ს. სპასკი და სხვ. ეს თარგმანები ხარისხით სჯობდა წინა თარგმანებს, მაგრამ კრებული მაინც არ არის დაზღვეული ნაყოფიანებებისაგან. ყოველთვის ზუსტად არაა გადმოცემული ორიგინალის აზრი და ძირითადი სახეები. ყველაზე სუსტად მაინც თარგმანების რიტმულ-ინტონაციური მხარე გამოიყურება.

1940 წ. ლენინგრადში გამოვიდა კრებული — „ქართველი რომანტიკოსები“ (რედაქ. ი. ტინიანოვი და ნ. ტიხონოვი). ა. ქავჭავაძის, გრ.

ორბელიანისა და სხვათა გვერდით წიგნში მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები. ამ კრებულის გამოცემას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები. ჯერ დაზუსტდა თარგმანის პრინციპები (მისწრაფება ორიგინალის თავისებურებათა უფრო ზუსტად გადმოცემისაკენ, ლექსის რიტმისთვის მეტი ყურადღების მიქცევა და სხვ.). ლექსები თარგმნეს მ. ლოზინსკიმ, პ. ანტოკოლსკიმ, ვ. როგდეტვესკიმ, ს. შერგინსკიმ და სხ.

დიდი ქართველი პოეტის ნაწარმოებთა თარგმანი კვლავ გამოვიდა მოსკოვში 1957 წ. მერე სხვადასხვა იუბილეებთან და საღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით არაერთხელ გამოცემულა. ასე მაგალითად, ნ. ბარათაშვილის ლექსები რუსულ ენაზე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისთან დაკავშირებით გამოიცა მოსკოვში (მარტი, 1958 წ.), დამატებით იგი აგრეთვე ოქტომბრის 50 წელთან დაკავშირებით და სხ. როგორც ჩანს, კახიხიზი-მიერია, რომ პასტერნაკის თარგმანებმა, რომელნიც დიდი სამამულო ომის შემდეგაც არის შესრულებული, თანდათანობით განდევნა სხვა თარგმანები. ბ. პასტერნაკის თარგმანებს მთელი რიგი უპირატესობა ჰქონდა სხვა თარგმანებთან შედარებით. უკვე 1958 წელს „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ (ГИХЛМ 1958) ბარათაშვილის 10 ლექსიდან, რომელიც კრებულშია მოთავსებული, მხოლოდ ერთი — „მერანის“ თარგმანი არ ეკუთვნოდა პასტერ-

1 დიდ სამამულო ომამდე ნ. ბარათაშვილის ლექსების რუსულ ენაზე თარგმნის თაობაზე ლაბარაკია პროფ. ა. ჩხეიძის სტატიაში, რომელიც „ლიტ. ძიებან“-ში იყო დაბეჭდილი, III 1944 წ. სსრ აკად. გამოცემა.

ნაცს. „მერანი“ ლოზინსკის მიერ ძალიან კარგადაა თარგმნილი.

* * *

ცნობილმა რუსმა პოეტებმა ნ. ტიხონოვმა, ნ. ზაბოლოცკიმ, პ. ანტოკოლსკიმ, ა. მეიეროვმა და სხვებმა ბევრი გააქეთეს იმისათვის, რომ ჩვენი პოეტების ნაწარმოებები გადაეღოთ რუსულ ენაზე, გაეხადათ ისინი მრავალმნიშვნელოვანი საბჭოთა მკითხველის საკუთრებად. ამ მთარგმნელებს შორის პ. პასტერნაკს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის წინ მ. გორკის ინიციატივით საქართველოში გამოემგზავრა მხატვრული ბრიგადა. მის შემადგენლობაში იმყოფებოდა ბ. პასტერნაკიც. იმ დროიდან მოყოლებული სიკვდილის დღემდე არ შეწყვეტილა მისი კავშირი საქართველოსთან: ქართული შთაბეჭდილებები აისახა მის მთელ რიგ ნაწარმოებებში, ხოლო რაც მთავარია, იგი თარგმნიდა ქართველ პოეტებს.

ბ. პასტერნაკის თარგმანების პირველი კრებული „ქართველი ლირიკოსები“ 1935 წ. გამოვიდა. ეს წიგნი პირველი მერცხალი იყო ამ მიმართულებით და თუმცა იგი არ იძლეოდა ამომწურავ ნაწარმოებებს საქართველოს მთელ პოეზიაზე, მის შემოქმედთა მრავალმნიშვნელობასა და ლიტერატურულ მიმართულებათა მრავალფეროვნებაზე, მან მაინც ბევრი ქართველი პოეტი „აღმოაჩინა“ რუს მკითხველს.

მეორედ „ქართველი ლირიკოსები“ ძალზე შეკვეცილი სახით 1937 წ. გამოვიდა. ადრე გამოქვეყნებული მრავალი ავტორის ნაწარმოებები არ იყო კრებულში შეტანილი. კრებულში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნ. ბარათაშვილისა და ა. წერეთლის ნაწარმოებებს. წიგნის სწორედ ეს ნაწილი არ შეკვეცილა. მეორე მხრივ, რიგში შეტანილ იქნა საბჭოთა პოეტების (ს. ჩიქოვანის და სხ.) ლექსები. ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა კიდევ ერთი თარგმანი გამოქვეყნდა პასტერნაკის წიგნში „ქართველი პოეტები“ (თბ. 1947 წ.).

მსოკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან (1958 წ. მარტი) დაკავშირებით გამოთულ მრავალფეროვან ლიტერატურულ პროექტებაში არ შეიძლება არ გამოარჩიო შესანიშნავად გამოცემული წიგნი ბ. პასტერნაკის *Стихи о Грузии. Грузинские поэты* («Заря Востока» Тб. 1958 г.). წიგნის რედაქტორი იყო გ. ბეზუთოვი, მხატვარი გურო. პოეტის ამ მეოთხე წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი მეშვიდობით ქართველ პოეტთა ბევრ ნაწარმოებს ფართოდ გაეცა კარი მთელ საბჭოთა კავშირში. რუს მკითხველს შეაძლებლობა მიეცა პოეტურ თარგმანში გა-

სცნობოდა ქართველ პოეტთა ნაწარმოებებს კრებული ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველი ნაწილში ბ. პასტერნაკის ორიგინალური ნაწარმოებებია ქართულ თემაზე, მეორეში — ქართველი პოეტების მისული თარგმანები. წიგნში წარმოდგენილი ბევრი ლექსის თარგმანი ქვეყნდება სხვადასხვა დროს (დაწყებული ოცდაათიანი წლებიდან) ანთოლოგიებში, თემატურ და კოლექტიურ კრებულებში, პერიოდული პრესის ფურცლებზე და ა. შ. კერძოდ, **ბევრი მთავანი** მთავსებული იყო კრებულში „ქართული საბჭოთა პოეზია“ (Заря Востока, თბ., 1954) და სხვ.

პასტერნაკის წიგნში ვხვდებით ქართველ კლასიკოსთა და საბჭოთა პოეტების დიდ ჯგუფს. თავდაპირველად მან თარგმნა იმ პოეტების ნაწარმოებები, რომლებიც თავის დროზე შედიოდნენ „ცისფერ ყანაში“ (ე. ი. რომელთა შემოქმედებაში ასე თუ ისე იგრძნობოდა რომანტიკული ნაკადი), ხოლო შემუშავდა პროცესში სახელების რიცხვი გაიზარდა, პასტერნაკმა ხელი მოჰკიდა სხვა პოეტურ მიმდინარეობათა წარმომადგენლების თარგმანსაც.

მის თარგმანებში დიდი ადგილი უჭირავს ნ. ბარათაშვილის ლექსებს. რუსმა პოეტმა თარგმნა ნ. ბარათაშვილის ყველა პოეტური ნაწარმოები, „ომი საქართველოს...“ გარდა. შემდეგშიც ბ. პასტერნაკის თარგმანები ქვეყნდებოდა სხვადასხვა კრებულში, პრესაში და ა. შ. მაგრამ ყველაზე სრულ და ღირსშესანიშნავ მოვლენად რუსი პოეტის მოვლენობაში და საერთოდ ქართულ-რუსული ლიტერატურების ურთიერთობის სფეროში უნდა ჩაითვალოს 1958 წელს გამოცემული წიგნი. იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა დაწერა პოეტმა საქართველოზე, რომელი ქართველი პოეტი თარგმნა რუსულ ენაზე. ყველა შემდეგდროინდელი პუბლიკაცია ასეა თუ ისე, ამ კრებულის ვარიაციას წარმოადგენს.

* * *

აუცილებლად საჭიროა ითქვას ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო საბჭოთა მთარგმნელის ბ. პასტერნაკის მთარგმნელობით პრინციპებზე.

რუსი პოეტის ყოველი საუკეთესო თარგმანი წარმოადგენს მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც გადმოსცემს სათარგმელი პოეტის ეპოქის ძირითად ნიშან-თვისებებს, სათარგმნელი პოეტის ენასა და ინდივიდუალობას. ზოგჯერ (ძალზე იშვიათად) ეს თარგმანები დედანთან ადეკვატურობით გვანაცხეფებს. ზოგჯერ კი გვხვდება დაშორება ორიგინალსა და თარგმანს შორის. ხანდახან ეს დაშორება ერთობ საკრძნობია. ეს პასტერნაკის თეორიულ დებულებათა შედეგია. „ჰამლეტის“ თარგმანის შესავალში იგი წერდა: „სიტყვათა და მეტაფო-



რათა თარგმანს მე ვაჭკობინებ აზრებისა და სცენების თარგმანს. ნამუშევარი უნდა შეფასდეს, როგორც რუსული ორიგინალური დრამატული ნაწარმოები იმდენად, რამდენადაც, ორიგინალთან სიზუსტის, სტრიქონების თანაბარი რაოდენობისა და სხვათა გარდა, მასში ყველაზე მეტად არის ის წინასწარგანზრახული თავისუფლება, ურომლისოდაც არ ხდება დიდ საგანთან მიხედვითაა.

ამრიგად, ბ. პასტერნაკი — მთარგმნელის პრინციპები გამოიხატება შემდეგ დებულებებში:

1. თარგმნის ძირითად საფუძვლად უნდა მიიჩნიო აზრთა და არა სიტყვათა გადმოღება.

2. უნდა შექმნა ორიგინალური რუსული ნაწარმოები.

3. წინასწარგანზრახული თავისუფლება თარგმანში.

პასტერნაკი დასახელებულ პრინციპებს ამა თუ იმ თანმიმდევრობით ატარებდა თავის მთარგმნელობით პრაქტიკაში. იგი თარგმნის არა სიტყვებს, გადმოაქვს არა ღედნის ასლი, არამედ ენობა ორიგინალის აზრს და ამის შემდეგ რუსულ ენაში ეძებს საშუალებებს, რათა სათანადოდ ხორცი შეასხას მათ.

* * *

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ბარათაშვილის ყველა ნათარგმნ ლექსზე ვილაპარაკოთ. შევიჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე — „მერანო“, „შემოღამება მთაწმინდაზე“ და სხ. აგრეთვე ყველაზე ნათელ, რიტმულ „საყურებზე“, „კატერინაზე“, „კნიაზ ბარათოვის აზარფეშაზედ“ და სხ.

...ჩვენ გავეცანით ბ. პასტერნაკის შეხედულებებს თარგმანზე, და გვაქვს კრიტიკიუმი მისი მოღვაწეობის შესაფასებლად. მაგალითისთვის გამოვადგება მოკლე წარწერა თავად „ბარათოვის აზარფეშაზედ“.

ამავსებ ღვინით,
ავავსებ ღვინით.
შესვი? გაამოს.

ბ. პასტერნაკთან ვკითხულობთ:

Сладость нальешь —
Радость найдешь.
Пей на здоровье.

როგორც ვხედავთ, პასტერნაკს არ უხმარია ორიგინალის არც ერთი სიტყვა. აიღო მხოლოდ ორიგინალის ზარი და იპოვა ახალი სიტყვები მის გასაფორმებლად. ლექსი რუსულად ქდერს. რადე ერთი მაგალითი. ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „როს ბედნიერ ვარ“... რომელსაც რუსულად ასეთი სათაური აქვს: „Когда мы рядом“, გადმოვაცემს ორიგინალის ძირითად ბარს, ოღონდ ორიგინალთან მის მაქსიმალურ

ლურ სიახლოვეზე ლაპარაკი ზედმეტი. პასტერნაკი სულად ლექსი არაჩვეულებრივად პოეტურად აქდერდა.

Когда мы рядом, в необъятной
Вселенной, — рай ни дать, ни взять.
Люблю, люблю, как благодать,
Лучистый взгляд твой беззакатный.
Невероятно! Невероятно!
Невероятно! Не описать.

შეუღაროთ ორიგინალს:

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ღიმილით გევხარ მაისის ღედსა,
მე შენს თვალებში ვეკრებ სამოთხესა,
და მათი მკერეტი ვიწვი ცეცხლითა.
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ.
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ...

ბ. პასტერნაკმა გადაუთარგმნელად დასტოვა: „ღიმილით გევხარ მაისის ღედსა“ და „შენი თვალების... მკერეტი ვიწვი ცეცხლითა“; „შენს თვალებში ვეკრებ სამოთხესა“ — შეცვალა უფრო ფართო კონსიუტით: „Когда ты рядом в необъятной вселенной рай“. არ დაიჯერებ“-ის ნაცვლად ვკითხულობთ: „Невероятно!“-ს. გაჩნდა ახალი გამოთქმები, რომლებიც არა აქვს ბარათაშვილს: „Рай ни дать, ни взять“, „Люблю как благодать.“ ამრიგად, სტილის, ინტონაციისა და სხვა სალექსო კომპონენტების მიხედვით ორიგინალი და თარგმანი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ამისდა მიუხედავად, ნაწარმოები რუსულად ისე პოეტურად აქდერს, როგორც არც ერთი სხვა, სიტყვასიტყვითი თარგმანი (ლოზინსკის მიერ თარგმნილი „მერანოსა“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“ გამოკლებით).

ასეთია პასტერნაკის თარგმანების საერთო გეზი. თარგმნის ასეთ პრინციპებს შეგიძლია არ დაეთანხმო, იღავო, მაგრამ მას გვერდს ვერ აუღლი. რასაკვირველია, თარგმანს გააჩნია სუსტი მხარეები. ორიგინალიდან გადახვევა, ნაწარმოების ყველა თავისებურებათა ზუსტად გადმოცემის უტულებელყოფა, ე. ი. არ არის, პასტერნაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიტყვების თარგმნა“. მაგრამ ამგვარ მეთოდს აქვს მთელი რიგი დადებითი ნიშნები. ასეთი თავისუფლება იძლევა ნაწარმოების პოეტურად თარგმნის საშუალებას.

* * *

1940 წელს, როცა იბეჭდებოდა „ქართული რომანტიკოსების“ კრებული, რედკოლეგიამ მიზნად დაისახა ზუსტად გადმოეცა თარგმანებში პოეტური ორიგინალის ყველა თავისებურება.

ღიმიდით თუხარელი

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბ. პასტერნაკის თარგმანებში



რება. ამ მხრივ მიღწეულ იქნა გარკვეული წარმატებანი. მ. ლოზინსკის მიერ თარგმნილი „მერანის“ და „შემოღამება მოაწმინდაზე“, ვ. როდესტვენსკის „ქეთევანი“, „დამქროლა ქარმან სასტიკიან“ და სხ. მეტად კარგად არის შესრულებული. ეს მაგალითები ლაპარაკობენ იმაზე, რომ რუსულ ენაზე ბარათაშვილის ზუსტი თარგმანი არ არის შეუძლებელი — ამას მხოლოდ დრო სჭირდება. მაგრამ ამავე კრებულში მოთავსებული მთელი რიგი თარგმანები, რომლებიც არ შეიძლება დამამაყფოებლად ჩათვალოს. მაგალითად, ლექსში „საფლავი მეფის ირავლისა“ ცნობილი სამი სტროფი თუმცა თარგმნილია ზუსტად, მაგრამ აბრაღესულად ელერს:

Волей случая изгнанники, дети снова тут.
Проспешения на Родину голоса несут.
Их жива душа, любви полна; их души жара
Расстопляет лед, огнем живит холод севера.

მთარგმნელმა შეინარჩუნა ორიგინალის ძირითადი სახეები, რიტმიც დაცულია, მაგრამ მივიღეთ ძნელად მოსანელებელი დოზალი. თურქი მკითხველი შემთხვევით სწორედ ამ გვერდზე გადმოსის კრებულს, იგი შემდეგ არასოდეს არ დაინტერესდება ქართველი პოეტის შემოქმედებით.

იგივე სტროფი პასტერნაკის თარგმანში სულ სხვანაირად ელერს:

Изгнанников теперешный возврат
Оказывает родине услугу.
Они назад с познаниями спешат,
Льды севера расплавив сердцем юга.

აი ნათელი მაგალითი იმისა, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი (ორიგინალის სახეებისა და რიტმის გადმოსაცემად) ყოველთვის როდი იძლევა სასურველ შედეგს და ამიტომ საჭიროა ზომიერება.

როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ ინტერესს მთარგმნელები იჩენდნენ „მერანის“, „შემოღამება მოაწმინდაზე“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და სხვათა მიმართ. რუსულ ენაზე მათი რამდენიმე თარგმანი არსებობს. „მერანი“ საბჭოთა დროში თარგმნეს პ. ანტოვოსკიმ, მ. ლოზინსკიმ, ბ. პასტერნაკმა და სხ. საუკეთესოდ ითვლება მ. ლოზინსკის თარგმანი (კრ. „ქართველი რომანტიკოსები“). მან შესძლო გადმოეცა ძირითადი სახეები, ძირითადი მხატვრული საშუალებანი და შეეცადა ორიგინალის რიტმის გადმოღებასაც კი:

Нет, не исчезнет душевный трепет того, кто
ведл, что обречен,
И в диких высях твой след, Мерани,
пребудет вечно для всех времен.

Твоей дорогой мой брат грядущий проскрежетает,
смелый, быстрее меня,
И, поровнявшись с судьбиной черной,
смеясь, обгонит ее коня.

იგივე სტროფი ანტოვოსკის კეთილშობილად აქვს თარგმნილი, თუმცა ლოზინსკის თარგმანთან მისი შედარება არ შეიძლება:

Мрак мой душевный не сгинет напрасно,
В скалах протоптанный путь мой опасный
Другу когда-нибудь жизнь облегчит. —
Смело за черной судьбой он помчит.

ანტოვოსკიმ დაამახინჯა ორიგინალის აზრი სტრიქონი: „შავი ბედის წინ გამოუტროლდეს“ გადთარგმნილია — „За черной судьбой он помчит“. ლოზინსკიმ კი საოცრად ზუსტად გადმოსცა ორიგინალის ძირითადი სახეები, თუმცა სიტყვასიტყვით არ უთარგმნია.

ამ სტროფმა ბ. პასტერნაკის თარგმანში ასეთი სახე მიიღო:

Пусть я умру, порыв не пропадет.
Ты протоптал свой след, мой конь крылатый.
И легче будет моему собрату
Пройти за мной когда-нибудь вперед.

პასტერნაკმა ჩვეულებრივ გამოტოვა ორიგინალის მთელი რიგი სახეები და ეპითეტები: — განწირულის სულისკვეთება — შეცვალა „порыв“ — „ით“, შეუპოვრად — საერთოდ აღარ არის და, ბოლოს, სულ არ არის ნახსენები „შავი ბედის წინ გამოუტროლდეს“. თუმცაღა აქაც, ყველა ამ ცვლილების მიღმა ნათლად ჩანს თარგმანის წყარო. ექვს არ იწვევს, რომ ეს სწორედ ბარათაშვილიანული „მერანის“ სტროფია.

ასეთია თარგმანის ორი საწინაღმდეგო პრინციპების პრაქტიკული განხორციელება (ლოზინსკი-პასტერნაკი).

თანამედროვე მოთხოვნილებათა თანახმად ლოზინსკის თარგმანებს საერთოდ დიდად აფასებენ. თუმცა, ორიგინალთან მიახლოების სურვილი ყოველთვის როდი იძლევა სასურველ შედეგს. ასე მაგალითად, მე-2 სტროფი „გაჰყევთე ქარი, გააჰ წყალი“ — „Разсекай вихри, разрежай волны“, თუმცა გადმოსცემს ორიგინალის ინტონაციას, მაგრამ რიტმი დარღვეულია, რაც გარკვეულ სიმწიფეებს ქმნის ლექსის ამ სტროფის წარმოსათქმელად თუ აღსატყვემელად. მაგრამ ამ მიმართულებით მთარგმნელის მუშაობა მაინც საყურადღებოა, ე. ი. ორიგინალის ადეკვატური თარგმნის ცდა უშედეგოა როდია.

პასტერნაკის თარგმანების ძალა მის „პოეტურობაში“. მისი ლექსები რუსულად „ელერენ“, რასაც ყოველთვის ეერ იტყვი ლოზინსკის თარგმანზე. პასტერნაკის ძალა ისაა, რომ ის ფარ-



თოდ იყენებს მრავალფეროვან მხატვრულ სა-
შუალებებს დიდი ჭარბველი პოეტის არაჩვე-
ულებრივი ფილოსოფიური სიღრმისა და პოე-
ტური ზეგზების დიდი არსნალის გადმოსაცე-
მად. თითქმის ყოველ სტროფს პასტერნაკი ამ-
თავრებს რეფრენით „Вперед!“ ამ დაბოლო-
ებაში, მკლავდება სტროფის ძირითადი აზრო-
ბრივი მხვილი და იგი განსაკუთრებულ ენერ-
გიას ანიჭებს ლექსს. ხანდახან რეფრენი ორმა-
გია (1, 4, 6, 7, 9 სტროფები). მთარგმნელი
ხშირად იყენებს მიმართვებს („Мой конь“,
«Конь мечты моей», «Мой конь крылатый»),
ერთნაირ დასაწყისს მოქმედების დასაბამად
(მე-5 სტროფი) და სხ. ისევე, როგორც ეს ორი-
გინალშია, პოეტი იწყებს და ამთავრებს ლექსს
ერთი და იმავე სტროფით. ამით იქმნება ის
რიტმულ-ინტონაციური რკალი, როცა ლექსის
ბოლო გაითქვამს გაიხსნო ლექსის დასაწყისი
და აძლიერებს ნაწარმოების საერთო შთაბეჭდი-
ლებას. მაგრამ აქვე უნდა ვუსაყვედუროთ პას-
ტერნაკს ის, რომ ლექსის ასეთმა დიდმა ოსტატ-
მა არ გადმოცა ორიგინალის რიტმის ცვალება-
დობა. მან საერთოდ უგულვებლყო ორიგინა-
ლის რიტმი. არადა, რიტმის ეს ცვალებადობა ამ
ლექსის გამომსახველობის მთავარი ელემენტია.
ასეთია „მერანის“ თარგმანი.

* * *

რუსი მკითხველი აგრეთვე არაერთხელ გაეც-
ნო ლექსს „შემოღებმა მთაწმიდაზე“. ამ ლექ-
სის საუთესო მთარგმნელად სამართლიანად
თვლება მ. ლოზინსკი, რომელმაც შესძლო
ზუსტად გადმოეცა ყველაფერი, ყველა სახე,
ეპითეტები; აგრეთვე ნაწარმოების რიტმი.
როგორც ცნობილია, ბარათაშვილის ლექსის
არქიტექტონიკა თავისებურია. ერთმანეთს
ენაცვლება სხვადასხვა ზომით დაწერილი სტრო-
ფები (14-მარცვლიანი, ე. ი. „ბესიკური“ და
ოცმარცვლიანი, ე. წ. „შავთელური“). რუსულ
თარგმანშიც ჩვენ ვგრძნობთ ამ თავისებურებას.
საერთოდ თარგმანი ზუსტია, თუმცა იგი რამ-
დენადმე მძიმეა მაინც.

Какая тайна тогда объемлет и дол
окрестный и небосвод!
Какие дали тогда чаруют того, кто
смотрит с твоих высот!
Ковер долины повит цветами, как
драгоценный престольный плат,
И финиамом благодаренья к тебе
клубится их аромат.

პასტერნაკმა დაწერა ძალიან პოეტური ნა-
წარმოები, რომელიც თუმცაღა გადმოსცემს ბა-
რათაშვილის ლექსის იდეას და სახეებს, ამავე
დროს განსხვავდება მისგან. აი იგივე სტრო-
ფი პასტერნაკის ინტერპრეტაციით:
Не налюбуйешься! Вот я стою у края.

С лугов ползет туман и стелется к ногам
Долина в глубине, как трапеzia святая.
Настой ночных цветов плывет, как
финиам.

როგორც დანარჩენმა ლექსებმა, ამ თარგმან-
მაც აჩვენა პასტერნაკი-მთარგმნელის თავი-
სებურება. ოღონდ სრულიად გაუგებარია, რა-
ტომ არ მიიპყრო მთარგმნელს ყურადღება ლე-
ქსის რიტმულ-ინტონაციურმა თავისებურებამ.
ამავე დროს კი, როგორც უკვე ითქვა, პასტერ-
ნაკმა შესძლო გადმოეღო არათანაბარი რიტმის
მქონე ისეთი ლექსები, როგორიცაა: „საყურე“,
„ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“ და სხ.
აი რა ბრწყინვალედ თარგმნა პასტერნაკმა
„საყურე“.

Головку ландыша
Качает бабочка.
Цветок в движении.
На щечку с ямочкой
Сережка с камушкой
Ложится тенью.

თუმცა მთელი ლექსი დაწერილია იამბიკ-
და რითმაც ერთნაირია, მე-3 და მე-6 სტრიქო-
ნების მსგავსების მიუხედავად, ისინი მაინც თა-
ვისი ელერადობით განსხვავებული არიან პირ-
ველ-მეორე და მეოთხე-მეხუთე სტრიქონებისა-
გან.

მესამე სტრიქონში, მეორე მარცვლის შემ-
დეგ ცეზურა განსხვავებულია პირველი ორი
მარცვლისაგან, ხოლო უკანასკნელ, მე-6 სტრო-
ფში დაქტილურის ნაცვლად რითმია: „тенью“,
ლექსის ორეცტრიტიკაში სწორედ ეს ქმნის თა-
ვისებურებას. მხოლოდ დიდ ოსტატს ემორჩი-
ლება ასე ლექსის გამომსახველობითი საშუა-
ლები.

აქ მოყვანილი ნაწყვეტი ესატყვისება „საყურ-
ეს“ პირველ სტროფს:

ვითა პეპელა
ახეხეს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ისე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისა აჩრდილს.

მთარგმნელმა შეძლო დაეკირა ორიგინალი-
ნტონაცია, ლექსის რიტმი და თუმცა ორიგე-
ნალში არ არის „ლანდიშო“,¹ მაგრამ ამისდა

¹ როგორც ჩანს, ბ. პასტერნაკთან „Лан-
дыш“-ი ვ. გაფრინდაშვილის 1922 წლის თარ-
გმანიდან მოდის.

დომბარი თუხარელი
ნიკოლოზ ბარათაშვილი ბ. პასტერნაკის
თარგმანებში


მეზუხადვად, ლექსი ბრწყინვალე მაგალითია ფორმისა და შინაარსის ერთიანობისა, როცა მთარგმნელი თვალნათლივ, ცხადად ხატავს საყურის რხევას.

მით უფრო საყვირელია, რომ ბ. პატერნა-
ცა არ მიაქცია ყურადღება ლექსების — „მე-
რანისა“ და „შემოდამება მთაწმინდაზე“ ისეთ
თავისებულებას, როგორცაა რიტმის ცვალებ-
დობა.

პოემა „ბედი ქართლისა“ რუსულ ენაზე ითარგმნა რამდენჯერმე. მათ შორის 1938 წელს პოეტ ვ. გაფრინდაშვილის მიერ. ეს თარგმანი გაბიოჩიკა დიდი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებათა ზუსტი გადმოცემით. ვ. გაფრინდაშვილმა ორიგინალთან მიხედვება განსაკუთრებით ცნობილი „შორბის არაგვი არაგვიანს“ თარგმნის დროს შესწოდა. პასტერნაკის რუსულ თარგმანში ზუსტად არ არის დამოკიდებული პოემის ძირითადი სახეები, მაგრამ მასში არც მკვეთრი გადახვევაა ორიგინალიდან. ხანდახან იგი იყენებს იმ მხატვრულ ხერხებს, რომელთაც ავტორი სარგებლობდა. გამოწვევისათვის პოემის ორიგინალი სტრუქტურა. აქ პასტერნაკი არ ლაღატობს თავის თავს, ის ქმნის მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც აქვს ახალი რიტმი და რომელიც, სხვათაშორის, არ ემთხვევა ორიგინალის ინტონაციებს.

● ● ●

პასტერნაკს უნდოდა თავისი თარგმანები ჩაეტყობათ როგორც ორიგინალური ნაწარმოებები. ეს იდეა მეტად საინტერესო და საყურადღებოა. ქართველ მკითხველს თარგმანი შეუძ-

[illegible]

ბექან ბარლაშელიძე

ნ. ბარათაშვილის დეჰსი „ნაპოლეონ“

ნ. ბარათაშვილის ეს ლექსი მკვლევართა ნაკლები ყურადღებით სარგებლობს. ამავე დროს „ნაპოლეონ“ უდავოდ ბარათაშვილის პოეტური ნიჭის შედეგია და მისი შემოქმედებითი ტენდენციების შესაქაყალად საყმაო მნიშვნელოვანი.

კორსიკელი აზნაურის უზვეულო ბედმა, ქარიშხლიანმა ცხოვრებამ, მისმა ძლიერმა პიროვნებამ და ყოვლისდამთრგუნველმა დემონურმა ხასიათმა უკიდურესად აღაგზნო ყველა ქვეყნის რომანტიკოსთა ფანტაზია. იქმნება უზარმაზარი ლიტერატურა ნაპოლეონის შესახებ. ამ თემისადმი გულგრილი არავინ დარჩენილა. დაწყებული მსოფლიო ოლიმპიელი გოეთედან, გათავებული კახუკი ლერმონტოვით.

ნაპოლეონის კულტი რომანტიკოსთა შემოქმედებაში ვრცელი და საინტერესო თემაა. ჩვენ დავკმაყოფილებით ორიოდე მაგალითით.

ბაირონმა თავის ლექსებას და პოემებში შექმნა სახე ნაპოლეონისა — ძლიერი, დემონური პიროვნებისა. არ შეიძლება „მანფრედის“ ავტორის ყურადღება არ მიეზიდა ბონაპარტეს გიგანტურ ფიგურას. ბაირონთან მაინც მხურვალე სიყვარული, ალტაცება, განცვიფრება ენაცვლება საყვედურსა და გულგატეხილობას ტიარანისადმი. ფართო პოლიტიკური თვალსაზრისი ბაირონს აძლევს გაკიცხოს ნაპოლეონი ეპოპოპოპის თავისუფლებს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ფართოდაა წარმოდგენილი ნაპოლეონის სახე ლერმონტოვის შემოქმედებაში. კლასიკურია მისი ლექსი „უკანასკნელი თავშესაფარი“ (1841 წ.). ლექსში უღიდესი ძალით იჩენს თავს მხურვალე საყვარელი ძლიერი და გამოჩენილი პიროვნებისადმი, რომლის ნება-სურვილის წინაშე ფერმკრთალდება ნება მთელი ხალხებისა.

ის ინდივიდუალისტური ტენდენციები, რომელიც ასე ჭარბი იყო ლერმონტოვის შემოქმედებაში, მთელი სიძლიერითაა გამკლავებული აღნიშნულ ლექსში, აქ ერთმანეთს უპირისპირდება უმადური, უგუნური, განუყოფელი ბრბო და ერთ დროს ძლიერი, მორკმული, აწ კი დევნილი, მიუსაფარი პიროვნება, რომელიც ელის თავის საათს, რომლის სულ საბოლოოდ არ გატეხილა.

საინტერესოა, რომ „ნაპოლეონ“ დაწერილია უფრო ადრე, 1838 წელს, ვიდრე ლერმონტოვის ლექსი, მაგრამ ბარათაშვილი უფრო მეტად ნაპოლეონისა, ვიდრე ბაირონი და იგი ამნაირად ლერმონტოვს უფრო უახლოვდება.

ბარათაშვილის ლექსი ნაპოლეონის მონალოგს წარმოადგენს. პირველივე სტრიქონებში პოეტი ხატავს ნაპოლეონის გიგანტურ ფიგურას. „ნაპოლეონმა ვარდმოვლო თვალი ფრანცისა...“ იგი თითქმის ამალმებული ყველაფერზე, მაღლიდან დაჰყურებს ყველას და ყველაფერს. ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს შემდეგი სტრიქონები, რომ მან „იხილა თვის დიდების მსხვერპლი თვის წინა“ — საფრანგეთი: „მისს მორღუბულს შუბლს შეუი რაღაც გარდღეფინა“.

განსხვავებით ლერმონტოვის ლექსისაგან, ნაპოლეონი აქ წარმოდგენილია დიდების მწვერვალზე მდგომი, როდესაც იგი შემდგომი ნახტომისათვის ემზადება. ბარათაშვილი ცდილობს ჩაწვედს ნაპოლეონის სულს და გვიჩვენოს ის ფიქოლოგიური მოტივები, რომლებიც მას აქეზებდა, დიდის ხელოვნებითაა წარმოდგენილი ნაპოლეონის პატივმოყვარე, ეგოცენტრისტული ბუნება. იმპერატორი თითქმის კმაყოფილია, რომ განახორციელა თავისი მიზნები, განადიდა თავისი სახელი „ქვეყნის საოცრად“, ძლიერებით

შემოსა საყვარელი სამშობლო „დაუმონა გულ-
მტკიცენი მას სადიდებლად“, მაგრამ ძლიერი
პიროვნება აქ ვერ შესდგება, მისი სული ვერ
მოისვენებს! მას სწამს თავისი ვარსკვლავის,
დრო მას ეკუთვნის:

მითხვავს გვირგვინსა დიდებისას მე
თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდელი;
ქაში ჩემია და ქამრისა მე ვარ იმედი!

ნაპოლეონს პატივმოყვარე ბუნება ვერ ით-
მენს მეტოქეებს:

რა გინდ ძლიერად, მეცნიერად ვინ
ხელმწიფებდეს,
მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ
ჩემოდნობდეს,
თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ
ტოლი მაყადეს..

თუ ერთ შემთხვევაში ნაპოლეონს ხასიათში
გამოკვეთილია ძლიერი, ამღლებული პიროვნე-
ბისათვის ნიშანდობლივი თვისებები: მისწრა-
ფება სამშობლოს დიდებისაკენ, თავისი მაღალი
დანიშნულების შეცნობა, — მეორე შემთხვევა-
ში პოეტი ხედავს წარმატებით თავბრუდარ-
ვეული, ეგოისტური პატივმოყვარეობით შეპყ-
რობილი ხელმწიფის თავნებობას, არ შეიძლება
აქ არ გაგვახსენდეს „ფიქრნი მტკვრის პირას“;

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ
უმაღლეს
არც ვინაა არის, და წინაშე არც ვინ
აღუდგას,
რომელთ ხელთ ეპყრათ უმაღლესი
სოფლის დიდება,
შფოთვენ და ღრტივნენ და იტყვიან:
„როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც ღლეს თუ ხვალ
თვითვე არიან.

როგორც ვხედავთ, ნაპოლეონისა და ამ მეფე-
თა მისწრაფებები ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ
თუ „ფიქრნი მტკვრის პირას“ პოეტი მეფე-

ებს ადამიანის ეგოიზმისა და აღუფასებელ
ნების საჩვენებლად გამოიყენას, ნაპოლეონისა და გან-
იკივე მისწრაფებები მასში ღაგმობისა და გან-
ქივების სურვილს არ იწვევს. ყოველ შემთხვე-
ვაში ლექსში არაფერია ნათქვამი ამაზე, თუ
მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სტრიქონს:

ბევრი ღლე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ
ცნათ ჩვენ მისი!

ამ სტრიქონებს მოსდევს ნაპოლეონისადმი
აღტაცების გრძნობით გამსჭვალული სტრიქო-
ნები: „თვითონ სიკვდილიც მას უგბროდ აღ-
მოგვიჩინებს: დამქრალი ცეცხლი და ზღვის
ღელვა წარმოგვიდგინებს მისს ციცხლსა სულსა
და ზღვა გულსა გასაკვირველებს“.

ბარათაშვილის „ნაპოლეონ“ უდავოდ ერთი
უეტიეს ლექსთაგანია, რაც ამ თემაზე შექმნი-
ლა.

ლექსი უაღრესად მონოლითურია, თითქმის
გრანტიდინაა ნაკვეთი. გამსჭვალულია მძაფრი
შინაგანი დინამიკით. ეს მიღწეულია თოთხმეტ-
მარცვლიანი სალექსო სისტემის ოსტატურა
გამოყენებით, მკვეთრი, აფორისტული სტრი-
ქონებით და, რაც მთავარია, დამბული, მაღა-
ლი აზრის მოძრაობით, რაც ლექსს შინაგან დი-
ნამიზმს და მონუმენტურობას ანიჭებს.

ბარათაშვილმა ლექსით „ნაპოლეონ“ დამა-
ტყცია, რომ ჭარბი პოეზია ევროპული
მწერლობის ორბიტაში შევიდა არა მარტო ფო-
რმის მხრივ, არამედ თემატიკურად. ჩვენი პო-
ეტი თამამად გაეჭიბრა ევროპული პოეზიის გი-
განტებს და შეჰქმნა ერთი საუკეთესო ლექსთა-
განი რომანტიკოსთა ამ გავრცელებულ თემაზე.
ჩვენ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ ბარა-
თაშვილს შესწევდა უნარი შეექმნა რომანტიკო-
სებისათვის დამახასიათებელი ტოტანური პი-
როვნებების სახეები.

ბარათაშვილის იდეალი რომ ხალხზე ამაღ-
ლებული, საკუთარი მიზნებისა და მისწრაფებე-
ბის ტყეე მონარქი არ ყოფილა, კარგად ჩანს
პოემიდან „ბედი ჭარბისა“, რომელშიაც შექ-
მნილია სახე მეფე ერეკლესი, სახალხო გმირი-
სა, ხალხის მამისა და მეთაურისა.



იაკობ ბალახაშვილი

1832 წლის შეთქმულების ნ. ბარათაშვილის ჯგუფი

რამდენიმე სიტყვა წინასწარ

ამას წინათ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში, ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ საუბარათა შორის, მოხმენილ იქნა ისტორიკოსების — გიორგი გოზალიშვილისა და აკაკი ჭურგულაძის მოხსენებები — „ნ. ბარათაშვილის ეპოქა“.

ორივე მოხსენება ერთ კონკრეტულ თემას — 1832 წლის შეთქმულებას ეხებოდა.

პროფესორ ა. ჭურგულაძის მოხსენების „ძირითადი აზრი ის იყო, რომ 1832 წლის შეთქმულებას უნდა მიენიჭოს კუთვნილი ადგილი საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში“.

ეს შეთქმულება, მიუხედავად მისი სოციალურად შეზღუდული ხასიათისა, იყო პროგრესული მოვლენა ქართველი ხალხის ისტორიაში; იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა შორის უნდა იქნეს განხილული და უნდა გამოიღიანდეს ის უწყვეტი ხაზი, რომელიც ამ შეთქმულების მონაწილეთ ქართველ სამოციანელ მოღვაწეებს აკავშირებს¹.

პროფესორმა გიორგი გოზალიშვილმა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობს 1832 წლის შეთქმულების მასალებზე, თავის მოხსენებაში მოიყვანა ახალი დოკუმენტური მონაცემები „რომლებიც მოწმობენ ამ შეთქმულების მონაწილეთა კავშირს რუს დეკაბრისტებთან“².

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ისტორიკოსებმა, მწერლებმა, ლიტერატორებმა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის

მდივანმა ბესარიონ ქლენტმა, თავის შემაჯამებელ სიტყვაში თქვა:

ეს „მოხსენებები დიდად შეუწყობენ ხელს ბარათაშვილის ეპოქის, შემოქმედების შესწავლას“.

კამათმა ცხადყო, რომ 1832 წლის შეთქმულება, რომელიც ადრე რეაქციულ შეთქმულებად მიაჩნდათ, იყო ნამდვილად პროგრესული ფაქტი, ფაქტურად იგი წარმოადგენდა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის³.

წინამდებარე ნარკვევში ახალი საბუთებით განხილულია 1832 წლის შეთქმულებასთან ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობის საკითხი.

ირკვევა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი სათავეში ედგა შეთქმულების თანამოაზრე ახალგაზრდობის ჯგუფს, სიტყვიერა და საქმიანი იღწვოდა შეთქმულების კეთილდღეობისა და წარმატებისათვის.

გავეცნოთ ამ საბუთებს.

1832 წლის შეთქმულების ჩამოყალიბება და მიზანდასახულობა

შეთქმულების მასალებში ინახება შემდეგი წინაარსის ქაღალდი:

„წელსა 1828-სა დღესა 13 მაისისა შევეკრიბეთ კანდრატო, ასე რომ რაც ჩვენს სარგებლობისათვის იყო და რაც ჩვენ გვიფიქრია ვინც უმცყუნოს ამ ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის იყო შეჩვენებული ღვთისაგან. მე ამ შემოხსენებულზე ხელს ვაწერ თაქად დ ი მ ი ტ რ ი ე რ ი ს თ ა ვ ი .“

3 ივნიე წყარო.

¹ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1963 წ. № 24.

² ივნიე წყარო.

მე ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი გიორგი ერისთავი.

მე ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი ელიზბარ ერისთავი.

1828-სა წელსა

მაისის 13 დღესა

პეტერბურსში

ლოდეიწიში ქანდესის სახლში⁴.

პროფესორი გ. გოზალიშვილი ამ „კანდრაბტის“ გამო წერს: „ქალაქის გაცირობა აქვს წითელ თავიანი ოქროს ქინძისთავი, ოქროსი-ვე ძეწვეთი და ორი ბეჭდით არის დაბეჭდილი. ეს არის შეთქმულების პირველი ფორმალური ჩამოყალიბება, თუმცა ძალიან ვიწრო წრეში“⁵.

შეთქმულების მოთავენი მალე თბილისში ჩამოვიდნენ და ფარულმა საზოგადოებამ ორგანიზაციული ხასიათი მიიღო.

შეთქმულებაში მონაწილე მწერალი და მემურარიტი ალექსანდრე ორბელიანი წერს:

„...მოთმინებიდან გამოვიდნენ ქართველებიც, ზედატანებით ნასწავლი ყმაწვილი კაცებიც მოვიდნენ პეტერბურლიდან და საერთოს შეთქმას შეუდგნენ ქართველები...“

ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოვიდებოდა კასპიის ზღვამდის, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გვეერთიანებოდა ყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა...

ამ შეთქმაშიც გარეული იყო გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე. არა მარტო ეს გენერალი, არამედ სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირენი და ბევრი სასულიერო წოდებანი.

ხინაი დედაკაცთ და ყმაწვილ ქალთა ერთი აზრი ჭონდათ ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ან არადა მამული გამოგვეხსნა...

ბევრმა პატიოსანმა დედაკაცებმა დაიფიცეს: კაცურად ჩავიცომათ და ჩვენს უკანასკნელს სიხსლს დაედვრით მამულის გამოსასხენლათო. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა, ბაირახებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს⁶.

გამარჯვების შემდეგ საქართველო რესპუბლიკურ სახელმწიფოდ იგარაუდებოდა. პოეტი ვახტანგ ორბელიანი გადმოგვცემს:

„1832 წელს დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც ტფილისიდან ოქრობრი ბატონიშვილს ვაცილებდი, იმან მითხრა: ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა,

რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკური სახელმწიფოაო“⁷.

შეთქმულების მასალებიდან ჩანს, რომ გამარჯვების შემდეგ ხალხს სეიმბ უნდა აერჩია. მეორე, კონსტიტუციონალური მმართველობა გაუძღვებოდა სახელმწიფოს.

გრიგოლშო-ზაველიისის პროექტი და 1832 წლის შეთქმულება

რუსეთის გამოჩენილი მწერლის ა. ს. გრიგოლშოვის დეკარისტული შეხედულებანი ცნობილია და აქ ამის თაობაზე სიტყვას არ ჩამოვადებ. მე მინდა ზოგადად მოვხაზო იდეოლოგიური პროფილი ტომთა პოლონელ პეტრე დემიანის ძე ზაველიისისა (1800—1843).

პ. დ. ზაველიისის მოღვაწეობა საქართველოში იწყება 1828 წლის 27 თებერვლიდან, როცა ის „კავკასიაში ფინანსთა სამმართველოს ზელმძღვანლად“ დაინიშნა.

მას მაშინვე გაუვარდა განმათავისუფლებელი იდეებით გამსჭვალული ადამიანის სახელი, რომელიც სასტიკ პრეტესტს აცხადებდა ქართველ ყმა გლეხთა აუტანელი ჩაგვრის გამო.

ერთ-ერთ თაგის იმდროინდელ მოხსენებაში იგი აღწვთებით წერდა: „თითქმის არც ერთ ყმა გლეხს არ გააჩნია უძრავი ქონება. ისინი ეალდებული არიან გააკეთონ ყველაფერი ისე, რაც მებატონეს მოესურვება, რომელსაც შეუძლია ყმები გაყიდოს, დაავარავოს, მეორეზედ გააჩუქოს, — ერთი სიტყვით, მოექცეს მათ ისე, როგორც მოესურვება“⁸.

ასევე პროგრესული შეხედულებები გამოთქმულია პ. დ. ზაველიისის მიერ ა. ს. გრიგოლშოვთან ერთად შედგენილ ნაშრომში „კავკასიის რუსეთის კომპანიის დაარსების პროექტი“, რომელიც 1828 წლის 7 სექტემბერსაა ხელმოწერილი.

ეს დოკუმენტი „საბჭოურ ისტორიოგრაფიაში“ შეფასებულია, როგორც დიდი მნიშვნელობის საბუთი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს კეთილდღეობა. იქ გამოთქმულია მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საწინააღმდეგო ეკონომიური და პოლიტიკური მისაზრებანი... პროექტის ავტორებმა ვერ შეძლეს მისი განხორციელება, რადგან ის მინიჭებულ იქნა კავკასიაში მეფის მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგო დოკუმენტად⁹.

პ. დ. ზაველიისის პირადი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბევრ ქართველ მოღვაწესთან. უპირველესად ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ალექსანდრე ორბელიანთან, იაგორ კილაშვილ-

4. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, 1835 წ. ტ. I. გვ. 17.

5. იქვე.

6. იგივე წყარო, გვ. 128—129.

7. იგივე წყარო, გვ. 92.

8. „მაცნე“, 1967 წ. № 2.

9. იგივე წყარო.

თან და სხვებთან. მათი მეშვეობით გახდა იგი 1832 წლის შეთქმულების წევრი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე საგამომცემლო კომისიის სახელზე დაწერილ ერთ თავის ჩვენებაში ყოველგვარი შიშის გარეშე ქება-დიდებას ასხამს პ. დ. ზაველისკის, არ მალავს პირად, სულიერ კავშირს, აღფრთოვანებით ლაბარაკობს მის მიერ თბილისში ჩამოყვანილ სამოქალაქო მოხელეებზე:

„ზაველისკი გავიცანი... 1829 წ. ტფილისში. მე და ზაველისკი მალე დაეახლოვდით ჩენი აზრების მსგავსებათა გამო. მისი სულის კეთილშობილება, მისი კეთილი აზრები, მისი დაუღუგვარი საქმიანობა მასზე დაკისრებულ მრავალ რთულ მოვალეობათა ირგვლივ, მისი ყველასადმი გაბედული საბარბოლოანობა, განუტყველად პირთა... — უსაზღვროდ მომწონდა მე და ყოველი წუთით აძლიერებდა ჩემს მისადმი სიყვარულსა და ნდობას. იმას საქართველოს შესახებ ძლიერ სწორი შეგნება ჰქონდა. სამოქალაქო მოხელეების, რომლებიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ, რჩეული ყოფაქცევა, მისი არჩენის ხარისხზე მიუთითებდა“¹⁰.

1947 წელს პროფესორმა ელენე გირსალაძემ გამოაქვეყნა საქართველოს მთავარმართებლის გ. ვ. როზენის მიერ, 1832 წლის შეთქმულების გამომძღვანელების შემდეგ, რუსეთის სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი გაგზავნილი საიდუმლო წერილი, რომელშიაც ერთმანეთთან კავშირში დახასიათებულია: გრიბოედოვი, ზაველისკი და ა. ჭავჭავაძე. როზენი წერდა:

«Князь Чавчавадзе образован в пажском корпусе, потом служил у нас, принял всю европейскую образованность... будучи тестем покойного Грибоедова, имел в нём средство усовершенствоваться в правилах вольнодумства. Завиленский был связан тесно дружною с тем же Грибоедовым и сохранил такую же до сего времени с Чавчавадзевым»¹¹.

ამას წინათ ჟურნალ „ნედელიაში“ დაიბეჭდა ლიტერატურათმცოდნის, ირაკლი ანდრონიკაშვილის ნარკვევი „რუველი ვასილ ზაველისკისა“.

ხსენებულ ნაშრომში ი. ანდრონიკაშვილს მოჰყავს როზენის კომენტარი გრიბოედოვ-ზაველისკის პროექტზე. როზენი აცხადებს, რომ არ დაწერილიყო გრიბოედოვ-ზაველისკის პროექტი, საქართველოში 1832 წლის შეთქმულება შეიძლება არ ჩამოყალიბებულიყო.

ყველა ამის შემდეგ ი. ანდრონიკაშვილი ასკვნის:

¹⁰ გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ. ტ. I, გვ. 308—309.

¹¹ „ლიტერატურული ძიებანი“, 1947 წ. წიგნი III, გვ. 127.

«Грибоедовский план связан с инстинктом заговора. Грибоедов, Чавчавадзе и Завелевский представлены как вдохновители заговорщиков»¹².

მოყვანილი მასალა 1832 წლის შეთქმულებას დეკაბრიზებთან კიდევ ერთი საფეხურით აახლოვებს.

შეთქმულებაში ახალგაზრდობის მოწოდებები

სხვა ქვეყნების დარად 1832 წლის შეთქმულების მეთაურებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამატებული ქართველ მოწინავე ახალგაზრდობასთან და სხვადასხვა სახის დავალებებს აძლევდნენ. პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი წერს:

„საზოგადოებაში მე მიმიღეს დიდის სიხარული და დაიწყეს უბნობა... რომელ განზრახვა ესე უწყიან ლენერალ აფხაზოვმა, ჭავჭავაძემ, საეარსამიძემ და იავორ გავრილიძემ ჭილავემა.“

მე უპასუხე, კარგი მაშ არ შეიძლება ისინი მეც მიჩვენონ შეთქმ. მაშინ მიპასუხეს, რომ იმათ იციან, რომ შენ იციო. მაგრამ იმათ კი ვერ გაჩვენებთ, არ დავედლომან, რადგანაც ყმაწვილი ხარო.

იფიქრე ამისთანა მძიმე საქმეზედ, თითონ ვერ იმოქმედებენო და ჩვენგნით ყოველსავე მოქმედებენო. აი პოლშაშიაც დიდნი კაცნი ყმაწვილებით მოქმედებდნენო“¹³.

შეთქმულთა ეს პრინციპი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, სადაც კი ნიკოლოზ ბარათაშვილის და საერთოდ ახალგაზრდობის შეთქმულებასთან კავშირზე გვექნება მსჯელობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურ-ლიბერალურ წარმო

ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადაწყვეტილი როლი შეასრულა ქართველ და ევროპელ გამანათლებელთა იდეურმა ზეგავლენამ, რუსულმა დეკაბრიზმმა, საფრანგეთის რევოლუციის ექიმ, პოლონეთის აჯანყებამ.

1832 წლისათვის 16 წლის ბარათაშვილი გონებრივად სრულიად მომწიფებული იყო და ავტორი ყველა პოეტური მარგალიტებისა.

ეპოქის ახალ რადიკალურ შეხედულებებს ნიკოლოზ ბარათაშვილი ეცნობოდა „ლეგალუ-

¹² «Неделя», 1968 г. № 28.

¹³ გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ. ტ. I, გვ. 7.

იამოზ ბალახაშვილი

1832 წლის შეთქმულების ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯგუფში

რი“ და არალეგალური ნაბეჭდი და ხელნაწერი ლიტერატურის სახით, რომელიც რუსეთში სასწავლებლად წასულ ქართველ ახალგაზრდობას, ქართველ და რუს მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს საქართველოში ჩამოჰქონდათ.

ბარათაშვილი ამ იდეებს „ზეპირი გზით“ ეცნობოდა „შეთქმულ“ მასწავლებელ სოლომონ დოდაშვილისაგან, „შეთქმულ“ ფილადელფოს კიკნაძისაგან, საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებისა და თავისუფლად მოაზროვნე პოლონელებისაგან.

სოლომონ დოდაშვილი, რომელიც 1827 წლიდან 1832 წლის დეკემბრის დამდეგამდე „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ და შემდეგ ტფილისის გიმნაზიაში მასწავლებლობდა, მოწოდებდა შორის ეწეოდა პრობავანდას და შეთქმისთვის რაზმავდა მათ.

ს. დოდაშვილს, ფ. კიკნაძეს და სხვა ოპოზიციურად განწყობილ ინტელიგენტებს ნიკოლოზ ბარათაშვილთან მეტად კარგი, პირადი ურთიერთობა ჰქონიათ.

რადგან დასახლებულ პირებს ცარიზმში აღმაცერად უყურებდა, ამიტომ მელიტონ ბარათაშვილი უკრძალავდა თურმე თავის ვაჟს ს. დოდაშვილთან და ფ. კიკნაძესთან სიახლოვეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვე დ. გრიგორიევი გადმოგვცემს: „ნ. ბარათაშვილს თავის მამა ზნობად ეტყობა, რომ სოლ. დოდაშვილს და ფ. კიკნაძე ბერს თავი გაანებებ, თორემ შენ გაითიკებოი“¹⁴.

მეტად საყურადღებოა პოეტ ვახტანგ ორბელიანის ნათქვამიც: „ნიკ. ბარათაშვილი გამოიწოდებდა სოლ. დოდაშვილთან... თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა არც ბარათაშვილი ყოფილიყო. ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა სამთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ქართველი ერის წინაშე იწოდა“¹⁵.

ნიკოლოზ ბარათაშვილი „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ ყოფნის დროიდანვე სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურ-ლიტერატურული წრის წევრი ყოფილა. ზ. ჭიჭინაძე ბარათაშვილის თანამედროვეებში შეკრებილი ცნობების საფუძველზე წერს:

„სოლომონ დოდაშვილმა შეადგინა ტფილისში „ამხანაგობა“ ანუ გუნდი, იმ დროის ტფილისის სასწავლებლების მოწაფეების.

ამ რიცხვში შედიან: იმ დროის „კეთილშობილთა სკოლის“ მოწაფენი, სასულიერო სემინარიის მოწაფენი და ასევე სხვანიც.

„ამხანაგური წრე“ არსებობდა ქართველების გასაფხიზლებლად, ქართველ ერში კარგი წესების შესატანად ქართულ მწერლობის ასა-

ღორისებლად და მწერლობაში კარგი შესატანად“¹⁶.

ს. დოდაშვილის მიერ შეკრეული მოწაფენი საიდუმლო კრებებსაც რომ ესწრებოდნენ ეს თვითონ ს. დოდაშვილის ერთი ჩვენებდნავე ირკვევა:

„ვხანძარი ჩემს ბინაზე გაიმართა. ჩვენ აქ წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბელოვის თხზულებანი და ვმსჯელობდით გამოგვიღო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა. ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გავკვებავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია“¹⁷.

აქედან ჩანს, რომ მოწინავე მოწაფე დავით მაჩაბელი განდობილი ყოფილა შეთქმულების საქმიანობაში.

ზ. ჭიჭინაძე, ბარათაშვილის თანამედროვეებში შენაკრები მასალების საფუძველზე ირწმუნება, რომ ს. დოდაშვილს ნ. ბარათაშვილი შეთქმულთა წრეში ჰყავდა მიღებული.¹⁸

აქვე შემდეგი მინდა აღვნიშნო: როცა თავდაპირველად შეთქმულება ჩამოყალიბდა, ფართული საზოგადოების მეთაურებმა, როგორც ვნახეთ, ურთიერთშორის „კონდრახტი“ დადევს. შემდეგ, კონსპირაციის მიზნით ხელწერილის დადება გააუქმეს, ზეპირად განდობა და ზეპირად თანხმობის მიღება დააიანონეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი შეთქმულთა საქმეში განდობილი იყო და მათი მითითებით ახალგაზრდობის ჯგუფს ამოქმედებდა.

1832 წლის შეთქმულების ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯგუფის 1831 წლის სამამინობა

1832 წლის შეთქმულების ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯგუფის საქმიანობის თოხაზე არსებული მოგონებების და მკვლელობის პირველ ბიოგრაფთა ჩანაწერების გულმოდგინე შესწავლის საფუძველზე შევძლებთ მკვლევარი მიხეილ კეკელიძე აღნიშნულ საკითხის გამო ასეთ სწორ დასკვნამდე მიღოს:

„1. ნ. ბარათაშვილს მოწაფეობის დროს ბევრი ლექსი ჰქონია დაწერილი, რომლებიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული.

2. იგი წერდა სატირულ ლექსებსაც, რომლებშიც აბუჩად იგდება ზეღისუფლების წარმომადგენლებს და ამ ლექსებს თავისი ამხანა-

¹⁶ იგივე წყარო, გვ. 10 — 11.

¹⁷ გ. გოხლოშვილი „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ. ტ. I, გვ. 177.

¹⁸ ზ. ჭიჭინაძე „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, 1919 წ. გვ. 15.

¹⁴ ზ. ჭიჭინაძე „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, 1919 წ. გვ. 13.

¹⁵ იგივე წყარო, გვ. 15.



გების დახმარებით (ფოსტით) უგზავნიდა სასაცილოდ აღებული პირებს.

3. ლექსების გაგზავნასთან დაკავშირებით ნ. ბარათაშვილი რამდენჯერმე დაუსჯიათ. აქედან ჩვენთვის ორი შემთხვევაა ცნობილი. ნ. ბარათაშვილისა და პეტრე ბაგრატიონის ფიზიკური დასჯა 1831 წელს. ნ. ბარათაშვილს 25 წევალ დაჰკრეს, ხოლო პ. ბაგრატიონი ამ სასჯელს სასწაულებლის დატოვებით გადაურჩა და რუსეთში წაიყვანა მამამ. ნ. ბარათაშვილი მეორეჯერ დასაჯეს 1833 წლის პირველ თვეებში 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით: დაპატიმრებული იყო ორი კვირით¹⁹.

აღნიშნული გვყვები 1831 წლის საქმიანობაზე ჩვენამდე მოღწეა პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის (1818—1876) ორმა მონათხრობმა.

1859 წლის იენისის დასაწყისში, უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში ჩასული აკაკი წერეთელი ძმის, ილიას სანახავად ცარსკოე სელოში გაემართა, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე მეორის დამცველ „ლიბერალური“ კაცობის ესკადრონიში²⁰ მსახურობდა.

ამ ექსადრონს იმ ხანად ცნობილი ფიზიკოსი და ქიმიკოსი პეტრე ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა და ილიამ აკაკი ჩრევისათვის თავის უფროსთან — პ. ბაგრატიონთან მიიყვანა. აკაკი წერეთელი გვიამბობს.

„ორი საათი იყო ნაშუადღევს, ილიკო რომ დაბრუნდა და წამოყვანა ბაგრატიონთან. სახლის პატრონმა ქართულად მომიყთხა, მე გავეკირდი და იმანაც სიცილით მითხრა:

„განა ქართველი აღარ გგონივარ? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამაფიქვია... ტფილისში სააზნაურო სასწაულებელში ესწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან...“

გამიგონია, შიარებით დიდკაცების ლანძღვა? ავეყუოთა ჩვენც, მისი მეგობრები; ის წერდა ჩვენ ვაგზავნიდით: როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწაულებელში. ჩვენ შემოგვხვევადით გარს, უცხად აფუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელავა, და ჩაუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალქილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახებდა წერილებს ჩანთაში? მიჰქონდა აღრესისამებრ.

ერთი ალაქოთი ატყდა ტფილისში, გამოძიება დაიწმინა. ბოლოს გაგვიგეს, დავვიტარეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოცდახუთი რუბლი მიანიჭეს; ჩვენც იმდენიმე გადაგვიწვდით, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწაულებელიდან, კორპუსში გამოგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სმისახურშიო²⁰.

1860 წლის ზაფხულში ცარსკოე სელოში

19 ექვრ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1954 წ. № 9.

20 ა. წერეთელი „ჩრეული ნაწერები“, 1930 წ. ტ. I, გვ. 67 — 68.

პეტრე ბაგრატიონმა იგივე ეპიზოდი უფრო ადრე ვერცულა უამბო „კანოელ“ სამსონ აბაშიძეს. ს. აბაშიძე წერს:

„1860 წ. ქ. ცარსკოე სელოში ცხოვრობდა მყოფი ჩემი პოლკის კომანდირი თ. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი.

ერთ საღამოს, სადილის შემდეგ, გვექონდა ლაპარაკი შესაბამის პატივით ლიტერატურისა და სხვადა „შობის ათ, რა მიამბო:

„მე, ლევან მელოქიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთად ესწავლობდით მაშინდელს გიმნაზიაში და სამივე ერთ დღეს სასწავლებლიდან გამოვტოვებდით შემდეგი საქმისათვისო.

ჩვენ დროს დრტივანა საზოგადოება ეპიკურებზე, როგორც სიძვირისათვის, აგრეთვე ზომამში მოტყუებისათვის. ჩვენ როგორც პატრიოტებმა განვიზრახეთ, რომ ასეთნაირად ვაჭრების მოქმედება გვეუგებია... ამისათვის ნ. ბარათაშვილი ლექსებს წერდა, ლ. მელოქიშვილი გადამწერი იყო მე კი კონვერტებს ვამზადებდით.

ამიანად შეშალებულს ლექსებს ვგზავნიდით მთავარმართებლის და დიდკაცობის და ზოგაერთ ვაჭრების სახელზე. ჩუმად ესდებდით პოეტალიონის ბოლიშაში, როცა მოდიოდა ჩვენთან. ერთ ხანს ვერა გაიგეს რა და მერმედ დავეციკირებდნ და პოეტალიონმა არ გაგვიორნია თავის მახლობლად, როცა მოდიოდა.

მერმედ ჩვენ განვიზრახეთ კონვერტებში ერთად ლექსებთან პატარა ქვების ჩაწყობა და ესროლილობით იმის ეზოში ქუჩებიდან, ვის სახელზედაც კონვერტი იყო; მაგრამ ესეც ძლიერ სამწუროდ დაგვიჩრა და ვამჯობინეთ დაბეჭდილი კონვერტები მიგვეტანა, საიდგანაც მისდიოდათ, ვისაც ვგზავნებოდა.

ბოლოს აქაც დავეციკირდნ თურმე და მერმედ ბეჭდით იცნეს და ჩვენი ვაგზავნილი დიპტირეს. შესდგა ამაზედ დიდი საქმე და ჩვენ, სამივე მეთურები, — მე, ლ. მელოქიშვილი და ნ. ბარათაშვილი, — გამოვეტოვებდნ და რომ მიავარს-მართებელს ბარონ როზენს არ ვეპატრივებო, გარონგვასაც მობირებდნენ. შემდეგ ამისა მე პეტერბურგშიდ გვარდიის პოდპორუჩიკების სასწაულებელშიდ გამოგზავნეს და ისინი კი თავიანთ სახლში წაიყვანეს²¹.

ხელისუფლების განსაკუთრებული შეშფოთება და განგავში გამოუწყებია ნიკოლოზ ბარათაშვილის სატირე ლექსი — თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილისადმი მიმართულს. ცნობილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია, რომელმაც ამ ამბის მონაწილე

21 ს. აბაშიძე, „ნაწერები“, 1957 წ. გვ. 95-96.

იაკობ ბალახაშვილი

1832 წლის შემთხვევების ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯგუფი



ლევან მელიქიშვილისაგან არა ერთი ცნობა ჩაიწერა, მოგვითხრობს:

„ალბათ დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასეთი დიდი ყურადღება მიაქცია იმას, რომ ვერ გავგეგოთ, ვისგან იყო გაგზავნილი ლექსი, ბექუდზე დაწერილი გვარი დაემახსოვრებინათ — ეს ბექუდი ბარათაშვილის ამხანაგის მონასტრისკისა იყო.

და ერთხელ, როდესაც სასწავლებლის მეზუეტებს წიგნი მიეწერა ვილასთისაც და წიგნი მონასტრისკის ბექუდით დადებულა, ფოსტამ — რომელიც გაფრთხილებული იყო, ბექუდი იცნო, მეზუეტებე დაიჭირა და მთავრობას წარუდგინა.

იმვე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ უეცრად: ყანდარმის აფიცერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი. შეიხმეს ოთახში მონასტრისკი და დაუწყეს კითხვა. ამხანაგებმა კაცი აფერიეს ტატოსთან (ტატო თუმცა პანსიონში იყო, ღამღამე შინ მიდიოდა). მაგრამ მთავრობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლოვდა:

მთავარ-მართებლის ბრძანებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად.

ამ ბრძანების თანახმად ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამ რიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს ღარაკი „როზგით“²².

3. ბაგრატიონის და ი. მეუნარგას ცნობებით დასახლებული ჯგუფის წევრები ყოფილან: ნიკოლოზ ბარათაშვილი (ხელმძღვანელი), პეტრე ბაგრატიონი, ლევან მელიქიშვილი (თანა-შემწეები) მონასტრისკი (ხელმწიფყოზი, რიგითი წევრი).

პეტრე ბაგრატიონის შესახებ უკვე მოვახსენეთ და ამიტომ აქ აღიარებურს ვიტყვი.

ლევან მელიქიშვილი (1816-1892) შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილიან ერთად მონაწილეობდა რუსულ ხელნაწერ ქურონალ „ცეცტოკ ტიფლისკოი გიმნაზიში“, სადაც მოუთავსებია „წერილები საქართველოდან“.

დასახლებული ჯგუფის ხელმწიფყოზი და რიგითი წევრი — ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მონასტრისკი მერე თანამშრომელი იყო „ცეცტოკისა“. მის კლამს ეკუთვნის სხენებულ ქურონალში მოთავსებული „ბრძოლამთიელებთან“ (რუსი ოფიცრის ნამბობი) და „სასაფლაო“ (პროზა).

4. მ. მონასტრისკიმ შემდეგ პედაგოგიურ მუშაობას მიჰყო ხელი. 1849 წელს თბილისის სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობის შემსრულებელი იყო. ბუნებისმეტ-

ყველებს ასწავლიდა ქალთა ამერკავებულ ინსტიტუტსა და წმინდა ნინოს სასწავლებელში. შემდეგ მსახურობდა გზათა მერვე (თბილისის) ოლქში.

ნუთუ სხენებული ჯგუფი მხოლოდ ოთხი წევრისაგან შედგებოდა?

რა თქმა უნდა, არა.

ამჟამად შესაძლებელია ამ ჯგუფს ორი წევრი მიუთმაროთ: კონსტანტინე მამაცაშვილი და ილია ორბელიანი.

დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება ამ გარემოებისათვის, რომ 1831 წელს, როცა სხენებული ჯგუფის საქმიანობა გამოქვეყნდა და პეტრე ბაგრატიონი დასჯას გიმნაზიიდან გაქცეული და რუსეთში გადახვეწილი გადურჩა, სწორედ იმავე, 1831 წელს, თბილისის გიმნაზია დაუბოლოვდა და პეტერბურგში წასულა ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი. ჩვენ გვგონია, რომ მისი რუსეთში გადასვლის მიზეზიც ისეთივე იყო, როგორც პეტრე ბაგრატიონისა და ამიტომ მას ბარათაშვილის დასახლებულ ჯგუფს წევრად მივიჩნევთ.

რაც შეეხება 5. ბარათაშვილის თანაკლასს, თანამშრომელს და თანაკლასელ ბიძას, ილია ორბელიანს, სხენებულ ჯგუფში მონაწილეობისათვის ისიც იმავე დროს გიმნაზიიდან გაუბრუნებია.

რომ ილია ორბელიანიც 1831 წელს გიმნაზიიდან გაიბრუნდა, ამას იმ დროის პირადი ბარათებიც დასტურებს.

1831 წლის შუახანებში ზაქარია ორბელიანი ქ. ნოვიე ვოდოპადიდან უმცროსი ძმის ილიას შესახებ, უფროს ძმას გრიგოლ ორბელიანს წერდა: „ერთი მოთხარ გრიგოლ, რას უწევს ჩვენს ილიას, ხომ რჩება უსწავლელი. რა ვქნა, მწუხარებით აღარ ვარ მაგისტრის. ამ ერთ ორის კვირის შემდეგ წავალ ხარკოვს და შევიტყობ კარგად. აქ ბეკერ აბის სასწავლებლები, ეგებ ის აქ როგორმე მივცეთ“²³.

გიმნაზიის გარეშე დარჩენილ ილია ორბელიანს ეხება ძმის, ზაქარიას მიერ 1831 წლის 14 აგვისტოს ქ. ლიდადან გრიგოლ ორბელიანსადმი გაგზავნილი ბარათი შემდეგი ადგილი: „Что теперь делает брат Илья и чем он занимается?“²⁴.

ილია ორბელიანის სხვა ქალაქში სასწავლებლად გაგზავნა საქირო აღარ გახდა. იმავე წლის შემოდგომაზე ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მელიქიშვილი, ალექსანდრე მონასტრისკი და ილია ორბელიანი გიმნაზიის მესამე კლასში აღუდგენიან.

1831 წლის 5 ნოემბრის გიმნაზიაში აღდგე-

22 ი. მეუნარგია, „ქრათველი მწერლები“, 1954 წ. ტ. I, გვ. 176.

23. ცსა ფ. 2 № 2115.

24. იგივე წყარო.

ნილი გამოცდებანაბარები, გახარებული ილია ორბელიანი თბილისიდან ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „მე გამომცადეს და მადლობა ღმერთს, კარგად ვასუსებოდი, მე და ტატიკო გადაგიყვანეს მეოთხე კლასში“.²⁵

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჭკუდი რამდენიმე ხნით მიჩუმდა.

„აპის ენისა გისლი“

შეთქმულთ ამბოხების ვადად 1832 წლის 20 დეკემბერი ჰქონდათ დანიშნული, მაგრამ 1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულების მონაწილეთა ლაიხებები და დაბატონებები დაიწყო.

დღემდე გავრცელებული ყოველად მცდარი შეხედულება, თითქმის შეთქმულება ვასცა თვალაჩინო წერვამ, იასე იოსების ძე ფალანდიშვილმა.

ეს ასე არ არის.

არსებობს 1832 წლის შეთქმულების გამოძიებაში და მის გამო წარმოებულ საქმეებში ჩახედული, შემდეგში საქართველოს მთავარმართებლის, ნიკოლოზ მურავიოვ-ყარსკის ავტორიტეტული და ყოველმხრივ სანდო ცნობა შეთქმულების პირები და მებრძოლების შესახებ. რომელსაც, სამწუხაროდ, აქამდე არაფერ არ მიეცია ყურადღება.

ნიკოლოზ მურავიოვ-ყარსკი ამის თაობაზე თავის მეტად საყურადღებო დღიურებში მოგვითხრობს: „მთავარი გამცემი იყო ცნობილი ყორღანოვი“²⁶.

ნ. მურავიოვ-ყარსკი გულისხმობს განთქმულ პრივოკატორს, ზედმეტ სახელად „ვანკა კაინს“, ივანე იოსების ძე ყორღანოვს, რომელსაც ა. ს. გრიბოედოვი მთავარმართებელ პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილში „პაღლეს“ ეძახის²⁷.

გრიბოედოვმა ვლადიმერ ოროვი წერს: «Курганов Иван Осипович — адъютант Паскевича, известный казнокрад и согладатель. под кличкой «Ванка Каин»»²⁸.

პეტერბურგისავე მიმავალი გრიგოლ ორბელიანი 1831 წლის ოქტომბრის დამდეგს, ქალაქ ტარკოვში შეხვდა პეტერბურგიდან ცოლით მომავალ ივანე ყორღანოვს. გრიგოლ ორბელიანის დღიურში ვკითხულობთ:

„(1831 წ.) 19-სა (ოქტომბერსა) მოვედიო ქალქსა ტარკოვს... რომელიცა არს მცირედი და ნაებო ტუფლებითა. ამ ქალაქში შემხვდა ივანე ყორღანოვი თავის ცოლით. მომავალი პეტერბურგი“²⁹.

1832 წლის დეკემბრის დასაწყისში, შეთქმულ-

თა წრეში, ერთმა ამბავმა შიში და დაბნეულობა გამოიწვია. ს. დოდაშვილი აღმოგვცემს:

„აღ. ორბელიანმა სიტყვა: ბორჩალოს დისტანციაში დაუტყობათ თათარი, რომელიც ჩემ მიერ ალექსანდრე ბატონიშვილთან იყო გაგზავნილი, თუ ეს მართალია დაეიღუპეთ“³⁰.

ალექსანდრე ორბელიანის, ზაქარია ჩოლოყაშვილის, ვახტანგ ორბელიანის და სხვათა ჩვენებიდან ჩანს, რომ შეთქმულების ოფიციალურად გამოშვებებამდე, ბორჩალოს მაზრაში კიდევ სხვა ხმა გავრცელებული ხალხში, რომ საქართველოში ამბოხი მზადდება, რომ შეთქმულნი ბორჩალოელებს შეიარაღებენ და მათ აჯანყებაში მონაწილეება უნდა მიაღებინონ.³¹

ალექსანდრე ორბელიანს მაშინვე მოუხპია ს. დოდაშვილის მიერ დაწერილი პრივოკაცია, რომელიც მასთან ინახებოდა.³²

როდესაც ანტონ აფხაზს, სოლომონ დოდაშვილის სახლში, ალექსანდრე ორბელიანისთვის უთქვამს, რომ შეიძლება მათი ამბავი გამოცხადდეს და მაშინ ყველანი დაიღუპებიან, — ელიზბარ ერისთავს უპასუხნია: „თუნდაც რომ გამოცხადდეს არაფერია, ჩვენ წერილობითი არაფერი გვაქვს და ისე ყველანი უარს ვცდებით“.³³

ბორჩალოში გავრცელებული ხმები ხელი-სუფლებამდე რომ არ მისულიყო, არ შეიძლება.

მოაგვრობს დასახელებული ორი შეტყობინებით: ივანე ყორღანოვის დაბეჭდებით და ბორჩალოს მაზრაში დარჩეული ხმებით ალბათ ვერაფერს გამოარკვევდა და ამბოხებაც მოხდებოდა, 1832 წლის 8 დეკემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძე იასე ფალანდიშვილის მძასთან, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორთან რომ არ მისულიყო.

საქმე შემდგომი გახლდათ:

1832 წლის 8 დეკემბერს, ალექსანდრე ჭავჭავაძე შეთქმულთა დავალებით მივიდა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ, ნიკოლოზ ფალანდიშვილთან და მისი მიმხრობის მიზნით «ცალკე ითანში ჩაქეტილი ორი საათის განმავლობაში» ესაუბრა³⁴.

ამას საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა. ნიკოლოზ ფალანდიშვილმა, როგორც ჩანს, ყველაფერი აუწყა ხელისუფლებას, რაც ალექსანდრი

²⁹ გრ. ორბელიანი „თხზულებათა სრული კრებული“, 1959 წ. გვ. 213.

³⁰ გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ. ტ I, გვ. 98.

³¹ იგივე წყარო, გვ. 94.

³² იგივე წყარო, გვ. 8.

³³ იქვე.

³⁴ იგივე წყარო, გვ. 94.

იაკობ ბალახაშვილი

1832 წლის შემთხვევების ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯგუფში

25. ეურნ. „მნათობი“, 1938 წ. № 12.

26. Жур. «Русский Архив», 1894 г. книга I.

27. Жур. «Дела и Дни», 1921 г. № 2.

28. А. С. Грибоедов «Сочинения», 1953 г. стр. 740.

ჭავჭავაძისაგან შეიტყო და ალბათ ისიც, რომ ამ-
ბოხებაში გარეუღლია მისი ძმა, ისე და ურჩია
მოთვრობას დაეითხა იგი.

1832 წლის 9 დეკემბერს ისე ფალავანდო-
შვილი დაჰკითხეს. პროფესორი გ. გოზალი-
შვილი წერს:

ი. ფალავანდოშვილი „ამბობს, რომ შეთქმუ-
ლებაში იმთავიდანვე იმ მიზნით იღებდა მონა-
წილობას, რათა ყველაფერი დაწერილებით
შეეტყო და მერე მთავრობისათვის ეცნობებია,
მაგრამ ამას ვერ დაუჯერებთ, რადგან ყველანი
თუ არა, შეთქმულთა დიდი უმრავლესობა მაინც,
ამის მსგავსადმე აცხადებს; მით უმეტეს, რომ
ი. ფალავანდოშვილმა პირველ დღეს ვოლზოვს-
კის მეტად უმნიშვნელო ცნობები გადსცა, სა-
ხელდობრ მხოლოდ ანტონ აბაზის სახლში გა-
მართული ნაღმის ამბავი აცნობა“³⁵.

სად არის აქ გაცემა?

ნიკოლოზ ფალავანდოშვილმა ალექსანდრე
ჭავჭავაძისაგან იცოდა შეთქმულთა სხვა გვა-
რებიც. იმავე დღეს მონაწილეთაგან რამდენიმე
დაჰკითხეს და მათ პირველ ჩვენებაზევე ყვე-
ლაფერი აღიარეს.

ნიკოლოზ ფალავანდოშვილის ეს მოქმედება
აქვს მხედველობაში ალექსანდრე ორბელიანს,
როცა თავის მოგონებაში ორჯერ აღნიშნავს,
ნიკოლოზ ფალავანდოშვილმა დაგვლუბაო³⁶.

ამასვე იმეორებს პოეტი და დრამატურგი
გიორგი ერისთავი³⁷.

ალექსანდრე ორბელიანი იუწყება: „საბეზ-
ლარო დასტა ქალაღი შემდეგ ვერაინ ნახა
კომისიაში.... რადგან რუსეთის მთავრობა ცდი-
ლობდა.... ეჭვი არავის არ ჰქონოდა დაბეზლე-
ბისა და ამისათვის სხვას უცოდველს აბრა-
ლებდნენ“³⁸.

ასეთ „დამბეზლებლად“ ცარიზმი შეთქმულ-
თაგან სხვადასხვა პირებს ასახელებდა.

1832 წლის უმთავრესი ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯგუფის 1833 წლის საპ- მინდობა

„ავის ენისა გესლით“ გახსნილმა შეთქმულე-
ბის კრახმა ოდნავდაც ვერ შეაშინა ნიკოლოზ
ბარათაშვილი და ის თავის ჭკუთფან ერთოდ
უფრო აგრესულ იერიშზე გადასულა.

მისი უშუალო თანახელმძღვანელობით 1833
წლის დასაწყისში გამოცემულა ხელნაწერი აღ-
მანახი, რომელშიაც შეტანილ იქნა პატიმრობა-

35 გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულე-
ბა“, 1935 წ. ტ. I, გვ. 93.

36. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინ-
სტიტუტის S კოლექციის ხელნაწერები:
№ 1659, № 1656.

37. ქურონ. „მნათობი“, 1932 წ. № 4—5.

38. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმუ-
ლება“, 1935 წ. ტ. I, გვ. 127.

ში მყოფი, სასჯელის მომლოდინე, კანონგარე-
შე გამოცხადებული უფროსი თაობის წარმომადგენ-
ელ მადველნების: გრიგოლ ორბელიანის, ალექსან-
დრე ორბელიანის, გიორგი ერისთავის ნაციო-
ნალურ-გამათავისუფლებელი იდეების მატა-
რებელი და საჩუქარში ზასიათის თხზულებანი
(კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტი-
ტუტის H კოლექციის ხელნაწერი № 2684).

ნიკოლოზ ბარათაშვილს გესლიანი სატირა
დაუწერია 1832 წლის შეთქმულების გამოძი-
ების მოთავე მთავარმართებელ ბარონ როზენ-
ზე. გიმნაზიის იფიანზე სამასხარო ნახატი შეუდ-
ლო როზენს, რომელშიაც მთავარმართებელი
აბუხად ჰყავდა აგდებული³⁹. ასევე განქი-
ქებული ლექსი დაუწერია შეთქმულების გამ-
ცემლებზე და მათ შორის გუბერნატორ ნიკო-
ლოზ ფალავანდოშვილზე.

ამ სატირულ ლექსებს კვლავ ფეხზე დაუყე-
ნებიათ ხელისუფლება. ნიკოლოზ ბარათა-
შვილი 1833 წლის პირველ თვეებში დაუპატიმ-
რებიათ. ბარათაშვილის თანამედროვე დ. გრი-
გორიევი გვიამბობს: „ნ ბარათაშვილი 1833[3]
წელს გახსრიკეს, ვერაფერი უპოვნეს, მას ეს
ამბავი წინეთ შეეტყო და თავის ლექსების ფიქ-
რიც აქვდა, რუსის მთავრობის, სულ დაეწო.
ნ. ბარათაშვილი ცოტა ხანს იჯდა, ორი კვირა,
მერე განათავისუფლეს“⁴⁰.

ბარათაშვილის თანაცალსელი გრ. გურიელი
უფრო დაწერილებით გადმოგვცემს ამ ამბავს:
„ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის
სკამზედ ვიჯექით. ნ. ბარათაშვილმა წინეთ შეი-
ტყო, რომ შენ გაგზირეკენო.

მას ბევრი ლექსები აქვდა რუსის მთავრო-
ბის წინააღმდეგ ნაწერი. იგი მაღე წავიდა სახ-
ლში, მეც თან წაიყვანა, ყველა ეს ნაწერები
ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა.

ის იყო, ეს დაიწო და გამხრეკიანიც მო-
ვიდნენ. სატირად გახსრიკეს ყველაფერი, მერე
ნ. ბარათაშვილს სხვადასხვა ლექსებს უჩვენებ-
დნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი და-
წერილიაო? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს
უთხნებოდა.

ჩხრეკა გათავდა და ნ. ბარათაშვილს უთხრეს,
რომ შენ დამატმირებულ ბარ, როგორც
სოლომონ დოდაშვილის მეგობარი. ნ. ბარათა-
შვილმა მიუგო, მე სოლომონ დოდაშვილის მე-
გობარი კი არა ვარ, არამედ მე ეიყავი მისი
მოწაფე და იგი მაკითხებდა რუსულ სახელმ-
ძღვანელო წიგნებსაო, ამას სხვებიც დაასაბუ-
თებნო.

მაღე წავიდნენ და ნ. ბარათაშვილიც თან
წაიყვანეს, ამის შესახებ სკოლაშიაც იყო გამო-

39. გ.ზ. „ივერია“, 1893 წ. № 79.

40. ნ. კიკნაძე „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათა-
შვილი“ 1919 წ. გვ. 13.

კითხვა. ორი კვირის შემდეგ, ნ. ბარათაშვილი გაანთავისუფლეს⁴¹.

შეკლევარმა მიხეილ კეკელიძემ ყურადღება მიაქცია ბარათაშვილის პირად ბარათში დაქარაგმებულ ერთ ცნობას, რომელიც მეტად საგულისხმოა აღნიშნული საკითხისათვის. მ. კეკელიძე წერს:

„ჩვენ გვაქვს თვით ნ. ბარათაშვილის ერთი ცნობა, რომელიც ყოველ ექვს გარეშე აღასტურებს 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით მისი დაპატიმრების ფაქტს.

1837 წელს ნ. ბარათაშვილმა გადასახლებაში მყოფ პოეტ-ბიძას გრ. ორბელიანს გაუგზავნა ლექსი: „ძია, ყაბახი, სამშობლო შენი“...

ამ ლექსთან დაკავშირებით ახალგაზრდა მგოსანი გრ. ორბელიანს სწერდა: — ეს ლექსები (იგულისხმება „ძია გრ.. ს“ და „ღამე ყაბახზედ“ — მ. კ.) დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ფოჩტას ვერ ვანდე კიდეც რა ვიცი როგორ მომხდარიყო, იქნება დაკარგულიყო და მერე: პ. „არაღინ იცის, რა გამოვა რისგან“.

ნ. ბარათაშვილის ამ წერილის აზრი ასეთია: იგი ლექსს თელის თავისი პოლიტიკური მრწამსის გამომხატველად, თანაგრძნობას უცხადებს მეფის მთავრობის მიერ დასჯილ გრ. ორბელიანს, შეთქმულთა გამცემს უწოდებს გესლიანსა და ბოროტ ადამიანს.

ამიტომ ლექსის გაგზავნისას პოეტს სიფრთხილე გამოუჩენია. პოეტი ამბობს, რომ ფოსტას „ვერ ვანდე კიდეც“ (ცხადია ჩანს, რომ ფოსტასთან დაკავშირებით მას რაღაც დიდი უსი-

მოვნება შეხვედრია წინათ. ეს უსიამოვნება 1832 წლის შეთქმულების გამო შეხვდა პოეტს).

„იქნება დაკარგულიყო და მერე: პ.“ სხვა არაფერია თუ არა შეფარვით თქმული: იქნება ფოსტაში ვინმეს გაეხსნა წერილი და ლექსი წაეკითხა, რასაც მოჰყვებოდა ავტორის (ნ. ბარათაშვილის) ხელახლა პ. [ატიმრობა].

აი სწორედ ამის გამო დავაგვიანე ლექსებისა და წერილების გამოგზავნაო, აცნობებს გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი⁴².

უნებურად ისმის კითხვა, თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი შეთქმულთა დავალებით ახალგაზრდობის ჯგუფს ამოქმედებდა, რატომ ის და მისი ამხანაგები შეთქმულების მრავალრიცხოვან ფოლიანტებში არსად არ იხსენიებიან?

იმიტომ, რომ საგამომცემლო კომისია მხოლოდ ფარული საზოგადოების ძირითადი ბირთვის საქმეს იკვლევდა.

რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილს და მისი ჯგუფის საქმიანობას, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ი. მეუნარგვას ცნობიდან ჩანს, ამაზე ქანდაკდრია, პოლიცია და პროკურატურა ყოფილა გაპიროვნებული.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი ჯგუფის საქმიანობის ამსახველი საბუთები 1832 წლის შეთქმულების მასალებში კი არა, ქანდაკდრის, პოლიციისა და პროკურატურის არქივებშია საძიებელი.

41 იგივე წყარო. გვ. 17.

42. ქურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954 წ. № 9.





ლევან მენაბდე

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქველი ქართული მწერლობა

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩვენი ეროვნული მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მან ქართულ პოეზიას შემატა კეთილხმოვნება და მხატვრული ელვარება, გაუმდიდრა იდეური შინაარსი და იგი ზოგადსაქოცებრიო სარბიელზე გაიყვანა.

ნ. ბარათაშვილის სულიერ ფორმირებაზე, მისი მხატვრული გემოვნების დახვეწასა და პოეტური კულტურის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ძველმა ქართულმა მწერლობამ, რომელიც მან ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიცნო მშობლებისა და ახლობლების წრეში.

მამამისი — მელიტონ ბარათაშვილი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი იყო, „ზედმიწვევით მცოდნე ქართული ლიტერატურისა“, „საუცხოო მოსაუბრე, მკვერმეტყველი, რომელმაც კარგად იცოდა გარდა ქართულისა, რუსული, სომხური, თათრული ენები“. დედა — ეფემია, — სათნო და აღვრისიანი, მაღალი სულიერი თვისებებით შემკული და კეთილგონიერი მანდილოსანი, — ძველი ქართული წიგნებით დიდად დაინტერესებული და გატაცებული იყო. სწორედ მან შესწავლა მომავალ პოეტს წერა-კითხვა, მან გააცნო მშობლიური მწერლობა, მანვე უნდობა შეიღწა ზნედაქიზნობა და სისპეტაკე.

ნ. ბარათაშვილმა ოჯახში გაიცნო და შეიყვარა ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები, ნათლად შეიგრძნო ისტორიული წარსულის სიდიადე და მშობლიური ენის ცხოველმყოფელობა; ადრევე გულმოდგინედ დაეწაფა მამისეულ ბიბლიოთეკას და ნიჭითა და შრომისმოყვარეობით ახლობელთა ყურადღება მიიპყრო.

პირველი სულიერი საზრდო ნ. ბარათაშვილმა მიიღო მამის ოჯახში, რომელიც იმდროინდელ მოღვაწეთა საყვარელ საკრებულოს წარმოადგენდა. იქ ხშირად იყვნენ ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ე. იოსელიანი და სხვ. იქ იკრიბებო-

და თბილისის რჩეული საზოგადოებრიობა, განათლებული ქართველობა, მსჯელობდნენ ქვეყნის წარსულსა და მომავალზე, ეროვნულ ენასა და მწერლობაზე. ასეთმა კულტურულმა გარემოებამ შთააგონა მომავალი მგოსანი, მოახდინა მასზე ცხოველმყოფელი გავლენა, ხელი შეუწყო მასში შემოქმედებითი აზრის გაღვიძებას. ერთობ დიდი გავლენა მოხდინა მასზე ბიძასთან — გ. ორბელიანთან სიახლოვემ, რომელიც შემდეგში სულიერ ნათესაობასა და შემოქმედებით ურთიერთობაში გადაიზარდა.

1827 წელს ნ. ბარათაშვილი მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. ამ სასწავლებელს გარკვეული მიზანდასახულობა ჰქონდა — რუსეთის მეფის ხელისუფლება იქ ამზადებდა კადრებს თავისი პოლიტიკის გასატარებლად. სწავლება წარმოებდა მექანიკურად, მთელი სიმიძმე გადატანილი იყო გაზეთებზე, მაგრამ იქ მოღვაწეობდნენ კეთილსინდისიერი და საფუძვლიანად მომზადებული მასწავლებლებიც, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მოაზროვნე, მაღალი ჰუმანური იდეების დაუცბრომელი მქადაგებელი ს. დოდაშვილი. მასწავლებელსა და მოსწავლეს ნ. ბარათაშვილს შორის კარგი ურთიერთობა და კეთილგანწყობილება სუფევდა. ს. დოდაშვილმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა მომავალი შემოქმედის ცხოვრებაში. ღრმად განსწავლულმა აღმზრდელმა თავის ნიჭიერ შეგირდს გაუღვივა ფილოსოფიური და პოლიტიკური ინტერესები, აუმაღლა ეროვნული გრძნობა და განუმტკიცა თანამემამულეთა სიყვარული, საფუძვლიანად გააცნო და სამუდამოდ შეაყვარა ძველი ქართული მწერლობა.

ს. დოდაშვილის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები, — ნ. ბარათაშვილი და მისი მეგობ-

რები (მ. თუმანიშვილი, ლ. მელიქიშვილი, ლ. ისარლიშვილი და სხვ.), გულდასმით ეცნობოდნენ ძველი ქართული წერილობითი კულტურის საყურადღებო ნიმუშებს. ლ. ისარლიშვილმა საინტერესო ცნობა შემოგვინახა. „ვეფხისტყაოსნით“ „ვეფხისტყაოსანს“, — იგონებდა იგი, — და ძველი ადგილები ზეპირად ვიცოდით. ვკითხულობდით აგრეთვე „ვისრამიანს“, ჩახრუხაძეს, ა. ქავჭავაძეს“.

ლ. ისარლიშვილის ცნობას ადასტურებს და ნათელს ჰფენს შესწავლა იმ ხელნაწერი ლიტერატურული მასალისა, რომელშიც გიმნაზიელთა სახელით მოაღწია ჩვენამდე. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ის ალმანახი, — ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებათა ანთოლოგია (H № 2684) — რომელიც გიმნაზიელებმა 1833 წელს შეადგინეს. მასში შესულია ლექსები XIX საუკუნის უკვე ცნობილი თუ დამწყები მწერლებისა (გ. ორბელიანი, ე. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, დ. მაჩაბელი და სხვ.). საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“. მოსწავლეთა ხელნაწერი კრებულში რუსთაველის სტროფების შეტანა უცოლობლად მოწმობს ს. დოდაშვილის აღზრდილების გატაცებას „ვეფხისტყაოსნით“. რუსთაველის სტროფების ანთოლოგიაში შეტანის ერთ-ერთი ინიციატორი ნ. ბარათაშვილი უნდა იყოს.

კიდევ უფრო საინტერესოა ხელნაწერი ჟურნალი «Цветок Тифлисской гимназии» (1835-1836 წწ.), რომლის მოღწეული ეგზემპლარებიც მ. თუმანიშვილის არქივში ინახება. ერთ-ერთი ჟურნალში (№ 2) მოთავსებულია „ვისრამიანის“ რუსული თარგმანის ნაწყვეტი, ერთი ნაწყვეტი ყოფილა დაკარგულ ნომერშიც (№ 4). სარგის თმოველის ტექსტი რუსულად უთარგმნიათ ნ. ბარათაშვილმა და მ. თუმანიშვილს. მოღწეული ნაწყვეტი დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს და მთარგმნელის ლიტერატურულ გემოვნებას აცლენს. მას ხან მ. თუმანიშვილს აუთვნებენ, ხან — ნ. ბარათაშვილს. ზოგიერთი ნიშანი მართლაც ნ. ბარათაშვილის ასაარგებლად შეტყვევლებს, მაგრამ ეს საკითხი ჟურნალის დაკარგული ნომრის აღმოჩენამდე შეიძლება კვლავ საკამათოდ დარჩეს. როგორც არ უნდა იყოს — ნ. ბარათაშვილისეული იქნება მოღწეული (№ 2) თუ დაკარგული (№ 4) დრამატული, ერთი ცხადია: ნ. ბარათაშვილი ჰაბუკობაშივე დაუინტერესებია კლასიკური ხანის ამ დიდებულ ძეგლს. არსებითად „ვისრამიანთანაა“ დაკავშირებული ნ. ბარათაშვილის პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ სარბიელზე.

გიმნაზიის დამთავრების (1835 წ.) შემდეგ ნ. ბარათაშვილმა სახელმწიფო-ბიუროკრატიულ აპარატში დაიწყო მუშაობა. მძიმე რეჟიმი და აუტანელი ატმოსფერო სულს უხუთავდა და

გულს უკლავდა ნიჭიერ შემოქმედს, მაგრამ განუმეორებელი პოეტური ტალანტის მქონე მოაზროვნე კვლავ ენერგიულად განაგრძობდა მოღვაწეობას ეროვნული სულიერი კულტურის გაცნობის, შესწავლის, ათვისებისა და განვითარების მიზნით.

ნ. ბარათაშვილმა შესანიშნავად განიცადა ძველი ქართული მწერლობის ცხოველყოფილი გავლენა; იგი ერთობ დავალებულია ძველი ქართული პოეზიით, კლასიკური თუ აღორძინების ხანის დიდებული ძეგლებით. ნ. ბარათაშვილმა ჯერონად აითვისა, გამოიყენა და გააღრმავა ძველი ქართული პოეტური კულტურა, განაახლა და განავითარა ეროვნული პოეზიის სახელოვანი ტრადიციები, ააშალა და ახალ საფეხურზე აიყვანა მშობლიური მწერლობა.

ნ. ბარათაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია გულისმომკვლელი მწუხარება და მიუსაფრბობის მწვავე შეგრძნება, სულიერი ობოლით გამოწვეული კმუწვა და განუშორებელი კაეშანი. თავისი სევდიანი განწყობილებით აღსავსე ლექსებით პოეტი ეხმარება ძველ ქართულ მწერლობას, რომლისთვის უცხო არ იყო ამქვეყნიური ცხოვრების გამოხ. როგორც ცნობილია, ბევრი წარმომადგენელი ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა თუ საეროთმხატვრული ლიტერატურისა ამხელდა წუთისოფლის ამაოებასა და გაუტანლობას, აფასებდა მის უტილიტარული თვალსაზრისით, ზოგჯერ მის მიუღებლობასაც კი ქადაგებდა. ასეთი დამოკიდებულება ცხოვრებათან რამდენადმე შელანქოლიერ-პესიმისტურ კოლორიტს აძლევდა ზოგიერთ ძველ ქართულ თხზულებას.

ნ. ბარათაშვილის პოეზია უშუალო კავშირშია ძველ ქართულ მწერლობასთან, მის ნაწერებში ზმირად იჩენს თავს აზრობრივ-შინაარსობრივი მსგავსება და სიტყვიერი თანხვედნილობა ძველი ქართული კალმის ოსტატების თხზულებებთან, მაგრამ, რასაკვირველია, აქ სრული იგივეობა არაა. ნ. ბარათაშვილის სევდა გამოწვეულია არა მხოლოდ პირადი ტრაგედიით, მიზნების განუზოტოციელებლობითა და ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობით, — თუმცა ყოველთვის ამან მნიშვნელოვანი კვალი დააჩინა მის სულიერ განწყობილებას, — არა მხოლოდ ქართლის ბედითა და უბედობით, არამედ წუთისოფლის, რაობის შეცნობის სურვილით; პოეტის მეცნიერულ-ფილოსოფიური თვალსაზრისით აინტერესებდა წუთისოფლის პრობლემა, ამქვეყნიური ცხოვრების ავკარგიანობის პრობლემა. თუ ბევრი ძველი მწერალი პესიმისტმა შეიპყრო და დაიმონა, თუ ბევრი ძველი მწერალი შეეძინა რელიგიაში პოულობდა და გამოიხალს საიქიო

ლევან მენაბდე

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული მწერლობა.

ცხოვრებაში ხელდავდა, ნ. ბარათაშვილმა — ზოგიერთი გამოჩენილი მოაზროვნის მსგავსად, თავი დააღწია სასოწარკვეთილებას ადამიანის გონებისადმი რწმენით („მერანი“), პესიმიზმის სამანები გადალახა და ოპტიმისტური გვირგვინი დაადგა თავის შემოქმედებას¹ უკვდავი ჰიმნი უძღვნა ადამიანის დანიშნულებასა და მოვალეობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე („ფიჭრის მტკვრის პირას“).

ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მწერალური, პეშმარტივად დიდებული ნიმუში პოეტური ხელოვნებისა — „მერანი“, რომელშიც თანამედროვეობის მწარე სინამდვილით გამოწვეული სევდა ერწყმის დაუცხრომელ სწრაფვას ნათელი მომავლისაკენ, პირადი გრძნობები ამაღლებული და გადაზრდილია ზოგადადამიანურ საკაცობრიო იდეალებში. მართალია, თავისი ღრმაიდეულობით, აზრის სიდიადით, მხატვრული ელვარებით „მერანი“ ახალი საფეხურია ქართული პოეტური კულტურის ისტორიაში, მაგრამ მისი კავშირი და ნათესაობა წინარე ხანის ქართულ მწერლობასთან უცილობელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ ნ. ბარათაშვილის „მერანი“ რამდენიმე ეხმარება ცალკეულ ადგილებს გ. ორბელიანის „სადღევარქლოში“, რომ „მერანის“ ავტორი ერთგვარად დავალებულია სახელოვანი ბიძისავე, მაგრამ უცილობელია, „მერანი“ უფრო მეტ ჯიშში-ურთიერთობაშია „ვეფხისტყაოსანთან“. მათ შორის ნათლად შეინიშნება თემატური, იდეური და მხატვრულ-მუსიკალური ნათესაობა.

ნ. ბარათაშვილი მოხიბლულია რუსთაველის გმირების შინაგანი სამყაროთი, შთაგონებულია სახელოვანი წინაპრის ზოგადსაკაცობრიო იდეებით, აღფრთოვანებულია მისი მხატვრული სახეებით, დავალებულია პოემის სიტყვიერ-ლექსიკური მასალით (ი. მეუნარგია, ს. ჩიქოვანი, პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე).

საფიქრებელია, თვით მერანიც ვეფხისტყაოსნიდან მოდიოდეს. ძველ ქართულ პოეზიაში მერანი პირველად რუსთაველის პოემაში იხსენიება:

ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ელად (96, 3).

ანაზღად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-
გამქუშავია,
ზედა ჯდა შავსა ტაიქსა, — მერანი რამე
შავია... (204, 1-2)

თავისდათავად არც ისაა ინტერესმოკლებული, მერანი „ვეფხისტყაოსანში“ რომ გვხვდება,

¹ კ. კეიკელიძე ნ. ბარათაშვილის სევდა, საქ., სსრ მეცნიერებათა აკადემიის სმგ მოამკე 1963, 153-164.

მაგრამ ეს არაა მთავარი. ყურადსაღები და საგულესმო ისაა, რომ პოემის მთავარი გმირი, — მიჯნურობის სნებით შეპყრობილი ტარიელი, — მერანით გვევლინება პირველად, იგი მერანს დაქტოვებს უცილებელი საშაყროში და ამ ქროლში პოულობს ეპიზოდურ სიმშვიდეს. მერანმა გაუჩინარა ტარიელი: „გვანდა ქვეს-
კნელს ჩაძრომდისა, ანუ ზეცად ანაფრენსა; ეძებდეს და ვერ პოვებდეს კვალსა მისგან წა-
ნარბენსა“ (97, 3-4). უცხო მოყმის ანაზღუელ-
მა გაუჩინარებამ ყველა გააოცა: „კვლი ძებ-
ნეს და უკვირდა ვერ-პოვნა ნაკვალევსა (98, 1). მკითხველს არ შეიძლება არ მოავანდეს ნ. ბარათაშვილის სიტყვები: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანს“. აქ მსგავსება უცი-
ლობელია: ტარიელსა და ნ. ბარათაშვილს ერთ-
ნაირი მერანი ჰყავთ, მერანი, რომელსაც შეუძ-
ლია მხედრის გატაცება, სწრაფად გაქროლება, უგზო-უკვლოდ გაფრენა, ანაზღუელად გაუჩინარება. შოთა რუსთაველის შემდგომ ნ. ბარათაშვილამდე მერანზე ქროლვა არც ერთ ქართულ პოეტს არ უცდია.

რასაკვირველია, მსგავსება „მერანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის მხოლოდ გარვეწლი ნიშნებით არ ამოიწურება. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის სულიერი ნათესაობა, რომელიც შეინიშნება „მერანის“ ლირიკულ გმირსა და ველად გაპრილ ავთანდილს შორის. ორივეს ახასიათებს სულიერი მხნეობა და ხასიათის სიმტკიცე, ვეჯკაცური პირდაპირობა და რწმენის შეურყევლობა, მიზნის სინათლე და რომანტიკული განწყობილება. მეგობრის უბედობით გულდასერილი ავთანდილი მოვალეობის შეგნებამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ თავგანწირულებამდე მიიყვანა:

თუ მაწუთრომან დამამხოს, ყოველთა
დამამხოზელმან,
ლარბი მოკვედვ ღარიბად, ვერ დამიტროს
მშობელმან,
ველარ შემსუღრონ დაზრდილთა და ვერცა
მისანდობელმან... (802)

მეგობრის, მომის, მოყვასის მდგომარეობით აღელვებული, პირადი ტრაგიკული ცხოვრებით აღშფოთებული, ბედნიადმი დაუმორჩილებელი ნ. ბარათაშვილი სულიერ კავშირშია ავთანდილთან და მის მსგავსად მსჯელობს — ამაყად, გაბედულად, შინაგანი ღირსების შეგნებით, ბედთან შეძლების დიდი სურვილითა და ვაჟკაცური შემართებით:

ნუ დავიპარხო ჩემსა მამულში, ჩემთა
წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულსა, ნულა
დამეცეს ცრემლი მწუხარის.

ორივე გმირი მზადაა მომპიათვის თავდასა-
ღებად, ორივე გარკვეული მიზნისკენ მიიღებს,
ორივეს კაცთმოყვარეობა და სულიერი სიწმინ-

დე ახასიათებს. მათი მსგავსი განწყობილება არა ერთგზის იჩენს თავს. მოვიგონოთ, მაგალითად,

რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსლვა
ეამებოდის,
მას ამგავსებდის, ილხენდის, უქვრეტდის,
ეუბნებოდის (838, 3-4)

და მულაზანზარისკენ მიმავალი ავთანდილის საუბარი მნათობებთან. საკმარისია წავეითხოთ ნ. ბარათაშვილის სიტყვები:

საც დამიღამდეს, იქ გამოთენდეს, იქ იყოს
ჩემი მიწა-სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა,
ვამცნო გულია მე საიდუმლო!

რომ ნათელი გახდეს მეგობართათვის თავგანწირული რაინდების შინაგანი სამყაროს მსგავსება. „ვეფხისტყაოსნის“ „გმირთა ზნეუფიზმობამ და სიმტკიცემ, ჰატრფოსა და მეგობრის უსაზღვრო სიყვარულმა შთააგონა ნ. ბარათაშვილი. ნესტანის გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა დიდმა გრძნობამ, მისმა გულისმომკვლელმა გოდება, „შენთვის მოვეკდები, ვავხდები ყოვანთა დასაყვირად“ (1308, 3), ძალა შემატა ნ. ბარათაშვილს, რომელმაც რაინდული სიამაყითა და შეუდრეკელი სიმტკიცით წარმოსთქვა:

შავი ყორანი გამიბთხის საფლავს მდელითა
შორის ტილის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შეთენილთა ზეგრით,
ღრიალით, მიწას მაშაყრის!

დამოწმებულ ადგილებში განცდათა სრული იდენტურობაა. ბედითა და მდგომარეობით შეწყუბებული გმირები არად მიიჩნევენ სიყვდილს, ამარცხებენ მას და ვაჟკაცურად ხედებიან ყოველგვარ განსაცდელს.

რამ შემატა ძალა ამ გმირებს, რამ განუმტკიცა რწმენა მომავლისადმი, რამ აამაღლა და განადიდა? საკუთარი ზნეობრივი მოვალეობის შეგნებამ, მეგობრულმა გრძნობამ. ავთანდილს კეთილშობილური ზრახვა და ნათელი მიზანი ამოქმედებდა, იგი განსაცდელს არ გაუბრბოდა, ყოველგვარ გაჭირვებას წარბაშეხრელად იტანდა, მეგობრისათვის თავის ძალას და ენერგიას არ იშურებდა. მას საესებით ჩამოყალიბებული ადამიანურ-მორალური მრწამსი ჰქონდა; არად მიიჩნდა მეგობრისთვის თავგანწირვა, რადგან ღრმად სწამდა, რომ „ჩამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირს არ დაშრიდალ“ (703, 1), რომ „კაცი ბრძენი ვერ დაშრიდას მოყვარესა მოყვარულსა“ (789, 2). საესებით ანალოგიურად ნ. ბარათაშვილსაც ღრმად სწამდა მეგობრობის სიდიადე და ძალმოხლეობა; ისიც დღენიადავ თავის თანამომხმეებზე ფიქრობდა, მათზე ზრუნავდა, მათ სასიკეთოდ იღწვოდა და ამაში ხელდავდა ცხოვრების მიზანს. დიდი შინაგანი რწმენის გამოხატულებაა ცნობილი სიტყვები:

ცუდად ზომ მიინც არ ჩაივლის ეს
განწირულის სულის კვეთებზე
და გზა უვალი, შეგან თელილი, მერაზო
ჩემო, მიინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე
გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის.
წინ გამოქვრივდეს!

რუსთველისა და ნ. ბარათაშვილის კავშირ-ურთიერთობა შეინიშნება როგორც იდეურ ჩანაფიქრსა და მხატვრულ სახეებში, ისე ლექსიკურ მასალაშიც. ნათქვამის საილუსტრაციო მოვითხროთ კიდევ ორიოდ მაგალითს. ნ. ბარათაშვილის სიტყვები: „მე შენი გული მეყოფის“ მკითხველს აგონებენ ფრაზა ქაჭეთის კედლებში გამოკეტილი ნესტანის წერილიდან: „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისა“ (1297). „ჩინარის“ ერთი ფრაზა: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაყოთაც და უსულთ შორის“ აზრობრივ-სიტყვიერად ემსგავსება რუსთველის ცნობილ სიტყვებს: „რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსაყო...“ (879, 1). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ბარათაშვილმა მაიყო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში (1845 წ.) ზეპირად დაიმოწმა რუსთველის ცნობილი ტაეტი: „რაკი ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს აღარც ჩირაღ!“

უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ბარათაშვილს თავისი მეგობრისათვის — ქეთევან ერისთავისათვის (1819-1907) უძღვნიდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელიც, ზოგი ცნობით, მისი გადაწერილი ყოფილა.

ყოველგვარ ზემოთქმულზე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ნ. ბარათაშვილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ კარგი მცოდნე და დამფასებელი, მის სიბრძნეს დაწვადებული და მისი იდეებით შთაგონებული შემოქმედი.

ნ. ბარათაშვილი საკმოდ კარგად იცნობდა ძველ ქართულ პოეზიას. მის ზოგიერთ ლექსს თვალნათლივ დაკრავს ჰომეროვადიული იერი. აქა-იქ შეინიშნება კლასიკური ხანის საზოგადოებრივი გამოძახილიც. უცილობლად იოანე შავთელის ცნობილი სიტყვები:

გვედრებ თქვენ სულად: ქებისა წილად
ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ,
უნდა იყოს წყარო ნ. ბარათაშვილის დიდებული ღალადისია, რომელშიც დუმილი ლოცვადა მიჩნეული:

მაშა დუმილიც მიმივალე შენდამი
ლოცვად!

„თამარიანის“ ხელნაწერებში გვხვდება ასეთი გამოთქვები: „შუქნი ჰკრთებიან, ეშუქმებიან“.

ლიპან მინაბაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული მწერლობა.



საფიქრებელია, ამით იყოს დავალებული ნ. ბარათაშვილის ცნობილი სიტყვები:

თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმებოდნენ.

ეს პარალელი, რომელიც არა ერთგზისაა შენიშნული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (პ. ინგოროსა, ა. გაწერელა, ა. ბარამიძე), ერთხელ კიდევ აღსატურებს ნ. ბარათაშვილის კავშირს კლასიკური ხანის ქართულ პოეზიასთან.

საგრძნობლადა დავალებული ნ. ბარათაშვილი აღორძინების ხანის ქართული პოეზიითაც.

მსგავსად აღორძინების ხანის გამოჩენილი პოეტებისა (თეიმურაზ პიოველი, არჩილი, ი. სააკაძე, დ. გურამიშვილი...) ნ. ბარათაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამუშავებას („ბედი ქარლისა“) და სახელგანთქმელ მამულიშვილთა ქებით, ქვეყნისთვის თავგანწირულ მოღვაწეთა განდიდებით, მათი სიდიადის წარმოჩენით ხელს უწყობდა ეროვნული გრძნობის გაღვივება-განმტკიცებას. ძველი ქართული პოეზიითაა დავალებული მისი სატრფიალო ლირიკაც. საკმარისია მოვიგონოთ მისი პიოველი ლექსი „ბულბული ვარდზედ“, რომელშიც მოცემულია ძველი თემატიკა ახალ აპექტში, ახალი ფილოსოფიური შინაარსი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. ბარათაშვილის იდეური კავშირი აღორძინების ხანის ქართულ პოეზიასთან. საგანგებოდ გამოვყოფთ ერთ მომენტს. როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილი აღმართის დანიშნულებას ამქვეყნიური ცხოვრების ფერხელში ჩაბმაში ხედავდა, მის მოქალაქეობრივ მოვალეობად სიფეფლე ზრუნვას მიიჩნევდა. მოვიგონოთ მისი სიტყვები:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან — შეილნი
სოფლისა,
უნდა კიდევა მივსდიოთ მას, გვესმას
მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა
იზრუნვას!

ნ. ბარათაშვილის ბრძნული გამოწვევები იდეურ-ინტელექტუალურ ნათესაობაშია ძველი ქართული მწერლების მეგობრურობასთან. აქ პირველ რიგში ვახტანგ VI ლექსი უნდა მოვიგონოთ, რადგან, როგორც ეს სწორადაა აღნიშნული ჰამენციერო ლიტერატურაში, ნ. ბარათაშვილი ვახტანგს „ესმაურება არა მარტო იდეური ნათესაობით, არამედ მხატვრული წარმოსახვის მთელი მატერიალური კომპლექსით, ლექსის საერთო შინაგანი ტონუსით, მელოდიკით, თათქმის ერთგვარი სიტყვიერი ინვენტარიტაიც კი“ (ა. ბარამიძე).

როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ

ვახტანგი პირადმა უბედურებამ სოფლის მკაცრი კრიტიკამდე მიიყვანა, მან მაინც არ უარყარს ქვეყანა და ხელი არ აიწია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. მან შეინარჩუნა სულიერი მშენობა, გონებრივი სიფხიზლე, ცხოვრებასთან შეკიდების უნარი და სრულიად მართებულად დააყენა, რომ აუცილებელია მოქალაქეობრივი ვალის მოხდა, საქვეყნო საქმეების მოგვარება. ფრიალ მრავალსმეტყველია მისი ლექსი, რომელშიც შთაავნა ნ. ბარათაშვილი:

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთისთა
მოივარდოს
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი
დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე
არგოს,
სახელის ხე საჩრდილოლად წყლისა პირსა
რამე დარგოს!

როგორც აღენიშნეთ, ნ. ბარათაშვილისა და აღორძინების ხანის ქართველი მწერლების ლექსებში ადგილი აქვს სიტყვიერ თანხედენილობას. მაგალითად, ნ. ბარათაშვილის „ერთა ნადირსა შვირი ლომი, ეყვითნე სპარსთა ივერთ მხედარნი“, „ბუნებრივად გვაკონებს არჩილის ფრზას: „ლომს ნადირზეც მომეშაი“; მისივე „სახელითა ქმნა სახელი“ უცვლელი გამეორებაა ვახტანგ VI ცნობილი სიტყვებისა სულხან-საბა ორბელიანზე; ნ. ბარათაშვილის მიერ გამოყენებული ეპითეთი მგოსნისა — ყარბი — ხშირად გვხვდება ბესიკის ლექსებში; ბესიკის გამოწვევამების ანარეკლი სხვაგანაც შეინიშნება. მაგალითად, ნ. ბარათაშვილის „მომილო ჩემნი ცნობანი“, „დაამქროლა ქარმან სასტიკმან“, „მთვარე, ნახად მოარე“ დავალებული უნდა იყოს ბესიკის სიტყვებისაგან: „მომილო ცნობა, არ ძალმიძს მკობა“, „დაგვებრნა ქარმან დაუწყნარმან“, „ღამე მთვარე, ქველმოარე“; ნ. ბარათაშვილის „არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“ გარკვეულ კავშირშია საიათნოვას ერთი ლექსის რეფრენთან: „რომელს დავაბრლო, რისაგან არის?“ ნ. ბარათაშვილის შეძახილი: „მოვედით, სველით მამუკალნი“ მოგვაგონებს თეიმურაზ I („მოდით მიჯნურნი, რომელთა ცრემლთა გდისთ ნაქადულები“, „მოდით სიბრძნისა ტრფილნი“) და ბესიკის („მოდით, მიჯნურნი, შემობრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს!“) შეძახილებს. ძველი ქართული მწერლობიდან უნდა ჰქონდეს აღებული ნ. ბარათაშვილის „ბულბულის ყეფა“ და მრავალი სხვა. თუ ყოველივე ზემოთქმულს იმასთან დავუმატებთ, რომ ნ. ბარათაშვილის „უსაყვარესი საზომი ანუ საღვთის გავარი, ე. წ. „ბეზიკური“ და „შავთელური“ ლექსებია“ და რომ მისი ლექსების ენა ერთობ ახლოსაა ძველ ქართულ ენასთან, მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება ნ. ბარათაშვილის კავშირი ძველ ქართულ მწერლობასთან.

მამუკა ორბელიანის რაქორტი

(საარქივო მასალებიდან)

1845 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი ქ. თელავში მახრის უფროსის თანაშემწედ დანიშნეს. ის იყო, გაეშალა კიდევ წასასვლელად, რომ უქანასენელ წამს შეეცალა გადაწყვეტილება და კახეთის ნაცვლად განჯას გაემგზავრა.

ბოგრაფები მის ასეთ ნაბიჯს მიაწერენ მამუკა ორბელიანს, რომელიც იმხანად განჯის მაზრის უფროსად მსახურობდა. მამუკა ორბელიანი მეგობრობდა დეკარისტებთან, გატაცებული იყო პოეზიით, განსაკუთრებით უყვარდა პუშკინი, იყო მეტად განათლებული პიროვნება, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა დავრწმუნებინა პოეტი, თანაშემწედ წაჰყოლოდა. მაგრამ, ერთობა არც ერთს არ ჰქონდა წარმოდგენილი, რა მავნე და არაქანასელი იყო განჯის პავა.

მრავალი თანამდებობის პირი იტანებოდა სახარკი მალარიით, ამ მხარეში რომ მძევნებოდა. შემონახულია მიიორ დობრეანსკის წერილი, გამოგზავნილი განჯიდან თბილისს 1846 წლის ოთხ სექტემბერს: „ჩემი ავადმყოფობის გამო მე დაევაღლე ელიზავეტოპოლსკის მაზრის პოპიტიელს ზნამეროვსკის შეუდგეს ელიზავეტოპოლსკის მაზრის მართვას, რადგან გოროდნიჩიმ, მაიორმა გავრონსკიმ, რომელიც აგრეთვე ავადმყოფობს, მომმართა თხოვნით, გაეთავისუფლო 28 დღით, რათა საშუალება მიეცეს თბილისში მინერალური წყლებით მკურნალობისა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯას ჩავიდა 1845 წლის ივლისში, სწორედ იმ დროს, როცა მაღარი პუსტის ავლებდა დიდსა თუ პატარას.

პეტეს მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა. მამუკა ორბელიანი ზშირად არ იყო განჯაში და მაზრის მართვა ფაქტიურად მას უხდებოდა. ბოლოს, ვეღარ გაუძლო იქაურ მძიმე პირობებს და მალარიით დაავადდა.

სექტემბრის მიწურულს მამუკა ორბელიანი თხოვნით მიმართა გუბერნატორს, რომელმაც, თავის მხრივ, ეს თხოვნა თავად ვორონცოვს გადაუგზავნა შუამდგომლობით:

„უფალ კავკასიის მეფისნაცვალს:

ელიზავეტოპოლსკის მაზრის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა თავადმა ორბელიანმა მომმართა თხოვნით, სადაც განმარტავს, რომ სურდა რა აღესრულებინა უფროსების ნება, 1844 წ. დეკემბერში დათანხმდა გამწესებულიყო ელიზავეტოპოლსკის მაზრის უფროსის თანამდებობაზე არა უმეტეს ორი-სამი თვისა, მაგრამ მოყოლე-

ბული იქიდან, დღემდე იმავე თანამდებობაზე იმყოფება. ამ გარემოებამ თავადი ორბელიანი თანდათანობით დიდ ვალებში ჩააგდო და არახელსაყრელი პირობები შეუქმნა ძმების საზიარო მამულის მოვლა-პატრონობის საქმეში. მაგრამ, გულმოდგინედ ეკიდებოდა რა სამსახურებრივ მოვალეობას, არ სურდა მიეტოვებინა თანამდებობა სხვა, უფრო საფუძვლიანი მიზეზის უქონლობის გამო.

ამჟამად, რაკი მოშორებულია თავის მამულს, სადაც საქმეები მეტად აეწეწა და დაეხლართა, თავადი ორბელიანი ითხოვს გაათავისუფლოთ ელიზავეტოპოლსკის მაზრის უფროსის თანამდებობიდან ოჯახური პირობების გამო და მის ადგილზე დანიშნოთ სხვა ჩინოვნიკი.

გირდგენთ რა აღნიშნულს განსასჯელად. მაქვს პატივი გამოვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას ნებართვა პოდპოლკოვნიკ თავად ორბელიანის გათავისუფლებაზე ელიზავეტოპოლსკის მაზრის უფროსის თანამდებობიდან, თანახმად მისი თხოვნისა.

გენერალ-მაიორი ჟერბეცოვი“

1845 წლის 25 სექტემბერი. № 15.

ვორონცოვის რეზოლუცია:

„გაიციე განკარგულება გათავისუფლების შესახებ.“

გენერალმა ჟერბეცოვმა აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნად რეკომენდაცია მისცა პოდპოლკოვნიკ მალაიოვს.

ეტყობა, მამუკა ორბელიანმა ამგვარი თხოვნით მიიტოვა მიმართა უფროსებს, რომ სურდა გადერჩინა თავისი მეგობარი, ჩამოეყვანა თბილისში და აღმოეჩინა მისთვის საექიმო დახმარება, მაგრამ ბარათაშვილის მდგომარეობა უკვე იმდენად მძიმე იყო, რომ იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ასეთ შორ მოგზაურობაზე. მკურნალობასა და მოვლა-პატრონობას მოკლებული პოეტი 1845 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა.

როგორც მეფისნაცვლის კანცელარიის იმავე „საქმიდან“ ჩანს, მამუკა ორბელიანი კვლავ დაბრუნებულია თავის თანამდებობაზე 1846 წლის 23 თებერვალს, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მიზეზი, რისთვისაც მან გათავისუფლება ითხოვა, ნაკარნახევი იყო მხოლოდ სურვილით — ყოველი ღონისძიებითა და საშუალებით დახმარებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს.

ალექსანდრე გვახარი

ალიშერ ნავოის უცნობი ქართული თარგმანი

(დაბადებიდან 525 წლისათვის აღსანიშნავად)

დიდი უზბეკი პოეტი, განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის ალიშერ ნავოის სახელი ისევე ძვირფასია უზბეკებისათვის, როგორც ჩვენთვის—რუსთაველი, რუსებისათვის—ბუშეინი, იტალიელებისათვის—დანტე. ნავოიმ ჩაუყარა საფუძველი უზბეკურ მწერლობას, მანამდე გაბატონებული სამწერლო ენის — სპარსულის ნაცვლად ძველუზბეკური (ჩაღათური) შემოიღო, თეორიულად და პრაქტიკულად დაასაბუთა მისი ღირსება და შესაძლებლობა. ნავოის ეკუთვნის ლირიკულ ლექსთა ოთხი „დივანი“ (კრებული) სპარსულ და უზბეკურ ენაზე (ნავოი ორენოვანი პოეტი იყო) უზბეკური ეპოსის მშვენიერ „ხამსე“ (ხუთეული, ხუთი ვრცელი პოემა: „მართალთა შემფთხება“, „ლეილი და მაჯნუნი“, „ფარჰადი და შირინი“, „შვიდი მთიები“, „ისქანდარის ზღუდე), მრავალი პროზაული ტრაქტატი.

ალიშერ ნავოის სახელი ქართულ მწერლობაში XVII საუკუნიდანაა ცნობილი. ნოდარ ციციშვილი „შვიდი მთიების“ პროლოგში სხეუბთან ერთად ასახელებს ნავოისაც:

ნ ა ვ ი ს ე ს ე ა მ ბ ა ვ ი ჩაღათურისა ენითა
უთქვამს და მისებრ მელექსე სხვა ვინმცა
ვიაზრენითა...

ნოდარ ციციშვილის პოემის წყაროს საკითხი კერძოობით გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. მისივე სიტყვების საფუძველზე „შვიდი მთიების“ ცალკეულ ეპიზოდებს უკავშირებენ ძირითადად ნიზამისა და ნავოის ანალოგიურ ოხულებებს ბაჰრამ-გურის შესახებ. მართლაც, როგორც სიუჟეტური რკალის ძირითადი დე-

ტალი (ბარამისა და დელარამის შეხვედრის გადატანა შიგნითული არაყების შემდეგ), ისე მეორე და მესამე არაყი ძალზე ახლოს დგას ნავოის ტექსტთან, მაგრამ როგორც დანარჩენ ეპიზოდთა სხვაობა, ისე აღნიშნული ეპიზოდების ზოგი განსხვავებული დეტალი შესაძლებლობას გვაძლევს დღეს უცნობი, დამოუკიდებელი წყარო ვივარაუდოთ. ასეა თუ ისე, უშუალოდ თუ შუალობით, ქართველები საქმოდ აღრე გაეცნენ ალიშერ ნავოის შემოქმედებას.

ახლახან გაირკვა, რომ ნავოის ლექსად დაწერილი ერთი სპარსული არაყი ქართულად ყოფილა ნათარგმნი XIX საუკუნეში.

1828 წელს ალექსანდრე სულხანიშვილს გინე მე პირზე სადგეის შემწვობით შეუსწავლია სპარსული ენა და პროზით უთარგმნა XV ს. პოეტის ფანაჰის პოემა „ბახთიარ-ნამე“ (ერთი ჩარჩოთი შეკრული არაყების კრებული; არსებობს სპარსული, არაბული, თურქული როგორც პროზაული, ისე პოეტური ვერსიები. ქართულად პირველად ვახტანგ VI დროს ითარგმნა სპარსული პროზაული ხალხური ვერსია). დაცულია ამ თარგმანის ორი ნუსხა: ავტოგრაფი (ინახება საქ. სახ. ცენტრ. არქივში, ფონდი 1446, № 367) და მისი პირი, გადაღებული ს. ტაბიძის მიერ 1840 წელს პეტერბურგში (სსრკ მეცნ. აკად. აზიის ხალხთა ინსტ. ლენინგრ. განყ. ხელნ. E 58). ავტოგრაფული ნუსხა ბოლონაეულთა (აკლია „ბახთიარ-ნამეს“ უკანასკნელი არაყი და ფინალი). ს. ტაბიძეს ზუსტად გადაულია პირი, თუ არ ჩავთვლით თითო-ორი კალმისმიერ ლაფსუსებსა და ზოგი ფრაზის გამოთქვებს, აგრეთვე მცირე ორთოგრაფულ ცვლილებებს. „ბახთიარ-ნამეს“ ტექსტი აქ

სრულია (ე. ი. მას ხელთ ჰქონია სრული ავტორიზაცია). თარგმანი ზუსტია და თუ გავითვალისწინებთ, რომ დანახის პოემა მძლევს (XIII ს.) მდინეზე დეფექტური ხელნაწერით და თითქმის შეუსწავლელია, ცხადი გახდება ქართული თარგმანის მნიშვნელობის სპარსული ლიტერატურის ისტორიისათვის (ამ თარგმანს განიხილავენ თავის ნაშრომებში ალ. ბარამიძე, ტრ. რუხაძე, დ. კობიძე და სხვ.).

ლენინგრადულ ნუსხაში „ბახთიარ-ნამეს“ ტექსტს მოსდევს რამდენიმე სპარსული არაბის ქართული თარგმანი (პირველად ცნობა მათ შესახებ, ხელნაწერის აღწერისას, გამოაქვეყნა ტრ. რუხაძე): 1) შემოკლებითი მოთხრობა ამოთებასა ზედა ამა სოფლისას, გარდმოღებულ არს სპარსულთა ენიდან; 2) სიბრძნე სიცრუისა წიგნი, შემოკლებულად ნაწერი, კვალად სპარსულითგან ნათარგმნი (შეიცავს თერთმეტ არაბსა და სენტენციას); 3) თარგმანი სპარსულთა ლექსთაგან სადილზედ მიმსწრების დუპატივებლობაზედ.

ვინ თარგმნა ეს არაქები? ვფიქრობთ, ალექსანდრე სულხანაშვილმა, „ბახთიარ-ნამეს“ მთარგმნელმა. არაქები მეტად მჭიდროდ ერწყმინა „ბახთიარ-ნამეს“ ტექსტს. პირველი არაბის ბოლოს, ალბათ გადამწერის მიზეზით, შექანიერად მოხვედრილა მინაწერი: „დასრულდა ბახთიარ ნამეჲ, შემინდენ ღმერთმან“. არაქებს შორისა ჩართული თთარ ქობულაშვილის ლექსი: რომელიც აგრეთვე „ბახთიარ-ნამეს“ შეეხება, ჩანს, ს. ტაბიძეს ეს არაქები და „ბახთიარ-ნამეჲ“ საერთო წყაროდან გადმოუწერია. ორივე თარგმანი ერთი ენითა და სტილითაა გამართული. ორივეს ახასიათებს სპარსული სიტყვების ტექსტშივე, ფრჩხილებში განმარტება, ანდა შენიშვნების ვარსკვლავით აღნიშვნა და სქოლიოში ჩამოტანა.

ამრიგად, ა. სულხანაშვილს უთარგმნია როგორც დანახის პოემა, ისე, სავარჯიშოდ, რამდენიმე სპარსული არაქი.

რომელია წყარო ქართული თარგმანებისა? „ბახთიარ-ნამესგან“ განსხვავებით, აქ მთარგმნელი გამოყოფილდება ზოგადი მითითებით („სპარსულთგან ნათარგმნი“). ვითარებას ართულებს სპარსულ დიდაქტიკურ კნებულთა სიმრავლე. უძველესი მათგანი, მ. ოუფის (XIII ს.) კრებული ორი ათასზე მეტ არაბს შეიცავს. მომდევნო საუკუნეთა ანალოგიური თხზულებებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ალი საფის (XV ს.) კრებულმა „ლათიფთ-თ-თავაიდ“ („სხვადასხვა ჯურის ხალხთა არაქები). იგი შედგება თოთხმეტი კარისაგან, ყოველი მათგანი იყოფა კიდევ ქვეთავებად. არაქები და სენტენციები თემატურადაა დალაგებული (არაქები წმინდანთა, მეომართა, ბრძენთა, პოეტთა, ძუნწთა და ა. შ. შესახებ).

აი ამ კრებულში აღმოჩნდა არა მარტო ქართული არაქების უმრავლესობის სპარსული შესატყვისები (განსაკუთრებით საგულისხმო თაურის მქონე ციკლიდან: „სიბრძნე სიცრუის წიგნი“), არამედ მესამე, ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით სინტერესო არაბის „სადილზედ მიმსწრების დუპატივებლობაზედ“ ზუსტ წყარო. ამ არაბის ლექსითი რედაქცია ეკუთვნის ალიშერ ნავოის. ალი საფრის წიგნში მოთავსებულ პროზაულ არაბს ტექსტის გამოშვებულმა დაუთრო ნავოის ეს ლექსი და აღნიშნა მისი პოპულარობა, რის დადასტურებად ქართული თარგმანიც შეიძლება მივიჩნიოთ (წყაროს გარკვევის შემდეგ გასაგები ხდება მთარგმნელის შენიშვნა: „თარგმანი სპარსულთა ლექსთაგან“).

თარგმანი ზუსტია. მცირე სხვაობა შეიძლება აიხსნას ვარიანტული წაკითხვებითა და მთარგმნელის შეცდომებით. მაგ. თარგმანში: „შეიკერა ათასი ხელი ტანისამოსი და წარვიდა მოგზაურობად“. სპარსულში: „შინიდანაი ბარგა სამოგზაუროდ“. შეცდომა გამოწვეული უნდა იყოს „პაზარ—სახლი, შინაურობა“ და „პაზარ—ათასი“. სიტყვათა აღრევით. „რაბთ“ ნიშნავს ტანისამოსს, „რაბთ ბასთან“—აბარგებს. ასევე მცდარია თარგმანი: „სახლი იგი მზიარულებისა შურისა გამო მთა არის გულსა შინა, ქეივან ხელმწიფისა“. ორიგინალში ნათქვამია: „შენი ბალი და სასახლე შურის დალია თვით ქეივანის (პლანეტა სატურნი, ზუალი) გულზე“. თარგმანში ეს „ქეივან“ განმარტებულიც კი არის, როგორც მითითური ხელმწიფე. აქ, ცხადია, მთარგმნელს იგი „ქეივანდ“ (ძველი ირანული სამეფო დინასტია) მიუჩნევია. რაც შეეხება „მთას“, იგი „დალის“ თურქული გავებით უნდა მოდიოდეს, თუ აქ ვარიანტულ წაკითხვასთან არა გვაქვს საქმე (რაც, როგორც „ამჰადის“ ნაცვლად „მამად-მამჰადი“).

შედარებით მნიშვნელოვანია თარგმანში ზოგი დეტალის გამოტოვება (მაგ. მშვიერი არაბის მიერ ირბის დანახვა, რაზედაც ქვემოთ მაინც არის საუბარი), რაც გადამწერის ბრალი შეიძლება იყოს. ამავე დროს ქართულის მიხედვით სწორდება სპარსულში ბეითების განლაგება (მაგ. ჯერ უნდა იყოს შეკითხვა სახლის თაობაზე. შემდეგ კი აქლემის შესახებ). საერთოდ კი, როგორც ითქვა, თარგმანი ბეით-ბეით მისდევს ორიგინალს (გამოტოვებულია მხოლოდ ორი უქანასკნელი ბეითი, სადაც ავტორის ვინაობაა გამჟღავნებული).

არაქი ავსიტყვა არაბის შესახებ წარმოშობით

ალექსანდრე გვახარია
ნავოის უცნობი თარგმანი

არაბულია. მისი ერთ-ერთი ვარიანტი გამოქვეყნებულია გიორგი წერეთლის „არაბულ ქრესტოთაიში“ (1949, გვ. 32-33). ჩანს, შემდგომ იგი გავრცელდა მთელ აღმოსავლეთში. საკმაოდ სახეცვლილი მოხვდა იგი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიტყუის წიგნში“ („მეფე და ავსიტყვა“). ალიშერ ნავოის რედაქციის ზუსტი თარგმანი კი აღმოჩნდა ა. სულხანაშვილის მიერ ნათარგმნ კრებულში. როგორც ვხედავთ, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ტალღამ, საკმაოდ შესუსტებულმა და წყალდამშრალმა, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდეც მოაღწია (ამ დროსვე ითარგმნა „ყი-საიე ჰამასი“ ვერსიამ).

ქვემოთ ვაქვეყნებთ ნავოის არაკის ქართული თარგმანის ტექსტს (თანაედროვე ორთოგრაფიით).

თარგმანი სპარსულთა ლექსთაგან სადილზედ მომსწრების დაუპატიებლობაზედ

ერთი არაბი ჭაბაბს და შამსა ლაშქართა შინა ყოველთვის დადიოდა დაღარიბებულ ტანისამოსით. ქონების მოსაპოვებლად მოიხმარნა შემდგომნი ხელოვნებაი, შეიკერა ათასი ხელი ტანისამოსი და წარვიდა მოგზაურობად. რავდენსამე დროსა მიმოვლო, გარნა ვინადგან ვერა რაი ჰპოვა, უკუნ იქცა კვალადვე ძველსა თვისსა ადგილსა. ვიღოდა ესოდენსა ვრცელსა გზასა, ვიდრემდის მიახლოვდებოდა ერთსა დღესა მშობელსა მამულსა თვისსა. და ჩამოემშვივა. მოიხსნა გულაი და დასჭდა საჰმელად პურისა.

მაშინ ერთსა არაბსა მიედინა სუნი საჰმლისა. წაადგა თავზედ და მისცა სალამი. ჰკითხა ზემოხსენებულმა მან არაბმან მოსულსა მას: რაისათვის წარმოსდევ წინაშე ჩემსა? ხოლო მან მიუგო: მე ვარ მოსამსახურე სახლისა შენისა, ხელი და ფეხი ჩემი არს შენთვის. პრეტუ მას: სახლისა ჩემისა ამბავი არა უწყია რა? მიუგო პასუხად, რომელ, იცის. ჰკითხა: ვითარ არს ძე ჩემი მამად, რომლისა განშორებისა გამო შემეწყვიან ნაწლები ჩემნი? უპასუხა: წყალობითა ღმრთისათა არს იგი სიმშვენიერისა ბალი მხიარული და მოცინარი. ჰკითხა: ვითარ არს დედა მისი? უპასუხა: ასის წილობით უკეთეს არს მაჰმადზე. (ჰკითხა:) ვითარ არს სახლი ჩემი, რომელ მისთვის მწუხარება ჩემი მიწვენილ არს

ცამდინ. უპასუხა: სახლი იგი მხიარულმანისა შურისა გამო მთა არს გულსა შინა ქეივან ხელმწიფისა (ესე ქეივან ხელმწიფე იყო მშვენიერი ბელი ერთის ფრიად მშვენიერის ბროლის სასახლისა). ჰკითხა: საპაღის მზიდავი აქლემი ჩემი ვითარ არს? უპასუხა: ესრეთ მსუქან არს, რომელ გასწორებულ აქვს ზურგი კუხისა თანა, (ჰკითხა:) ვითარ არს, ძალდი სახლისა ჩემისა? უპასუხა: იგი არს სახლისა პკისა შენისა მიწი და დამცველი დღე და ღამე სახლისა შენისა.

ვინაიდან არაბმა შეიტყო სრულებით ამბავი სახლისა თვისისა, გულის დაწყნარებით დაუწყუ ჰამა საჰმელსა, ვიდრემდის სავსედ ექმნებოდა. ხოლო მოსულსა არაბსა არა რაიმე მისცა და მოჰკრა გულსა. მოსრულმან მან არაბმან ნახა რა ესე, რომელ იგი ნუგეშინის-ცემული იქმნა მისგან, და მას, ეგვრეთვე შემშუელსა, კეთილის მოუბნარეობისათვის არა უნდოდა... შემოკრა უფიცრათ თავში, იწყო ვეება და გაბრუნდა მსწრაფლიად.

რა ნახა ესე ვითარი ვეება პირველმან მან არაბმა, მოინდომა გულით ცნობა მიზეზისა მისის დრტვინისა. ჰკითხა მას: რისთვის ჰსწუხარ? უპასუხა: მისთვის, რომელ ძალდი სახლისა შენისა, რომელსაც არა წარუვიდოდა არცა ერთი ირემი, განვიდა ამიერ სოფლით. ჰკითხა: რისგან მოკვდა? უპასუხა, რომელ: მრავლებით ესევა სისხლი აქლემისა შენისა. (ჰკითხა:) მითხარ, ვაი მიწა თავსა ჩემსა, ვითარ დაინთქა სისხლი აქლემისა ჩემისა? უპასუხა: დაკლულ იქნა აქლემი სახლისა შენისა განთავისუფლებისათვის სნეულებისაგან ცოლისა შენისა. (ჰკითხა:) ვაიმე, ვითარ არს ცოლი ჩემი, ხომ არა განსრულ არს ამიერ სოფლით? უპასუხა: მოკვდა იგი თავის სახლისა გამო მრავალჯერ მიწაზედ სიკვდილისათვის ძისა შენისა მაჰმადისა. (ჰკითხა:) ვაი მე უბედურსა, რით მიიცივალა მაჰმადი? უპასუხა: სასახლე დაქტა თავზედ.

მსცნა რა ესე ყოველი უბედურება სახლისა თვისისა, არაბმა დაიყარა თავსა ზედა მიწი და იწყო გულჯა ტანისამოსისა და მსწრაფლად წარვიდა გზად და დაუტოვა პური და ხორციც, რომელიცა დარჩა მშვიტისა მას მოუბნარსა არაბსა. რა მიიღო მამდრად, მაშინ მისცა მადლობა ღმრთისა მონიჭებისათვის მოსწრებულისა მეტყველებისა.





სადრიდინ აინი

ჩვენი ქვეყანა ფართოდ აღნიშნავს გამოჩენილი ტაჯიკი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ტაჯიკური რეალისტური პროზის ფუძემდებლის სადრიდინ აინის დაბადების 90 წლისთავს.

სადრიდინ აინი დაიბადა 1878 წელს ბუხარის ოლქის ლიჯდუეანის მაზრის სოფ. სოქთარში. იგი თერთმეტი წლისა იყო, როცა მისი მშობლები ეპიდემიამ იმსხვერპლა. შემდეგ იგი ბუხარაში მიდის სასწავლებლად, მოგვიანებით მასწავლებლობს, ჟურნალისტობს. ნამდვილი ფართო სამწერლო ასპარეზი აინის მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გადაეშალა. საბჭოთა მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი მისი მრავალი მოთხრობა და რომანი („ოღინა“, „დოხუნ-და“, „მონები“, „მეფახშის სიკვდილი“ და სხვ.).

სადრიდინ აინი უფრო ცნობილია თავისი მოგონებების ციკლით — „ბუხარა“. ამ ციკლიდან მან მხოლოდ ოთხი წიგნის დაწერა მოასწრო. ოთხივე თარგმნილია ქართულად. პირველი ორი ქეთევან ნადირაძის მიერ, დანარჩენი ორი კი მაგალი თოდუამ თარგმნა.

„ბუხარაში“ ავტორი აგვიწერს გასული საუკუნის 80-იანი და მერმინდელი წლების ბუხარას, ისლამის ბნელეთის მოციქულთა პარპაშს, სასულიერო პირთა უმეცრებასა და გამომძალველობას, უბრალო მშრომელი ხალხის სიბნელესა და სიღარიბეს.

სადრიდინ აინი აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელსაც მრავალი გულწრფელი ლექსი უძღვნა.

ოქტომბრის რევოლუციის საღიდავად

პე, ჩირადდან სამართლისა და სიმართლისა,
საიდან მოხველ სასურველო, სვეტო ნათლისა.
გადააშორე შენ სამყაროს ბნელი, წკვარამი,
გზა გაგვინათე, მოგვიშუშე ძველი ვარამი.
ვინაც მრავალი დააწია მშრომელს სიავე, —
ცეცხლად მოედე, მათი ფერფლი გაანიავე.
ძველი ქვეყნისთვის შენ იყავი მეორედ მოსვლა,
შენ ხარ ის, ვინაც ტანჯულ მშრომელს ბორკილი მოხსნა.
ვინც ღმერთს ჰფიცავდა, ღმერთი ჭირში ვერ მიიშველა
და თავად გახდა მათხოვარი და ფეხშიშველა.
მსგავსი დიდება, ბრწყინვა, ძალა, შემობრუნება,
არსად გვინახავს ქვეყანაზე, არ გვეგულებს.
შენ გვასხვივოსნებ, უკვდავ შუქით გულებს იზიდავ,
ჩვენი სატრფო ხარ, მზით ხარ სავეს და მასიხთა.
მშრომელი ხალხი ათას ჩაგვრის იყო მნახველი,
შენ გადაჰყარე, ოქტომბერო, სანამ ნაღველი.
ამიერიდან ყველა ნატანჯ, მოყვარულ გულებს
შენ გაუძღვები, იერთგულებ და უერთგულებ.
სამყაროს გზებზე გააბიჯებ მძლე მეომარი
და სულ იქნები, სანამ თავად სამყარო არი.

საქართველო

პეტრე ლიპარიძე

ათენიდან მეხიკოში

ყოველთვის, როდესაც ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნებზე გადმოდგარი მენაღარენი მოუხმობენ ხოლმე შეჯიბრების მონაწილე გუნდებს, სტადიონზე ყველაზე წინ შემოდის საბერძნეთის სპორტული დელეგაცია, რომელსაც საინტერესო ასპარეზობის მომლოდინე მაყურებელი მხურვალე ოვატებით ეგებება. მაგრამ მაყურებელს აღაფრთოვანებს არა ბერძენ სპორტსმენთა მომავალი ვირტუოზობა (საბერძნეთის ოლიმპიური გუნდი, გარდა 1898 წლის ოლიმპიური თამაშებისა, არასოდეს გამოსულა სპარსი ადგილზე), არამედ ის დიდი ღვაწლი, რომელიც ჰომეროსის სამშობლომ დასდო არა მარტო ძველ, არამედ თანამედროვე მსოფლიოს სპორტულ კულტურასაც.

ძველი მსოფლიოს ასპარეზობათა ისტორიაში მრავალი დიდი შეჯიბრებაა ცნობილი; მათგან გამოირჩეოდნენ: ნემურის, პითიის, ისტმურის, დელფურის, კორინთურის, პანათენურის და სხვა თამაშობანი საბერძნეთში, ასწლიანი თამაშები, „ნერონები“, ნიკოპოლისი და კაპი-

ტოლური თამაშობანი რომის სახელმწიფოში, მაგრამ ოლიმპიური თამაშები, როგორც ძველი დროის ფილოსოფოსები აღნიშნავდნენ, ისე ნათობდა მათ შორის, როგორც მთელს ვარსკვლავებში.

293-ჯერ ჩატარდა იგი ძველ საბერძნეთში, ერთხელ — რომში, ხოლო განახლების შემდეგ, ე. ი. 1896 წლიდან, ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს მასპინძლობდნენ ათენი, პარიზი (ორჯერ), სენტ-ლუისი (აშშ), ლონდონი (ორჯერ), სტოკჰოლმი, ანტვერპენი, ამსტერდამი, ლოს-ანჯელესი, ბერლინი, ჰელსინკი, მელბურნი, რომი და ტოკიო.

მიმდინარე წელს ოლიმპიური თამაშობანი მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში ჩატარდება.

ამ იქცა ოლიმპიური თამაშები კაცობრიობის დიდ სპორტულ ზეიმად; ეს ყველაფერი კი დაიწყო იქიდან, რომ 2744 წლის წინათ, ე. ი. 776 წელს ჩვენს ერამდე, ორი მსახი და რამდენიმე ათეული მორბენალი შეიკრიბა...

ლამენდარული კელოპის საფლავთან

ოლიმპიური თამაშების წარმოშობა, ისე როგორც მრავალი დიდი საკაცობრიო მოვლენის ისტორია, ლამაზ ლეგენდებთანაა დაკავშირებული. ერთი იმათგან ოლიმპიურ თამაშებს გამარჯვებული სიყვარულის შედეგად წარმოგვიდგენს: ელიდის ქალაქ პისაში ცხოვრობდა მრისხანე მბრძანებელი ენომეოსი, რომელსაც ჰყავდა მზეთუნახავი ჰიპოდამა. ყოველდღე მოდიოდნენ სასიძოვები ჰიპოდამას ხელის სათხოვნე-

ლად, მაგრამ სასიძოვრო ყველას უარით ისტუმრებდა. „მბრძანებლო, შენი აღსასრული შენი ქალიშვილის გათხოვებისთანავე დადგება“, — უთქვამს მისთვის წინასწარმეტყველს. აბეზარა სასიძოვების თავიდან მოსაშორებლად ენომეოსი მათ იწვევდა შუბებით ორთაბრძოლაში და, როგორც შესანიშნავი შუბოშანი, ყოველთვის ჰგმირავდა ჰიპოდამას ხელის მაძიებლებს. მაგრამ აი, ელიდაში მოვიდა ზევსის

შვილიშვილი პელოპო, რომელმაც დაამარცხა საიმამრო და დაეუფლა მის ქალაქსა და ქალიშვილს. ამასთან დაკავშირებით წმინდა ოლიმპიაში პელოპოს მოუწყვათ ათლეტთა შეჯიბრებები, ხოლო მისი საყვდილის შემდეგ იქვე დაუწესებიათ ოლიმპიური თამაშები, რათა უკავადეყოთ პელოპონესის დიდი მბრძანებლის გამარჯვებები. ბერძნებს ეს ამბავი სრულ სიმაართლედ მიაჩნიათ, რის დასადასტურებლად ოლიმპიური სტადიონის ნანგრევებზე მისულ ტურისტებს მიუთითებენ ხუთუთხა ნაგებობის საძირკველზე, რომელიც უძველესი დროიდან პელოპოსის საფლავადაა მიჩნეული.

მეორე ლეგენდა მოგვითხრობს: ხედავდა რა ვანუწყებულ სისხლისღვრას ბერძნულ ტომებზე შორის, ელიდის მფლობელმა იფიტმა მიმართა ღმერთებს — ჩაეგონებინათ მისთვის მშვიდობის დასამყარებელი რამე ღონისძიების მოწყობა. „დააწესე დიდი საერო თამაშები, სადაც ათლეტთა თანაბარ კიდეში ყველა ბერძენი მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას“, — ჩააგონეს მას ქურუმებმა ღმერთების გადაწყვეტილება. იფიტმა დასდო მეგობრული ხელშეკრულება სპარტის მბრძანებელ ლიკურგთან და დასაბამი მისცა მშვიდობის განმამტკიცებელ ოლიმპიურ თამაშებს. იფიტსა და ლიკურგს თავიანთი ხელშეკრულების ტექსტი ამოუკვეთავთ ლითონის ბადროზე, რომელიც, ბერძენი ისტორიკოსის პუზანიუსის გადმოცემით, დიდხანს (მე-2 საუკუნემდე ჩვ. წ-ით) ინახებოდა ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიაზე აღმართულ ჰერას ტაძარში.

ეს ამბავი უფრო ახლოა სიმართლესთან. ოლიმპიური თამაშები სწორედ მერვე საუკუნეში (ჩვენს ერამდე), ლიკურგის მეფობის დროს დაიწყო სპეციალურად მოწყობილ სტადიონზე; სტადიონი კი მართლაც სანიმუშოდ იყო მოწყობილი და ამჟამად იდგება ათლეტთა ძირითად მოთხოვნებს. აი, როგორაა იგი აღწერილი ანტიური პერიოდის არქიტექტორის ვიტრუვიუსის ნახაზებში: ოლიმპიაში მთავარ ნაგებობას წარმოადგენდა ალტისი (მთავარი სამლოცველო), სადაც მოთავსებული იყო პელოპოსის საფლავი, ზევსისა და ჰერას ტაძრები, 70-მდე საკურთხეველი; ალტისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა თვით სტადიონი, რომელიც 32 მეტრის სიგრძის მიწისქვეშა გასასვლელით უკავშირდებოდა ალტისს; სწორედ ამ გასასვლელით შედიოდნენ მონაწილენი სტადიონზე. სტადიონის სიგრძე არ აღემატებოდა 214 მეტრს, სიგანე კი 29 მეტრს. სტადიონზე გავლებული იყო 20 სარბენი ბილიკი, აქვე იყო მოწყობილი

სახტომი სექტორი, საჭიდაო მოედანი და სხვ. მონაწილეებისა და დიდგვაროვანი მაყურებლებისათვის სტადიონზე სპეციალური ადგილი იყო გამოყოფილი, მაყურებელთა უმრავლესობა კი თავსდებოდა კრონოსის ბორცვზე, რომელიც სტადიონს გადმოჰყურებდა. ოლიმპიის ტერიტორიის დიდი ნაწილი ეკავა გიმნაზიას, სადაც ათლეტები შეჯიბრებაზე გამოსვლამდე ეარჯიშობდნენ. სტადიონს ჰქონდა სხვადასხვა დანიშნულების ოთახები: გასახდელი, ტანის დასახელო, აბაზანის მისაღები; გიმნაზიის ახლოს მოთავსებული იყო სასტუმრო სტუმარი ათლეტებისათვის.

რა თქმა უნდა, ნაგებობათა ეს რთული კომპლექსი იქნებოდა თანდათან, დროთა განმავლობაში; განსაკუთრებით ეს ითქმის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთა ქანდაკებებზე, რომლებიც ყოველი ოლიმპიადის შემდეგ ემატებოდა სტადიონს: გადმოცემით, უკანასკნელ ხანს (ე. ი. მე-4 საუკუნეში ახ. წ-ით) ოლიმპიურ სტადიონს გამარჯვებულ ათლეტთა სამათასამდე მარმარილოს ქანდაკება ამშვენებდა.

დებულების მიხედვით, ოლიმპიურ თამაშებზე დაიშვებოდა ყველა ბერძენი (გარდა მონებისა). მაგრამ თამაშებში მონაწილეს მსახთა კოლეგიისათვის უნდა წარედგინა დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ათი თვის განმავლობაში იგი სისტემატურად ეარჯიშებდა მშობლიურ ქალაქში, ამავე დროს, თამაშებამდე ერთი თვით ადრე იგი უნდა ჩასულიყო ოლიმპიურ გიმნაზიაში და მსაკების თვალწინ გაეცლია მომცდა. თავისთავად გასაგებია, მშრომელ აღმაინს არ შეეძლო მთელი თერთმეტი თვის განმავლობაში მიეტოვებინა მარჩენალი მიწა და მთლიანად ეარჯიშებოდა გადასულიყო. თამაშების „დემოკრატიული“ დებულება ისე იყო შედგენილი, რომ იგი ოლიმპიურ თამაშებს მხოლოდ გაბატონებული კლასების მონაპოვლიად ტოვებდა.

მაგრამ დროთა განმავლობაში ოლიმპიურ თამაშებზე ვხედავთ უკვე არა მარტო ბერძნებს, არამედ სხვა ერის წარმომადგენლებსაც. როგორც ჩანს, წმინდა ოლიმპიაში კავკასიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. 185 წელს 291-ე ოლიმპიურ თამაშებზე სომეხ ვარაზდატს კველა მოკრივე დაუძლეოდა და დაყენის გვირგვინი დაუმსახურებია; კოლხეთის ქალაქ ეაში ანტიური გიმნაზიისა და სხვა ფიზკულტურული ნაგებობების სიმრავლე კი იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების გრძნობა არც ქართველი ფალავნებისათვის იქნებოდა უცხო.

აშთანდილ ციხაძე

ათენიდან მიხიკომდე

ოლიმპიური თამაშების შთაბეჭდილებები მისი გახსნისაღმდეგ მიძღვნილი აღლუმებიდან იწყება; სააღლუმო მსვლელობის მთავარ შთაბეჭედავ სანახაობას კი მონაწილეთა ფორმა ქმნის. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დღეს ოლიმპიური გუნდის მომზადებასთან ერთად ამა თუ იმ ქვეყნის საზრუნავს წარმოადგენს კოზტა, ლამაზი და მორგებული ფორმის შექმნა, როგორც აღლუმზე მონაწილეობის, ისე უშუალოდ შეჯიბრებაზე გამოსვლისათვის.

სააღლუმო ცერემონიალი ასევე ძველბერძნულ ოლიმპიური თამაშების შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ მონაწილეთა ფორმებზე არაფრის თქმა არ შეიძლება; საქმე ის იყო, რომ ოლიმპიურ სტადიონზე სპეციალური ფორმით შესვლა შეეძლოთ მხოლოდ მსაჯებსა და მწვრთნელებს, მონაწილენი გამოდიოდნენ სრულიად შიშველნი; შეჯიბრებამდე ისინი ტანს იხელებდნენ პროვანსული ზეთით, შემდეგ კი ტანზე შეიფრქვევდნენ ნილოსის ნაპირებიდან ჩამოტანილ წმინდად გატრილ ქვოსა და ბრინჯაოს შიშველ ქანდაკებულად გამოცხადებოდნენ ხოლმე მაყურებლებს.

სტადიონზე შიშველ ათლეტთა გაბატონებამ საბერძნეთის კანონმდებლობას ერთი დამატებითი მუხლი შემატა: ქალს სასტიკად აეკრძალა სტადიონზე შესვლა; კანონის დამრღვევს ელოდა სასჯელის უმაღლესი ზომა — კლდეზე გადაჩეხვა. ისტორიამ შემოგვინახა ერთი ბერძენი დედის სახელი, რომელიც უკვდავი გახდა სწორედ ამ ზღუდრულად კანონის დარღვევით, ეს იყო კალიფატერია, ანდა, როგორც სხვა წყაროები იხსენიებენ, — პერენიკა. მისი ვაჟი ერთ-ერთ ოლიმპიადზე გამოდიოდა. „გამარჯვების ქაშს მე ჩემს ვაჟთან უნდა ვიყო!“ — მტკიცედ გადაწყვიტა მან და სტადიონზე შეპარვა განიზრახა. მოსიყვარულე დედამ იშვიათი მწვრთნელის მანქანა, გადიცვა და მწვრთნელთა შორის აღმოჩნდა. პერენიკას ვაჟი პირველი იყო ფინიშთან. სიხარულმა ბედნიერ დედას გადააფიქრა სიფრთხილე, იგი გადაახტა მწვრთნელთა ლოგის ბარბერს, ჩაეკონა გამარჯვებულ შვილს და... მოსძვრა მანქანა. „ქალი სტადიონზე!“ — ერთხმად აღმოხდა ორმოცათა მაყურებელს.

არავინ იცის, დასაჯეს თუ არა ჩემპიონის დედა; ცნობილია მხოლოდ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით საბერძნეთის მთავრობამ გამოსცა დამატებითი კანონი, რომლის თანახმადაც მწვრთნელებსაც ევალებოდათ შეჯიბრებაზე მოსვლა ახალი „ფორმით“ — სრულიად შიშველად, რათა შემდგომში მათი ფორმა ბოროტად არ გამოეყენებინათ სხვა სქესის წარმომადგენლებს.

ძნელია არ შეუნდო მშობელს, რომელიც შვილის გამარჯვების მოლოდინით ცხოვრობდა. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება ხომ რაღაც ზღაპრული დიდებით მთავდა „ზევისის რჩეულს“. ჯერ იყო და, მისი ქანდაკება იდგმებოდა წმინდა ოლიმპიაში ზევსის დიდებული ქანდაკების გვერდით; მეგრ კიდევ, მის თავს ამკობდნენ ევროტას ველზე ოქროს ხმლის მოქრილი დაფნის გვირგვინით; მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულს გაუნგრევდნენ ხოლმე გალავანს და იქიდან შეუშვებდნენ ამ ქალაქის დიდების მომტანს, მის სახეს ამოკვეთდნენ ხოლმე ფულზე, მასზე ითხზებოდა ლექსები და ჰიმნები, ერთი სიტყვით, თონი წლის განმავლობაში, ე. ი. მომდევნო ოლიმპიურ თამაშებამდე, მისი სახელი, როგორც იტყვიან, დუღდა და გადმოდიოდა. შემთხვევით არ შობილა ეს ამბავი: დიაგორე როდოსელის ორმა ვაჟმა გამარჯვებულთა დაფნის გვირგვინი დაიმსახურა. დაცილოდების ცერემონიალის შემდეგ შვილებმა მიირბინეს მამასთან, შეისვეს მხრებზე და ასე გამოიყვანეს სტადიონიდან. ამ დროს მაყურებელთაგან მას მიუახლოვდა ლაციონის მთებში აღზრდილი სპარტანელი და ლაციონურად უთხრა: „მოკედი, დიაგორე, რადგანაც ცაში ვეღარ ახვალ!“ ამ მკიდრო წინადადებაში ასეთი ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი: დიაგორემ მიადწია ამქვეყნიური სიხარულის საზღვარს, ამბზე მეტ სიხარულს მხოლოდ ცაში ასვლა მიანიჭებს ადამიანს, ეს კი მოკვდავთათვის შეუძლებელია. მოხდა საბედისწერო დამოხვევა: მოხუცის გულმა ვეღარ დაიტია მოზღვავებული სიხარული და გამარჯვებული შვილების მხრებზე დალია სულ.

ყოველივე ამის შემდეგ არც ის ფაქტი გააოცებს მკითხველს, რომ ყოველი ბერძნული ქალაქი და ცალკეული ათლეტი ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებისათვის არ ერიდებოდნენ ბრძოლის ისეთი დაუშვებელი და სამარცხვინო ხერხების გამოყენებასაც, როგორც იყო ერთი ქალაქის მიერ მეორე ქალაქის ათლეტის მოსყიდვა, სხვა ქალაქის სახელით გამოსვლა და მისთანანი. დაფნის გვირგვინის თავდაფიქრებულ მძებნელთა შორის ხშირი იყო წესების დარღვევის შემთხვევაც, განსაკუთრებით ეს ემართებოდათ მორბენლებს, სტარტის მიცემისას. ყალბი სტარტის განმეორების შემთხვევაში მორბენალს წამოაქცევდნენ და საჯაროდ როზგავდნენ.

განსაკუთრებით დაფსებული იყო გამარჯვებული ხუთკიდეში (რბენა, ხტომა სივრცეზე, შე-

ბისა და ბადრის ტყორცა, ქიდაობა); გამარჯ-
ვებულის გამოვლინების ქულობრივ სისტემას
მაშინდელი სამყარო არ იცნობდა; გამარჯვე-
ბულად ჩაითვლებოდა ათლეტი, რომელიც პი-
რველი იქნებოდა ხუთიდან სამ სახეში მაინც
(მაგრამ ამ სამ სახეში აუცილებლად უნდა ყო-
ფილიყო ქიდაობა). მეტად სამწუხაროა, რომ
წამშვომის არარებობის გამო დღევანდლობა
არ იცნობს ანტიური მორბენლების შედეგებს,
მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია სიგრძეზე მსტო-
მელთა ზოგიერთი შედეგი: იულოუს აფრიკელის
ცნობით, ერთ-ერთი ოლიმპიური თამაშების
დროს ბერძენ ეხიონს უჩვენებია 52 ბერძნული
ფუტი, რაც 16,66 მეტრს უდრის. აქ გადამწე-
რის ტექნიკურ შეცდომასთან როდი გვაქვს
საქმე, ამ ცნობას იმეორებს კიდევ რამდენიმე
ისტორიული წყაროც. იქნებ სამმაგი ხტომა
აისახა ამ შედეგით? მაგრამ ბერძნები საერთოდ
არ იცნობდნენ ხტომის ამ სახეობას. ფიქრო-
ბენ, რომ 16,66 მეტრი წარმოადგენს სამი, ან
უკიდურეს შემთხვევაში, ორი ნახტომის ჯამს.
როგორი ჩანს, ბერძნები პატებს სცემდნენ არა
შემთხვევით წარმატებას, არამედ სტაბილურ
შედეგს, ამიტომ იღებდნენ რამდენიმე ნახტო-
მის ჯამს. მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა
წეობები კრივის, პანკრატიონში (კრივისა
და ქიდაობის სინთეზი), ეტლოსანთა რბოლა
და ა. შ.

როგორი იყო ათლეტთა მომზადების დონე,
მათი წვრთნის მეთოდები? ბევრის თქმა შეუძ-
ლებელია, მაგრამ ზოგიერთი ფაქტი გარკვეულ
წარმოდგენას გვიქნის მათს შესახებ: რბენის
ხველაზე გრძელი მანძილი არ აღემატებოდა
4614 მეტრს; დღეს იგი საშუალო მანძილად
იწოდება და სასიკვდილო ხიფათი კარგად მომ-
ზადებულ მორბენალს არ ემუქრება, მაგრამ,
როგორც ჩანს, ანტიურ ხანაში ნაკლებად ურ-
კვეოდნენ საექიმო კონტროლის საკითხებში,
არ ეწეოდა ანგარიში რბენის ტემპისა და მან-
ძილის ზომის ურთიერთშეთანხმებას; ალბათ
ამის შედეგი იყო, რომ სპარტანელ ლადის

მკვდარი დაეცა ზედ ფინიშიან. არც პლინიუსი
ცნობა ლაპარაკობს ბერძნული სპორტული მე-
თოდისა და საექიმო კონტროლის სასარგებ-
ლოდ: მისი გადმოცემით, მორბენლის ყველა-
ზე დიდი მტერი იყო ელენთა, ორმელიც რბე-
ნისას საშინელ ტკივილებს იწვევდა. ბევრი ათ-
ლეტი სამკურნალო სასმელებს მიმართავდა, მაგ-
რამ გამარჯვების დიდების მორტავად ზო-
გიერთი ოლიმპიელი, იმავე პლინიუსის ცნო-
ბით, ქირურგიული ჩარევით იკეთავდა ამ ორ-
განოს, რათა შემდეგ აღარ შეწუხებულიყო
რბენის დროს.

ასე იყო თუ ისე, ბერძნული ოლიმპიური თა-
მაშები დიდ ზეიმად იქცა საბერძნეთში და გარ-
კვეულ როლს თამაშობდა ბერძენთა პოლიტი-
კურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრება-
ში. ალბათ ამის გამო იყო, რომ მასზე მიტანილი
იქნა იერიშები, პირველ რიგში, რომაელთა
მხრიდან; მათი სურვილი იყო, რომ დიდებული
სპორტული თავყრილობის რეზიდენციად ქცე-
ულიყო „მსოფლიოს მფლობელი“ რომი და არა
მისი მონარქიული საბერძნეთი. რომაელთა
სურვილს პირველად ფრთები შეასახა დიქტატო-
რმა სულამ. 80 წელს ჩვ. წ-მდე, 175-ე ოლიმ-
პიდა მან რომში გადაიტანა. მიუხედავად სუ-
ლას გულუხვობისა, რომაული ოლიმპიდა უდი-
დამოდ ჩატარდა და მომდევნო თამაშები კვლავ
საბერძნეთში იქნა გადმოტანილი; მაგრამ ოლიმ-
პიური თამაშები მაინც რომაელთა მსხვერპლი
გახდა: 394 წელს ჩვ. წ-ით რომის იმპერატო-
რის თეოდოსე პირველის ბრძანებით იგი აიკრ-
ძალა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ით-
ქვას, რომ ამ პერიოდისათვის ბერძენთა პოლი-
ტიკური და ეკონომიური ცხოვრების დაცემამ
იმდენად გააუფერულა ოლიმპიური თამაშები,
რომ იგი მაინც შეწყვეტდა თავის არსებობას.
რომაელი იმპერატორმა უბრალოდ დააჩქარა
ეს ისტორიულად გარდუვალი აქტი. რაც შეე-
ხება ოლიმპიურ სტადიონს, იგი დაცარიელდა
და შემდეგ პირწმინდად მოისრნა გერმანელ ბა-
რბაროსთა თავდასხმების შედეგად.

მეორედ დაბადება

ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა ჯერ
კიდევ მე-18 საუკუნეში ფიზიკური აღზრდის
გერმანელ მოღვაწეებს გუთს-მუთსსა და ფიტს
დაებადა; ამ იდეის განხორციელების სურვი-
ლი განსაკუთრებით გაღვივდა საბერძნეთში
განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს (1821-
1829). მდიდარმა ბერძენმა ე. ცაპასმა მთელი
თავისი ქონებაჲ კი შესწირა ოლიმპიური თამა-
შების განახლებისა და სპეციალური დარბაზის
აშენებისათვის. მაგრამ თამაშების აღდგენა გა-
სული საუკუნის ბოლომდე ვერ მოხერხდა.

1894 წლის 23 ივნისს ფრანგი პედაგოგის

პიერ-დუ-კუბერტენის ინიციატივით მოწვეულ
კონგრესზე გადაწყდა ოლიმპიური თამაშების
ჩატარება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. კონ-
გრესმა აირჩია ოლიმპიური კომიტეტი. „ჩემი
მეგობრები და მე, — ამბობდა პიერ-დუ-კუბერ-
ტენი, — ვანახლებდით რა ოლიმპიურ თამა-
შებს, იმისათვის როდი ვმუშაობდით, რომ
თქვენ იგი გადაგვეციათ სამუხუქმო იშვიათო-
ბად, ანდა კინომუშავთა ობიექტად, რათა მათ-

ამთანდოლო ციხეაძე

ათინიდან მიხიკომად

ში ეზეიმა კომერციულ და წინასაარჩევნო ინტერესებს. თანამედროვე მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია უღიღესი შესაძლებლობები და ამასთან სახიფათო სუსტი მხარეებიც, ოლიმპიური თამაშები შეიძლება იქცეს კეთილშობილი პრინციპებისა და მორალური სიწმინდის, აგრეთვე ფიზიკური ძალისა და სტედიური ენერგიის სკოლად“.

ასეთი სულიკვეთება მიეცა ოლიმპიურ თამაშებს თავიდანვე; პირველი თამაშები კი გაიმართა 1896 წელს, საბერძნეთის დედაქალაქში. ათენში აგებული იქნა საგანგებო სტადიონი, რომელიც ძველი ოლიმპიური სასაპარეზოს ასლს წარმოადგენდა. პირველი თამაშების პროგრამა სულ 8 სახეს შეიცავდა. პროგრამის მთავარ სახეს მართათნული რბენა წარმოადგენდა (42 კმ. 195 მ.). სარბენი ტრაქა სწორედ იმ ბილიკზე მიემართებოდა, რომელიც 490 წელს ჩვენს ერამდე დაფარა 22 წლის ბერძენი სარდლის მილტიადეს უცნობმა ჯარისკაცმა, რათა სენსაციური გამარჯვების ამბავი ეცნობებინა ათენში. გაიმარჯვა ბერძენმა ფოსტალიონმა სპირიდონ ლუისმა; იგი მთავრობამ დააჯილდოვა საბერძნეთის თავისუფალი მოქალაქის უფლებით ათი წლის განმავლობაში.

პირველ ოლიმპიურ თამაშებში სულ მონაწილეობდა 13 ქვეყნის 285 სპორტსმენი. ოქროს მედლების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზე ოლიმპიადის სამშობლო დარჩა, ამერიკის შეერთებული შტატები მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

მას შემდეგ საბერძნეთის ოლიმპიური გუნდის სისხარულის განცდა ყველა ოლიმპიური ქვეყნის, მისი ცალკეული ოლიმპიელის სანუკვარ სურვილად იქცა. ოლიმპიური ჩემპიონის მაღალ კვატებზე შებირების სწრაფვამ მსოფლიო სპორტის ისტორიას მრავალი ღირსეული სახელი შესძინა: ოციანი წლების მსოფლიო გააკა ფინელმა მორბენალმა პაავო ნურმიმ; მან 1920 წელს მე-7 ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო მე-8 თამაშებზე მშობლიურ ფინეთში 4 ოქროს მედალი ჩაიტანა. მე-10 ოლიმპიურ თამაშებზე 1932 წელს აფრიკელმა ზანგმა ტოლანმა დაამყარა ოლიმპიური რეკორდი 100 მეტრზე რბენაში (10,3), რომელიც ვერაინ მოხსნა 1960 წლამდე.

1936 წლის მე-11 ოლიმპიური თამაშები ზანგი სპორტსმენების თავისებურ ტრეუმფს წარმოადგენდა; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ თამაშებზე ათი ზანგი გამოგზავნა და ათივე მედალი მოიპოვა (6 — ოქრო, 2 — ვერცხლი, 2 — ბრინჯაო). მათს შორის სპორტული სამყარო ალაპარაკა ქვესი ოუენსმა. მან ოთხ სახეში (რბენა 100 მ. 200 მ, ხტომა სიგრძეზე, ამანათბენი 4×100) მოიხვეჭა ოლიმპიური ჩემპიონის სახელი. ამერიკაში ჩასულ ოუენსს დაფი-

თა და ნალარით შეხვდნენ სპორტული მომწიფების მესვეურები, მაგრამ აღიარებულმა ოლიმპიელმა მაშინ შესახა ამერიკას: „ამ ტკბილ სიტყვებს მირჩვენია სამსახური მისცეთ მოხუც მაჩაქმსა და ასიათასობით უმუშევარ ზანგს!“ სულამოხებული ოლიმპიელი შერისხულ იქნა და სპორტული ოსტატობის ზენიტში მყოფი ოუენსი გააძვეეს სპორტული ცხოვრებიდან. მე-11 ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულ მეორე ზანგს, სიმალღუზე მხტომელ კორნელიუს ჯონსონს სხვაგვარად უწია ცხოვრების ამერიკული წესის მსახვრალმა ხელმა. სპორტიდან ჩამოშორებულმა, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა ჯონსონმა მდინარე გუქონს მისცა თავი. მხოლოდ ერთმა გაზეთმა გამოიტრია იგი. „დაიღუპა კორნელიუს ჯონსონი, ბერლინის ოლიმპიადის გმირი. სიმალღუზე ხტომის ტექნიკა მან მშვენიერად გამოიყენა სიკვდილის წინ, იგი უშეცდომოდ გადაახტა სანაპირო ქუჩის ბარერს“. — მეორედ მარხავდა გაზეთი უბედურ ზანგს.

ოლიმპიური ჩემპიონები თავიდანვე მოექცნენ ცალკეულ საქმისათა ყურადღების ცენტრში. პირველ რიგში მათზე იერიში მიიტანეს კონსტრუქციებმა. 1924 წელს პარიზში ჩატარებულ მე-8 ოლიმპიურ თამაშებზე თავი გამოიჩინა ამერიკელმა მოცურავემ ჯონი ვეისმიულერმა. მშვენიერია აღნაგობის ახალგაზრდა მოხსნა პოლიგულის წინადადებათ, მიატოვა სპორტი და გახმარებული ტარზანის როლი განახორციელა. იგივე ბედი ეწია ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონს სონია ხენს, რომელმაც გულტარეკული სპორტსმენი გოგონას როლი შეასრულა „მზიური ველის სერენადაში“, ხოლო ამჟამად პარიზში სარეკლამო ზანეკენის როლში გამოდის; კინომუშაკთა შემოტევის ვერ გაუძლო ავსტრიელმა მოთხილამურებ ტონი ზაილერმა და ისიც კინოვარსკვლავის როლში მოგვევლინა.

ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც პირველ ხანებში კონსერვატული გულგრილობით იცავდა ძველი ოლიმპიური თამაშების პრინციპებს, ქალთა სქეის წარმომადგენლები მხოლოდ მე-2 თამაშებზე გარია მონაწილეთა რიცხვში, 1900 წელს, პარიზში, სტადიონზე მხოლოდ გოლფის მოთამაშე ქალები იხილა მაცურებელმა, 1904 წელს სენტ-ლუისში მხოლოდ მშვილდოსანი ქალები მონაწილეობდნენ, 1908 წელს ლონდონში მათ დამატა ჩოგბურთელი და ფიგურული სრიალის ოსტატი ქალები (სხვათაშორის, ლონდონში ზაფხულის სახეობთან ერთად ჩატარდა შეჯიბრება ფიგურულ სრიალში ხელოვნურ საციფურაოზე. ზამთრის ოლიმპიური თამაშები ცალკე დაიწყო მხოლოდ 1924 წლიდან. 1912 წელს სტოკჰოლმში, მე-4 ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ჩოგბურთელი და მოცურავე

ქალები მონაწილეობდნენ; რაც შეეხება მძლეოსან ქალებს, მათ მხოლოდ 1928 წელს, მე-9 ოლიმპიურ თამაშებზე მისცეს ძალთა გამოცდის უფლება.

მოყოლებული 1896 წლიდან ოლიმპიური თამაშების კოცონი დაენთო კიდევ თოთხმეტჯერ, თამაშები არ ჩატარებულა 1916, 1940 და 1944 წლებში მსოფლიო ომების გამო; გარდა პირველი თამაშებისა, ამერიკის შეერთებულმა

შტატებმა კიდევ ორჯერ განიცადა კრახი, ეს იყო 1908 წელს, როდესაც პირველ ადგილზე ინგლისელები აღმოჩნდნენ, და 1936 წელს, როდესაც ყველას გაუსწრო გერმანიის ოლიმპიურმა გუნდმა; დანარჩენ თამაშებში ამერიკის კონტინენტის ამ დღიდან ქვეყნის სპორტსმენებს ტოლი არ ჰყავდათ... 1952 წლამდე, როდესაც ოლიმპიური თამაშების საერთო ფერხულში საბჭოთა ქვეყანაც ჩაება.

„ახალი ოლიმპიური გიგანტი“

რუსეთის სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე პირველად 1908 წელს გამოჩნდნენ; ლონდონის მე-4 ოლიმპიადაზე მხოლოდ ხუთი ოლიმპიელი ჩავიდა. გარკვეული წარმატებით (ოქროს მედალი — მოციგურავე ნ. პანინს, ვერცხლის მედალი — მოკიდავეებს ა. პეტროვსა და ნ. ორლოვს) გათამაშებულმა მეფის მთავრობამ მომდევნო 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ნაკლები მომზადებული ოლიმპიური დელეგაცია (169 სპორტსმენი) გაგზავნა და მოსალოდნელი კრახიც განიცადა — 28 მონაწილე ქვეყნიდან მან მე-15-16 ადგილი გაიყო ავსტრია-უნგრეთთან ერთად.

მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ, 1952 წელს, საბჭოთა ქვეყანის წარგზავნილების გამოსვლით იგრძნო სპორტულმა მსოფლიომ, რომ ოლიმპიურ თამაშებს მოეწვინა ახალი ოლიმპიური გიგანტი, რომელმაც დამაჯერებლად შეაჩერა ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიელთა ტრიუმფალური მარში. მე-15 ოლიმპიურ თამაშებზე თანამედროვე მსოფლიოს ამ ორმა დიდმა ქვეყანამ ქალათა თანაბარი რაოდენობა მოავრცო. მაგრამ მომდევნო ორ ოლიმპიურ თამაშებზე ქულების მიხედვით წარმატებულმა ჰიდილმა თითქმის ინტერესი დაკარგა, რამდენადც საბჭოთა გუნდი საგრძნობლად დაწინაურდა და მოუწვდომელი აღმოჩნდა უახლოესი მეტოქისათვის. მელბურნის მე-16 ოლიმპიურ თამაშებზე 1956 წელს საბჭოთა გუნდმა ამერიკის სპორტულ დელეგაციას გაუსწრო 126,5 ქულით, ხოლო მე-17 ოლიმპიურ თამაშებზე რომში — 220,5 ქულით; მხოლოდ ტოკიოში მე-18 თამაშებზე გვესმოდა ზურგსუთან ფეხდაფეხ ადგენებული ამერიკის გუნდის სუნთქვა, რომელსაც 28 ქულით გავუსწარიტ. ჩვენ გულზე არ ვეხატებოდით ავსტრალიის პრესსს, მაგრამ იგი, კერძოდ, გაზეთი „არგუსი“ იძულებული იყო ელიარებინა: „რუსებმა ბოლო მოუღეს ამერიკელთა 60-წლიან ბატონობას ოლიმპიურ თამაშებზე“.

„ოლიმპიურ თამაშებზე მთავარია მედლების რაოდენობა და არა ქულებით“, — წამოგვიძახეს დასავლეთის გაწილებულმა ეურნალისტებმა. დათვალეს მედლებიც. აღმოჩნდა: ოთხივე

ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაგროვა 291 მედალი, სსრ კავშირის გუნდმა — 378 მედალი. დავას თითქმის ბოლო უნდა მოეღობოდა, მაგრამ მოდგე ქურნალისტებს გაუჩნდათ ნიშნის მოსაგები ერთი კოხირი — მე-18 ოლიმპიურ თამაშებზე ტოკიოში ამერიკელებმა 6 ოქროთი მეტი წაიღეს შინ, ვიდრე საბჭოთა სპორტსმენებმა.

ჩვენი წარგზავნილებიდან სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით გუნდური ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: მე-15 თამაშებზე — ტანთოვარჩიელები, ძალოსნები, მსროლელები, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები. მე-16 თამაშებზე — ტანთოვარჩიელები, მოკრივეები, კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ხუთბრტყელები, ნიჩბოსნები (ჯანო და ბაიდარები), ფეხბურთელები, ტყვიით მსროლელები, მე-17 თამაშებზე — მძლეოსნები, ტანთოვარჩიელები, ძალოსნები, მოფარიკავეები, ნიჩბოსნები (აკადემიური და საბაიარო), კლასიკური მოჭიდავეები და მსროლელები. მე-18 თამაშებზე — ძალოსნები, მოკრივეები, ხუთბრტყელები, მოფარიკავეები, ფრენბურთელები, ტანთოვარჩიელები, კლასიკური სტილის მოჭიდავეები.

ყოველ ოლიმპიურ თამაშებს ჰყავდა თავისი გმირი, რომელთა გამარჯვებებიც სცილდებოდა ჩვეულებრივ წარმატების ფარგლებს და მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი ხდებოდა. ბოლო ოთხი ოლიმპიური თამაშიდან, რომლებშიც საბჭოთა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, სამ თამაშებში სპორტულ გმირად საბჭოთა ოლიმპიელები იქნენ აღიარებული. 1952 წელს, მე-15 ოლიმპიურ თამაშებზე ასეთ გმირად მოგვევლინა ჩეხი მძლეოსანი ემილ ზატოპეკი; მან სამი ოქროს მედალი დაისაკუთრა (რბენა 5000 მ, 10000 მ. და მარათონული რბენა). ემილის ნადავლს დაემატა მისი მეტელის დანა ზატოპკოვას ოქროს მედალიც შუბის ტყორცნაში.

1956 წელს, მე-16 ოლიმპიური თამაშების

აპთანდლილ ციხაძე

ატიენიდან მხიპკომედო

გმირად ერთმანად გამოცხადდა საბჭოთა სტაი-
რი ვლადიმერ კუცი. 5000 მეტრზე რბენაში
კუცის გამარჯვების შემდეგ გაზეთი „არგუსი“
წერდა: „კუცი მსოფლიოს უდიდესი მორბენა-
ლია“, ხოლო როდესაც იგი პირველი იყო 10000
მეტრზე რბენის ფინიშზეც, „ქარიტკე გრაუნდის“
104000 მაყურებელი ფეხზე წამოდგარა მიე-
სალმებოდა „ზღაპრულ მორბენალს“.

1960 წლის მე-17 ოლიმპიურ თამაშებზე მრავალი ბრწყინვალე სპორტსმენი ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, მაგრამ მათ შორის ყველაზე სენსაციურად მაინც ქართველი რობერტ შავლაყაძის გამარჯვება იქნა გამოცხადებული, პრესის უმრავლესობაც მას ასახელებს რომის ოლიმპიადის გმირად. საქმე ისაა, რომ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიმადლეზე ხტომაში ევროპელი გამოსულიყო გამარჯვებული; ოლიმპიური თამაშების ისტორიის ეს ახალი მტკიანე სწორედ რობერტ შავლაყაძის სახელით გაიხსნა. მსოფლიო პრესა განსაკუთრებით მოხიბლული იყო შავლაყაძის არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური მომზადებითაც, რაც მან შესანიშნავად გამოავლინა ამერიკელ თომასთან ბრძოლის დროს. „თომასი უდაოდ ნიჭიერი სპორტსმენია, — წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო დიდია და იგი განუწყვეტლოვ წარმოშობს ახალ შავლაყაძეებს“.

1964 წელს ტოკიოს მე-18 თამაშების გმირი უდაოდ იყო საბჭოთა გოლიათი ლეონიდ ჯაბოტინსკი, რომელმაც მეორე საბჭოთა ათლეტელასოთან ბრძოლაში ფანტასტიკური შედეგი (572,5 კგ) უჩვენა ძალოსნურ სამედიში.

საბჭოთა ოლიმპიური გუნდის გამარჯვებათა სავსეთი საქმეში ყველა რესპუბლიკის ელჩიონდა თავისი წვლილი; თუ შეეჯამებთ ცალკეული რესპუბლიკების წარმომადგენელთა მიერ ოლიმპიურ თამაშებზე შეგროვებულ ქულებს და შევედარებთ ერთმანეთს, საქართველო გამოდის მესამე ადგილზე რუსეთისა და უკრაინის შემდეგ. აი, ზოგიერთი დამახასიათებელი მაჩვენებელი საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში შემავალი საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლებიდან:

ოთხივე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან მონაწილეობდა 57 სპორტსმენი (პელსინკი — 13, მელბურნში — 10, რომში — 16, ტოკიოში — 18). 57 სპორტსმენიდან საბჭოთა ნაკრებს ჩასათვლელი ქულა მისცა 43-მა (პელსინკი — 25, 45, მელბურნში — 31, 36, რომში — 32,5 ტოკიოში — 44,2).

საქართველოს სპორტსმენები გამოდიოდნენ პელსინკი 8 სახეში (თავისუფალი ჭიდაობა, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, კალათ-

ბურთი, ფეხბურთი, ფარიკაობა, ველორბოლა), მელბურნში — 6 სახეში (მძლეოსნობა, ცურვა, წყალბურთი, კლ. ჭიდაობა, თავის. ჭიდაობა, ფარიკაობა), რომში — 7 სახეში (მძლეოსნობა, კლ. ჭიდაობა, თავ. ჭიდაობა, ფარიკაობა, კალათბურთი, წყალბურთი, ცურვა). ტოკიოში — 11 სახეში (თავ. ჭიდაობა, კლ. ჭიდაობა, ძიუდო, სროლა, ცურვა, მძლეოსნობა, წყალში ხტომა, ფარიკაობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ველორბოლა).

საქართველომ საბჭოთა ქვეყანას მისცა ოლიმპიური თამაშების 8 ჩემპიონი: მე-15 თამაშებზე — მოქიდავე დავით ციმაკურიძე, ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი, ტანმოვარჯიშე მზია ჯულელი (გუნდურში); მე-16 თამაშებზე — მოქიდავეები მირიან ცალქალამანიძე და გივი კარტოზია; მე-17 თამაშებზე — მძლეოსანი რობერტ შავლაყაძე, მოქიდავე ავთანდილ ჭოროძე; მე-18 თამაშებზე — მოფარეკივე ნუგზარ ახათიანი (გუნდურში), ფრენბურთელი ვაჟა კაპარავა (გუნდურში); ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ: ლ. სანაძე, ლ. ჯორჯიკია, ო. ქორქია, ნ. დვალისვილი, გ. სხირტლაძე, გ. მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე (ორივე გუნდურში), გ. ჩიქვანია, ლ. გოგოლაძე (ორივე გუნდურში), გ. საღარაძე, რ. რურუა, შ. ქველავილი, ლ. მოსტეგელი (გუნდურში). ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს: ნ. დვალისვილი, ნ. დუმბაძე, ვ. ბალაძე, გ. სხირტლაძე, გ. კარტოზია (ორჯერ), რ. ძნელაძე, ბ. ნიკიტინა, ნ. გვახარია (გუნდურში), ვ. რუხაშვილი, გ. კოსტავაძე (გუნდურში), ნ. ხონაშვილი, დ. გვანცელაძე, ა. კიკნაძე, ფ. ჩიქვილაძე, გ. კოსტავაძე.

ჩასათვლელი ქულები მოგვეცეს (მე-4 — მე-6 ადგილები): ა. შჩერბინამ, ზ. ბერიასვილი, რ. აბაშიძე, ა. ტუტაყევაძე, რ. შავლაყაძე, ბ. პოლულიაძე.

სულ საქართველოს ოლიმპიელებმა საბჭოთა გუნდის „ყულაბაში“ ჩაუშვეს 37 მედალი და 133,51 ქულა.

უფრო თვალნათელი რომ გახდეს საქართველოს წარგზავნილთა ეს წვლილი, მოვიყვანო ასეთ ფაქტს: მე-17 ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც 84 ქვეყანა მონაწილეობდა, საქართველოს თერთმეტმა ოლიმპიელმა გაუსწრო 65 ქვეყანას; ხოლო მე-18 ოლიმპიურ თამაშებზე (მონაწილეობდა 94 ქვეყანა) საქართველოს წარგზავნილები 44,2 ქულით 79 ქვეყანაზე წინ აღმოჩნდნენ; ამდენი ქულა ვერ მოაგროვებს ესპანეთმა, არაბეთის გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, ფილიპინებმა, პორტუგალიამ, ურუგვაიმ და ჩილიმ — ერთად აღებულმა.



„ბიენვენიდეს ა მეხიკო!“ — „კეთილი იყოს თქვენი მოზრანება მეხიკოში!“ — ასე ეგებება ოლიმპიელებს 650 წლის წინ დაარსებული ტენოტიტლანი, ამჟამად მეხიკოდ წოდებული ქალაქი.

მხარს უჭერდა რა 1968 წელს მეხიკოში ოლიმპიური თამაშების ჩატარებას, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მთელ რიგ ვარემოებებთან ერთად, მხედველობაში ჰქონდა ისიც, რომ მექსიკა მდიდარი სპორტული ტრადიციების ქვეყნად ითვლებოდა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ისე როგორც თამბაქო, შოკოლადი, ტომატი, სიმინდი, კარტოფილი და სხვ., რეზინის ბურთიც მექსიკამ მისცა მსოფლიოს. ვერაკრუსის რაიონში მცხოვრებმა მთიას ტომმა კაუჩუკიდან გააკეთა ბურთი, შექმნა შესანიშნავი თამაშები, ხოლო შემდეგ სპეციალური სტადიონები. ბურთით თამაშის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა „ტლაჩტლი“, რაც დღევანდელი კალათბურთისა და ბეისბოლის თავისებურ სინთეზს მოგვავსებს. „ტლაჩტლის“ სათამაშო მოედანს ტლახოსი ეწოდებოდა. მოედნის აქეთ-იქიდან ამართულ კედელზე, 3 მეტრის სიმაღლეზე, დამაგრებული იყო ქვის რგოლები; თამაშის მთავარი მიზანი იყო ამ რგოლში ბურთის ჩადგება, რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა იმის გამო, რომ ბურთის გდება შეიძლებოდა მხოლოდ თქოთი ან მხრით. ბურთის ჩამგდები ნამდვილ გმირად ცხადდებოდა.

„ტლაჩტლის“ პოპულარობასა და მასობრიობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იმპერატორმა მონტესუმამ, რომელიც თვით შესანიშნავად თამაშობდა, ზოგიერთი ტომი დაბეგრა იმით, რომ მისთვის ყოველწლიურად 16 ათასი კაუჩუკის ბურთი უნდა მიეტანათ.

ბურთაობასთან ერთად აცტეკთა შორის დიდი ინტერესით ტარდებოდა შეჯიბრებები მშვილდოსნობაში, შუბის ტყორცნასა და სხვა სამხედრო სახეებში.

ფიზიკური ვარჯიშების ადგილობრივი სახეები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მექსიკელი ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან, იგი ხელს უწყობდა ისეთი ძვირფასი თვისებების აღზრდას, რომლის გატეხვაც ვერ შეძლეს ესპანელმა კონკისტადორებმა მექსიკელი ხალხის სისწლიანი ტრაგედიის დროსაც კი. სამასი წელი იბრძოდნენ აცტეკთა შთამომავალი დამპყრობლების წინააღმდეგ და 1824 წელს საბოლოოდ ფეხი ამოუკვეთეს მათ მექსიკის მიწიდან.

მექსიკაში თანდათან მკვიდრდებოდა სპორტის კლასიკური სახეობანი; განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ქვეყნის ჩემპიონატები ბეისბოლში, კრიკში, ფეხბურთში, ცხენოსნობაში, ხოკეიში; მეხიკოში ხშირად ტარდებოდა

ბოლა დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებები: რეგიონალური ოლიმპიური თამაშები, ლათინური ამერიკის ქვეყნების პირველობა, მსოფლიოს ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეებში. მეხიკოშია პანამერიკული თამაშების — ოლმპას კომიტეტის რეზიდენცია.

ოლიმპიურ თამაშებში მექსიკა საშუალო ძალით გამოდის. პირველად იგი მხოლოდ 1924 წელს მე-8 თამაშებზე გამოვიდა. პირველი ოლიმპიური ვერცხლის მედალი მას მოუტანა ჟმატესი წონის მოკრივემ ფრანსისკო კაზინასმა მე-10 ოლიმპიურ თამაშებზე. ყველაზე დიდი წარმატება მექსიკელებმა მოიპოვეს 1948 წელს ლონდონში მე-14 თამაშებზე, სადაც ცხენოსნებმა 4 ოქროს მედალი დაისაკუთრეს. მე-18 ოლიმპიურ თამაშებზე მექსიკამ გავაწანა 100 მონაწილე და 26 ხელმძღვანელი და, როგორც თვით მექსიკელები ამბობენ, მოახდინეს „ღრმა დახვეწვა“ მშობლიურ მიწაზე მომავალი წარმატებისათვის.

როგორ ხდება მეხიკო ოლიმპიური თამაშების მონაწილეებსა და დამსწრეებს? სტუმრების მისაღებად მზადაა 705 სასტუმრო და ოლიმპიური სოფელი, სადაც ათათასამდე სპორტსმენი დაბინავდება.

ოლიმპიელთა განკარგულებაში იქნება 10 სპორტული კომპლექსი. ოლიმპიადის გახსნა-დახურვის ცერემონიალი გაიმართება უნივერსიტეტის 105-ათასიან სტადიონზე — „უნივერსიტარიოსზე“, აქვე მოეწყობა შეჯიბრებები მძლეოსნობასა და ფეხბურთში. „აიტეკის“ 106-ათასიან სტადიონზე მოეწყობა წინასწარი შეხვედრები ფეხბურთში. დიდი ბრძოლების მოწმე გახდება სპორტული ქალაქი „მადალენა მიკსტუკა“, რომელიც გადაჭიმულია 2,3 კვ. კილომეტრზე. მასში შედის ფეხბურთის 64, კალათბურთის 30, ფრენბურთის 22 მოედანი, 3 ოლიმპიური აუზი და 1 ველოდრომი. ოლიმპიური თამაშების პროგრამის დიდი ნაწილი ჩატარდება აგრეთვე სპორტულ ცენტრ „ჩაპულტეპეკში“.

ამ ნაგებობათა დათვალიერების შემდეგ ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ევერი ბრენდეკმა განაცხადა: „ახლა კი შემოიღო გადაწყვეტილი ვთქვა, რომ 1968 წლის ოლიმპიური თამაშები ჩატარდება იმ დონეზე, რასაც ითვალისწინებენ თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ნორმები; ეს თამაშები ბევრად ამაღლებენ მექსიკისა და მისი დიდი ხალხის სპორტულ პრესტიჟს“.

მექსიკაში გასამგზავრებლად დიდი ხანია მზადება გააჩაღეს ჩვენმა ოლიმპიელებმა. გასულ

ამთხანდელ ციხეში

ათენიდან მეხიკომდე

წელს ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა სპორტკიადის ფინალი, რომლის შედეგების მიხედვითაც ძირითადად დაკომპლექტდა საბჭოთა ოლიმპიური ნაერები, მაგრამ მისი შემადგენლობა შემდგომაც რამდენადმე შეიცვლება და დაზუსტდება ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში. საბჭოთა ოლიმპიური ოჯახის ერთ-ერთი ძლიერი წევრები, როგორც ყოველთვის, იქნებიან საქართველოს წარმომადგენლები.

შედეგებზე, ცხადია, წინასწარ ძნელია ლაპარაკი, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ბრძოლა ოლიმპიურ ლიდერებს შორის უფრო ცხარე იქნება, ვიდრე ტოკიოში. საქმე ისაა, რომ მეხიკოში ოლიმპიური თამაშების ჩატარებით ამერიკის შეერთებული შტატები შედარებით ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მექსიკა, როგორც იტყვიან, ამერიკის შეერთებული შტატების „კარის მეზობელია“, მექსიკაში სპორტსმენთა ჩასვლა ნიუ-იორკიდან და მოსკოვიდან, ცხადია, ერთნაირად როდი დაქანცავს ამ ორი ქვეყნის სპორტსმენებს. გარდა ამისა, საბჭოთა სპორტსმენებს დასაძლევია ექნებათ ისეთი არაჰასიამოვნო ბარიერი, როგორიცაა სადღელამისო აკლიმატიზაცია.

მაგრამ ყველასათვის ერთნაირი უხილავი მოწინააღმდეგე იქნება მეხიკოს სიმაღლე — 2200 მეტრი; ველოსიპედისტების ტრასა, მაგალითად, გაივლის 3150 მეტრ სიმაღლეზე. მეხიკოში ჟანგბადის შედარებითი ნაკლებობაა, ზღვის დონესთან შედარებით ატმოსფერული წნევა

250/-ით დაბალია (586 მმ), ჰაერი საკმაოდ გაქუქიანებულია ვულკანური მტკრითა და მიწის მავნე ანაორტქლით; ეს ყველაფერი უკვე დადებითად ღებავს სპორტსმენებს.

მსოფლიო სპორტული მედიცინის მუშაები გულდასმით სწავლობენ სპორტსმენთა აკლიმატიზაციის საკითხს. საბჭოთა კავშირშიც მეცნიერთა დიდი ჯგუფები ატარებდნენ სამუშაოს. თვით მექსიკის მედიცინის მუშაები მთელი დამაჯერებლობით გვარწმუნებენ, რომ ჯანმრთელ სპორტსმენებს მეხიკოში აკლიმატიზაციისათვის დასჭირდებათ სულ რაღაც 48 საათი.

სპორტსმენი უტეხი ბუნების აღმაინია. გერავითარი დაბრკოლება ხელს ვერ შეუშლის, მას დაიცვას ოლიმპიური დევიზი „სიტუს, ალტიუს, ფორტიუს!“ („სწრაფად, მაღლა, ძლიერად!“). მე-19 ოლიმპიური თამაშები იქცევა კაცობრიობის სანუკვარი ოცნების — ხალხთა ძმობისა და ერთობის განმტკიცების მძლავრ ღონისძიებად. სწორედ ასე ესმოდა ოლიმპიური სპორტის მიზანი განახლებული ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელს პიერ-დე-კუბერტენს: „სპორტო, შენ მშვიდობა ხარ! შენ აკავშირებ ხალხებს, რომლებიც ერთმანეთის ძმებად გრძნობენ თავს ძალის, წესრიგისა და გამბედაობის ერთიან აღზრდაში. შენის დახმარებით სწავლობს ახალგაზრდობა თავისი თავის პატივისცემას, აგრეთვე სხვა ხალხების დამახასიათებელი თვისებების შეთვისებასა და დადასტურებას!“



ინტერვიუ

ჯეიმს ოლდრიჯი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გამოჩენილ ინგლისელ მწერალს ჯეიმს ოლდრიჯს დაბადებიდან ორმოცდათი წელი შეუსრულდა. „ლიტერატურაშია გაზეტას“ კორესპონდენტთან საუბარში ოლდრიჯმა განაცხადა:

— როდესაც კითხულობ ახლადდამთავრებულ ნაწარმოებს, ყოველთვის გეჩვენება, რომ არ გამოვიდა იგი ისეთი, როგორსაც მოელოდი და ფიქრობ, ხომ არ აჯობებდა, სხვანაირად დაგეწერა? საერთოდ, ლიტერატურული შემოქმედება — ერთგვარი თვითგანვითარებაა. ოცდახუთი წელია, რაც მწერლობას ვეწევი და ყოველი ნაწარმოების შემდეგ ვგრძნობ, თითქმის ვიჭრები, რადაც ახალს ვსწავლობ.

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრე წიგნი, რომელზეც მ წელი ვმუშაობდი. რომანის თემაა ჭაირის ისტორია დასაბამიდან დღემდე.

რაც შეეხება მომავალ გეგმებს... ჩვენ ვცხოვრობთ მძიმე დროში. ჩვენი ცხოვრება — ყოველდღიური, პოლიტიკური, ინტელექტუალური — ძალიან გართულდა, იგი განიცდის ძალიან დიდ ცვლილებებს და მოითხოვს სწორ გაგებას.

ავიღოთ თუნდაც ახალგაზრდობის პრობლემა. აღმოსავლეთში „გაბრაზებულ ახალ-

გაზრდობას“ ბოლო მოეღო. ისინი უარყოფდნენ ფილოსოფიას, იდეოლოგიას, პოლიტიკას. ახლა წამოვიდა ახალი თაობა, რომელსაც აინტერესებს პოლიტიკაც და ფილოსოფიაც. ისინი მომაგონებენ ჩემი თაობის ახალგაზრდობას.

და მე თავს კვლავ ახალგაზრდად ვგრძნობ.

ინკონიბა

კომბო აბეს
ბაბლი რომანი

გასული წლის ბოლოს გამოცემლობა სინტიოსიამ გამოსცა კომბო აბეს ახალი რომანი „დამწვარი რუკა“, რომელსაც კრიტიკა დიდი ინტერესით შეხვდა.

... უცერად გაუჩინარდა ადამიანი, მამაკაცი, დაქარგულის მეთაღე ყველა ღონეს ხმარობს, გაიგოს ქმრის დაქარგვის მიზეზი. ირკვევა, რომ პიროვნება ცოცხალია, მაგრამ გამოსარკვევია, რამ აიძულა იგი გაუჩინარებულყო. ძებნის დროს კვალი იკარგება და დეტექტივი, რომელიც ეძებს დაქარგულ პიროვნებას, მიდის პარადოქსულ მიუწეამდე. ადამიანს არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ გაუჩინარებულყო. თუ იაპონელებს შორის გამიერევა ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც განსხვავდება ირგვლივმყოფთაგან. მას რჩება მხოლოდ და მხო-

ლოდ ერთი გამოსავალი — გაშორდეს მათ და შეეცადოს დაიწყოს ახალი ცხოვრება. თუნდაც შენიღბულმა, თუნდაც სხვისი სახელით...

ჟურნალ „ტიუოკორონში“ დაიბეჭდა კინორეჟისორ სუსუმუ ხანის რეცენზია. „მე გამოცა კომბო აბეს მიერ დახატულმა თანამედროვე ქალაქის სურათმა, — წერდა სუსუმუ ხანი, — ეს არის რომანი ადამიანების ურთიერთობაზე, მათ ბედზე. ეს არის რომანი იმ მოსეთილეებზე, რომლებიც ისე გაუჩინარდებიან ხოლმე, როგორც კვალე, უღაბნოში.“

იტალია

პიერ პაოლო
პაოლონი

ცნობილმა კინოკრიტიკოსმა ფერნანდოლო ჩამატეომ სატელევიზიო ტელეფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალზე მონტე-კარლოში უჩვენა ფილმი, რომელიც ეძღვნება იტალიელი მწერლის და კინორეჟისორის პიერ პაოლო პაოლონის ცხოვრებას და შემოქმედებას. ფილმს, რომელიც გადაღებული იყო შვეიცარიის ტელევიზიის დაკვეთით და უკვე ნაჩვენები იყო შვეიცარიაში, მონტე-კარლოს პრესამ მაღალი შეფასება მისცა.

საპუტარი თვალთ
ნანახი

პოლონელი მწერალი ქალი მონიკა ვარნენსკა რამდენჯერმე იყო ვიეტნამში. ვიეტნამიდან დაბრუნების შემდეგ გაზეთ „პოლსკოე ობოზრენიეში“ დაბეჭდა მოთხრობა „საავტაციო ფურცლები და ყუმბარები“. მოთხრობაში აღწერილია ამერიკელ აგრესორთა ბარბაროსული საქციელი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

რეიდის დროს, — წერს მონიკა ვარნენსკა, — ამერიკელი აგრესორები ვიეტნამის სოფლებსა და ქალაქებში ყუმბარებთან ერთად ყრიან ტონობით საავტაციო ფურცლებს პრეზიდენტის ფოტოსურათით და ტექსტით, რომელშიც პრეზიდენტი ცდილობს გაამართლოს ამერიკის აგრესია ვიეტნამში. ფურცლებთან ერთად დაუსრულებლად ეშვება

მინიატურული პარაშუტებზე გამოშვებული სათამაშოები წარწერით: „ასეთი სათამაშო ელის ყველა ვიეტნამელ ბავშვს, აღმოსავლეთში კომუნისტური ძალაუფლების დამხობის შემდეგ...“

ყველა საჩუქარი, რომელსაც ამერიკელი აგრესორები უგზავნიან ვიეტნამელ ხალხს, სასწრაფოდ ნადგურდება ვიეტნამელი პატრიოტების მიერ. „ჩვენ არ გვინდა მტრის არაფერი“, — ამბობენ ისინი.

საზრანგეთი

თარგმანების ინდექსი


იუნესკომ გამოაქვეყნა მონიკა „საერთაშორისო ცნობარი მთარგმნელობით ლიტერატურაში“. ცნობარში გათვალისწინებულია 1966 წელს თარგმნილი მსოფლიოს 70 ქვეყნის 39267 თარგმანი.

პირველი ადგილი — 39268 დასახელება — თარგმანებზე რიცხვით უკავია საბჭოთა კავშირში მის. მეორე ადგილზეა — იუგოსლავია — 3452, რომელსაც 1964 წელს მერვე ადგილი ეკავა. ამ ბოლო წლებში იუგოსლავიაში თარგმანების რიცხვი ძალზე გაიზარდა და მთარგმნელობითი ლიტერატურის გამოცემაში უკან მოიტოვა ისეთი სახელმწიფოებო როგორიცაა აშშ, იტალია და საფრანგეთი.

ყველაზე დიდი რაოდენობითაა თარგმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებანი.

კ. მარქსის თხზულებანი თარგმნილია 60-ჯერ, ენგელსის — 75-ჯერ.

იუნესკოს ცნობარის ცნობით ყველაზე ხშირად ითარგმნება შექსპირის, ტოლსტოის, ჟიულ ვერნის ნაწარმოებები. ყველაზე პოპულარულ რუს და საბჭოთა მწერლებიდან — დოსტოევსკი, ჩეხოვი, გორკი, შოლოხოვი, გოგოლი, პუშკინი, ტურგენევი.



კარეკანი და ტიტული თ. შირაშვილის, ო. ჯიშკარიანის.

ქუჩის გაფორმება და ნ. ბარათაშვილის პორტრეტი დ. ზარაფიშვილისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პარკის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-83.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII-68 წ. ქალაქის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 2778. უე 02371. ტარ. 17 400.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის 14.

ფან 60 333.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«МЕРАНИ»
ИНДЕКС 76236